

XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერალთა

ეპისტოლური მემკვიდრეობა

ტომი IV

გრიგოლ ირბულაძის (ნაწილი III)



გამომცემლობა „უნიონპრესალი“
თბილისი 2013

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6

ე-726



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation



იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

სამეცნიერო პროექტი „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ (გრანტი FR/361/1-20/11) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project „Academic Edition of XIX-XX cc. Georgian Writers' Epistolary Legacy“ (Grant FR/361/1-20/11) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

ტომის რედაქტორები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **ქეთევან გიგაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **მარიამ ნინიძე**

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-185-9 (ყველა ტომისათვის)

ISBN 978-9941-22-186-6 (IV ტომი)

შესავალი

წინამდებარე IV ტომით გრძელდება გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა. წინა – II და III – ტომებში¹ დაიბეჭდა პოეტის წერილების I და II ნაწილი, რომელმაც მოიცვა 1832-1850 წლებში დაწერილი 191 წერილი. II ტომში გამოქვეყნდა 1832-1844 წლების წერილები. მათმა რაოდენობამ 82 შეადგინა. აქ შევიდა აკაკი განწერელის გრიგოლ ორბელიანის წერილების I ტომში² დაბეჭდილი 63 წერილი, რომელსაც დაემატა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში³ პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში⁴ (რომელიც სოლომონ ცაიშვილმა გამოსცა) ასევე პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, გამოუქვეყნებელი 12 რუსული და 5 ქართული წერილი. ასე რომ, II ტომში პირველად გამოქვეყნდა 17 წერილი.

III ტომში დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის 1845-1850 წლებში დაწერილი 109 წერილი. მათგან 4 რუსულია, ხოლო დანარჩენი – ქართული. ოთხივე რუსული წერილისთვის ჩვენი გამოცემა პირველი პუბლიკაცია იყო. აქვე პირველად გამოქვეყნდა ილია ორბელიანისადმი გაგზავნილი 5 წერილი. ასე რომ, III ტომში პირველად დაიბეჭდა 9 წერილი. ამ ტომში წარმოდგენილი წერილების უმრავლესობა შესულია აკაკი განწერელის გრიგოლ ორბელიანის წერილებს I ტომში, სამი გამოქვეყნებულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტო-

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

² გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი პირველი, 1832-1850, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, კოტე გორდელაძის წინასიტყვაობით, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1936.

³ ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ს. ფირცხალავას გამოც., ტფ., 1922.

⁴ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947.

რიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში, ხოლო 1 – ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში.

წინამდებარე IV ტომში ვბეჭდავთ 1851-1852 წლების წერილებს, რომელთა რაოდენობა 77-ს შეადგენს. მათგან 34 ბარათი რუსულია. ისინი ჩვენს გამოცემაში პირველად ქვეყნდება. წინამდებარე ტომში პირველად იბეჭდება აგრეთვე 3 ქართული წერილი, რომლებიც დაუთარილებელი იყო და დათარილების შემდეგ 1851-1852 წლების წერილების ქრონოლოგიურ რიგში მოთავსდა. ესენია: სვიმონ შალიკაშვილისადმი №13, ქეთევან ორბელიანისადმი №46, კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №2. ასე რომ, ჩვენი გამოცემა 37 წერილისთვის პირველი პუბლიკაციაა.

წერილების უმრავლესობა გამოაქვეყნა აკაკი განერელიამ 1937 წელს გრიგოლ ორბელიანის წერილების II ტომში,⁵ ხოლო 4 წერილი შესულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში.

ტომი მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრაზე.

IV ტომში წარმოდგენილი ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, პასპორტები, შენიშვნები, ლექსიკონი, შესავალი წერილი, „ტექსტისათვის“ და რუბრიკა „ადრესატის მისამართი“ დაურთო ქეთევან გიგაშვილმა; კომენტარები და დათარილება ეკუთვნით ქეთევან და მარიამ ნინიძეებს, პირთა ანოტირებული საძიებელი – ნანა რჩულიშვილს, მარიამ ნინიძესა და გიორგი ჯავახიშვილს, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა ანოტირებული საძიებელი – ჯულიეტა გაბოძესა და მარიამ ნინიძეს; წერილთა შედარებებსა და ხელნაწერთა აღწერილობებზე იმუშავეს მაია არველაძემ, ქეთევან გიგაშვილმა და ქეთევან ხითარიშვილმა; რუსული წერილები ავტოგრაფებიდან გადმონერეს ლია კიკნაძემ და ეთერ ბერუაშვილმა, ქართულად თარგმნა არსენ ბერთლანმა, ხოლო კორექტურაზე იმუშავა ნათელა ლუდუშაურმა; ოპერატორის საქმიანობა შეასრულა ვახტანგ ზურაშვილმა.

ვრცელი შესავალი წერილი იხ. ჩვენი გამოცემის II ტომში: „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), თბ., 2012, გვ. 3-12.

⁵ გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1937.



1851

ბიზილ შრომცოვისაღი #2 (192)

К[нязю] Воронцову. Марта 16 дня 1851.

Закаталы

Письмо Вашего С[иятельст]ва от 7 марта я имел честь получить вместе с копіею донесенія К[нязя] Барятинского о славном его деле в Чечне. Отголоски этой битвы, в которой Шамил понёс сильное поражение, отдались в этом крае, но так сбывчиво, так запутанно, что я не осмеливаюсь донести Вашему С[иятельст]ву. В особенности понесли большую потерю Гумбетовцы, Андійцы и Аварцы.

Здесь дела доведены пока до того, что каждая деревня вызвала из себя охотников по 100 и более человек, для своей защиты против Казаков и мелких хищнических партій. Недавно было большое собрание из жителей Джар, Телсы, Кастар и Мацих, в котором положили и утвердили присягою – действовать соединёнными силами против непріятельских партій и Казаков, и в случае опасности оказывать друг другу взаимную помощь. После этого 200 человек выбраны из Джарского общества в охотники, из числа которых в тот же день один напал на разбойника Карахскаго жителя, убил его, но сам пронзённый кинжалом, пал вместе с ним мёртвы[м]. Я надеюсь, этот случай возбудит мщеніе в Джарцах против Гулхадар. Третьего дня учинена в Постапинских лесах огромнейшая облава из 1500 чел[овек] Энгилейцев, 150 Грузин, партизанской команды, 5^и рот пехоты и Белоканских жителей. Не осталось без осмотра ни одного скрытого места, но убили только одного горца и одного Джарскаго качага. Деревни Катах и Мацих я поручил надзору старика Ажи Исмайла, который также устроил охотников и преследует качагов, против которых он в общем

собрании сильно возставал и требовал единодушнаго действия от жителей, но вообще, в настоящее время более тишины и спокойствия видны в участках Энисельском, Элисейском и деревни Белаканы.

Прапорщик Ажи дарвиш, который прежде управился качагом, недавно скрылся за то, что четыре пленных горца, пойманные Белаканскими охотниками были поручены ему для пересылки в Закаталы, и ночью эти пленные бежали. Нет сомненія, что страх наказанія принудил его к бегству. Впрочем он, как внук беглаго солдата не имеет большого вліянія на своё общество.

Здешними жителями вновь расширены дороги на 60 саженой: Муганлинская до Талы, Алмалинская до Ках и от Белакана до Мазамчая, откуда Тифлиским баталіоном до Лагодех; отсюда уже Грузинами расширена вновь на 100 саженой к Кварели.

В конце этого месяца совершается мирное переселеніе Джарцев из Таначей на прежнее их жительство; Таначи же предадутся огню.

მისიელ ჰორონცოვისადმი #2 (192)

თავადს] ვორონცოვსა. მარტის 16^{სა} დღესა 1851.
ზაქათალით

მქონდა პატივი თქუენის ბრწყინვალეების წერილი 7^{სა} მარტისა მიმელო თავად] ბარიატინსკის მოხსენების ასლთან ერთად მისი სასახელო საქმის შესახებ ჩაჩანსა. ხმებმან ამ ბრძოლაზედ, რომელ-შიც მწარე დამარცხება იწვნია შამილამ, ამ მწარემდის მოაღწია, მაგრამ ისე არეულად და ჩახლართულად, რომ ვერ ვბედავ მოვახსენო თქუენს ბრწყინვალეებსა. განსაკუთრებით დიდი დანაკარგი განიცადეს გუმბეთოველებმა, ანდიელებმა და ხუნძებმა.

აქ საქმე ჯერ-ჯერობით იქამდეა მიყვანილი, რომ კაზაკებისა და წვრილმანი მტაცებელი პარტიებისგან თავდასაცავად ყოველმა

სოფელმა გამოიყვანა 100 და მეტი კაცი. ამასწინათ ჭარის, ტელის, კასტარისა და მაცხის მაცხოვრებლები შეიყარნენ, დადეს და განამტკიცეს ფიცი – ერთობლივი ძალებით იმოქმედონ არაკეთილმოსურნეთა პარტიებისა და კაზაკების წინააღმდეგ და საშიშროების შემთხვევაში ერთურთს აღმოუჩინონ დახმარება. ამის შემდეგ ჭარის საზოგადოებიდამ მონადირედ ამოირჩა 200 კაცი, რომელთაგან ერთ-ერთი იმავე დღეს მარტოდ დაესხა თავს ყარახელი მობინადრის დამყარებელსა, მოჰკლა იგი, მაგრამ მასთან ერთად, ხანჯლით განგმირული, თავადაც დაეცა უსულო[დ]. იმედი მაქვს, ეს შემთხვევა ჭარელებში აღძრავს შურისძიების გრძნობას გულხადარის მიმართ. სამის დღის წინ პოსტაპინის ტყეებში 1500 ინგილომ, 150 ქართველმა, პარტიზანთა რაზმმა, 5^{მა} ქვეთმა ასეულმა და ბელაქნის ბინადრებმა განახორციელეს უდიდესი ალყა. არ დარჩა შეუმონმბელი არც ერთი მოფარებული ალაგი, მაგრამ მოკლეს მხოლოდ ერთი მთიელი და ერთიც ჭარელი ყაჩაღი. სოფლების – კატეხისა და მაცხის – თვალყურის დევნება დავავალე მოხუცს ჰაჯი ისმაილს, რომელმაც ასევე მონადირენი შეჰყარა და ებრძვის ყაჩაღებსა, რომელთა წინააღმდეგაც მგზნებარედ გამოდიოდა იგი საერთო კრებაზე და მოითხოვდა ერთსულოვანს მოქმედებას ბინადართაგან, მაგრამ, ზოგადად, ამჟამად მეტი სიმშვიდე და სიწყნარე ჩანს ენისელის, ელისუსა და სოფელ ბელაქნის მონაკვეთებზედ.

პრაპორშნიკი ჰაჯი დარვიში, რომელიც მანამდე ყაჩაღობდა, ამასწინათ იმის გამო გადაიმალა, რომ დაევალა ბელაქნელ მონადირეთა მიერ დაჭერილი ოთხი მთიელი ტყვის გადაყვანა ზაქათალაში და ღამით ეს ტყვეები გაექცნენ. უეჭველია, რომ მას გაქცევა აიძულა სასჯელის შიშმა. თუმცა მას, როგორც გაქცეული სალდათის შვილსა, დიდი გავლენა არ გააჩნია თავის საზოგადოებაზედ.

აქაურ ბინადართა მიერ გზები კვლავ გაფართოებულია 60 საყენითა: მულანლოსი თალამდინ, აღმალოსი კახამდინ და ბელაქნიდამ მაზიმჩაიმდინ, საიდამაც თბილისის ბატალიონის მიერ – ლაგოდებამდინ; აქედამ უკვე ქართველების მიერ ასევე გაფართოებულია 100 საყენით ყვარლამდის.

ამა თვის ბოლოს ხდება ჭარელთა მშვიდობიანი გადასახლება ტანაჩიდამ მათს თავდაპირველს საცხოვრისსა; ტანაჩი კი მიეცემა ცეცხლსა.

ՅՈՒՆԻՔ ՅՄՐՈՆԵՄՅՈՆՆԱԸՅՈ #3 (193)

К[нязю] Воронцову. Марта 25 дня. 1851.

Закаталы.

Недавно охотники из Тальских жителей, составленные под командою Юзбаша Муртузали Нурова для охранения своей деревни от вторжений хищнических партій Горцев и Качагов, совершили великое дело. Они убили в самой деревне знаменитаго Качага Тамбала Хажабас с двумя его товарищами. Этот Качаг был предводителем значительной партіи Горцев и в продолжении 10^{ти} лет наводил ужас на здешних жителей своею зверскою храбростью, грабительством и убийствами. Дерзость его дошла до того, что в прошлом году явно ходил по деревне Талы, откуда он сам житель – несколько раз бывал даже в Мечети по пятницам, и жители не осмеливались задержать его. Убийство его тем важно, что оно в настоящее смутное время совершено самыми жителями под командою Юзбаша молодца Муртузали Нурова, брат которого в прошлом году был главною причиною Мелкум Ражабас с партією. Теперь рады, не рады, а Тальцы должны с единогодушіем возстать против Качагов.

Осмеливаюсь доложить Вашему С[іятельству], что конечное истребление Качагов, число которых слишком велико здесь, возможно только с помощью самых жителей; в этом случае баталіоны принесут не много пользы. Но чтоб возстановить, вооружить жителей против Качагов, необходимо оказать поощрение тем из них, которые силою своего характера, своею храбростью увлекают своих единосельцев против общаго врага – Качагов. Так явились и действуют с самопожертвованіем в Талах два брата Нуровы и Алибек Дибиров; в Балаканах – Ажи Муртуза и Халажіев; в Туюнуке – Михлирда.

Настоящій случай возлагает на меня совершенную обязанность всепокорнейше просить Ваше С[іятельство]во обратить милостивое внимание на услугу, оказанную Юзбашею

Муртузалием Нуровым, позволить мне представить его в Прапорщики, не подвергая его общей форме постановлений, по которой первую наградою следовала бы ему Сереб[ряная] медаль. Подобный случай может служить исключением, потому что головы некоторых знаменитых Качагов весьма дорого оцениваются здесь. Это милостивое внимание Вашего С[иятельств]ва к Нурову неминуемо возбудит между здешними молодыми людьми полезное соревнование к подобным подвигам, следствием которых должно быть водворение тишины и порядка в взволнованном этом крае.

Третьего дня в Катехе убит партизанскою командою один из убийц Кобулова. В сію минуту принесли мне от Энисельскаго участкаго заседателя, К[нязя] Андроникова, которым не могу нахвалиться, в подарок две головы, из которых одна принадлежала брату Найба Бакрака Алія. Так мало-по-мало у жителей развязываются руки против врагов.

По известіям, полученным из гор, Шамиль понёс сильное поражение в Чечне, где досталось и нашим Качагам, из которых до 20 челов[ек] погибли.

Переселение Джарцев из Таначей уже началось, и кончится в несколько дней. А там, Таначи, как очистительная жертва за все содеянные там злодеяния, отдастся на всеожжение.

მიხეილ ვორონცოვისადმი #3 (193)

თ[ავადს] ვორონცოვს. მარტის 25^{სა} დღესა. 1851.

ზაქათალით.

ამასწინათ თალელმა მონადირეებმა, შეკრებილებმა იუზბაში მურთუზალი ნუროვის მეთაურობითა, მთიელთა და ყაჩაღთა პარტიების შემოსევებისგან თავიანთი სოფლის დასაცავად აღასრულეს უდიდესი საქმე. შიგ სოფელში მოკლეს სახელგანთქმული ყაჩაღი

თამბაღ ხაჭაბი მის ორს ამხანაგთან ერთად. ეს ყაჩაღი მთიელთა მნიშვნელოვანი პარტიის წინამძღოლი იყო და 10^{აღ} წლის მანძილზედ თავისის მხეცურნი სიმამაციტ, ყაჩაღობითა და მკვლელობებით შიშის ზარს სცემდა აქაურ ბინადართ. მისი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ გასულ წელს დაურიდებლად დადიოდა სოფელ თალში, საიდამაც თავადაა იგი – რამდენჯერმე მეჩეთშიაც კი იყო პარასკეობითა და მობინადრენი ვერ ჰბედავდნენ მის შეპყრობას. მისი მოკვლა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ამჟამინდელს შფოთიანს ჟამსა ეს ჰქნეს თავად მობინადრეებმა ვაჟკაც იუზბაშ მურთუზალი ნუროვის მეთაურობითა, რომლის ძმაც მთავარი მიზეზი იყო შარშან მელკუმ რაჟაბის პარტიასთან ერთად. ახლა არიან თუ არა მოხარულნი, ერთსულოვნად კი უნდა აღსდგნენ თალელები ყაჩაღების წინააღმდეგ.

ვბედავ მოვახსენო თქუენს ბ[რწყინვალე]ს, რომ საბოლოო განადგურება ყაჩაღებისა, რომელთა რიცხვიც აქ ძალზედ დიდია, მხოლოდ თავად მობინადრეთა დახმარებითაა შესაძლებელი; ამ შემთხვევაში ბატალიონები დიდს სარგებელს არ მოიტანენ. მაგრამ მობინადრეები რომ დაეძრათ, შევავიარალოთ ყაჩაღთა წინააღმდეგ, აუცილებელია წავახალისოთ იმათთაგანნი, ვინც თვისის ხასიათის ძალით, თვისის სიმამაციტ იყოლიებენ თავიანთ თანასოფლელებს საერთო მტრის – ყაჩაღების წინააღმდეგ. ასე გამოჩნდნენ და თავგანწირვით მოქმედებენ თალში ორნი ძმანი ნუროვები და ალიბეკ დიბიროვი; ბელაქანში – მურთუზჰაჯი და ხალაჯოვი; თუიუნუქში – მიხლირდა.

ეს ამბავი მაკისრებს სრულს ვალდებულებას უმორჩილესად ვთხოვო თქუენს ბ[რწყინვალე]ს მონყალე ყურადღება მიაპყროს იუზბაშ მურთუზალი ნუროვის მიერ განუულს სამსახურსა, ნება მიბოძოს წარვადგინო იგი პრაპორშჩიკად, მის დაუქვემდებარებლად საერთო წესებისათვის, რომელთა მიხედვითაც ის ჯერ ვერ[ცხლის] მედლით უნდა დაჯილდოებულყო. მსგავსი შემთხვევა შეიძლება გამონაკლისს წარმოადგენდეს, რადგანაც აქ ერთობ ძვირად ფასობს ზოგიერთი სახელგანთქმული ყაჩაღის თავი. ნუროვის მიმართ თქუენის ბ[რწყინვალე]ს ეს მონყალე ყურადღება აქაურს ახალგაზრდა ადამიანებში გარდაუვლად გააღვივებს სასარგებლო შეჯიბრსა მსგავსი გმირობებისადმი, რომელთა შედეგიც უნდა იყოს სიმშვიდისა და წესრიგის დასადგურება ამ აშფოთებულს მხარესა.

სამის დღის წინ პარტიზანული რაზმის მიერ კატეხში მოკლეს ქობულოვის ერთ-ერთი მკვლელი. ენისელის უბნის ზასედატლისგან,

თ[ავად] ანდრონიკოვისგან, რომლის ქებასაც ვერ აუდივარ, ამ წუთას საჩუქრად მომართვეს ორი თავი, რომელთაგან ერთი ეკუთვნის ნაიბ ბაკრაკ ალის ძმასა. ასე ნელ-ნელა ეხსნება ხელ-ფეხი მობინადრეებს მტრის წინააღმდეგ.

მთებიდამ მოსული ამბების მიხედვით, შამილამ დიდი მარცხი განიცადა ჩაჩანში, რაც ჩუენმა ყაჩაღებმაც იწვნიეს, რომელთაგან 20 კაც[ამდის] მოკვდა.

ტანაჩიდამ ჭარელების გადასახლება უკვე დაიწყო და რამდენიმე დღეში დასრულდება. მერმე კი ტანაჩი, როგორც განსაზმენდი მსხვერპლი, იქ მომხდარი ყოველი დანაშაულისთვის გადაიბუება.

მიხეილ ჰორონცოვისადმი #4 (194)

К[нязю] Воронцову 5^{го} Апр[еля] 1851.

Два письма Вашего С[иятельств]ва от 25 и 27 Марта я имел честь получить чрез Князя Григорія Мухранскаго, приезд котораго весьма радует меня. Его опытность в деле по гражданскому управленію, его честность и знаніе обычаев здешняго народа неминуемо внушат в жителях доверенность к нашему Правительству, и тем принесут существенную пользу при водвореніи спокойствія в этом крае.

Князь Мамука привёл 150 конных азнауров и сам уехал в Элисаветпол.

Наконец и Джарцы не отстали от своих соседей в преследованіи Качагов. Охотники их недавно убили одного Качага, а другаго взяли в плен. Этот пленный – разбойник, более 6^л лет находился в бегстве и участвовал во многих грабежах и убійствах. Он был из главных, когда в селеніи Гогаме в одну ночь убили 4^х офицеров из Туземцев за преданность к Правительству; в прошлом году был в числе тех, которые напали на команду Тифл[исскаго] полка; один из здешних торговцев узнал в нём того, который в прошлом году ограбил его и продал в горы. И много других преступленій

совершенно им, так , что самые Джарцы, односельцы его открыто и единодушно свидетельствовали об нём, как о человеке погрязшем в преступлениях. Его необходимо казнить; и дело об нём представляется Вашему С[іятельст]ву с этою же почтою.

До 200 челов[ек] Качагов прибыли в горный магал; часть из них спустились в Самурскій округ, часть же – сюда на плоскость, шатаются по лесам, но до сих пор не могли причинить вреда жителям, которые с своей стороны преследуют их. Говорят, что неприятель имеет намереніе, по открытіи дорог, с большими силами вторгнуться в Джаробелаканскіи округ. Но пока это один только несерёзный слух.

Как Вашему С[іятельст]ву благоугодно наградить деньгами или подарками некоторых жителей, более отличившихся в преследованіи Качагов, я осмеливаюсь доложить, оказать им эту милость во время Вашего приезда в Закаталы. Тогда эта награда будет иметь более цены и пробудит в жителях новый порыв к отличіям.

Вчера привели из сел[енія] Качкачая одного Качага, но он не из важных.

Я недавно осматривал место, где намерены поселиться жители Гаваза и где назначен полубаталіонный штаб. Место очаровательное по красоте и богатое всеми удобствами для жителей: Огромные леса, земля для хлебопашества и садоводства, две небольшія реки, полныя форели – что доказывает здоровую воду – пастбышныя места зимою, словом: во всём изобиліе. Остаётся желать, чтоб населеніе жителей совершилось нынешнею же зимою.

მიხეილ შორონცოვისადმი #4 (194)

თ[ავადს] ვორონცოვსა 5^{სა} აპრ[ილსა] 1851.

25 და 27 მარტის ორი წერილი თქუენის ბრწყინვალეებისა პატივი მქონდა მიმელო თავად გრიგოლ მუხრანსკის ხელითა, რომლის ჩამოსვლაც ერთობ მახარებს. მისი გამოცდილება სამოქალაქო მმართველობის საქმეში, მისი პატიოსნება და აქაური ხალხის ზნეჩვეულებათა ცოდნა მობინადრეებს გარდაუვლად შთააგონებენ ნდობას ჩუენის მთავრობისადმი და ამით არსებითს სარგებელს მოუტანენ სიმშვიდის დასადგურებას ამ მხარეში.

თავადმა მამუკამ მოიყვანა 150 ცხენოსანი აზნაური და თავად ელიზავეტპოლში გაემგზავრა.

ბოლოს არც ჭარელები ჩამორჩნენ თავიანთ მეზობლებსა ყაჩაღთა დევნაში. მათმა მონადირეებმა ამასწინათ ერთი ყაჩაღი მოჰკლეს, ხოლო მეორე ტყვედ აიყვანეს. ეს ტყვე ყაჩაღია, 6 წელზედ მეტხანს იყო გაქცეული და მონაწილეობა აქვს მიღებული ბევრს ძარცვასა და მკვლევლობაში. ის იყო ერთ-ერთი მთავართაგანი, როცა სოფელ გოგამში ერთს ღამეში ადგილობრივთაგან მოჰკლეს 4 ოფიცერი მთავრობისადმი ერთგულებისათვის; შარშან იმათს სიაში იყო, ვინც თბილ[ისის] პოლკს დაესხა თავსა; ერთმა აქაურმა მოვაჭრემ მასში ამოიცნო ის, ვინც შარშან გაჰქურდა იგი და გაჰყიდა მთაში. ბევრი სხვა დანაშაულიცა აქვს ჩადენილი მას, ასე რომ, თავად ჭარელნი, მისი თანასოფლელნი ღიად და ერთსულოვნად აღიარებდნენ მას, როგორც დანაშაულობებში ჩაფლულს კაცსა. ის უსათუოდ უნდა დაისაჯოს სიკუდილითა; და საქმე მისი ამავე პოჩტით წარედგინება თქუენს ბრწყინვალეებასა.

200-მდის ყაჩაღი კა[ცი] გორნის მაჰალში მივიდა; ნაწილი მათი დაემვა სამურის ოლქში, ხოლო ნაწილი – აქ ვაკეზედ, დაჰყიადობენ ტყე-ტყე, მაგრამ აქამომდე ვერ შესძლეს ევნოთ რამე ბინადართათვის, რომელნიც თავისის მხრიდამ მათ სდევნიან. ამბობენ, რომ არაკეთილმოსურნეს განზრახული აქვს, გზების გახსნისთანავე დიდის ძალებით შეიჭრას ჭარბელაქნის ოლქში. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ ერთი არასერიოზული ყბედობაა.

თქუენი ბრწყინვალეება როგორ იწებებს ყაჩაღთა დევნაში მეტადრე გამორჩეული ზოგიერთი მობინადრის დაჯილდოებას ფულითა თუ საჩუქრებითა, მე ვბედავ მოგახსენოთ, მათ მიმართ გამოიჩინოთ ეს მოწყალება თქუენის ჩამობრძანებისას ზაქათალაში. მაშინ

მეტი ფასი დაედება ამ ჯილდოს და მობინადრეებში გააღვიძებს თავის გამოჩენის ახალს ალტყინებასა.

გუშინ სო[ფელ] კაჩკაჩაიამ ერთი ყაჩალი მოიყვანეს, მაგრამ ის არცთუ რამედ ჩასაგდები ვინმეა.

მე ამასწინათ ვათვალიერებდი ადგილს, სადაც გავაზის მობინადრენი აპირებენ დასახლებასა და სადაც დანიშნულია ნახევარბატალიონიანი შტაბი. ალაგი მომხიბვლელია სიტურფითა და მდიდარი ყოვლითა სიკეთითა მობინადრეთათვის: უკიდევანო ტყეები, მინა ხვნა-თესვისა და მებაღეობისათვის, ორი მომცრო მდინარე, სავსე კალმახით, რაც წყლის სიჯანსაღეზედ მეტყველებს, საძოვნელი ალაგნი ზამთრისათვის, ერთის სიტყვით, უხვადაა ყოველი. ისლავსასურველი, რომ მობინადრენი ამავე ზამთარს დასახლდნენ.

სვიმონ შალიკაშვილისადმი #1 (195)

17 мая^{1*}

რასა იქ შენის ბატალიონით, ჩემო საყვარელო სვიმონ! ბელაქნის ჰაერი ხომ არ განუხებს? –

კინალამ ყარაბაღში დაგნიშნეს უეზდის ნაჩალნიკად ჩილავეის თხოვნითა. არ ვიცი შენ როგორა ჰფიქრობ ამ საქმეზედ, და მეკი დიდი უარი მოვახსენე მთავარმართველსა შენის იქ დანიშვნისათვის და ბოლოს შენზე ხელი აიღეს. ახლასწორედ მითხარ, მადრიელი ხარ თუ არა? – ჩემის ფიქრით შენ უნდა მალე პოლკის კამანდერი შეიქმნე, და იარო იმ გზაზედ, რომელიცა აღმოგირჩევია სიყრმითგან. – იქ ქრთამს აიღებ, რეპუტაცია დაგეკარგება სამარადისოდ; არ აიღებ, გამოგადებენ, ვითარცა უსარგებლოსა და უნაყოფოსა.

აქეთ მხარეს ჯერ ძალიან მშვიდობიანობა არის, და შემდეგ ვნახოთ, ღთ² რას ინებებს. – დღეს ქარელებმა დააყრევინეს ყაჩაღებსა ათი ცხენი, ერთი ხმალი, თოფი, დაბანჩა და ორიც დაუჭრეს ყაჩაღებთაგანი. – ასე ნელნელა ხელი გამოიღეს ყველა სოფლებმა.

ჩემმაგიერ გამოუცხადე მურთუზპაჯისა,³ რომ მოვიდეს აქ ჩემთან, საჭირო საქმე მაქუს.

ხიმშიაშვილს დიდი მადლობა გამოუცხადე ჩემმაგიერ
მაგის კარგის სამსახურისა და ვაჟკაცობისათვის; და თუ
ლ^ატმა⁴ მაცოცხლა, მაგის მოვალეობას გარდავიხდი. –

მშვიდობით, ჩემო სვიმონ, მომწერდე ხშირად და ხში-
რად შენსა ამბავსა და შენის ბატალიონისათვის.

შენი კეთილის მსურველი და მოსამსახურე
გრიგოლ ორბელიანი

16^ბ მაისს 1851.
ზაქათალით.⁵

[მე-4 გვერდზე მისამართი წერია]:

Его сиятельству
Князю Семену Осиповичу
Шаликову
В с: Белахан**

* მაისის 17^{ბა}.

** მის ბრწყინვალეობას თავად სვიმონ ოსიპოვიჩ შალიკოვს ს. ბელაქანში

სვიმონ შალიკაშვილისადმი #2 (196)

ჩემო საყვარელო სვიმონ! ყოველივე შენი განკარგულე-
ბა, გამგეობა მაგა ხალხისა და დიპლომატიური მიმოწერა
მთის ხალხთანა გამოაჩენს ახალსა შენსა ტალეირანობასა, და
მეცა გულით მიხარის, რომ სხუათა შენთა ღირსებათაშორის
ვპოვე ახალი ეგე ტალანტი. –

ყაჩაღების შერიგებას ნუ დაუშლით; მაგრამ ერისთვის-
შვილის მკვლელთაგანიკი არ უნდა იყოს. – შემორიგების პი-
რობასა, რომელსაცა ითხოვენ ყაჩაღები, რომ საქონელი, რა-
ცა წაგვიღია, არ გამოგვერთოსო, მე ჩემგნით ვერ მივსცემ,

ამიტომ რომ, მაშინ გამოჩნდება ჩვენი სისუსტე, და მის შემდგომ ვინ არ მოინდომებს ყაჩაღობასა, თუკი რამდენსამე წელიწადსა უკან მოვა მშვიდობიანად თავის სახლში ავაზაკობით გამდიდრებული? – მგონია, უმჯობესი იყოს, რომ ეგ საქმე მიანდო გადასანყვეტლად მურთუზჰაჯის დიდსა გონებასა და ჯამაათსა. როგორც იმათ დაანყონ მასლაათი, ისე იქმნას. ერთმანეთის საქმე მაგათ უფრო იციან. – ადრევაც ბევრი ყაჩაღი შეურიგებიათ.

ამისგარდა, გთხოვ, როცა ქართველის მილიციიდან ავათმყოფი შეიქმნეს ვინმე, წარგზავნო იგი ლაგოდების ლაზარეთში, და არა ზაქათალას.

ჩვენს თუშებსა ძალიან გაუმარჯვნიათ: სამს ადგილს დახვედრიან ლეკებსა და სამსავე ადგილს დაუმარცხებიათ და ხელები უჭრიათ. –

ყარაალია ცრუ კაცია; იმის ძმისწულს რომ უთქვამს, წავალ და შემოვირიგებო, ეგეც ტყუილია, ვერ შემოირიგებს. – ზამთარშივე მარწმუნებდენ იმის ნათესავეები, რომ თუ აპატიებთო, ყარაალი მოვაო. მეც ვჰსთხოვე მთავარმართველსა, და იმანაც აპატივა; მაგრამ ყარაალიაკი არ მოდის, და იქაც ნაიბი გახდა. – ვისთანა ჰშვრებიან მალაყებსა? –

შენს მოლლას ჩემმაგიერ დიდი ქება შეასხი არაბულის ენისა კარგად ცოდნისათჳს, რომ თითო სიტყვა ჯავაირად ჰღირსთქო. –

მაიორი კანანოვიჩი, რომ გწერს „თუ კართუბანში ლეკის ჩამოსვლა შევიტყე, იქ წავალ მისაშველებლათაო, და შენკი ათახარაბის ფოშტაში მოდიო“ ეს არ მესმის რა პლანია? – შენ რომ ათახარაბის ფოშტაში იმყოფებოდე, იმას რა სარგებლობა ექმნება? – ლაგოდების ციხეზედ ლეკის ჯარი არ მივა, თუ იმ ციხეში ორასი კაცი იქმნება; და ლეკის ჯარი თუ გინდ ათახარაბის ფოშტაზედ ჩამოვიდეს, რა მოხდება იქიდან ჩვენი საზიანო? ან ბელაქანზე უნდა მოვიდეს, და მაშინ შენ დაუხვედები შენის თალიყამყამითა, და ანუ შორს ტყე ტყე უნდა იაროს გავაზისაკენ, და იქ ხომ პოდპოლკოვნიკ.... დამავიწყდა გვარი – ჰსდგას ჯარითა ბეჟანიანში. – მაგრამ კანანოვიჩიკი უნდა მიეშველოს კართუბანსა, და უფრო იქითაცა. სხვებრ

მშვიდობით. – ჰაჯი მურთუზას უთხარ ჩემმაგიერ, რომ ძალიან მინდა ვნახო ყუტურ მოლლას თავითქო.

შენი კეთილის მსურველი
გრიგოლ ორბელიანი

31^ლ მაისს 1851.
ზაქათალით.¹

მიხეილ ჰორონცოვისადმი #5 (197)

К[нязю] Воронцову 2^{го} июня 1851. Закаталы

После приезда Вашего Сіятельства по Лезгинской линіи в этом крае продолжается глубокое спокойствіе: Дороги сделались безопасны, жители свободно занимаются полевыми работами, хищническіе партіи появляются только около самых отдалённых деревень. Окрещеніе Ангелойцев идёт успешно без всяких насильственных мер и число их уже возрасло до 200 душ. В этих новых крестіянах нашли мы верных защитников этого края и уже успели они, во имя Религии, пролить свою кровь и кровь врагов. В особенности они отличились в истребленіи партіи Моллы Ибрайма Халилия, который, как я потом узнал, едва спасся раненный с немногими товарищами. Хотя не очень христіянски выразилось первоначальное вступленіе Ангелойцев в Христіянство, но оно радует меня и обещает много в будущем. Впрочем, не думаю, чтоб глубокоуважаемая Графиня Шуазаль похвалила меня за подобное чувство.

Недавно было ужасное наводненіе в Элису. Река поднялась так высоко, что она сорвала мост вблизи Элису. Грамадныя камни с страшным треском уносились водою.

Теперь едва возстановлено сообщеніе с Элису в брод пока устройтся мост.

Слышно, что Шамиля ожидают в Согратле, а в Ирибы делаютя сборы, впрочем для разъясненія этих слухов я жду на днях из гор посланных мною туда лазутчиков.

მიხეილ ვორონცოვისადმი #5 (197)

თ[ავადს] ვორონცოვსა 2^ბ ივნისს 1851. ზაქათალით

თქუენის ბრწყინვალეების ლეკურ ხაზზედ ჩამობრძანების შემდეგ სრული სიმშვიდე სუფევს მხარეში: გზები უსაფრთხო გახდა, მობინადრენი თავისუფლად გადიან მინდვრის სამუშაოებზედ, მტაცებელთა პარტიები მხოლოდ ყველაზე შორეულ სოფლებთან თუ ჩნდებიან. ინგილოთა ნათლობა წარმატებით მიმდინარეობს ყოველგუარი ძალდატანების გარეშე და რაოდენობა მათი უკვე 200 სულამდინ გაიზარდა. ამ ახალ ქრისტიანებში აღმოვაჩინეთ ამ მხარის ერთგული მცველები და მათ, რელიგიის სახელითა, უკვე მოასწრეს დაელუარათ სისხლი თვისიც და მტრისაც. მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მოლა იბრაიმ ხალილის პარტიის განადგურებაში, ვინაც, როგორც შემდგომად შევიტყვე, ძლივს გადარჩა დაჭრილი რაოდენიმე ამხანაგთან ერთად. თუმცა არცთუ ქრისტიანულად მოხდა ინგილოთა პირვანდელი გაქრისტიანება, მაგრამ მე მახარებს იგი და მომავალშიც ბევრს კარგს გვიქადის. თუმცალა, ვეჭვ, ამგუარის განცდისათვის შემაქოს ღრმად პატივცემულმა გრაჭინია შუაზალმან.

ამასწინათ ელისუში საშინელი წყალდიდობა იყო. მდინარემ ისე აიწია, რომ ელისუს მახლობლად ხიდი მოგლიჯა, წყალი საშინელის გრუხუნით მიაგელვებდა ვეებერთელა ლოდებსა. ამჟამად ხიდის აღდგენამდინ ფონით ძლივს მყარდება კავშირი ელისუსთანა.

ხმა გავარდა, რომ შამილს მოელიან სოლრატლში, ხოლო ირიბში ტარდება შეკრება, თუმცა ამ ხმების დასაზუსტებლად მთებიდამ დღე-დღეზე ველოდები ჩემ მიერ იქ გაგზავნილს მსტოვრებსა.

ბიკოლოზ ვოლფისადმი #1 (198)

Николай Иванович Вольфу

2^{то} Июня 1851. Закаталы

Поручик Айгони передал мне письмо В[аше]^{то} Прево[сходительства], в котором Вы изъявили желание зачислить молодого Айгони на службу здесь в Милицію.

Радуясь случаю выполнить какое-нибудь Ваше поручение, могу уведомить Ваше Прево[сходительство], что Айгони зачислен на службу в постоянную Милицію. Но если Ваше Прево[сходительство] будет к нему милостив, то он просит, если возможно, при первом случае отправить его на службу в Петербург, в числе других Азиатцев, назначенных в конвойную команду.

Здесь, благодарение Богу, пока мирно, покойно; Дороги сделались безопасны; жители свободно занимаются полевыми работами; хищническія партіи показываются только около самых отдалённых наших деревень.

В новоокрещённых Энгилейцев, коих число возрасло до 200 душ, нашли мы верных защитников этого края; и они уже успели, во имя Религии, пролить и свою кровь, и кровь врага. В особенности они отличились в истреблении партіи Моллы Ибрайма Халиля, который, как я потом узнал, спасся раненный с немногими товарищами. Но мне досадно до обиды, что третяго дня на левом фланге, именно в Лагодехе, хищники успели отбить 37 лошадей офицерских и ротных. Маіор Кананович молодецки действовал, преследуя хищников, но глубокія леса и наступившая ночь приостановили его. Посланные Белаканскіе охотники в горы, наперерез этой партіи, ещё не возвратились; но мало надежды на успех.

Надо при этом сказать, что учреждение охотников в деревнях из жителей приносит великую пользу, и я весьма рад, что это учреждение вполне оправдало мои ожидания.

ნიკოლოზ ვოლფისადმი #1 (198)

ნიკოლაი ივანოვიჩ ვოლფსა. 2^h ივნისს 1851.

ზაქათალით

პორუჩიკმა აიგონმა გადმომცა თქუენის აღმატებულების წერილი, რომელშიც თქუენ გამოთქვით სურვილი ახალგაზრდა აიგონი აქ ჩაირიცხოს მილიციის სამსახურში.

მოხარული ვარ, შევასრულო თქუენი ნებისმიერი დავალება და შემიძლია ვაცნობო თქუენს აღმატებულებას, რომ აიგონი ჩარიცხულია მილიციის მუდმივ სამსახურში. მაგრამ თუკი თქუენი აღმატებულება მოწყალე იქნება მისდამი, მაშინ ის თხოულობს, თუკი შესაძლებელია, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში, ბადრაგთა რაზმში დანიშნულ სხვა აზიელებთან ერთად, პეტერბურღს გაიგზავნოს სამსახურადა.

აქ, მადლობა ღმერთსა, ჯერ-ჯერობით მშვიდობაა და სიწყნარე; გზები უსაფრთხო გახდა; მობინადრენი თავისუფლად ასრულებენ საველე სამუშაოებსა. მტაცებელთა პარტიები ჩნდებიან მხოლოდ ჩუენს ძალზედ შორეულ სოფლებთანა.

ახლად მონათლულ ინგილოებში, რომელთა რიცხვი 200 სულამდინ გაიზარდა, ჩვენ ამ მხარის საიმედო მცველები აღმოვაჩინეთ; და მათ უკვე მოასწრეს რელიგიის სახელით დაეღვარათ სისხლი თვისიც და მტრისაც. მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მოლა იბრაიმ ხალილის პარტიის განადგურებაში, რომელიც, როგორც შემდგომ შევითყვე, დაჭრილი გადარჩა რამდენიმე ამხანაგთან ერთად. მაგრამ მე ბოლმა მკლავს, რომ სამი დღის წინ მარცხენა ფლანგზედ, სწორედ ლაგოდენში, მტაცებლებმა მოასწრეს ასეულისა და ოფიცრების 37 ცხენის წასხმა. მაიორი კანანოვიჩი ვაჟუაცურად მოქმედებდა, გამოეკიდა მტაცებლებს, მაგრამ უღრანმა ტყეებმა და ჩამოწოლილმან ღამემ შეაჩერა იგი. ამ პარტიისთვის

გზის მოსაჭრელად მთებში გაგზავნილი ბელაქნელი მონადირენი ჯერ არ დაბრუნებულან; მაგრამ მცირეა წარმატების იმედი.

ამასთანავე უნდა ითქუას, რომ სოფლებში ბინადართაგან მონადირეთა ჩამოყალიბებას მოაქვს უდიდესი სარგებელი და მე ერთობ გახარებული ვარ, რომ ამან სრულად გაამართლა ჩემი მოლოდინები.

მიხეილ შორონცოვისადმი #6 (199)

К[нязю] Воронцову

Письмо Вашего С[иательст]ва от 2^{го} апр[еля] доставили мне Тальские жители, возвращённые из Воронежа. Они вместе с односельцами своими благославляют имя Вашего С[иательст]ва за эту милость, совершенно неожиданную ими; и народ так был обрадован известием о их возвращении, что встретили их за Царскими Колодцами. Теперь Рамазань и товарищи его думают о том, как бы на самом деле выказать и своё доверие и преданность их Правительству, и мне кажется, что возвращение их из ссылки не ошибка.

В горном магале собрался до 300 человек Качагов, под командою Багарчия, но не решаются спуститься на плоскость, видя раннее расположение войск по границе и вооружения жителей противу себя. Поэтому Качаги обратились с просьбою к Данильбеку о помощи, но в помощи им отказал он, говоря, что сам знает время, когда можно вторгнуться на плоскость.

Между тем в Джаробелаканском округе до сих пор покойно; жители более и более вооружаются против Качагов: Ещё вчера Мухахские охотники убили близ сел[ения] Чардахло одного важного Качага и взяли в плен его брата. Оба они оказались из Джар. Но из убийц К[нязя] Эристова никто не попадает.

[1851 წლის 2 აპრილიდან 7 ივნისამდე]

მიხეილ შორონცოვისადმი #6 (199)

თ[ავადს] ვორონცოვსა

თქვენის ბრწყინვალეების 2^ა აპრილის წერილი მომართვეს ვორონეჟიდამ დაბრუნებულმა თალელმა მობინადრეებმა. ისინი თანასოფლელებთან ერთად ლოცავენ თქვენის ბრწყინვალეების სახელს იმ მოწყალებისათვის, რომელიც მათთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა; და ხალხი ისე იყო გახარებული ამათი დაბრუნებით, რომ მათ დახვდა ცარსკის კოლოდცების იქითა. ახლად რამაზანი და მისი მეგობრები ფიქრობენ იმაზედ, თუ საქმით როგორ აჩვენონ თავიანთი ნდობაც და ერთგულებაც მთავრობასა და, ვგონებ, რომ გადასახლებიდამ მათი დაბრუნება არ წარმოადგენს შეცდომასა.

გორნის მაჰალში შეგროვდა 300-მდინ ყაჩალი კა[ცი] ბალარჩის მეთაურობითა, მაგრამ ვაკეზედ დაშვებას ვერა ჰბედავენ, ჰხედავენ რა ჯარების წინანდელ განლაგებას საზღვრებზედ და მობინადრეთა შეიარაღებას თავის წინააღმდეგ. ამიტომ ყაჩაღებმა დახმარებისათვის მიჰმართეს დანიელ ბეკსა, მაგრამ იმან დახმარებაზედ უარი განაცხადა, თქუა, რომ თავად იცის დრო, თუ როდის უნდა შეიჭრეს ვაკეზედ.

ამასობაში ჭარბელაქნის ოლქში სიმშვიდეა ამ დრომდინ; ბინადარნი უფრო და უფრო მეტად იარაღდებიან ყაჩაღების წინააღმდეგ: ჯერ კიდევ გუშინ მუხახელმა მონადირეებმა სოფ[ელ] ჩარდახლოსთან მოკლეს ერთი ანგარიშგასანევი ყაჩალი და ტყვედ შეიპყრეს ძმა მისი. ორივე ჭარელი აღმოჩნდა. მაგრამ თავად ერისთვის მკვლელთაგან ვერვინ მოვიხელთეთ.

[1851 წლის 2 აპრილიდან 7 ივნისამდე]

მისიონერული ჟურნალი #7 (200)

К[нязю] Воронцову

Спешу доложить Ваш[ему] С[иятелств]ву, что главнейший из Качагов Чанка-Али убит и партия его, состоявшая из 12^и человек, истреблена вчера в сел[ении] Чардахло партизанскою командою и Джаролезгинскою Милицією под командою К[нязя] Мачабелова и Поручика К. Абхазова.

Чанка-Али по происхождению своему обширному родству в Джаре и необыкновенной храбрости, имеет чрезвычайное влияние на Чарцев, Чардахлы и Катех. Приказание его всегда было свято исполняемо жителями этих деревень и потому он пользовался особенною доверенностью Шамиля, который наградил его в разное время одною серебряною и двумя золотыми знаками отличия. Шамиль ценил его выше Султана и потому этот последний постоянно был во вражде с Чанкаалием.

В этом донесении я осмелился отправить к Вашему С[иятельству] Прапорщиков партизанской команды Бакрадзе и Андроникова, оказавших в этом деле примерную храбрость: из них первый убил Чанкаалия, а последний – знаменитаго Качага Мамед Олсар Оглы, участвовавшего в убийстве К[нязя] Эривова. Об остальных одиннадцать товарищах Чанкаалия, которые сожжены в доме, я еще не успел собрать сведений, кто они были; но нет сомнения, что они принадлежали к числу важных Качагов. Я надеюсь в скором времени о них разведать и донести Ваш[ему] С[иятельству].

В этой перестрелке с нашей стороны убит Партизан, солдат и один всадник постоянной лезгинской милиции.

Таким образом, с декабря по настоящее время мало-помалу убиты 31 и сожжены 11.

[1851 წლის 2 აპრილიდან 7 ივნისამდე]

მიხეილ შორონცოვისადმი #7 (200)

თ[ავადს] ვორონცოვსა

ვჩქარობ მოვასხენო თქ[უენს] ბ[რწყინვალება]სა, რომ პარტიზანთა რაზმისა და ჭარ-ლეკთა მილიციის მიერ სოფ[ელ] ჩარდახლოში თ[ავად] მაჩაბელოვისა და პორუჩიკ თ. აბხაზოვის მეთაურობით გუშინ მოკლულ იქნა მთავარ ყაჩაღთაგანი ჩანკა-ალი და განდგურებულ იქნა მისი პარტია, შემდგარი 12^{აღ} კაც[ისაგან].

მისი წარმომავლობის მქონე დიდი სანათესაოს გამო ჭარში და გასაოცარი სიმამაცისა გამო, ჩანკა-ალის გააჩნია უდიდესი გავლენა ჭარელებზედ, ჩარდახლოსა და კატეხზედ. მისი ბრძანება ყოველთვის რუდუნებით სრულდებოდა ამ სოფლების ბინადართა მიერ და ამიტომაც სარგებლობდა იგი განსაკუთრებულის ნდობით შამილის მხრიდამ, ვინაც ის სხვადასხვა დროს დააჯილდოვა ერთის ვერცხლისა და ორის ოქროს ქების ნიშნითა. შამილი მას სულთანზედ მეტად აფასებდა და ამიტომაც იყო ეს უკანასკნელი მუდმივ შუღლში ჩანკაალისთან.

ამ მოხსენებაში მე გავზედე, მეახლებინა თქუენის ბ[რწყინვალების] წინაშე პარტიზანული რაზმის პრაპორშჩიკები ბაქრაძე და ანდრონიკოვი, რომელთაც გამოიჩინეს სამაგალითო სიმამაცე ამ საქმეში: მათგან პირველმა მოჰკლა ჩანკაალი, ხოლო უკანასკნელმან – განთქმული ყაჩაღი მამედ ოლსარ ოლლი, რომელიც მონაწილეობდა თ[ავად] ერისთავის მკვლელობაში. ჩანკაალის დანარჩენ თერთმეტს ამხანაგზედ, რომლებიც სახლში იქნენ ამობუგულნი, მე ჯერ ვერ მოვასწარ ცნობების შეგროვება, ვინ იყვნენ ისინი; მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ისინი მიეკუთვნებოდნენ ანგარიშგასაწევ ყაჩაღთა რიცხვსა. მე ვიმედოვნებ, ახლო მომავალში შევიტყო მათ შესახებ და მოვასხენო თქუენს] ბ[რწყინვალება]სა.

ამ ორმხრივ სროლაში ჩუენის მხრიდამ მოკლულია პარტიზანი, სალდათი და ერთი მხედარი მუდმივი ლეკური მილიციისა.

ამგვარად, ამასობაში ქრისტეშობისთვისადამ ამ დრომდის მოკლულია 31 და დამწვარია 11.

[1851 წლის 2 აპრილიდან 7 ივნისამდე]

ილია ორბელიანისადმი #64 (201)

ჩემო საყვარელო ილიკო, როგორა ხარ და ანუ როგორ შეეჩვიე ახალსა შენსა თანამდებობასა, და ანუ კიდევ და კიდევ როგორ ასრულებ შენს პოლკის მიღებასა? – მომწერე დანვრილებით.

აქ, ლ¹ თის¹ მოწყალებით, ჯერ მშვიდობიანობა არის; ყაჩაღები ძალიან დაფთხნენ და გადაცვინდნენ აქედამ მთას იქით. ხუმრობა ხომ არ არის, 57 თავი მოჭრილი იმათგანი. – მაგრამ ეს არის სანყენი, რომ ლაგოდეხიდამ მოიპარეს 37 ცხენი აფიცრებისა და როტებისა, ტიფლისკის პოლკისა. – ამის საფარდოდ თუშებმა სამს ადგილს დაამარცხეს ლეკები, და ლევანის ღრუზინსკის დრუჟინამაც დაამარცხა და ერთი ბაირალიც წაართვა ლეკთა.

შენი გრანადერები კარგად არიან; კამანდა ამათი წავიდა შირაქზედ ბალახის გასათიბად საზამთროდ შენის ცხენებისათვის, რომელნიცა დარჩებიან აქ შენს ორს როტასთანა. – მაგრამ შენვე დანიშნე და მოიწერე, რომელნი როტები გასურს, რომ აქ დარჩნენ ამ ზამთარსა.

არჩილ, ლ² თით², მორჩა, და ძლივს ჩვენც მოვისვენეთ. ამასთანავე სად იყო, სად არ იყო, მოუვიდა მეზურნე ალექსაცა და იმ დღით ზურნის წივილკივილით აიკლო აქაურობა.

ლ³ თი³ იყოს შენი მფარველი
შენი გრიგოლ ორბელიანი

7^h ივნის 1851.
ზაქათალით.⁴

სანყალი ტასიკო გაგარინისა დიდათ თურმე ავათ შექმნილა; მომწერე თუ იცოდე რამე იმისი.

სვიმონ შალიკაშვილისადმი #3 (202)

30 ივნისსა. 1851. ბელაქანით

ჩემო საყვარელო სვიმონ! ეს რაოდენიმე დღეა, რა შენთან აღარ [მომი]წერია; გართული ვიყავ ბევრის ამბების მოსვლითა. – აი რა მომი[ვიდა] სწორე ამბავი: შამილა მოსულა რულჯაში,¹ ქობის სიახლოესა, [...]² გაუგზავნია სალტის ნაიბი ომარ³ და სხუანი კიდევ ორნი ნაიბნი ყაზ[...]⁴ მხარეს, სადაცა დახვედრიან გიულის⁵ სოფელთან ჯაფარყულიაღა ბატ[ალიონით], ჰუსუმბეგ⁶ ქურის სახანოს ცხენოსნითა, და ეგრეთვე ალაღარბეგი⁷ ყაზიყუმუხელებითა, და ასე დაუმსხვრევიათ შენი სალტის ნაიბი, რომ მეტი აღარ იქნება, წასულს⁸ პარასკევს⁹ დღესა. ბევრი ტყვე და დახოცილი გაუშვია მტერსა,¹⁰ და¹¹ დულთიდაღის¹² მთაზედ გაქცეულა.¹³ – ისმის, მითომ ჰაჯიმურად წასულიყოს აყუშისაკენ, სადაცა ჰსდგას არლუთინსკი ჯარითა, და თუ ამან სადმე მოასწრო, რჯულს გააგდებინებს. – ეს არის ჯერ აქაური ამბავი.

სხვებრ მშვიდობით; ესეები უამბე მურთუზჰაჯისა, ვიცი იამება.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

26^ლ ივნისს 1851.

ზაქათალით.¹⁴

ილია ორბელიანისადმი #65 (203)

ჩემო ილიკო! რატომ არასა მწერ შენს პოლკის მიღებისათვის, ანუ როგორ მორჩი ჩინჩავატსა დებუსა; ან როგორ შეეჩვიე პოლკის მოვლასა და ანგარიშსა; შეხვედი ჯერ თუ არა სხუა და სხუა პოლკის ჰანგებშია? და ამგვარი სრულებით უნდა წვრილად მომწერო.

აქ მშვიდობიანობა არის ძალიანი; იქით დაღესტანშიკი აი რა ამბავია: შამილა მოსულა ჭოხთან ჯართა, რომლისაგანაც ერთის ნაწილით ცხენოსანის ჯართა გაუგზავნია სალტის ნაიბი, რომ გაიაროს ყაზიყუმუხის სახანო და შევიდეს ყარაყაითახში, სადაცა მითომ ხალხი მიელოდა მურუდებსა ასაბუნტებლად. ყუყმას¹ მთაზე² შეხვდა ამ პარტიას ჯაფარყულიაღა, აღალარბეგი თავიანთ ცხენოსნითა და ერთის ბატალიონით და ძალიანაც მიაძხვრიეს, და სირბილით მოიჭრნენ ისევ ჭოხში შამილასთან. ამ დროსა თვითონ შამილაც გამაშის³ მთებზედ ავიდა ჯართა; აქაც კნიაზ არღუთინსკიმ შეუტია ჩემის აფშერონელებითა, სულ რჯული გააგდებინა, ნახევარი მტრის ჯარისა გაიქცა ჭოხში, ნახევარი სოლრატლისაკენ, და ამით დაბოლოვდა ჯერ პირველი პერიოდი ამ წლისა. დუპელლტი⁴ დასჭრეს მსუბუქად ბარძაყში; მაგრამ რაღა თქმა უნდა ერთი წელიწადი მაინც იკოჭლებს და კარლსბადშიაც წავა. – თითქმის ამავე დროსა მოუხდა ერთი დიდი პარტია კართუბანსა,⁵ სადაცა დახუდა ერთი როტა ტიფლისკის პოლკისა, თივის სათიბლათ გაგზავნილი; ამ როტამ დაუშინა თოფი და ისინიც გაიქცნენ ბეჟანიანის გზისაკენ, სადაცა ერთი მომავალი ქართველი გზაზედ მოკლეს. – შემდეგ ბეჟანიანის სიახლოეს დახვდა პოდპოლკ.⁶ კულმანი, შეუტია ლეკებსა და სულ გადაფანტა ტყეში. – მესამე დღესა, ესე იგი 29^ა ივნისსა, მოუხდნენ ყოდორის ციხესა, სამჯერ ბაიარალებით, ნივილკივილით, მოიტანეს იერიში კოშკზედა, მაგრამა სამჯერვე დაბრუნდნენ შერცხვენინინი; მაშინ ერთი პარტიაც გამოჩნდა შილდის ხეობაში, და ესეცა ფიცხლავ გაიქცა, რა ნახეს გამოსული მდევარი და როტა რუსისა. – ამ მხარესაც ასე დაბოლოვდა ფუქსავატად.

ახლა ისმის, მითომ სულთანი აპირებს ჯართთ შემოსვლასა ამ ოკრუღში, და მითომ შამილას შვილიც მოსულიყოს ჯართა რისსა,⁷ არჩის სიახლოესა, და ვნახოთ. – თუ სეკდემბრამდის დამაცლიან, მაშინკი ვინც უნდა მობრძანდეს. –

სხვარიგად ვართ ისე რაღა, არა გვიჭირსრა. – ბორჯომიდამ დაბრუნებულხარ; აბა რა ნახე, მიაბზე და? – ან ჩემზე რას ამბობენ?⁸ – მაგრამ ბორჯომი ჩემია; მე გამინევია მანდ

ლაზზზათები, მაშინ როდესაც სახლების მაგიერ გვედგა კარ-
ვები; მუზიკის ნაცვლად ჰგალობდენ ბულბულები; სადაც არ
იყო გზა, და ჩვენცა ვიმალებოდით ქალაქებში, ბურქებში...
ეჰ, ქეიფი იყო და ნავიდა ისე, ვითარცა ნავა ყოველივე ამა
სოფელში.

შენი გრიგოლ ორბელიანი

5^ა ივლისს 1851.
ზაქათალით.⁹

ილია ორბელიანისადმი #66 (204)

შენი წერილი მომივიდა, ჩემო ილიკო, რომელშიაცა
მწერ პოლკის მიღებასა. – სწორედ გითხრა ძალიან მოსტყუე-
ბულხარ: ქუშიანი ცხენები აგიყვანია ნეз накладки,* ეგრეთვე
თოფებიცა, რომელნიცა უნდა ამ ერთს წელიწადში ჩააბარო
ახალ თოფების სამაგიეროდ, და მაშინ ნახავ რასაც გამოგარ-
თმევენ, ნეტავი სამასის თუმნით მორჩე. – მაგრამ რალა ეშვე-
ლება? რაც მოხდა, მოხდა.

ახლა მოვიდეთ ოქროპირ ბატონიშვილთან: ამაზედ მე
სულ არა ვსწუხვარ, და ნურცა შენ გენაღვლება რამე; თუ
ისინი არ არიან დანაკარგში, შენ სულ არა ხარ. – შენ შენი
შესაფერი ყოველთუც შეგხვდება, და იმასკი, მგონია, შენისთა-
ნა ვერ შეხვდეს; თორემ აი ვნახავთ, ან გავიგონებთ.

შენის პოლკისა კაპიტანი ივანე შალიკოვი ირთავს ცო-
ლად გულბაათის ქალსა დარიკოს, და ქორწილიც უნდა მოხ-
დეს ამ თვის 20^{სა}. – რაპორტსა ამ ფოშტითვე ჰგზავნის; შენს
გაზრდას ბრიგადიდამ მაშინვე გამოაგზავნინე. ქალის მეტრი-
ჩესკის სვიდეტელსტვოსა და დედმამის თანხმობასა მალე გა-
მოგიგზავნიან. – ვინძლო საჩქაროდ მოახერხო და გამოგზავ-
ნო; საქმე გაცხელებულია.

დალისტანში, ჩემის ანგარიშით მგონია, დიდი ამბები უნდა მოხდეს: შამილა ჰსდგას ჯვართა ქოხის სიახლოესა მოპირდაპირედ კნიაზ არლუთინსკისა. – ჰაჯიმურად ხუთასის ცხენოსნითა არაკნიდამ ბუინალზედ განვლო და შევიდა ყარაყაითალში; შამილას ტაბასარანი, ყარაყაითალი და სხუა იქაური ხალხი მიუბარებია ამისათვისა; და შენ იფიქრე ახლა რეეზი უნდა მოხდეს დერბენდის გარშემო, ყუბისაკენ და საშამხლოსაკენ. – ეს მხარე[ე]ბი ამ ჟამად თითქმის ურუსისჯაროდ არის. – ლოთი ჯამობეგი ხომ მაშინვე დერბენდის ციხეში შეძვრება, და შენ ნახე იქაურის ხალხის არევა და აშლა, თუ ჰაჯიმურადმა იქ ფეხი გაიდგა და გაიმაგრა.

აქ მშვიდობიანობა არის დიდი და ხალხიც დიდი მადლობელია ჩემი; სულ ჩემს მზესა ჰფიცავენ ჯერა და ამას იქით ვნახოთ რა იქნება. – კნიაზ გრიგოლ მუხრანის ბატონისა არ ვიცი რა ქება ვჰსთქვა, და ანუ მადრიელობა ჩემი; სიმართლეზე და სამსახურზე თავდადებულია, და ძალიანაც შეითვისა აქაური ხალხი. – ელისუს ციხე გამოდის ძალიან ლამაზი და მაგარი.

სხვებრ მშვიდობით ჩემო ილიკო!
შენი ძმა გრიგოლი

12 ივლისს 1851.
ზაქათალით.¹

*ზესადების გარეშე

სვიმონ შალიკაშვილისადმი #4 (205)

შენი წერილი ამ მინუტში მომიტანეს, რომლიდამაც ვჰსცან ყარაალის ათიათასისა ჯარით ჩამოსულა. – ყარაალისა პაპასაცა არა ჰყოლია ესოდენი ჯარი; ხუთასი კაცი რომ ჩამოიყვანოს ისიც დიდი ამბავია. – მეტადრე ეხლა შამილას თავში საცემი ბევრი აქუს იქით მხარეს, აი როგორ: თითონ დიდად დამარცხდა ყაზიყუმუხთან ეს მეორედ წლეულსა; დანიილ სულთანიც ძალიან მიუმსხვრევია ალაღარბეგსა, და თემიძალაც დაჭრილი ძლივ მოუთრევიათ შინ. – ჰაჯიმურადიც ჰყავს შემწყვედელი ერთს მთაზედ ტაბასარანში კნიაზს არლუთინსკისა, რომელმანცა გადასწვა და აიკლო თერთმეტი სოფელი, და სულ ნადირშაჰას ყაათლამი¹ უყო იმ მხარესა. დღეს მომივიდა ამბავი, რომ შამილიცა წასულა დარლოსა, სულთანიც კარატაში და ჰაჯიმურადიკი იქ ბძანდება შემწყვედელი. – არა, ეგ მამაძალდი ყარაალია რას გვაშინებს აქა.

დღეს ჰაჯიმურთუზას და მისს ახოტნიკებსა გამოუგზავნე ბაირალი ხიმშიევის ხელითა და რადგანაც მირზა ავათა მყავს, ამისგამო ვერ მოვსწერე შესაფერი წერილი. –

ამ მინუტში მივდივარ მესელდეღერზედა, და ხვალ იქ ავალ.² – და თუ შენც აკიმალს ახვალ, მგონია კარგი იყოს, რომ გავშინჯოთ და ვნახოთ, რა ადგილებია, რომ ვიცოდეთ საჭირო არის ციხის აშენება თუ არა? –

ამისგარდა გთხოვ ჰაჯიმურთუზასთან იანგარიშო, შეიძლებაა, რომ შენის ბატალიონით აკიმალზე იდგე ეს აგვისტო, რადგანაც დიდი სიცხეები დაიწყო და მეშინიან, ერთბაშად ავათმყოფობა არ გაჩნდეს შენს ჯარში. – სამი როტაც იდგება მესელდეღერზედა. – ამის პასუხი მალე მომწერე. – რადგანაც ორის მხრით ჩუენი ჯარი იდგება, შეუძლიანა ბელაქანსა თავი თუსი გუბახის მხრიდამ დაიცვას, თუ არა? – ესე ჰკითხე მურთუზაჯისა. –

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

26 ივლისს 1851.
ზაქათალით.³

პიხილ ჰორონცოვისადმი #8 (206)

К[нязю] Воронцову. 3^{то} августа, 1851.

Возвратившись в Закаталы из поездки по кордонной линии, я неожиданно был осчастливлен получением монаршей милости св[ятой] Анны 1^{ой} степени. Новый этот знак Вашего Благоволения ко мне налагает священную обязанность на меня посвятить жизнь свою службе Великого Государя. Не знаю, заслуги мои стоят ли этой высокой монаршей милости, но знаю, что голова моя, жизнь моя принадлежат службе Государевой.

Здесь в округе, благодаря Бога, всё благополучно не могу сказать того же о Сигнагском Уезде, где иногда прорывающіяся партіи хищников всегда безнаказанно возвращаются с добычею, никем не преследуемые. И в этом случае безпечность жителей и в особенности дворянства этого уезда не понятна для меня. Печальное известіе о разграбленіи монастыря Св[ятого] Давида Гарезельскаго поразило меня в самое сердце. Не успокоюсь, пока преступники не будут открыты, о чём уже идёт строжайшее следствіе по округу. Теперь пока известно, что один из Горских Татар, а другой из сел[енія] Кесаман прибыли в горы, собрали 13 Качагов и по разным дорогам спустились к ре[ке] Алазани; здесь присоединились несколько человек из этого округа и отсюда направились к ре[ке] Иори, где опять присоединились до 15^и или Самухских, или Казахских Татар, потому что, по разграбленіи монастыря они отделились и там же раз[ъ]ехались. Провадник же, украв у Качагов лошадь, саблю с серебряным поясом и разныя награбленныя вещи, бежал от них.

Монахи находятся в Ирибы они рассказывали пленным Энгиллойцам, недавно вышедшим оттуда, что вечером несколько Татар подъехали к монастырю просить гостеприимного ночлега; Монахи с обычным радушием впустили их к себе; потом опять несколько Татар также были впущены и угощены ужином, и тогда вдруг напали на беззащитных стариков; частью изрубили, частью взяли в плен и разграбили монастырь.

Ажимурад после нескольких поражений, нанесённых ему К[нязем] Аргутинским, бежал из Табасарани мимо Чирага, где также понёс значительную потерю от рот, там стоявших, и чрез гору Алахамдаг спустился в Ихрекское ущелье, где также ротмистр Македонский с Рутульским Найбом встретил его и преследовал всю ночь. В этом преследовании Ажимурад потерял 11 убитых и много лошадей, и наконец успел пробраться к стороне Арчи.

Недавно главный пристав Тушетии с своими Тушинами и Пшавохевсурцами молодецки отличились противу Кистенцев: 27 отрезанных рук и оружие 50^{ти} человек принесены ими в знак своей победы. Казаки №12 полка в числе 15^{ти} человек встретили партию хищников, возвращавшихся с добычею из сел[ения] Вакири, что вблизи Сигнаха. Казаки смело ударили в пики, опрокинули неприятеля, из коих один остался на месте, и отняли весь награбленный скот и четырёх пленных пастухов.

Число окрестившихся Энгиллойцев возросло до 1170 душ. Князь Амилахваров с похвальною ревностью занимается этим делом.

Элисуйское укрепление, надеюсь окончить, и освятить 22 августа. Оно понравится Вашему С[и]ятельст[ву].

Недавно я обозревал позиции на горах Месельдегехе, Джоржообале и Моуравдаге. Обозрение это не обошлось без перестрелки, в особенности при спуске с лесистой горы Месельдегех, неприятель сильно напал на Ариергард, но стройность и порядок, сохранённые ротою Тиф[лисского] полка, были причиною, что кончилось почти без потери с нашей

стороны, только слегка ранены Артил[лерийский] Штабскапитан Мадатов и Подпоручик Алибек, недавно возвращённый из Воронежа; неприятель же потерял убитыми 4^х и раненых 6. Это положительно известно. Полковника Резваго окрестили порохом в этом деле.

Бегство Ажимурада из Табасарани не может не иметь сильнаго вліянія в пользу нашу на подвластныя нам общества в Дагестане, которыя теперь явно видели безсиліе неприятеля, всегда им многообещающаго.

Мне кажется, что я в нынешнем году обойдусь без Чарвадарских лошадей, и только в случае самой крайности прибегну к этому средству. Шинскій баталіон по прежнему занят своєю работою.

მიხეილ ვორონცოვისადმი #8 (206)

თ[ავადს] ვორონცოვსა. აგვისტოს 3^{ხა}, 1851.

მე, კორდონის საზზედ მოგზაურობიდამ ზაქათალას დაბრუნებული, მოულოდნელად ვიქენ ბედნიერქმნილი წმ[იდა] ანას1^ლ ხარისხის ბოძებისა გამო მონარქის მოწყალებითა. ჩემდამი თქუენის კეთილგანწყობის ეს ახალი ნიშანი წმიდა ვალდებულებას მმატებს, სიცოცხლე ჩემი მიუძღვნა დიდის ხელმწიფის სამსახურსა. არ ვიცი, იმსახურებს თუ არა ჩემი ღუანლი მონარქის ამ მოწყალებასა, მაგრამ ვუნცი, რომ თავი ჩემი, სიცოცხლე ჩემი ეკუთვნის ხელმწიფისადმი სამსახურსა.

აქ, ოლქში, ღწის წყალობით ყოველივე კარგადაა, რასაც ვერ ვიტყვი სიღნაღის მაზრაზედ, სადაც დროდადრო შემოჭრილი მტაცებელთა პარტიები მუდამ დაუსჯელნი ბრუნდებიან ნადავლითა, არც არავინ სდევნის მათ. და ამ შემთხვევაში ჩემთვის გაუგებარია უდარდებლობა მობინადრეთა და განსაკუთრებით აზნაურთა. გულში განმგმირა პირდაპირ მწუხარე ამბავმან წმ[იდა] დავით გარეჯის მონასტრის გაქურდვის შესახებ. ვერ დავოკდები, ვიდრემდე არ გამოვლინდებიან დამნაშავენი, რაზეც ოლქში უკვე მიმდინარეობს უმკაცრესი გამოძიება. ან ჯერ-ჯერობით ცნობილია, რომ ერთი

მთიელ თათართაგანი, ხოლო მეორე სო[ფელ] ქესამანიდამ ავიდნენ მთაში, შეჰკრიბეს 13 ყაჩალი და სხუადასხუა გზებით მდ[ინარე] ალაზნისკენ დაემუნენ; აქ მათ შეუერთდა რამდენიმე კაცი ამ ოლქი-დამ და აქედამ გაემართნენ მდი[ნარე] იორისკენ, სადაც მათ კვლავ შეუერთდა 15-მდინ ან სამუხელი, ან ყაზახელი თათარი, რადგან მონასტრის გაქურდვის შემდეგ ისინი გაიყვნენ და იქვე დაიშალნენ. ხოლო გამყოლი, მოჰპარა რა ყაჩალებს ცხენი, ხმალი ვერცხლის ქამრითა და სხვადასხვა ნაქურდალი ნივთები, გაიქცა მათგან.

ირიბში მყოფი ბერები ტყვე ინგილოებს, ამასწინათ იქიდან წამოსულთ, მოუთხრობდნენ, რომ სალამოს რაოდენიმე თათარი მივიდა მონასტერთან დაპურებისა და ღამისთვის სათხოვნელადა; ბერებმან ჩვეულის სიხარულით მიიღეს ისინი; შემდგომ ისევ რაოდენიმე თათარი კვლავ მიიღეს და ავახშმეს, და მაშინ უცებ თავს დაესხნენ დაუცველს მოხუცებსა; ნაწილი დაკეჭნეს, ნაწილი ტყვედ აღიყვანეს და აიკლეს მონასტერი.

რამდენიმე მარცხის შემდეგ, რაიც მას თ[ავადმან] არლუთინსკომ აწვნია, ჰაჯიმურადი ჩირალის გვერდის ავლით გაიქცა ტაბასარანიდამ, სადაც აგრეთვე განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგი იქ მდგომი ასეულებისაგან და ალახამდალის მთაზედ გადავლით დაეშვა იხრეკის ხეობაში, სადაც რუთულელ ნაიბთან ერთად ასევე დახვდა მას როტმისტრი მაკედონსკი და სდია მთელი ღამე. ამ დევნაში ჰაჯიმურადმა დაკარგა 11 მოკლული და ბევრი ცხენი და, ბოლოს, მოასწრო გაღწევა არჩისკენ.

ახლახანს თუშეთის მთავარმა პრისტავმან თავისის თუშებითა და ფშავ-ხევსურებითა ვაჟკაცურად გამოიჩინა თავი ქისტების წინააღმდეგ: 27 მოჭრილი მარჯუნა და 50 კაცის იარაღია მათ მიერ მოზიდული გამარჯვების ნიშნადა. №12 პოლკის კაზაკები 15 კა[ცის] ოდენობით გადაეყარნენ მტაცებელთა პარტიას, რომელიც ნადავლით ბრუნდებოდა სო[ფელ] ვაქირიდამ, სიღნაღის მახლობლად რომაა. კაზაკებმა ჯიქურ შეუტიეს შუბებით, უკუ ისროლეს მტერი, რომელთაგან ერთი ადგილზედ დარჩა, ნაართვეს მთელი ნაქურდალი საქონელი და ოთხი ტყვე მწყემსი.

მონათლულ ინგილოთა რიცხვი 1170 სულამდინ გაიზარდა. თავადი ამილახვარი საქებარი თავგამოდებითაა ჩაფლული ამ საქმეში.

ვიმედოვნებ, დავასრულო ელისუს გამაგრება და ვაკურთხო 22 აგვისტოსა. ის მოენონება თქუენს ბ[რწყინვალება]სა.

ამასწინათ მე ვათვალიერებდი პოზიციებს მესელდეგერის მთებზედ, ჯორჯოვობალში და მოურავდალში. ამ დათვალიერებას სროლის გარეშე არ ჩაუვლია, განსაკუთრებით მესელდეგერის ტყიანი მთიდან დაშვებისას, მტერი გამეტებით უტევდა არიერგარდსა, მაგრამ თბილისის] პოლკის ასეულის მიერ შენარჩუნებული სიმწყობრე და წესრიგი იყო მიზეზი იმისა, რომ ჩუენის მხრიდან თითქმის დანაკარგების გარეშე დასრულდა ყოველივე, მხოლოდ მსუბუქად არიან დაჭრილნი არტილ[ერიის] შტაბსკაპიტანი მადათოვი და პოდპორუჩიკი ალიბეკი, რომელიც ამასწინათ დაბრუნდა ვორონეჟიდან; ხოლო მტერმა დაკარგა 4 მოკლული და 6 დაჭრილი. ეს ნამდვილადაა ცნობილი. ამ საქმეში დენთით მონათლეს პოლკოვნიკი რეზვი.

ჰაჯიმურადის ლტოლვამ ტაბასარანიდან არ შეიძლება ძლიერი გავლენა არ იქონიოს ჩუენს ხელქვეით დაღესტნელ საზოგადოებებზედ, რომელთაც ან ცხადად იხილეს უძღურება მტრისა, მუდამ რომ უხვად ჰპირდებოდა მათ.

მე მგონია, რომ მიმდინარე წელს იოლას გავალ ჩარვადარის ცხენების გარეშე და მხოლოდ ძალზედ უკიდურეს შემთხვევაში მივმართავ ამ საშუალებას. შინის ბატალიონი უწინდებურად თავისი საქმიტაა დაკავებული.

მიხეილ ჰორონცოვისადმი #9 (207)

К [воронцову]. 6^{ое} августа, 1851. Закаты

Письмо Вашего С[іятельст]ва от 21 іюня я имел честь получить вчера и в ту же минуту объявил Вашу волю Башмакову, который сегодня же отправляется в Крым согласно желанію Вашего С[іятельст]ва.

После бегства Ажимурада из Табасарани, о чём я имел честь доложить Вашему С[іятельст]ву письмом от 3^{го} авгу[ста], Табасаранцы и Кайтахцы явились с покорностью к Князю Аргутинскому и поэтому дела там кончились как-нибудь лучше. Шамиль, кажется, выехал из Андалала в Дарго. Баталіон Графскаго полка, по-прежнему, занял позиціи у сел[енія]

Гельмец, а Князь Васильчиков продолжает свою работу в Шинском ущелье.

Там, как в горном магале, всегда скрывается множество Качагов, то я распорядился вчера послать туда вдруг по трём дорогам Милицию, собранную из округа: Князь Абхазов с Джарцами и Тальцами направился к Кусуру, Мачабелов с жителями Мухахскаго ущелья в Джиних, а в Цахурь – Ажиага с Элисуйскою Милициею.

С нетерпением ожидаю, чем это нашествие их кончится, но во всяком случае, чем бы не кончилось, оно полезно для нас тем, что наконец мало-помалу можем приучать здешних жителей действовать противу Горцев.

Здесь были страшные жары; они доходили до 35^и градусов в тени; но теперь, благодарія Богу, два дня идёт дождь и этим освежилось и ожила эта страна.

მიხეილ ჯორჯოშვილის #9 (207)

[ვორონცოვ]სა. 6^ბ აგვისტოს. 1851. ზაქათალით

გუშინ პატივი მქონდა მიმელო თქუენის ბრწყინვალეების 21^{აბ} ივნისის წერილი და იმავ წუთს ნება თქუენი განუცხადე ბაშმაკოვსა, რომელიც თქუენის ბრწყინვალეების სურვილისამებრ დღესვე მიემგზავრება ყირიმსა.

ჰაჯიმურადის ტაბასარანიდამ გაქცევის შემდეგ, რის შესახებაც პატივი მქონდა მომეხსენებინა თქუენის ბრწყინვალეებისათვის 3^{აბ} აგვისტოს] წერილითა, ტაბასარანელნი და ყაითაღელნი თავად არღუთინსკისთან გამოცხადდნენ მორჩილებითა და ამიტომ იქ საქმეები როგორღაც უკეთესად დასრულდა. შამილი, ვჰგონებ, ანდალალიდამ დარღოს გაემგზავრა. საგრაფო ბატალიონის პოლკმან, კვლავინდებურად, სოფ[ელ] ლელმენთან დაიკავა პოზიციები, ხოლო თავადი ვასილჩიკოვი თავის სამუშაოს ასრულებს შინის ხეობაში.

იქ, ისევე როგორც გორნის მაჰალში, ყოველთვის უამრავი ყაჩალი აფარებს თავსა, ამიტომ გუშინ გავეცი განკარგულება სამის გზიდამ იქ უმაღლ გაემგზავნათ ოლქში შეკრებილი მილიცია: თავადი

აბზაზოვი ქარელებითა და თალელებით გაემართა კუსურისკენ, მაჩაბელი მუხახის ხეობის მობინადრეებთან ერთად ჯინისსა, ხოლო შაჯიალა ელისუს მილიციითურთ – ნახურსა.

მოუთმენლად ველი, რით დასრულდება მათი ეს იერიში, მაგრამ ყოველს შემთხვევაში, როგორც არ უნდა დამთავრდეს, ის ჩუენთვის იმითაა სასარგებლო, რომ ბოლოს ნელ-ნელად შეგვიძლია აქაური მობინადრენი მივაჩვიოთ მთიელების წინააღმდეგ მოქმედებასა.

აქ საშინელი სიცხეები იყო; 35^ლ გრადუსამდინ აღწევდა ჩრდილში; მაგრამ ახლა, ღ^{ის} წყალობითა, ორი დღეა წვიმს და ამით გახალისდა და გამოცოცხლდა ქუეყანა ესე.

ილია ორბელიანისადმი #67 (208)

ჩემი ილიკო! შენი წერილი მომივიდა, რომლითაცა მთხოვ მოწმობის გამოცვლასა ცხენებისათჳს, ჩემს¹ მოწმობაში² სწერია повальная болезнь* და ისე³ რჯუულიერია, და უარსაცა ვერავინ გეტყვის. პასეკმა ამის ძალით მიიღო 120^ლ ცხენის ფული, რომელნიცა დაეხოცნენ აზენში; და ეს სწეულება და ცხენების დახოცვა შენის ბატალიონისა, მინგრელების, და არტილერიისა, მიმიწერია კიდევ მთავარმართებლისათვის. როგორ გეტყვიან უარსა. –

შენის ცხენების საქმესა შეუდგა თუთ გრიგოლ მუხრანსკი, მაგრამ კბილი ვერარასათჳს მოუკიდნია და სლედსტვიეშიაც არა გამოდისრა. მოდი შენ ასე ჰქმენ: კიდევ მოიწერე შენის ცხენების დაკარგვისათჳს და ისიც გამოაცხადე ვის ცხენებთანაც ერთად დაიკარგნენ, და ვისი იპოვნეს და აზღვევინეს სოფლებსა, რადგანაც საქმეში არა ჰსჩანს ვისიც ცხენები უპოვნიათ.

აი როგორ მომხდარა უდაბნოში მონასტრის გატეხა და ბერების დახოცვა: ორნი თათარნი სარლარიდამ და ქესამანიდამ მოსულან მთაში, სადაცა შეუყრიათ 13^მ ყაჩაღნი შაქელეები და აქაურები. სხუადასხუა გზით წამოსულან და მოსულან ალაზნის პირზედ, სადაცა რაოდენნიმე აქაურნიც მიჰმატები-

ან, და ასე წასულან იორისაკენ, სადაცა 15^ბ–თათარნი კიდევ⁴ მიჰმატებთან, უთოოდ ან სამუხელნი, ან ყაზახელნი და ან იორის პირიდამ. სალამოზედ ოთხნი კაცნი თათარნი მისულან მონასტერთან და უთხოვნიათ იმ ღამეს იქ სტუმრობა; საბრალო ბერებსაც მიუღიათ სიყუარულით; შემდეგ კიდევ მოსულან რაოდენნიმე და ესენიცა მიუწვევიათ და მაშინ უშიშვლიათ ხმლები და უღონო ბერები დაუხოციათ აუკლიათ მონასტერი და დაუტყვევებიათ სამნი ბერნი და ორნი დიაკვნები. ის 15^ბ თათარნი გზიდამვე იქავ დაბრუნებულან და წასულან შინისაკენ თავთავიანთ სოფლებში. ერთი ბელადი თათარიკი ამ ყაჩაღებთან ყოფილა, და იმ ღამესვე იმას მოუპარავს ყაჩაღებისათჳს⁵ ერთი კარგი ცხენი, ერთი ხმალი ვეცხლის აშურმითა და სხუა და სხუა მონასტრის ნივთები და გაპარულა. – ახლა აქა მყავს დაჭერილი ერთი პატარა ბიჭი, რომელსაცა მითომ გამოეყვანოს ნავითა ეს პარტია ალაზანში და სამნი კიდევ სხუა კაცნი, რომელთაზედაც ეჭვი მიგვიტანია, რომ ესენიც მითომ ან იქ ყოფილან პარტიაში და ანუ პური, და საგზალი მიუციათ. ბერები არიან ირიბში; და როგორც ისე აქეთ იქიდამ მესმის, ითხოვენ თითოსთჳს 500^ბ თუმანსა, მეც შევუთვალე, რომ ეგენი ბერები არიან, სოფელზედ ხელაღებულნი, თუგინდ უდაბნოს კლდეში იყვნენ, თუ გინდ ირიბის კლდეებში, სულერთია მაგათთჳს, და ხუთს მანათსაც არავინ მისცემს. სასუფეველის მოპოებისათჳს ეგენი უნდა აქ დაიტანჯნენ, და ასეთი პირობაც აქუსთ იმათ დადებული ღთის⁶ წინაშე, და რათ უნდა ჩვენ ეგენი გამოვიხსნათ.

აქ მშვიდობიანობა არის; გუმინ წინ 1500 კაცი შევყარე სულ აქაურნი და გავგზავნე в Горный магал,^{**} ყაჩაღების საძიებლად და დასაჭერად. კუსურზე ნავიდა აბხაზოვი ჭარელეობით და თალელებით გოდორდალისაკენ, მაჩაბელი მუხსახელებითა და სხუა სოფლებიდამ ჯინიხზედ, და ჰაჯი ალა ელისუს მილიციითა წახურში. ვნახოთ რა გამოვა; და თუგინდ არა გამოვიდესრა დალისტანი დაინახავს მაინც, რომ აქაურმა ხალხმა აიღო იარაღი იმათ მოპირდაპირედ. – აბა სად გავო-

ნილა, რომ ქარელები წასულიყვნენ ჩაფაულისთჳს მთაში? – ამასწინად ბელაქნელებმა მოიტაცეს 750 ცხვარი ჭურმუტისა.

მაგრამ რა გაენყობა ჩვენს საძაგელს ქიზიყელობასა; ამათთანა წამხდარი თავადისშვილობა და გლახობა ნუ გგონია ნახო სადმე. გულხელდაკრეფილნი დადიან უთოფიარალოდ; ერთხელ მდევარზედ ვერ გამოვიდნენ; ვერ გაუბედნიათ, რომ თვეში ერთხელ მაინც შეიყარნენ და მოსწრნიკონ ალაზნის პირები, სადაცა იმათი საქონელია და მწყემსებად პატარა ბიჭები. ირწმუნე ილიკო, რომ ქიზიყელობა ასე დაჩვეულა ტყვეობასა, რომ უბედურებად აღარ მიაჩნიათ. აქ მართო რუსის ჯარმა რა ჰქმნას? გზები ხომ ისე ვერ შეიკვრის, რომ ხუთი თუ ექუსი კაცი ქურდი ვერ გაეპაროს. – აქამდის იძახდნენ, წამალი არა გვაქსო; ჩემის წარდგენით წამალიც მისცეს, მაგრამ მაინც არა გახდარა.

არლუთინსკი შევიდა ტაბასარანში და ყაითალში, სადაცა ჰაჯიმურად იყო გამაგრებული, და საიღამაც ჰგზავნიდა თარეშსა დერბენდისაკენ, ყუბისაკენ და ქურისმხარეს. არლუთინსკიმ დასწვა ბევრი სოფლები აქა; შტურმით აიღო ის სოფელი, სადაცა იყო ჰაჯიმურად, რომელიცა ამ ომის შემდეგ გამოიქცა იქიდან ჩირალისაკენ. აქ შეხვდა სამი როტა, რომელმანცა დაუხოცა ბევრი კაცები და გააგდებინა შაჰვალის ცოლი დატყვევებული; აქედამ გადმოვიდა ალაზნის მთაზედ და ჩამოვიდა იხრევის ხეობაში, სადაცა დახვდა რუთულის ნაიბი, ახტის მილიცია როტმისტრის მაკედონსკითურთ და ამათაც დაუხოცეს ბევრი კაცები და ისე გადაატარეს მთა არჩისკენ. – მგონია ამასწინად მოგწერე, რომ არლუთინსკი როცა ჯარით წავიდა ტაბასარანისაკენ, შამილა სამისმხრით მივიდა ყაზიყუმუხის სახანოზედ, მაგრამ სამსავე ადგილს დამარცხდა გაშვებულის იქ ბატალიონებითა და დაბრუნდა ქოხისკენ. ახლა მომივიდა ამბავი, რომ შამილა წასულა დარლოს, ჰაჯიმურად ავარიამში, სულთანი რათლუხს, სადაცა აშენებს სახლსა, და ჯარებიცა დაშლილა. – უეჭველია, რომ ასეთმა ჩვენთჳს კეთილად დაბოლოებამ არ დაანახოს დალისტნის ხალხსა, რომ შამილას არა აქუს ისეთი ყუათი, როგორც ჰგონიათ.

მე ამასწინად სამისროტით და მილიციითა ავედი მოურავდალზედა, პოზიციების გასაჩხრეკად და ადგილის მდებარეობის გასაშინჯავად. იქ ცოტა კინკლაობა მოგვიხდა. – თუშებმა გაიმარჯვეს ძალიან თავიანთ მთებში ქისტებზედა: 27^ა ხელი და 50^{აბ} კაცისა იარაღი მოიტანეს ნიშნად გამარჯვებისა.

შენი პირველი ბატალიონი კარგად არის, მაგრამ ეს ორი როტა სულ ავათმყოფობს, არვიცი რა დაემართათ. – მშვიდობით.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

[ქვემოთ მინანერია]:

რას ჰშვება სანდრიკო; ნიგნი მოანერინე, რასა ჰსწავლობს?

[პირველი გვერდის მარცხენა არშიაზე მინანერია]:

ჩემი გაგზავნილი ჯარი დაბრუნდა გორნის მაჰალიდამ და აი რეზულტატი: 5^ა მოიყვანეს ტყვედ, რომელთაშორის არის ერთი გამოჩენილი ჰაჯი, სულთანის მეგობარი; 8^ა წყალში დაიხრჩნენ და 8^ა მოკლეს, რომელთაშორის ერთი სალდათიცა იყო გაქცეული, ვერცხლის იარაღით მოკმაზული.

[1851 წლის 10 აგვისტომდე]

* მოარული სენი

** მთიან მაჰალში

სვიმონ შალიკაშვილისადმი #5 (209)

ჩემო საყუარელო სვიმონ! დღეს შენი ბელაქნელები თავიანთ ჰაჯიმურთუზით იყვნენ ჩემთან და იმათ მომიტანესცა შენი წერილი. – ვჰხედავ, რომ ძალიან შეშინებულნი არიან ურუსის ჯაროდ, მაგრამ რაუყო, რომ მეტი ილაჯი არ არის? – მეც რაც შემეძლო ბევრი თანხები მივეც შემწეობისათვის, და შენცა გთხოვ მალმალ წიგნს მისწერდე; ძალიან უყუარს ამ ხალხსა წიგნი, და დიდი გულიც მიეცემათ ხოლმე. – ამათ მითხრეს, მითომ ყარაალი და ბაკრაკი აპირებდენ ბელაქანზედ [მოსვლ]ასა;¹ ბეჯითად იყავ, ჩემო სვიმონ, [] სოფელი, ჩუენი ერთგული და კარგი [] წახდეს. – არ ვიცი, იქნება ეს [] სწორე არ იყოს, მაგრამ მაინც სიფთხილე გვმართებს. –

არ ვიცი მოგწერე თუ არა, რომ აქაური ხალხი გავგზავნე в горный магал;^{*} რვა კაცი დაახრჩეს ყაჩაღთაგანი სამურის წყალში, შვიდი მოკლეს, და 6^ა მოიყვანეს ტყვედ, რომელთაშორის არის ერთი ჰაჯი, დიახ დიდი მეგობარი დანიელ სულთანისა და 27 ცხენი.

ღ~თი² იყოს შენი მფარველი.

შენი კეთილის მსურ[ველი]
გრიგოლ ორბელ[იანი]

10 აგვისტო 1851:
ზაქათალით³

[მე-4 გვერდზე მინაწერია]:

Его сиятельству,
Князю Семену Осиповичу
Шаликову.⁴
Г^лу маиору и кавалеру,
в. с Лагодех^{5**}

* მთიან მაჰალში.

**მის ბრწყინვალეობას, კნიაზ სვიმონ ოსიპოვიჩ შალიკოვს. გ^{წლ} მაიორსა და კავალერს, ს. ლაგოდეხში.

სვიმონ შალიკაშვილისადმი #6 (210)

ჩემო საყვარელო სვიმონ! გუშინ მურთუზალიმ მომწერა, რომ 5/ათასი კაცი შეუყრიათ ბაკრაკას და ყარაალის თამაღდაზედ [და კიდევ]¹ მოელიან² შამილიდამ ჯარსაო. – იცოდე რომ ეს დიდი სიცრუეა; ესოდენს ჯარს ისინი ვერ შეჰყრიან, ამიტომ რომ არა ჰყავთ, და შამილიდამ ეხლა ვერ მოუვათ, და არც ანდობს მაგათ ეგოდენს ჯარსა. შამილა შინ დარლოს არის, ჯარებიც დაიშალა იმათი ძალიან დამარცხებული; ჰაჯიმურადიც ნაიბობიდამ გადაუყენებია; სულთანიც რათლუხში არის; მაშასადამე მაგ ვილეებმაც ბაკრაკამ და ყარაალიმ საიდამ უნდა შეჰყარონ 5/ათასი კაცი ჯარად, რომ ესოდენის ჯარის შეკრება თვთ შამილსაც გაუჭირდება. – ეს სხუა არაფერი არა არისრა³ მისმეტი რომ უნდათ შენი მანდ ყოფნა ბატალიონითა, სხუა არაფერი. – მეც არ მინდა, რომ ეგ ადგილი უჯაროდ იყოს, მაგრამ რა გაენყობა რუსის სალდათსა, ვერ აუტანია აგვისტოში მანდაური ჰაერი, და მეშინიან, რომ ერთიანად ბატალიონი არ გაგინყდეს ავათმყოფობითა. – რაუყოთ, ათიოდ დღე შეინახონ ბელაქნელთა თავიანთ თავი, მანამ ჰავა შეიცვლებოდეს, რომელიცა ლ^წთის⁴ შეწეწით მალეც უნდა მოხდეს, რადგანაც დაინყო წვიმები. – შენც მაგათ გულს გაუმაგრებდე. – სხვებრ კარგად იანგარიშე, შეიძლება ამახლოს ხანში შენი მანდ ბატალიონით დაყენება და მომწერე; მაგრამ უბჯობესიკი იქნება, რომ ათიოდ დღე მოშორებული იყო მანდაურობისაგან.

შენი კეთილის მსურველი
გრიგოლ ორბელიანი

დღეს და ხვალ დარჩი მანდა და თუ არა იყოსრა წადი ისევ ლაგოდებსა და იმედი მიეც, რომ ყოველთვის დღე და ღამ ბელაქნელებისათვის მზადა ხარ.⁵

11 აგვისტოს 1851.
ზაქათალით⁶

ჯავშუშები გუშინვე და დღესაც გავგზავნე ანკრაკში და ვნახოთ რას მომიტანენ; მაგრამ ირწმუნე, რომ თუ მოვლენ ეგ ნაიბები,⁷ ხუთასკაცზედ მეტს ვერ მოიყვანენ.

[IV გვერდზე მინანერია]:

Князю Семену Осиповичу
Шаликову⁸

отправ. в 12-ть часов утра.^{9*}

* კნიაზ სვიმონ ოსიპოვიჩ შალიკოვს. გაიგზ. დილის 12 საათზედ.

ილია ორბელიანისადმი #68 (211)

ჩემო ილიკო! ეს რეები მოუწერიათ შენთან ლიკოვსა და პისარევსკისა, რომელთა წერილები შენ ჩემთან გამოგეგზავნა? – შენმაგაზდამ შენი გრანადერები ძალიან ვაჟკაცები არიან და არცარავის დაუყვედრებია რამე; მხოლოდ მე მწყინდა და ვანჩხლობდი ავათმყოფებისათჳს, რომელნიცა ძალიან ბევრნი იყვნენ ლიკოვის ორს როტაში. არ ვიცი კატეხში რომ იდგნენ, იქაურმა ჰავამ აწყინა, თუ სხვა რადმე მიზეზი იყო. მხოლოდ ძალიან ავათმყოფობდენ; და ეს მეჯავრებოდა, და ამას ვყვედრიდი ლიკოვსაცა და პისარევსკისაცა. – ზავალეზედ მისვლა ესე იყო: მე წავედი მისთჳს, რომ ეს მთები გამეშინჯა,¹ გზები და ის ადგილები, სადაცა საჭიროა კოშკის აშენე-

ბა; ამ მიზეზებისა გამო გავშინჯე მესელდეღერ,² ჯორჯო-ბალ³ და მოურავდალ;⁴ და რადგანაც ამ უკანასკნელის მთი-დამ მიდის გზა მაალ⁵ რასისაკენ,⁶ და ერთს ადგილს ლეკებს ეს გზა შეკრული ჰქონდათ სანგრებითა, ამისთვის მივგზავნე მილიცია და შემდეგ გრანადერები, რომ ახლოს გაგვეშინჯა და შეგვეტყო ამ სანგრების სიმაგრე и естьли возможность обойти эти завалы, устроенные в крепких, скалистых местах. Вот цель, но не взятие завалов, которых я на другой же день должен был оставить. И разумеется немог допустить Гренадер лезть на завалы.* ჰავიმურად გამოუცვლელია შამი-ლას ნაიბობიდამ და მხოლოდ ერთი ცხენი და ერთი თოფი გაუშვია და სხუა ერთიანად აუკლია იმის სახლკარი, და ნაი-ბობა მიუცია ჭანკა ქათალისათვის, სურხაი ხანის შვილი – ჩე-მი ნოქერი იყო; ფინთი უჯინშო, უჭკუო და უვაჟკაცო. არ ვი-ცი რა ფიქრი მოსვლია შამილას ამის ნაიბობა.

ამასწინად ბაშუვავალილიდამ მოიტაცეს ოთხი სურო ცხვარი; გამოუდგნენ სოფლელები და მეორეს მხრიდამ პოდ-პოლკოვნიკმა ბლიკვევიჩმა გაგზავნა ერთი როტა და პარტიზა-ნები; შეიქნა კარგი ომი ეშაქმეიდანზედ. ჩვენის მხრით მოკუ-და 1 აფიცარი და 25 სალდათი; მტრისა ადგილობრივ დარჩა 6^ა რომელთა შორის იცნეს სამი გაქცეული სალდათი, და 15^{აა} დაუმარხავთ ჯინიხში. დაჭრილნი გვყავს მძიმედ 3^{აა} სალდათ-ნი და 6^{აა} სოფლელნი და 23 ქვითა და კანტუზიითა. – თუშებ-მა კიდევ გაიმარჯვეს: ათასი სული ცხვარი მორეკეს ქისტები-დამ. – გუშინ მთლად ჭარელები გავგზავნე მთაში გოდორ-დალთან⁷ გზის წასახდენად, ასე რომ ცხენოსანმა ველარ გა-მოვლოს. – აბა სად გაგიგონია უწინდელს დროში, რომ ჭარე-ლები გზებს ახდენდნენ ლეკების საზიანოდ? – აი ასეთი კაცი ვარ; მაგრამ არა მწერკი, ჩემზე რას ამბობენ?⁸

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

21 აგვისტოს 1851
ზაქათალით.⁹

* და არის თუ არა შესაძლებლობა, გვერდი ავუაროთ ამ ხერგილებსა, რომლებიც მონყობილია მაგარ, კლდოვან ადგილებში. ესაა მიზანი და არა ხერგილების აღება, რომლებიც მეორეს დღესვე უნდა მიმეტოვებინა. და, რა თქმა უნდა, არ შემეძლო გრენადერები მიმეშვა ხერგილებზე ასაძრომადა.

ილია ორბელიანისადმი #69 (212)

ჩემო ილიკო! ფულებს მიზოვესითუს მისაცემად ეხლავ გამოგიგზავნიდი, მაგრამ ხომ იცი ქართველს კაცსა ასი თუმანი ხელად არ ექნება. დოვერენოსტსა რომ ითხოვ ამ ფულისათუს, გეთაყვანე ილიკო, მანდვე დაანერინე და ისე გამომიგზავნე ხელის მოსანერად და დასამტკიცებლად აქა; რადგანაც პრიკაზის კვიტანცია შენა გაქუს, და მე არ ვიცი არცა რიცხვი და არცა №.

შენის ცხენებისა საქმესა, ადრევაც მოგწერე, გრიგოლ მუხრანსკი შეუდგა გულსმოდგინებითა.

ბლიკვიჩის საქმე, როგორც შენ არ მოგწონს, ისე მეც არ მომწონს, არ უნდა გაეგზავნა ერთი როტა, თითონ უნდა წასულიყო რაცა ჰყვანდა იმით. მაგრამ იმ როტამ, რაც კი შეეძლო, კარგად იომა! და მტრის მხრიდამ გამოჩენილნი კაცები დაიხოცნენ. ერთი ახტელი აფიცარი ყაჩალი მოკუდა და ერთი კარატელი ხუთასისთავი. –

ეს ორი დღეა მომდის ამბები, რომ ირიბში იყრება დიდი ჯარიო; იქიდამ ან ყაზიყუმუხისკენ გასწევენ და ან აქეთ მხარეს მოგვანვებიან. – ადრევაც იყო ყარახში შეყრილი ჯარი, მაგრამ შამილამ ისევ დააშლევინა.

ჰაჯიმურადის ნაიბობიდამ გადაყენება და ერთიანად შამილისაგან აკლება მისი, მგონია, მოგწერე ადრევე.

ათასხუთასი კაცი ჭარელნი, თალელნი და ბელაქნელნი გავგზავნე ტანაჩის ტყეებში მოსაჩხრეკად, და იქიდამ, თუ გაბედეს, წავლენ ხიმრიკისაკენ რომლისამე მტრის სოფლის წასახდენად, ანუ საქონლის მოსატაცებლად. – ეს თუ მოხდა, კარგი საქმე იქმნება. ვნახოთ რა გამოვა.

შენი პირველი ბატალიონი, თუ შევიძელ, გამოვისტუმრებ 15^ს ოკდომბრამდის, მაგრამ ეს წინასწარია და დამოკიდე-

ბული თოვლის მოსვლაზედ მთაში, და თუ ასეთმა საზარელმა გვალვამ გასწია, იქნება ნოემბრამდისაც დარჩეს. – და ანუ პახოდიდამ მოსული ბატალიონი, როგორ უნდა წარსდგეს სმოტრში, რომ ჩინებულად გამოჩნდეს. – სმოტრი უთოოდ ჩინებული უნდა იყოს. –

მშვიდობით

შენი ძმა გრიგოლი

8^h სექტემბერს 1851

ზაქათალით¹

ილია ორბელიანისადმი #70 (213)

ჩემო ილიკო! შენმა აფიცარმა თარხანოვმა დღეს დილით კარგად მახარა და მეც მოვისწრაფი შენ გახარო; წუხელის შუალამისას გრანადერების პოლკის ცხენებო მოიტაცეს შირაქიდამ ლეკებმაო. ეს ამბავი განთიადისას მომივიდა და შენ იფიქრე ჩემი სიანჩხლით და გაბრაზებით წამოდგომა. ელისუდამ ბელაქნამდის და კართუზნამდის გამიბამს ჯარები, შემიძრავს. ყოველი აქაურის სოფლის ხალხი და ვნახოთ რა გამოვა. – 9^h ამ თვისას კაპლერი წასული მთაში ჩამოვიდა ლაგოდებს როტებითა, და იმავე ღამეს, საშინელს ჭექაში და ქარიშხალში მოხდა ტრევილა. როტები მაინც საქებურის სამარდით გამოვიდნენ: კაპლერმა გაგზავნა საცა საჭირო იყო და მართლად პარტიასკი წაანყდნენ, შეუტიეს, თუმცა სიძნელისაგან არა ჰსჩანდა რა და დააყრევინეს 300-მდის სული საქონელი. იმავე დროს ყობახჩოლიდამ შეატყობინეს ბელაქნელებსა საქონლისა მოტაცება კახეთიდამ; იმ საზარელს ღამეში აფხაზოვმა მოაგროვა 40-მდის ბელაქნელნი და წავიდა გზის შესაკვრელად. – ორს ვერსზედ ბელაქნიდამ ერთბაშად ზედ წაანყდა იმ პარტიას, აქაც მისცეს ცეცხლი, დააყრევინეს სამი ქართველი ტყვე და დაფანტეს ეს პარტია, რომელიცა თითო ოროლა, აქეთ იქით გაიპარნენ მთებში. ჯერ არ ვიცი

რაოდენი ჰყავს მტერსა მკუდარი, მაგრამ ერთი ასეთი მკუდარი დარჩათ, რომ ჰლირს ასს კაცსა. ეს გახლავთ ბელაქნელი ყაჩალი ლალა აბდულ-ქერიმოლი,¹ ერისთავის მკულელთაგანი, დიდი ვაჟკაცი და ბელადი. აქაურობა აყროლებული იყო ამისაგან. ზაქარიას შინლის ვოროტნიკი თანა ჰქონდა.

რა უყო, ორმა და სამმა წელიწადმა უნდა განვლოს კიდევ, რომ ჩვენი სამზღუარი გამაგრდეს და შეიკრას, ასე რომ ანაზდუელად, და მოულოდნელად პარტიებმა ველარ შეიძლონ ჩამოსვლა.

ირიბში კიდევ ამბობენ ყრილობასა.

მშვიდობით
შენი ძმა გრიგოლი

13^ლ სექტემბერს 1851.
ზაქათალით.²

სვიმონ შალიკაშვილისადმი #7 (214)

ჩემო სვიმონ! იყავ ფთხილად; დღეს მომივიდა ამბავი, მითომ ბაკრაკასა უთხოვნია შემწეობა, და მითომ ირიბის სი-ახლოეს 300 კაცი იყო მზად წამოსასვლელად ბელაქნისაკენ. ამისგამო შენთან გიგზავნი შენს ბაუმს როტითა და პარტიზანის კამანდითა; ამისგარდა გრანადერის ბატალიონსა ვგზავნი ნოორკატსა,¹ რომელიცა პირველსავე სროლაზედ მოიჭრება შენთან. – გააფთხილე ბელაქნელები, გააგზავნინე კარგს ადგილს კარგნი ყარაულები; ვნახოთ ამ ორს სამს დღეში რა გამოჩნდება. – ორი სამი კაცი კარგი ბიჭები ბელაქნიდამ გამოუგზავნე პისარევსკისა გზის საჩვენებლად, რომ მარჯვედ მოიყვანოს შენთან ბატალიონი, მეტადრე ღამე, ამა მიზეზით მგონია თული² მაჰმად³ რომ გამოუგზავნო უფრო კარგი იქნება, ძალიან გამოცდილია და გზის მცოდნე. –

გთხოვ მაშინვე წარგზავნო ჯავშუშნი მთაში, ეგებ ამ ამბის სიმართლე შეიტყონ.

შენი გრიგოლ ორბელიანი

17^ა სექტემბერს 1851.

ზაქათალით.⁴

[მეოთხე გვერდზე მინანქრია]:

Его Сиятельству

Князю Семену Осиповичу

Шаликову⁵

[...] ⁶ В Белахан. ^{7*}

* მის ბრწყინვალეებას კნიაზ სვიმონ ოსიპოვიჩ შალიკოვს [...] ბელაქანში.

ილია ორბელიანისადმი #71 (215)

ჩემო ილიკო! ამას წინად მოგწერე და გთხოვე, რომ გამოგეზავნა ჩემთვის შავად დაწერილი დოვერენნოსტი თუ არზა პრიკაზში მისაცემად მირზოევის ფულის გამოსატანად, რადგანაც მე არა მაქუს კვიტანცია და არ ვიცი არც რიცხვი, და არცა ნომერი. მაგრამ აქამდის არ მომივიდა, გეთაყვანე საჩქაროდ გამომიგზავნე, რომ იმ კაცთან პირნათლივ გამოვიდე.

აი ბაირამიც დადგა, რომლითაცა ყოვლის მხრით მაშინებდენ, რომ მტერი უნდა შეიყაროს დიდის ჯარითაო ჩვენზე მოსასვლელად. ვნახოთ როგორ დაბოლოვდება. –

მე არ ვიცი შტაბში რათ მოსდით გვიან ჩემი დონესენიები. იქნება იმიტომ რომ, რადგანაც ზოგიერთი შემთხვევები მოხდება ხოლმე სიღნაღის უეზდში, და მანამ მე მომივა სიღნაღის უეზდიდამ და ჩემგან მანდ წამოვა, სიღნაღიდამ პირდაპირ ტყობულობენ по Гражданской части.* – ისე შენის ცხენებისათუს; დურაკულის ზაპისკისაგამო, რომელიცა მივიღე შენის აფიცრისაგან შირაქიდამ, ხომ იმავე წამს ვერ მოვი-

წერებოდი ოფიციალუნად, მანამ არ შევიტყობდი ზედ მიწვე-
ნით ცხენების რაოდენობასა და ყოველსა გარემოებასა. –

რაც აქ აფიცრები იყვნენ საპაზოდოდ წამოსულნი, სულ
ერთიანად წამოვიდნენ; გაათავეს ეკსპედიცია, და ახლა რა
საკურველია, წარდგენას მოელიან.

შენი გრიგოლ ორბელიანი

25^ლ სექტემ: 1851

ზაქათალით¹

მომწერე, თუ იცი, რომელ თვეში გამოივლის მთავარ-
მართებელი აქეთ მხარესა? –

*სამოქალაქო გზითა.

სვიმონ შალიკაშვილისადმი #8 (216)

ჩემო სვიმონ! ხვალ გამოგზავნე ორი ზარბაზანი, ლაგო-
დებიდამ მოსული, და თან გამოატანე ურმებიცა პროვიანტის
წასაღებად შენის ბატალიონისა და დრუჟინისათვის; მეც
ხვალ აქედამ გამოგზავნი როტასა, რომელიცა მიიღებს შენის
როტისაგან ზარბაზნებსა და ურმებსა. ზეგ ისევ ერთი როტა
უნდა შენ ისევ გამოგზავნო წოორკანამდის, რომელიცა მიი-
ღებს აქედამ გამოგზავნილის როტისაგან შენს პროვიანტსა. –
და ასე, და ამით შენ როტა აღარ წაგერთმევა არცა ერთი
დღე.

აქ ისევ უწინდელი ამბავი ისმის, რომ მოვლენო. ეხლა
იმათი მოსვლა მხოლოდ ჩაფაული იქნება და სხვა არაფერი
მომატებული. შენ იყავ ფთხილად და გააფთხილ[ე] ბელაქნე-
ლები.

[...]გ[რიგ]ოლ ორბელიანი

26 სექტემბერი, 1851]

ზაქა[თალით]¹

[მეორე გვერდზე მინანერია]:

ბელაქნელებმა უნდა გამოიხსნან სამი ქართველები; გთხოვ, ჩემო სვიმონ, უთხრა მურთუზალის და მურთუზჰაჯისა, რომ არ დაივინყონ ისე და ვიდრე არ დაზამთრებულა, გამოიხსნან ის საბრალონი.

[მეოთხე გვერდზე მინანერია]:

Его Сиятельству
Князю Семену Осиповичу
Шаликову²
В с: Белакани^{3*}

*მის ბრწყინვალეობას კნიაზ სვიმონ ოსიპოვიჩ შალიკოვს ს: ბელაქანში.

სვიმონ შალიკაშვილისადმი #9 (217)

ჩემო სვიმონ! დღეს მომიტანეს ამბავი [...]¹ სულთანის მოსულა ირიბში და აგროებს ჯარს [...]. სიმართლე ამ ამბისა ჯერ არვიცი, მაგრამ სიფრთხილე მაინცკი ყოველთჳს გვმართებს. – ბელაქნელებიცა აზიელნი არიან, მაშასადამე მალე მოსწყინდებათ სიფრთხილე და ყარაულობა, თუ დროდროზე არ მოაგონე და არ გააღვიძე. –

შენს წერილში ითხოვ 5000 პატრონებსა ბელაქნელებისათჳს და რაპორტითკი ათასსა. – ამისგამო მეც მხოლოდ ათასი პატრონა მივაცემინე შენს ბელაქნელებსა.–

ბეჟანიანთანა პატარა გადმოსულის ლეკის სოფელსა დასხმიან ლეკები, მაგრამ იმ პატარა სოფელსა გამოუღია ხელი, ზედდატანებით მიჰშველებია კულმანიცა და სულ კუდით

ქვა უსროლებიანთ ლეკებისათჳს, რომელთაცა მხოლოდ ერთი ძირი თივა დაუნვავეთ და გაქცეულან.

ვინც იყუნენ მოსულნი ქალაქიდა მ აქა საჯაროდ და ლეკების სისხლის დასანთხევად, სულ ყველანი ნაბძანდნენ, რადგანაც მთები დაანგრის, მაშ რალა უნდა გაეკეთებინათ.–

პოლკოვნიკი კნიაზი ანდრონიკოვიცა წავიდა თავის შტაბში და ისევ მარტო დავრჩი.

შენი გრიგოლ ორბელიანი

27^ა სექტემბ: 1851

ზაქათალით.²

[მეოთხე გვერდზე, ზემოთა მხარეს, მინაწერია უკულმა]:

ვაჩუქებ რასმე ბელაქნელსა, ვისაცა ერგო ის ცხენი.

შენი გრიგოლ ორბელიანი

[ამავე გვერდზე, ქვემოთა მხარეს, მინაწერია უკულმა]:

ბელაქნელებმა რომ ცხენები წაართვეს ლეკებსა, იმ ცხენ[] არის ერთი ჭაკი ცხენი არტელის გრანადერისა [] მოთმინება წაიღეს სალდათებმა ჩივილი [] გთხოვ ის ჭაკი ცხენი გამომიგზავნო და მე []

[ამავე გვერდზე, ორ მინაწერს შორის, მისამართი წერია სწორად]:

Его Сиятельству
Князю Семену Осиповичу
Шаликову³
в. С: Белакани^{4*}

* მის ბრწყინვალეებას კნიაზ სვიმონ ოსიპოვიჩ შალიკოვს ს: ბელაქანში.

ილია ორბელიანისადმი #72 (218)

ჩემო ილიკო! გეთაყვანე საჩქაროდ გამომიგზავნე черную^{1*} პრიკაზივად ფულის გამოტანისათვის, რომ მირზოვეის მივსცე, როგორც ადრევე მომწერე შენ.

შტაბივად მომივიდა ამბავი портикулярно,^{**} რომ ჩემი დოკლადნის ზაპისკა о задаче медных вещей Апшер: полка в Ставрополь: комиссия,^{***} რომელმანცა გამომართვა 1700 руб: сер:;^{****} კარგად მიუღიათ, და მიუწერიათ კიდეცა სტავროპოლის კამისიაში, რომ დამიბრუნონ 160 თუმანი სულ თეთრი სიქა მანათი, მანათი ხუთი აბაზიანი. – ეს თუ გამართლდა ძალიან ავშენდები და სულ პარკებიცა გცემ. –

აქაური ამბავი რა გითხრა: ჰაი მოდიან, ჰაი ემზადებიან! სულ ამას იძახიან. – მეც მზადა ვარ, და იმედიცა მაქუს ღთისაგან,² რომ ვერა წაახდინონ რა ბაშსუვაგილის მეტი, რომელიცა უფრო სულთანს ეკუთვნის, ვიდრე ჩვენ, როგორცა მთლად გორნის მაჰალი; და თუ წაახდენენ, უკაცროი პასუხია, [... შე ...ნ], და მე უფრო გამეხარდება კიდეცა, ყაჩაღების ბუდე მოიშლება. –

დღეს მომივიდა რაპორტი მელიქოვისაგან, რომ 24^ა ამ თვისას ღამე ლეკები დასხმიან ბეჟანიანთანა პატარა გადმოსულის ლეკების სოფელსა. – ამათ გამოუღიათ ხელი, ზედტანებით კულმანიც³ მიჰშველებია, და ლეკები გაქცეულან. მხოლოდ ერთი სოფლის კაცი დაჭრილა თოფის სროლაში. – ეს მეხუთეთ მოსულა ლეკის ჯარი ლეკის ფლანგზედ წლიულსა, და ხუთჯერვე გაქცეულა ჩვენის მხრით უზიანოდ.

შენის ბატალიონისა დაკარგულის ცხენებივად ჯერ შვიდი მოუყვანიათ ტყეში დარჩომილი; ორი გამოჩნდა კაზენნი, რომელნიცა, როგორც მითხრა პისარევსკიმ, დახოცილან; და სხუანი აღმოჩნდნენ აფიცრებისა და სალდათებისა. – კაზენნის ცხენები აჩვენეს 40 დაკარგულად.–

რა ქება გითხრა ბელაქნელებისა; მეტი ვაჟკაცობა აღარ ითქმის, რაც ამათ გამოიჩინეს მაშინ ომში, როცა შენი ცხენები წაიყვანეს. – ასეთს მთას შეუდგნენ გზის მოსაჭრელად,

რომ მხოლოდ შეიძლეს ასვლა მურთუზჰაჯიმ თხუთმეტის კაციტა და შეებნენ პარტიასა, რომელიცა იყო 47 კაცი; სამი კაცი მოუკლეს და 11 დაჰსჭრეს, რომელთა რიცხვში არის გამორჩენილი ყაჩალი ბურჯიკახიო⁴ ერისთვის შვილის მკვლეელი. – ეს ერთი კაცი ჰლირს შენს ცხენებად; თუ გინდა ჰკითხე ივანეს მუხრანსკისა, ის კარგად იცნობს.

დავითკა ერთბაშად დავინახე გუშინ; ასე მეგონა მიწითგან ამოძვრა. –

შენი ძმა გრიგოლი

27^ა სექტემბ: 1851.

ზაქათალით.⁵

* შავი პირი.

** პარტიკულარულად.

*** აფშერ: პოლკის სპილენძის ნივთების ჩასაბარებლად სტავროპოლ: კომისიისთვისა.

**** ვერცხ: რუბ:

სვიმონ შალიკაშვილისადმი #10 (219)

ჩემო სვიმონ! იმ შენის სტარუხასა შვილის ამბავი სრულებით არ შემიტყვია და არავის მოუხსენებია. – ახლა შენა გთხოვ, რომ რაპორტით მომწერო მაგის ყოველივე გარემოება და ვაჟკაცობითი სიკუდილი და მე ეხლავე წარვადგენ პენსიაზედ. – მანამდის ამ ხელად მივეც 15^ა მანათი, მეტი ვერ შევიძელ, და შენ რაცკი შეგეძლოს ბევრი ალუთქვი ამ სტარუხასა, რომელსაცა მართლად უთოოდ წარვადგენ, როცა მომივა შენი რაპორტი. –

მთიდან აქაც ის ამბავი მომდის, რაცა შენა, ესე იგი: ჰაი მოდიან, ანუ ემზადებიან. – დღესაც მომივიდა, რომ პარტია მზად არის ჭურმუტში აქეთკენ წამოსასვლელად, და ამისგამო აქედამ წასულს კაცსა აღარ უშვებენო მთაში. –

გთხოვ რომ კიდევ და კიდევ გააფთხილო ბელაქნელები.
მშვიდობით

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

29^ა სექტემ: 1851.
ზაქათალით.¹

[მეოთხე გვერდზე მინანქრია]:

Князю Семену Осиповичу
Шаликову.^{2*}

* კნიაზ სვიმონ ოსიპოვიჩ შალიკოვსა.

სვიმონ შალიკაშვილისადმი #11 (220)

ჩემო სვიმონ! დღეს კიდევ მომივიდა ყაზიყუმუხიდამ ალაღარბეგისაგან წერილი, რომლითაცა მაცნობებს ჰაჯიმურადის საქმესა, როგორცა გუშინ მოგწერე. მაშასადამე აქ ეჭვი აღარ უნდა იყოს და მგონია კარგი შფოთიც მოხდება მთაში. ეს არის სანუხარი, რომ დაზამთრდა და ჩვენის ჯარებისათვის ძნელი იქნება შეწევნა ჰაჯიმურადისა. მოუთმენელობით მოველი ამბავსა, რით და როგორ დაბოლოვდება ეს *переворот*^{*} დაღისტანში. – ეხლა შამილამ, თუ თავი ვერ მოსჭრა ჰაჯიმურადსა, ძალიან შეირყევა მისი უფლება მთაში. –

ახლა მოვიდეთ შენს საყუარელს¹ შადინოვთან – ასე ეძახის მუხრანისბატონი – ახრ რატომ არასა ჰსწავლობს, რომ ასე გუღით უნდა აფიცრობა? – დღეს ასე მიპასუხა ამან, რომ რა უნდა ვისწავლოო, მაინც ხომ უნდა დამავიწყდესო, და ტყუილად თავი რად დავიტანჯოო! – კარგი პასუხია.

შენის ჭურაჟისათვის მე ვერ გიბძანებ[ბ], და წარვადგენკი, და იმედიცა მაქუს, რო[მ] მალე მომივიდეს პასუხი. –

აქეთკენ არის მშვიდობიანობა; მთაც ცოტა[დ] დაითოვ-
ლა, მაგრამ თითო ორორი ყაჩაღებ[ი] დასწრწიან, და ვერსად
მიმიგნია იმათვს, რომ ერთი ზედ დავანვე.

ჩემმაგიერ მურთუზალის უთხარ, რომ სამი ქართველი
კისერზედ რომ გაძევსთ, რატომ არ იხსნის ბელაქანიტქო; ეს
ხომ დაზამთრდა; ტყუილად ნუ ივინყებს ეგე, კარგად იცის ეს
საქმე მაგან.

შენი კეთილის მსურველი
გრიგოლ ორბელიანი

4^h ოკდომბ: 1851.

ზაქათალით.²

[მეოთხე გვერდზე მისამართია]:

Князю Смену Осиповичу
Шаликову
в Белака^{3**}

* გადატრიალება.

** კნიაზ სვიმონ ოსიპოვიჩ შალიკოვს ბელაქანში.

სვიმონ შალიკაშვილისადმი #12 (221)

ჩემო საყვარელო სვიმონ! ეჭვი აღარ არის, რომ ჰაჯი-
მურადი აბუნტდა, და გადასულა სოფელს სიუხს,¹ რომელიცა
არის ძალიან მაგარი ადგილი. – მე იქა ბევრჯელ ვყოფილვარ
– გადუტანია იქ ზარბაზნები და ძალიან გაუმაგრებია სან-
გრებიტა; იქ ორიათასი კაცი მეტი ჰყავს; შამილ და სულთანი
მისულან ნაიბებიტა და ჯარითა, შემოსდგომიან სამი დღე,
მაგრამ ჰაჯიმურადს ძალიან დაუმარცხებია, ბევრი ტყვე და

ცხენები წაურთმევიან; და ახლა ასე ისმის, მითომ შამილა და სულთანი დაბრუნებულან. – ჰაჯიმურადს მიუწერია ალაღარბეგისათვის, რომ მე ჯერ კარგათავარო, მაგრამ თუ გამიჭირდაო, შემწეობა მომეციო. ალაღარბეგსაცა, რა საკურველი[ა], აღუთქვამს შემწეობა. – რა საკურველია ამ შემთხვევას არ დაჰკარგამს კნიაზ არლუთინსკიცა, და ლ^ათის² შეწვევით, იმედიან, დაღისტნის დამშვიდებისა. დღეს დილით მომივიდა ამბავი, მითომ ყარაალიც მოუკლამთ მთაში, და ახლა შენის წერილითაც ესევე ვჰსცან, და მგონია, რომ არ იყოს ტყუილი.³ – ბელაქნისათვის ეს უკანასკნელი ამბავი განსაკუთრებით საკეთილოა. –

ამ შენს ურუსისათვის⁴ ვეცდები, რომ პური უშოვნო საზამთროდ. –

ეგებ იშოვნო ვინმე ანკრაკში გასაგზავნად ყარაალიას ამბის შესატყობლად; მეც გამიგზავნია. –

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

6^ა ოკდომ: 1851.
ზაქათალით.⁵

ილია ორბელიანისადმი #73 (222)

ახრ, ჩემო ილიკო, ეს რა მიყავ, რაზე დამლუბე? 1630 სიქა მანათი მე ვინ მომცა, რომ მიზოვევისაგან დაბარებულის ნივთებში მივსცე? – ეს ხომ მე აღარც მადა მაქუს და აღარც ძილი დარდისაგან, მწუხარებისაგან, რომ ესოდენი ფული ერთად გამივიდეს? – ახრ, როგორ დავთვალო, რომ ხელები მიკანკალებს? ან ყუთი როგორ გავალო, ვინ მომცა ესოდენი ძალი, რომ ჩემი ყუთი გავალო, და დავაცარიელო? – ახრ, ლ^ათი¹ აიღებს, რომ ჩემი ყუთი კიდევ დაცარიელდეს? – ეს სულ შენ მიყავ. – მე რათ მინდოდა ფაეტონები და სხუადას-

ხუა რაღაებიცა, თუ ფული დამეხარჯებოდა? – ახრ, ფული არა ჰსჯობია ყველა ნივთებსა და ფაეტონებსა? – მაგრამ რაღა გაენყობა, ისევ კანკალითა და წყევითა უნდა გავალო ჩემი კარგი ყუთი და გამოვესალმო ამდენს ფულებს. ოჰ რა ძნელი ყოფილა! – ნაწილნაწილ რომ გეთხოვნა კიდევ ჰოო; მაგრამ მეტად ავი იასაული ყოფილხარ, შეუბრალებელი, შეუნყალებელი! ახ ჩემო ყუთო, აქამდის რა კარგი რამ იყავ! ამ სოფლის სიცრურრრუე და მუხთლობა შენცა ჰსცან! – ოთხასოცდაათი მანათი, სულ ვეცხლი, ხუთაბაზიანი გაუგზავნე დღეს მიზოევსა.

აქაური ამბავი აღარა ვიცირა მეტის სიმწარისაგან ფულეებისაგამო; მახსოვს მხოლოდ, რომ ზაფხული მეორედ დაბრუნდა, ის საშინელი თოვლი მთაზედ სრულებით დადნა და გაიხსნა ყველგან გზები, მაგრამ ყაჩაღები ჯერ არსად ჰსჩანან. – ესეც მახსოვს, რომ დღეს ბელაქნელთა მომგვარეს ხუთი გულხადარა. – ელისუმი ვიყავ, გავშინჯე ახლად აშენებული ციხე და კარგათაც მომეწონა; იქ ერთბაშად ჩამოვიდნენ სულთნის ნაზირის ცოლშვილი; თუ გინდ ყელები დაგვჭერთო და თუ გინდ გვაპატიეთო; ნაზირიც მალე უნდა ჩამოვიდესო. – ეს რა საკვირველია, რომ სულთნის ნებართვით მოდიან. – ესენი, როგორც საიდუმლოდ მეუბნებიან, სულთანსაც გასვლა უნდა ოსმალში, რომ ხონთქარსა ჰსთხოვოს ჩვენს ჰელმწიფესთან შუამდგომელობა მიტევებისათჳს, და ამაზედ მითომ სულთანს ჰქონდეს მიწერმონერა ჩვენის ყუტყაშინსკის ძმასთანა, რომელიცა იმყოფება სტამბოლში. ესენი ასე მეუბნებიან და სწორე კი არ ვიცი.

ჩემგან გაგზავნილი ჯავშუში ჰაჯიმურადთან მოუკლამთ ჰიდატლში ჩვენსავე ყაჩაღებსა. – ძალიან ვსწუხვარ, მეტად კარგი ყმანვილი კაცი იყო და კარგის ოჯახისა ჭარში.

შენი ორი როტა დავაყენე ბახტალოს ფოშტასთან ტყის საკაფავად და როცა გაავდრდება, სოფელში გადავიყვან, სადაცა დამიშადებია მათთვის სახლები. – აბა თუ აწნას ვარსკულავი გამომიგზავნო ფეშქაშად; შენგანა ვარ აკლებული, განიავებული, აღარა მაქუსრა, ახრ ღთი² ინამე-და? –

ივანე სულ სხვაგან არის, სულ სხვაგან. ნეტავი სხვაგან იყოს, და ამას აღარა უნდარა სხუა რამე ბედნიერება. ამისი ფიქრი მხოლოდ ეს არის, რომ სხვაგან იყოს. ჭურაშკას ჰმალავს გარეთ, რომ ველარ შეუტყო ნასვლა სხუაგან; ეს რა უბედურებაა, სულ სხვაგან, სულ სხვაგან! – მშვიდობით

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

8^ლ ნომ: 1851.
ზაქათალით.³

მიხეილ ვორონცოვისადმი #10 (223)

К[нязю] Воронцову. 20 ноября, 1851.
Закаталы.

Князь Григорій Мухранскій будет иметь честь представиться Вашему С[иательст]ву и лично доложить как о спокойном состоянїи этого края, так и о некоторых предметах, которые кажутся мне необходимыми для успешнаго управленія здешним народом.

Князь Мухранскій выезжает отсюда, кажется, с намереніем не возвратиться более в этот край; и это прискорбно для меня тем более, что он был истинно-полезным мне помощником по части гражданскаго управленія, которое привёл он в страшный порядок. Его неутомимая деятельность, знаніе языка и обычая здешней страны много успокоили взволнованные умы [и] внушили в жителях доверенность к начальству. Быть может, место им занимаемое не соответствует его чину, он необходим здесь, по крайней мере, ещё на некоторое время.

Элисуйское укрепление и Башня на Похалистави давно окончены; и когда Ваше С[и]тельство удостоите этот край посещением, имею надежду, что Вам понравятся эти постройки прочностью и красотою.

Две роты гренад[ерскаго] полка заняты расширением просеки возле Бахтал[ьскаго] поста; в скором времени и Мингрельцы приступят к такой же работе между Белаканью и Лагодехскими, а здешние жители – между Катехами и Белаканью.

Несколько раз я получил известие из гор, что Даниель бек ведёт переписку в Константинополе с братом Куткашинскаго о том, чтобы Султан Турецкий принял участие в судьбе Данильбека и выпросил у Государя прощение ему и даже дозволил бы прибыть ему в Константинополь. Не знаю, в какой степени эти известия справедливы.

მიხეილ ვორონცოვისადმი #10 (223)

თავადს] ვორონცოვსა. 20 ნოემბერი, 1851.
ზაქათალით.

თავადს გრიგორი მუხრანსკის ექნება პატივი წარსდგეს თქვენის ბრწყინვალეობის წინაშე და პირადად მოგახსენოთ როგორც ამ მხარის მშვიდს მდგომარეობაზედ, ისე ზოგიერთი საგნის შესახებ, რაც აუცილებლად მეჩვენება აქაური ხალხის წარმატებით სამართავად.

ვგონებ, თავადი მუხრანსკი მიემგზავრება აქედამ განზრახვით, აღარ დაბრუნდეს ამ მხარეში; და ეს იმიტაა ჩემთვის მით უფრო სამწუხარო, რომ ის იყო ჩემი ჭეშმარიტად საიმედო დამხმარე სამოქალაქო მართვის ნაწილში, რომელიც მან გამაოგნებელს წესრიგში მოიყვანა. მისმა მუხლმოუხრელმა მოღვაწეობამ, ენისა და აქაური ქუეყნის წეს-ჩვეულებათა ცოდნამ აშკარად დააშოშმინა აქაური მღელვარე მობინადრეები [და] შთაუნერგა ნდობა უფროსობისადმი. შესაძლოა, მის მიერ დაკავებული ადგილი არ შეჰფერის

მის ჩინსა, ის უსათუოდ საჭიროა აქ, ყოველ შემთხვევაში, კიდევ რაოდენიმე ხნითა.

ელისუს სიმაგრე და კოშკი ფოხალისთავზედ დიდი ხანია დასრულებულია; და როცა თქუენი ბრ[წყინვალებ]ა პატივს დას-დეებს ამ მხარეს თავისის მობრძანებითა, იმედი მაქუს, რომ თქუენ ეს ნაგებობები მოგენონებათ სიმტკიცითა და სილამაზითა.

გრან[ადერთა] პოლკის ორი ასეული დაკავებულია ნაკავის გაფართოებით ბახტალოს საგუშაგოსთან; უახლოეს ხანებში მეგრე-ლები დაიწყებენ ასეთსავე სამუშაოს ბელაქანსა და ლაგოდეხს შო-რის, ხოლო აქაური ბინადარნი – კატეხსა და ბელაქანს შორის.

მთებიდამ რამდენჯერმე მივიღე ცნობა, რომ დანიელ ბეკი კონსტანტინოპოლში ანარმოებს მიმონერას ყუტყაშელის ძმასთან იმის თაობაზედ, რომ თურქეთის სულთანი მონაწილე გახდეს დანი-ელ ბეკის ბედისა და ხელმწიფეს გამოსთხოვოს მიტევება მისთვის და კონსტანტინოპოლში ჩასვლის ნებაც კი დართოს. არ ვიცი, რამ-დენად სარწმუნოა ეს ცნობები.

მიხეილ ჰორონტოვისადმი #11 (224)

К[нязю] Воронцову. 10 декабря 1851. Закаталы.

Письмо В[ашего] С[и]ятельст[ва] от 8^{го} числа я имел честь получить, в котором угодно было Вам приказать мне приехать в г[ород] Тифлис.

Осмеливаюсь доложить В[ашему] С[и]ятельств[у], что завтра я отправляюсь в Сацхенис для осмотра производимых там работ, откуда по возвращении поспешу выполнить волю Вашего С[и]ятельст[ва], так, что к 20^{му} числу я надеюсь иметь счастье представиться В[ашему] С[и]ятельст[ву]; к тому же времени, быть может, получу известия о Анцухском найбе Шахове, которому посланы мною лазутчики.

მიხეილ ვორონცოვისადმი #11 (224)

თ[ავადს] ვორონცოვსა. დეკემბ[რის] 10^{სა} 1851. ზაქათალით.

პატივი მქონდა, მიმელო თ[ქუენის] ბ[რწყინვალეების] 8 რიცხვის წერილი, რომელშიც თქუენ მოისურვეთ გებრძანებინათ ჩემთვის, ჩამოვსულიყავ ქ[ალაქ] თბილისსა.

ვბედავ მოვასწენო თ[ქუენს] ბ[რწყინვალეებას], რომ ხვალ გავემგზავრები საცხენისში იქ მიმდინარე სამუშაოების დასათვალისწინებლად, საიდან დაბრუნების შემდეგაც ვიჩქარებ თქუენის ბ[რწყინვალეების] ნების აღსრულებასა, ასე, რომ 20^{სა} რიცხვისათვის ვიმედოვნებ, ვიქონიო ბედნიერება, წარვსდგე თ[ქუენის] ბ[რწყინვალეების] წინაშე; ამავე დროისათვის, შესაძლოა, მივილო ცნობები ანწუხის ნაიბ შახოვზედ, რომელთანაც გაგზავნილი მყავს მსტოვრები.

სვიმონ შალიკაშვილისადმი #13 (225)

ჩემო სვიმონ!. აბა ასი პატრონა ან მასესხე, ან მაჩუქე და შემდეგ გიანგარიშებ.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

[1851]

ქეთევან ორბელიანისადმი #46 (226)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! მომირთმევია ამას-თანა ხუთითუმანი და ორი მანათი, რომელიცა დამრჩა მანდა ვალად კუპენისა; გთხოვთ დაიბაროთ და უბოძოთ, და მით ჩემი სახელი გამოიყვანოთ პირნათლივ ვაჭრებში. –

კიდევ მომირთმევია მინანქრის ხრიკები 12 წყვილი, რომელიცა დავპირდი ძალუა მანანასა – თქვენს ქალბატონსა – მაგრამ მასუკან ილიკო შემოეცილა თავის დანიშნულისათჳს. – ახლა თქვენ გთხოვ, რომ ილიას მისცეთ ესე ამ პირობით, რომ ძალუა მანანასთან წაილოს და იქ თუთონ როგორც გადასწყვიტონ, იმას დარჩეს. – ეს საქმე საოჯახო არის. –

გთხოვთ მანდაური ამბები და ჭორები მომწეროთ, რადცა მომხდარა ჩემს შემდეგ; ძალუა ელისაბედ და ბაბაღე როგორ და ან როდის წავიდნენ?

გოჭარალას, ჩვენს ჴელმწიფას, ჩვენის ბედნიერებისა ვასკულავსა, ჩემმაგიერ მოკითხვა განუცხადეთ ფეხზე დგომითა და მძიმედ თავის დაკვრითა. –

ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე. ივანე ხომ ჯერ არ წასულა ჩაჩნისაკენ; და ანუ პატარა ალექსანდრე რასა ჴშვრება და ან რას აპირებს? –

სანდრიკო ჩამიკოცნე, და ცალკე წიგნი მოანერინეთ ჩემთან.

თქვენი მორჩილი მოსამსახურე
გრიგოლ ორბელიანი

[1852] თებერვლის 12^ბ დღესა.

ზაქათალით.¹

მომწერეთ, დამავინყდა, არვიცი რამდენი გამოგართვით ქალაქში ფული? –

ილია ორბელიანისადმი #74 (227)

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! დორმეზის ფული მმართველს ივან მინაიჩის მიზოიევისა 600 მანათი და შენიცა შენის ხაზინადრითურთ 800 მანათი, რომლისა ჯამი იქს 1400 მან: – ახლა გთხოვ, აილო ჩემის ფულისაგან ასი თუმანი და იქიდამ მისცე სამოცი თუმანი მიზოიევისა, და ორმოცი თუმანი შენს ხაზინადარსა,¹ რომელსაცა აქუს ჩემი რასპისკა სამოცის თუმნისა; მამასადამე დამრჩება მე ვალად ორმოცი თუმანი, ესე იგი ოცი შენი და ოცი შენის ხაზინადრისა, რომელთაცა გამოგიგზავნით როცა ცოტა სულს მოვიბრუნებ, თორემ სრულებით დავილუპე; დასწყევლოს ღმა² დორმეზის მომგონებელი. ახლა თუ ნავედი დაღისტნისაკენ, შენ ნახე რამდენი დამეხარჯება ისე უბრალოდ აყრა დაყრაში, გადასვლა გადმოსვლაში, უთავბოლოდ. – სწორედ გითხრა, თუ მთავარმართებელმა არ წარმადგინა მალე, ისიც მალე, არენდაზედ, ჩემი საქმე სრულიად წახდება და სრულიად გავფუჭდები. –

გეთაყვანე მიზოიევისა ნულარ დაუგვიანებ ფულის მიცემასა. –

მომწერე როგორ მოგეწონა სიმაგრით, თუ სილამაზითა ჩემი დორმეზი? – როგორ მირჩევ, ნავილო დაღისტანში – თუ მომიხდა იქ წასვლა – თუ მანდ გაუშვა? –

თუ კნიაზ არლუთინსკი აპრილში წამოვა იქიდამ, მაშ მე მომიხდება მარტის დამდეგსა წასვლა, ასე რომ ორის კვირით მაინც უნდა წინ მივიდე იქა, რომ დრო მქონდეს იმისვე იქ ყოფნაში სხუა და სხუა საქმეების განხილვისათჳს. – ამ ანგარიშით შენ უნდა ანუ ტარანტასი, და ანუ დორმეზი, გამომიგზავნო აქა, რომ არ დამიგვიანდეს იქ მისვლა დროზედა. –

მომწერე, რას ჰშვრები, ჩამოხვალ საყველიეროდ ქალაქში, თუ გაკერპდი და გამოაჩინე შენის გულის სიმაგრე. –

ჰაჯიმურადი აქ მოვიდა ჩემთან სტუმრად; მაგრამ ყოველდღე ავდარია და ვერსაით ვერ ნავედით, მხოლოდ ვანადირეკი რამდენჯერმე მწვერებიტა. – ხვალ ისე მიჰყავს ქალაქში კონსტანტინეს, რომელსაცა ვატან ამა წერილსა.

მინანქრის ხრიკები 12 წყვილი ამასთანვე გაუგზავნე ძალუა ქეთევანს, რომ შენ მოგცეს, მაგრამ ამ პირობით, რომ შენ თვითონ პასუხი გასცე ძალუა მანანასა, რომელსაცა მე აღუთქვი შენზე უნინ.

ღ³თი იყოს შენი მფარველი და შენის ვარინკასი. – მშვიდობით.

შენი გრიგოლ ორბელიანი

13 თებერვალს 1852 წელსა.
ზაქათალით.⁴

მიხეილ ვორონცოვისადმი #12 (228)

К[нязю] Воронцову. 16 фев[раля] 1852

Закаталы

В Джаробелаканском округе господствует глубокое спокойствие. Работы для расширения просек по главным дорогам, Муганлинскому к Закаталам и отсюда к Лагодехам продолжаются с успехом, частью жителями, частью ротами.

Богатырское дело в Каракайтаге отозвалось здесь весьма благотельно. По уверению здешних жителей, одних Качагов погибло более 300 человек, которых остаток, в числе 30 чело[ек] прокрадывался к Самурьячу, но и там жители, высланные из Рутула, напали на них, большую часть взяли в плен, а остальных развеяли по снежным горам.

Ажимурад пробыл здесь несколько дней довольно весело и часто ездил на охоту; но к сожалению, по случаю наступившаго сильного ненастья я не мог показать ему Элису.

Здесь содержатся под арестом четыре человека из пленных Аварцев. Ажимурад просил меня прислать их чрез Тифлис в Грозную на выкуп своего семейства. Зная волю Вашего С[вятельст]ва я осмелился распорядиться отправленіем этих Аварцев в Тифлис, откуда они получат дальнейшее отправленіе в Грозную.

მიხეილ შორონცოვისადმი #12 (228)

ქ[ნიაზს] ვორონცოვსა. 16^ბ თებ[ერვალს] 1852
ზაქათალით

ჭარბელაქნის ოლქში ღრმა სიმშვიდე სუფევს. ნაწილობრივ ბინადრების, ნაწილობრივ ასეულების მიერ წარმატებით გრძელდება სამუშაოები ნაკაფების გასაფართოვებლად მთავარს გზებზედ, მულანლოდამ ზაქათალისკენ და აქედამ ლაგოდებისკენ.

საგმირო საქმემ ყარაყაითალში აქ ერთობ მადლიერი გამოხმაურება ჰპოვა. აქაურ ბინადართა რწმუნებით, მარტო ყარაღლი დაილუპა 300 კაცზედ მეტი, რომელთა ნარჩენიც, 30 კა[ცის] ოდენობით, ცდილობდა გასვლას სამურჩაისკენ, მაგრამ იქაც რუთულიდამ გაგზავნილი ბინადარნი დაესხნენ თავსა, უდიდესი ნაწილი ტყვედ აიყვანეს, ხოლო დანარჩენი გაჰფანტეს თოვლიანს მთებში.

ჰაჯიმურადმა საკმაოდ მხიარულად დაჰყო აქ რაოდენიმე დღე და ხშირად დადიოდა სანადიროდა; მაგრამ სამწუხაროდ, ძლიერი უამინდობისა გამო მე ვერ შევიძელ მისთვის ელისუ მიწვენებინა.

აქ პატიმრობაში იმყოფება ოთხი კაცი ტყვე ხუნძთაგან. ჰაჯიმურადმა თავისი ოჯახობის გამოსასყიდად მთხოვა მათი ღროზნოს გაგზავნა თბილისის გავლითა. ვიცოდი თქუენის ბრწყინვალეების ნება და მე გავზედე გამეცა განკარგულება ამ ხუნძთა თბილისში გაგზავნაზედ, საიდამაც ისინი შემდგომად გაიგზავნებიან ღროზნოსა.

ბაბალე საბინაშვილისადმი #1 (229)

ჩემო საყვარელო დაო ბაბალე! გულით, სულით გამახარე შენის წერილითა, რომელსაცა, სწორედ გითხრა, სრულე-ბით არ მოველოდი. აბა ვისა აქუს დრო თბილისში წერისათვის და ანუ ვინ მოიცლის ამა უბრალო, უსაამო საქმისათვის? – გონება გართულია სხუა და სხუა ფეროვანს ფიქრებში; ზოგჯერ წუხანდელის ბალისათვის, სადაცა გაკვრით თქმულნი ზოგიერთი სიტყვები ანუ ჰკლავს გულსა, ანუ აცოცხლებს და აავსებს სიხარულითა; ანუ ზოგჯერ ფიქრი და პლანი ტუალე-ტისათვის ამაღამ თეატრში გამოსაბრწყინვალეზად; და ანუ ზოგიერთის ვიზიტი, რომელთანა უხილავად მივბის დრო გულის გასახარებელს ჭორების მოთხრობაში... ვინ მოჰსთვლის ურიცხვთა მათ მიზეზთა, რომელთაგამო მეღანი გამშრალია დიდხანი საწერელში და კალამი დაკარგული? – მაგრამ შენკი მაინც მომწერე, და მით უფრო უძვირფასესია წერილი ესე შენი ჩემთვის. –

თბილისიდან გამოვედით მე და კაპლერი დიდად დაღონებულნი, ასე რომ ლოჭინამდის, სადაც დავიღამეთ, ხმა არცკი ამოგვიღია. ვინ იცის მომავალსა რა მოაქუს; და მე ის ერთი თვე თქვენთანა ერთად ასე მხიარულებით, ასე ყმანვილურის უზრუნველობით, გავატარე, რომ მეშინიან, ვაითუ ველარ ველირსო კიდევ: მე, ჩემის გამოცდილებით, ველარ ვენდობი მომავალსა: ის არის ჩემი, რაც დღეს არის ჩემი! მაგრამ მაქუს ღთის¹ იმედი, რომ კიდევ განახო მხიარულებით და ბედნიერებით, ჩემო საყვარელო ბაბალე. ორი დღე დავყავით დედოფლის წყაროზედ და მერე მოვედით ჩვენს სატახტო ზაქათალას, სადაცა ჩვეულებრივ დამხვდა შრომა, მოუსვენებლობა და მოწყენით ცხოვრება. აქაურმა საზოგადო[ო]ბამ ყველიერში გამიკეთა ბალი, სადაცა მნათობდენ მაღამ ბრუსილოვა, ახვერდოვა, ალლეევა, კახანოვსკა და სხუანი, როგორც თუმანისშვილის ლექსებში, შვიდნი მთიებნი, და კრონოსებნი. – მახლაზ, ეს ყველიერიც წავიდა ესე, როგორც ყოველივე ამ სოფელში მიდის და მიდის: დადგა დიდმარხვა, სავ-

სე შენანებითა; გვირეკს მლუდელი, და მეც გულში ცემით ვიგონებ შეცოდებათა ჩემთა, და ვერა მომიგონებიარა, ან ძალიან წმინდა ვარ და ანუ სრულებით მეხსიერება წამერთო. შენ როგორ გგონია ბაბაღე?

ჩემს საყუარელს, საკუთარს ძალუას ელისაბედს დიდის გულითადის სიყვარულით მოვიკითხავ: ეგრეთვე ჩემს საყვარელს ძმას ალექსანდრეს.

ვინძლო, ჩემო ბაბაღე, ზოგჯერმე მოინერებოდე ჩემდა; მე ხომ შენი შვილივარ, არ უნდა დამივიწყო; რა გამოგიგზავნო აქედამ მითხარ. მშვიდობით.

შენი კეთილის მსურველი და მარადის პატივისმცემელი
ძმა გრიგოლ ორბელიანი

27^ბ თებერ: 1852

ზაქათალით.

მშვენიერი კნეინა ანნეტა როგორ ჰსუფევს; შერიგდნენ თუ ჯერ ისევ უწყრება იმ საბრალოსა, რომლისაცა დანაშაულობა არის მხოლოდ განუსაზღვრებელი სიყუარული?

გუშინ მოვიდა აქ არჩილ; ვჰკითხე, ყველიერი როგორი იყო ქალაქში? – იმან მიპასუხა დიდის მწუხარებით, რომ ვერაფერი იყო: „კრივი იმართებოდა, მაგრამ მალე დაშალესო“. ასე ყოველს კაცსა აქუს თავისი სიამოვნება და შექცევა ამ სოფელში.

მიხეილ ჰორონცოვიძისაღი #13 (230)

К[нязю] Воронцову. 28 фев[раля], 1852.

Закаталы

Письмо Вашего С[иятельств]ва от 25 числа я имел честь получить с нарочным. Позвольте принести Вашему С[иятельств]ву чувство глубочайшей моей благодарности за дозволение мне прибыть на свадьбу моего брата Ильи. Конечно, как ни радостно было бы мне быть свидетелем счастья моего брата, но опасуюсь, чтоб этим не [расстроить] расчёты выезда К[нязя] Аргутинского из Шуры, куда трудно будет мне поспеть в пять дней из Тифлиса по дурным в настоящее время дорогам. Во всяком случае при прибывании сюда Врангеля, я прежде от[ъ]езда в Шуру буду иметь честь представиться в Тифлисе Вашему С[иятельств]ву.

Здесь в округе всё мирно; но голод начинает показываться и здесь, так что, я вынужден был, с согласия интенданта, выдать из магазейна 150 четвер. муки взаимобраз жителям. Но самое печальное зрелище представляется в Сигнагском участке, где жители, доведённые до крайности, собирают различные травы в поле и тем пока поддерживают существование своё и своих семейств. Но что будет с ними после, в продолжении 4^х месяцев, до новаго урожая? Страшная будущность ждёт их, если благодетельное правительство не протянет им руку помощи.

მიხეილ შორონცოვისადმი #13 (230)

კნიაზს ვორონცოვსა. 28 თებერვალი, 1852
ზაქათალით

პატივი მქონდა, თქუენის ბრწყინვალეობის 25 რიცხვის წერილი მიმელო წაროჩნის მეშვეობითა. ნება მიბოძეთ, თქუენს ბრწყინვალეობას ვაახლო ჩემი უღრმესი მადლიერების გრძნობა ნების დართვისათვის, ჩამოვიდე ჩემის ძმის ილიას ქორწილში. რა თქმა უნდა, თუმც სასიხარულო იქნებოდა ჩემთვის, ვყოფილიყავ მოწმე ჩემის ძმის ბედნიერებისა, მაგრამ ვშიშობ, რომ ამით არ [ჩავშალო] კნიაზ არლუთინსკის გეგმები შურადამ გამგზავრებისა, სადაც გამიჭირდება თბილისიდან ხუთ დღეში ჩასვლა ამჯერად ცუდი გზებისა გამო. ყოველ შემთხვევაში, ვრანგელის აქ ჩამოსვლის მერე, შურაში ჩემ გამგზავრებამდე, პატივი მექნება, წარვსდგე თქუენის ბრწყინვალეობის წინაშე თბილისსა.

აქ ოლქში მშვიდობაა; მაგრამ შიმშილი აქაც იწყებს თავის ჩენასა, ასე რომ, იძულებული ვიყავ, ინტენდანტის თანხმობით, მალაზიიდან ბინადრებზე სესხად გამეცა 150 ჩეთვერი ფქვილი. მაგრამ ყველაზე სამწუხარო სანახაობაა სიღნაღის მონაკვეთზედ, სადაცა უკიდურესობამდე მისული ბინადარნი მინდორში სხვადასხვაგვარ ბალახს აგროვებენ და ჯერჯერობით ამით გააქვთ თავი და არჩენენ ოჯახებსა. მაგრამ რა მოუვათ მათ შემდგომში, 4^ლ თვის მანძილზედ, ახალ მოსავლამდე? საზარელი მომავალი ელით, თუკი კეთილისმყოფელი მთავრობა დახმარების ხელს არ გაუწვდის მათ.

ილია ორბელიანისადმი #75 (231)

ჩემო ილიკო! დღეს ჩემთან იყო პოლკოვნიკი Бартоломей,^{1*} რომელმანცა მთხოვა, შეგატყობინო საჩქაროდ, რომ შენის სურვილისამებრ აღსრულდა შენის ბატალიონების აქ ჩამოსვლა და მთავარმართებლისაგან სმოტრი მათი; მაშასადამე მანდედამ გამოვლენ 3^ლ აპრილს და აქ გაშინჯვენ 5^ლ ანუ 6^ლ აღარ მახსოვს კარგად, ასე რომ შენს ქორწილს აღარ დაუშლის. –

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

23^ლ მარტს 1852.
თბილისი.²

შენ ამაზედ მიიღებ ვოლფისაგან აქიციალნოდ ქალაქ-
დსა და მე კი გწერ, რომ დაგამშვიდო.

*ბართოლომეი.

მიხეილ ვორონცოვისადმი #14 (232)

К[нязю] Воронцову. 28 апреля. 1852
Т[емир] Х[ан] Шура

Ваша светлость при письме от 21 апреля изволили прислать мне с курьером две тысячи руб[лей], чтоб дать мне возможность с приличіем исправлять должность командующаго войсками в Прикаспійском крае, упрекая при том меня в недостатке искренности о моём положеніи. Я вполне заслужил этот упрёк, но я так много обязан, так много облагодетельствован Вашею Светлостью, что решиться беспокоить Вас ещё новою просьбою, собственно обо мне, никогда не достанет у меня ни сил, ни слов; и только в этом случае я совершенный трус.

დასაცავად მთების გადაღმა გადასახლებისას, ხოლო ამ მარიამობისთვის ნახევრიდამ ეს ბატალიონი იმყოფება იხრეკის ხეობაში, იქაური სოფლებისა და სამურის ოლქის იმ ნაწილის დასაცავადა. – ოთხი მსუბუქი ქვემეხი ამავედროულად დაბრუნებულია პეტროვსკიში.

სანამ აღწერილი ლაშქრობის მზადება მიმდინარეობდა და ეს ლაშქრობა შედგებოდა, თქუენის ბრწყინვალეების მითითებისამებრ, ჯარები განაწილებული იყო კასპიისპირა მხარეში. ყაზიყუმუხის სახანოს დაცვა ლენერალ-მაიორ სუსლოვის მეთაურობით, 1^ლ ივნისს დავავალე სამს ბატალიონსა, რომელთაგან ერთი 2^ლ ქვემეხით იკავებდა ყუმუხსა, ხოლო ორი ბატალიონი, 4^ლ ქვემეხითა და ცხენოსანთა 4^ლ ასეულითა, განლაგებულნი იყვნენ გამაშის მაღლობებზედ; 5^ლ ივნისს ქუთიშის მაღლობებზედ თავი მოვუყარე 5^ლ ბატალიონსა, მათ შორის მე-2 დალესტნურსაც, რომელიც საჭიროებისამებრ უნდა მომეხსნა ჩირიურთიდამ, ამ ბატალიონებთან მიერთებულია 6 სამთო ედინოროგი და 2 სამთო მორტირი, დრაგუნთა დივიზიონი, დალესტნურ ცხენოსანთა ირეგულარული პოლკის 4 ასეული და აყუშის მილიციის ასეული. დანარჩენი ჯარები თავის ძველ ადგილებზედ დარჩნენ, ხოლო შურისა და იქაური მიდამოების ჯართა მეთაურობა მე დავავალე პოლკოვნიკ კიშინსკის.

თიბათვის განმავლობაში და თითქმის მკათათვის ბოლომდინ მთიელთა მხრიდამ არ ყოფილა განსაკუთრებული მცდელობანი ჩვენის კორდონის საზის წინააღმდეგ, გარდა აქა-იქ გამოჩენილი ყაჩაღური ხროვებისა. – ასეთები, სხვათაშორის, რამდენჯერმე გამოჩნდნენ ყარანაის მიდამოებში, მაგრამ უშედეგოდ; ხოლო 25^ლ ივნისს მსგავსი პარტია, რომელსაც მაიორი კოტლიარევსკი დაენია, სულაღზედ ახატლის ცოტა ზემოთ, მის მიერ გვარიანად იქნა განადგურებული: პარტიამ ადგილზედ დატოვა 5 გუამი, ბევრი მთიელი გადაეშვა მდინარეში კბოდედამ, ტყვედ აყვანილია 8 კაცი და, გარდა ამისა, დარჩა იარაღი მრავალგუარი.

მივიღე რა ცნობა, რომ ყუდუხელებმა თავისი ცხვრის საძოვრად გამოყვანა ყოისუს გამოღმა იწყეს, 22^ლ ღამესა და 23^ლ ივლისს შორის მაიორ ლაზარევს დავავალე, როგორმე ნაეგლიჯა მათთვის თუნდაც ნაწილი ფარისა. და ამისთვის მის განკარგულებაში გავგზავნე დალესტნის ფეხოსანთა მე-2 ბატალიონი და დალესტნის ცხენოსანთა ირეგულარული პოლკის 3 ასეული, 2^ლ სამთო ედინოროგითა და მეხთულის მილიციის რამდენიმე ასეულითა. ლაზარევი კავალერიასთან ერთად ფარებისკენ დაეშვა, მათი ნაწილი წამოასხა,

დაახლოებით 800 სული და დაბრუნდა მხოლოდ ერთი მსუბუქად დაჭრილითა და შვიდი კონტუზირებული კაციტა. როცა ლაზარევს ამ საქმეს ვავალებდი, უპირატესად ვითვალისწინებდი იმას, რომ განგაშზედ გამოსულიყვნენ არაკნელები, რათა ლაზარევის მიერ ზემოთ დატოვებული ქვეითი ჯარი ზურგიდამ მისდგომოდა არაკნელებსა; მაგრამ ისინი ტყუილს არ წამოეგნენ, გამოვიდნენ განგაშზედ, მაგრამ პირველ სიმაღლეებზედ გაჩერდნენ მაყურებლებად არაკნელების მახლობლად.

ვფრთხილობდი რა, რომ ყუდუხელები და სხუა მომიჯნავე სოფლების ბინადარნი, სამაგიეროს გადახდის მიზნით, წართმეულის ცხვრისა გამო, თავდასხმით არ დაჰმუქრებოდნენ ზემო მეხთულის სოფლებსა, 25^ლ რიცხვში მაიორი ტიხანოვი 2^{მლ} ასეულით განვათავსე ახკენცსა და აფშს შორის.

26^{მლ} რიცხვის საღამოს ლაზარევს აცნობეს, რომ არაკანში ენყობა ცხენოსანთა დიდი შეკრება ორივე ჯუნგუთაის აოხრების განზრახვითა და ამიტომ მან მობინადრეთ უბრძანა, მზად ყოფილიყვნენ მთიელთა მოსაგერიებლად, მომდევნო დილით საქონელი საძოვრად არ გაეყვანათ და მინდორში არ გასულიყუნენ სამუშაოდა. – და მართლაც, 27^ლ რიცხვში დილით, 8 საათზედ, მთიელთა უზარმაზარი მასა 2 ათას ცხენოსნამდის 9 ალმითა დაეშვა ხარკასიდამ პირდაპირ ორივე ჯუნგუთაისკენ. მაიორმა ლაზარევმან, შეჰკრიბა რა ამ სოფლების ყველა შეიარაღებული ბინადარი, ბაგადურის ასეული, 10 დონელი კაზაკი და აფშერონელთა რაზმი 25 კაცამდინ, რომლებიც შემთხვევით იმყოფებოდნენ ჯუნგუთაიში, გავიდა არაკეთილმოსურნის შესახვედრად. რამდენიმე გასროლის შემდგომ ორივე მხრიდამ მთიელებმა ხმლები იშიშვლეს და თავისი შეტევები სამჯერ გაიმეორეს, მაგრამ ყოველჯერ იყუნენ უკუგდებულნი და მხოლოდ მესამე მოგერიების შემდეგ მოახერხა ლაზარევმა მათი სრული უკუგდება და უკანდახევის იძულება ხარკასისაკენ. ამასობაში ტიხანოვმა, ამ დილით ცნობა მიიღო რა პარტიის ჯუნგუთაისკენ გასვლის შესახებ, მიიერთა თავისთან ოლლთა ორი ასეული და მათი საშუალებით დაიკავა შენშრეკი. თავისი ორი ასეულით მან წაინია წინ, ხარკასისკენ, და ისე განლაგდა, რომ მთიელები ჯენტაუდამ დახევისას სცემოდნენ არა ბურუნდუქ-კალეს გზას, არამედ შენშრეკის გზასა. როგორც კი ტიხანოვმა დაიკავა თავისი ადგილი, მან დაინახა უკან დახეული მთიელნი. როცა ისინი ავიდნენ ხარკასზედ, ტიხანოვმა მათთან შესახვედრად გაგზავნა ზემო მეხთულის სოფლების რამდენიმე ათეული ბინადარი, რომლებიც მასთან იმყო-

ფებოდნენ; შენიშნეს რა ეს უმნიშვნელო ბრბო, მთიელები ეკვეთნენ მას, ის კი მისთვის მიცემული ბრძანების თანახმად, ორსავ მხარეს გაიფანტა და მაშინ მის უკან დამალული ორი ასეული ნახევარ სათოფეზე დახვდა მთიელებს და ბათქი აუტეხა. მთიელები არ ელოდნენ აქ ქვეითებს და მოზრდილი დანაკარგი განიცადეს სათოფე ზალბის გამო, ნაჩქარევი ჩოჩქოლით ეცნენ შენშრეკის გზასა, სადაც მათ კვლავ დახვდათ დანარჩენი ორი ასეული და გასროლის გარეშე, თავქუდმოგლეჯით გაიქცნენ არაკანის დაღმართისაკენ. ამგუარად, მთიელებს, უკანიდამ დევნილთ ლაზარევის მიერ, უკან დახევა უნდა განეგრძოთ ჩუენის იმ ასეულების ცეცხლზე გავლით, რომლებიც მათ ხარკასსა და შენშრეკზედ მიაცილებდნენ. ამ საქმეზე მთიელებმა გზად ჯუნგუთაიდამ ხარკასისკენ ადგილზე დატოვეს 50-მდე გუამი და, გარდა ამისა, ჩუენს ხელთ დატოვეს ნაიბის ალაში, 8 კაც. ტყუე, 44 ცხენი, მოკლულების გარდა, და ბევრი იარაღი. – ჩუენი დანაკლისი განისაზღვრება მეხთუელელთა 8 მოკლულისითა და 7^{მა} დაჭრილისითა, 9 მოკლული და 12 დაჭრილი ცხენითა. რეგულარულ ქვეითში დანაკარგი საერთოდ არ ყოფილა, იმიტომ რომ საქვეითოსთან მოულოდნელის შეხვედრისას მთიელები მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ გაქცევის საშუალებით ტყვიის გასროლის გარეშე.

ამ შესანიშნავის საქმის წარმატებას მეტწილად უნდა ვუმადლოდე ლაზარევისა, რომელსაც ყოველ ჯერზე თავად მიჰყავდა მეხთუელები შეტევაზედ და ერთ-ერთი შეტევის დროს მას ცხენი მოუკლეს; ტინანოვს, რომელმაც ერთობ მოხერხებულად განაღაგა თავისი 4 ასეული და რომელმაც კარგად დამალა მეხთუელე მობინადრეთაგან შემდგარი 2 ასეული; აგრეთვე უნდა ვუმადლოდე შიხშა-ბეგს, ბალათურსა და ჰაიდარ-ბეგს, რომელმაც მედროშე განგმირა.

ამ მართლაც კარგი საქმის გარდა, მთელი ზაფხული ჩუენს საკორდონო ხაზზედ გვიწევდა მხოლოდ მცირე შეტაკებები არაკეთილმოსურნესთან. მთიელები ხშირად ჩნდებოდნენ დასახლ. ნუარის მიჯნის] შემოგარენში, სოფელ უბრში, ნიცაუკრში და სხვაგან, მაგრამ წარუმატებლად, ამგვარ მცდელობათაგან უფრო აღსანიშნავია ის, რომელიც განახორციელა პარტიამ, ათას კაცზედ მეტმან, ამა აგვისტოს 18^{მა}. ის წასხმას უპირებდა სოფ. უბრის ნახირსა, მაგრამ საშველად მოსული ალაღარბეგის მიერ უკან იქნა დაბრუნებული 4 კაცის დანაკარგითა მთიელთა მხრიდამ, რომელთა სხეულებიც ადგილზედ დარჩა. ყაზიყუმუხელებმან მოკლულის სახით და-

კარგეს ორი, დაჭრილის სახით ოთხი კაცი, დაჭრილი ჰყავთ შვიდი ცხენი.

გორნის მაჰალით დაბრუნებული ბატალიონებიდან ერთი ბატალიონი ჩირალის მახლობლად განვალაგე, ორი ბატალიონი მიუერთე ლენერალ სუსლოვსა გამაშის სიმაღლეებზედ, სადაც ისინი 20^h ივნისს მივიდნენ. რაკი იმ თვის ბოლოსთვის ქუთიშის სიმაღლეებზე ძალზედ შესამჩნევი გახდა ბალახის უკმარისობა და 29 ივლისს მიღებული იმ ცნობის გამო, რომ სალტაში დიდი შეკრება ეწყობა, პოლკოვნიკი ბრონევსკი დავტოვე ქუთიშის სიმაღლეებზედ ორი დაღესტნურის ბატალიონითა, 4^h სამთო ქვემეხითა და ცხენოსანთა 3 ასეულითა, დანარჩენი ჯარით 30^h ივლისს გავედი იქიდან, 31^h რიცხვში ჩაველ თურჩიდალში, სადაც მე მანამდე გადავაადგილე ლენერალი სუსლოვი და ავიყვანე რა მისგან კიდევ ორი ბატალიონი, განვაგრძე სვლა სალტისკენ. 1^ლ აგვისტოს დილით მე მივადექ ყუიადის შემოგარენსა და იქ შევიტყვე, რომ სალტასთან მიმდინარე შეკრება გუშინ საღამოს დაშლილიყო. 2^h აგვისტოს მე დავათვალიერე იქაური შემოგარენი და ყოველივე აღმოვაჩინე სრულებით მიგდებულს მდგომარეობაში, სალტის ნანგრევები დაფარულია მალაღის შამბითა და აბზინდითა, ადამიანის კუალიც კი არსადაა. – 3^h აგვისტოს დავბრუნდი თურჩიდალში. აქ ყოველივე წყნარად არის, ოღონდაც ხანდახან რამდენიმე ათეული მთიელი გამოჩნდება ხოლმე მეფურაუეების სიახლოვესა. ამინდი ჯერჯერობით მზიანია, მაგრამ იწყება სიცივეები, ასე რომ, მე, ალბათ, რაოდენიმე დღის შემდგომ იძულებული გავხდები, განვერიდო აქაურობასა, ლენერალ ვოლკოვს დავტოვებ გამაშის სიმაღლეებზედ 2^ლ ბატალიონითა, დავბრუნდები ქუთიშას, ან სულაც იმ ნაწილში, სადაც შესაძლებელი იქნება დაბინავება კვების შესაბამისად. –

ამაში მდგომარეობს ყოველივე, რის მოხსენებასაც თქუენის ბრწყინვალეებისათვის მივიჩნევ ვალდებულებად სამხედრო თვალსაზრისითა. რაც შეეხება მხარის შინამდგომარეობასა, აქ გუბდენელები ზაფხულის პირველს ნახევარში განაგრძობდნენ აშკარა თავის არიდებას თუ არა შამხლის ბრძანებათაგან, მათი შესრულების გაჭიანურებას მაინცა. მე უხუცესები ვიხმე და ვესაუბრე მათი ქმედებების დანაშაულობრიობაზე. – ისინი განმიმარტავდნენ, რომ ინანიებენ თავიანთ უგუნურს საქციელსა, მაგრამ, ამასთანავე, გამოთქუეს სურვილი, რათა მათთან მამასახლისად დანიშნულიყო არა თვით იმათგანი, რამეთუ ისინი ერთმანეთს თანასწორებად თვლიან, არამედ უცხო პირთაგანი. ამის შესახებ მე მიმოწერა მქონდა შამხალ-

თან და ვთხოვდი მას, მათთან დაენიშნა ყაფლან-ბეკ გილეგი, ანდა სხვა საპატიო პირი მისი შეხედულებისამებრ. შამხალი თავისი ჩვეული სიზანტიითა და მერყეობით წარმოუდგენლად დიდხანს წელავდა ამ საქმესა და ბოლოს, თიბათვის დასასრულს, გუბდენელებს დაუნიშნა კაგერმან-ბეგ ბუინალელი, ხოლო ყარაბუდახკენტელებს დაუთ-ბეგი. ახლა ეს ორივე სოფელი ჯერჯერობით თვინიერია და გულმოდგინე.

თიბათვემი ცუდად იქცეოდნენ აგრეთვე ერპელები. უნიჭო აბდურახიმის (უღუბების ძმის) და სხვა პირთა ინტრიგებით მათ ჩაიფიქრეს გამოაცხადონ, რომ არ სურთ იყოლიონ თავიანთ მმართველად მუხუდინი, იგი აიძულეს წამოსულიყო შურასა და თავიანთ მმართველად აირჩიეს აბდურახიმი. ჩემის ბრძანებით პოლკოვნიკმან კიპინსკიმ დააპატიმრა აბდურახიმი და პეტროვსკიში გაგზავნა იგი; გარდა ამისა, მთავარ მოთავეთაგან 11 ერპელები კაცი ჩასმულია შურის ჰაუპტვახტში. წარმოებული გამოძიებით გახსნილ იქნა ამ საქმის არსი; ერპელები გონს მოეგნენ; ითხოვეს მუხუდინის უკან დაბრუნება და თავიანთი დანაშაულის გამოსწორების პირობა დადეს უფროსობის ბრძანებათა ზუსტი შესრულებითა. მუხუდინი კვლავ შეუდგა ერპელებს მმართველობასა, მაგრამ მე აუცილებლობად მივიჩნევ დაისაჯნენ აბდურახიმი და რამდენიმე კაცი მთავარ მოთავეთაგან. ამ საქმესთან დაკავშირებით, მე მოვითხოვ ზოგიერთ დამატებით განმარტებას და მაშინ მოვახსენებ ამის შესახებ მთავარსარდალს გადანყვეტილებისთვის, ვფიქრობ, რომ აბდურახიმი საცხოვრებლად დროებით უნდა განვარიდოთ კავკასიას და უსათუოდ მოგვიწვევს 3^{თვე} ერპელებლთაგანის გაგზავნა რუსეთში.

ყაითაღსა და ტაბასარანში განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა; მაგრამ იაგია ამ დროისთვისაც იქ იმყოფება 15-20 თანამოაზრესთან ერთად და მიურიდიზმს ქადაგებს. ტაბასარანიდამ დასტურდება წინარე რწმუნებანი, რომ ისინი აუცილებლად იხელმძღვანელებენ იმ დარიგებებითა, რაც თქვენმან ბრწყინვალეობამ გასცა წინა წელს, თუმცა ეჭვი არ არის, რომ მათ შორის არიან უგუნური თავზეხელაღებულნი, რომლებიც ლამობენ მღელვარების დათესვასა, თავადაც არ იციან რისთვის. დრო გვიჩვენებს, თუ რა მოცულობით აპირებს შამილი თავისი ადრინდელი ჩანაფიქრის განახლებას ტაბასარანსა და ყაითაღში და, თუკი ის აპირებს ძალის გამოყენებით იმოქმედოს იქ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ამას შემოდგომაზე გააკეთებს. შელიაგი კვლავ აღდგენილია.

უგადი სიურგელი, მაჰმედ-ყადი ამა თვის დასაწყისში მოკუდა და ახლა მე ვიძლევი მითითებას სხვა იქაური პატივისცემი პირის დანიშვნაზედ სიურგში.

უნჟუგატის განსახლება წარმატებით მიმდინარეობს. ალა-ლარბეგი ამ სოფელს განაახლებს წინა დასახლების ცოტა უფრო ზემოთ, ძალზე ძლიერ მაღლობზედ, რომელიც მან გაამაგრა 6^ლ კომკითა და ქვის კედლითა. ეს სოფელი კი არა, ციხესიმაგრეა, რომელშიც 200 ოჯახი იქნება შესახლებული; მეტი, საეჭვოა, დაეტიოს.

შიშით, რომ თქუენი ბრწყინვალება დავალე ჩემის ვრცელის თხრობითა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ დალესტანში, უმორჩილესად გთხოვთ, დარწმუნებული იყოთ, რომ მხოლოდ იმისთვის გადავწყვიტე თქუენი შენუხება ამ გრძელის პატაკითა, რომ მასში შეიძლება იყოს ამბები, რომლებიც აინტერესებს თქუენს ბრწყინვალებასა.

ამ წერილის დასრულებისას მე გავიხარე ამბით თავად ვარშავსკის მიერ თქუენის ბრწყინვალების კეთილგანწყობით მიღებითა და იმ ყოვლადმონყალბერივის ყურადღებითა, რითაც ხელმწიფე იმპერატორმან თქუენ გაგაბედნიერათ ბერლინსა. თქუენს ბრწყინვალებას, რა თქმა უნდა, ეჭვი არ ეპარება დიდს პატივისცემასა და გულწრფელის ერთგულების გრძნობებში, რომლებიც ადრიდანვე განმანყობენ თქუენდამი; და ამიტომ ეჭვიც ნუ შეგეპარებათ სულიერს ნუგეშში, რაიც მე მომანიჭა ცნობამ ესოდენ საამო მიღების შესახებ, რომელიც მისმა უდიდებულესობამ აღმოგიჩინათ თქუენ დამსახურებული ყურადღებით თქუენის სასახელო სამსახურისადმი კავკასიაში. ღთს ვვედრებ, რათა მან სრულად დაგიბრუნოთ თქუენ სიჯანსაღე მრავალის წლითა, რათა თქუენი ბრწყინვალება კვლავინდებური ძალებით დაბრუნდეს დალესტანში და რათა თქუენთვის მხარისა და ჯარის უკან გადმოცემისას მე ძალმედვას, ვიყო ღირსი თქუენის მონყალებისა, ჩემი დროებითი ყოფნისა გამო თქუენთვის მონდობილს მხარეში.

ულრმესის და უზენაესის პატივისცემითა და უცვლელის ერთგულებით პატივი მაქვს ვიყო

თქუენის ბრწყინვალების
მონამორჩილი
თ: გრიგოლ ორბელიანი

21 აგვისტო 1852 წლისა
ბანაკი თურჩიდალში.

ՅՈՒՆԻՔ ՅՄՐՈՆՅՄՅՈՆՏԱԸՅՈ #18 (256)

К[нязю] Воронцову. 30 августа 1852 года.
Лагерь на Турчидаге

Письмо Вашей Светлости от 13^{го} августа я имел честь получить на Турчидаге, куда я в первых числах августа продвинулся из Кутишинских высот, оставив там Полковника Броневского с 2^{мя} баталіонами. До сих пор непріятель ничего важнаго не предпринял противу нас, исключая вторженій воровских, небольших партій, из которых самая значительная была недавно вторгнувшаяся под командою Муртузалия, брата Кибит-Магомы, вблизи Казыкумыка и которая была разбита храбрым Агаларбеком и отброшена к Согратлю. Из Табасарани и Кайтага, на моё к ним воззваніе, я получил адресы с изъявленіем покорности; и в самом деле, пока всё смирно там, хотя Ягья и скрывается у них с небольшою партією беглецов. Губденцы также изъявили безусловную покорность, признав найбом над собою Прапорщика Кагермана – побочнаго сына Мехти Шамхала, и Шамхал, как выражается в письмах ко мне, уважив прозбу Нохбики, к посредничеству которой прибегли Губденцы, ещё раз простил им.

Сюргинскій Кадій недавно умер. Выбор достойнаго человека на его место довольно затруднителен и потому я с осторожностью приступаю к этому делу.

В Кюринском ханстве, в 50^{ми} вёрстах от Дербенда отыскан каменный уголь, несравненно лучшей доброты, чем в Кайтаге.

Я посетил развалины Салты и окрестныя разрушенныя деревни; там нигде не видно не только новых жилищ, но и следа человеческого. Всё покрылось густою травою глухой пустыни.

Недостаток здесь в дравах хорошо заменён кизяками, которые с большою ловкостью выделяются солдатами. Четыре дня достаточны для изготовленія и высушки их; и потому солдаты предпочитают кизяк торфу.

В продолженіе всего августа стояла здесь превосходная погода, и только в самый день прибытія отряда Турчидаг встретил со всею своею торжественностью; и дождь, и гром, и град, словом, ничего не пожалел для парадной встречи с нами.

В жизни моей теперь только я увидел в Августе месяце розы, только что распустившіяся; это было на вершине горы над Кудали. Неужели на этих горах весна начинается в Августе? Это явленіе так поразило меня, что я осмелился упомянуть об нём в письме к Вашей Светлости.

Завтра я поеду для осмотра Казыкумыкской линіи до Чирага и потом возвращусь в Акушу, где по слабому управленію Нурбааным много явилось беглецов и тайных приверженцев Шамиля.

Айдар бек и его товарищи возвратились весьма милостиво награждённыи Вашєю Светлостью; но все они заболели от Тифлисских жаров и остались в Джунгутае.

მიხეილ შორენცოვისადმი #18 (256)

კ[ნიაზს] ვორონცოვსა. 1852 წლის 30^ა აგვისტოს.
ლაგერი თურჩიდალსა

პატივი მქონდა მიმელო 13^ა აგვისტოს წერილი თქვენის ბრწყინვალეებისა თურჩიდალს, საითაც მე აგვისტოს პირველს რიცხვებში წავინიე ქუთაისის მალღობებიდამ, სადაც დავტოვე პოლკოვნიკი ბრონევსკი 2^ა ბატალიონითა. არაკეთილმოსურნეს აქამომდე არცა რა მოუმოქმედებია ჩუენს წინააღმდეგ, თუკი არ ჩავთვლით მცირე, ქურდული პარტიების შემოჭრასა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, ამასწინათ ყაზიყუმუხის მახლობლად რომ შემოიჭრა ყიბიტ-მაჰმადის ძმის მურთუხალის მეთაურობითა და რომელიც მამაცი ალაღარბეგის მიერ იქნა განადგურებული და უკუგდებული სოღრატლისკენა. ჩემს მიმართვაზედ მათდამი, ტაბასარანიდამ და ყაითალიდამ ადრესები მივიღე მორჩილების დასტურითა; და, მართლაც, იქ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა, თუმცა სწორედ მათთან იმალება იაგია ყაჩაღთა მცირე პარტიითა. გუბდე-

ნელგმაც დაადასტურეს აგრეთვე უსიტყვო მორჩილება და თავის ნიბად აღიარეს პროპორშიკი კაგერმანი – მეხთულის შამხალის უკანონო ვაჟი, და შამხალმა, როგორც ჩემდამი წერილებში ჰბრძანებს, გაითვალისწინა რა ნობზიქეს თხოვნა, რომლის შუამდგომლობასაც მიჰმართეს გუბდენელებმა, კიდევ ერთხელ მიუტევა მათ.

სიურგელი ყადი ამასწინათ გარდაიცვალა. ღირსეული კაცის არჩევა მის ადგილზედ საკმაოდ ძნელია და ამიტომ სიფრთხილით ვინყებ მიდგომას ამ საქმისადმი.

ქურის სახანოში, დერბენდიდამ 50^h ვერსზედ, ნაპოვნია ქვანახშირი, შეუდარებლად მეტი სიკეთისა, ვინემ ყითალსა.

მე მოვინახულე სალტის ნანგრევები და მიმდებარე გაჩანაგებული სოფლები; იქ არსად ჰსჩანს არა თუ ახალი საცხოვრებელი, არამედ არცა კუალი კაცისა. ყოველივე დაფარულა ყრუ უდაბნოს ხშირის ბალახითა.

შემის ნაკლებობა აქ კარგად შეუცვლიათ პატივითა, რომელსაც დიდის ოსტატობით ამზადებენ სალდათები. ოთხი დღე საკმარისია მისი დამზადებისა და გაშრობისათვის; და ამიტომ სალდათები პატივს ამჯობინებენ ტორფსა.

მთელი აგვისტოს განმავლობაში შესანიშნავი ამინდი იდგა აქა. და მხოლოდ ოტრიადის მოსვლის დღესლა შემოგვეგება თურჩიდალი მთელი თავისის ზარზეიმითა: წვიმაცა, ქუხილიცა, სეტყუაცა, მოკლედ, არა რა დაინანა ჩუენთან საალღუმო დახვედრისათვის.

ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ახლა ვიხილე აგვისტოს თვეში ვარდნი, ეს-ესაა გაფურჩქუნული; ეს იყო მთის მწვერვალზე, კუდალის თავზედ. ნუთუ ამ მთებზედ აგვისტოში იწყება გაზაფხული? ამ მოვლენამ იმდენად გამაოგნა, რომ გავბედე წიგნში თქუენის ბრწყინალებისადმი სიტყუა შემენია მისთვის.

ხვალ გავემგზავრები ყაზიყუმუხის ლინიის დასათვალიერებლად ჩირალამდინ და შემდეგ დავბრუნდები აყუშაში, სადაც ნურბაანის სუსტი მმართველობის გამო ბევრი ყაჩალი და შამილის ფარული მომხრე გამოჩნდა.

ჰაიდარ ბეგი და მისნი ამხანაგნი დაბრუნდნენ ერთობ მოწყალებედ დაჯილდოებულნი თქუენის ბრწყინვალების მიერ; მაგრამ ისინი ყველანი ავად შეიქნენ თბილისის სიცხეებისგანა და დარჩნენ ჯუნგუთაისა.

მიხილ ვორონცოვისადმი #19 (257)

К[нязю] Воронцову. 8 сентяб[ря] 1852 года.

Лагерь Дузмейдан в Акуше

Два письма Вашей Светлости от 23 и 29 августа я имел честь получить на Турчидаге 4^{го} сентября. Успешныя действия отряда К[нязя] Барятинскаго в Большой Чечне и в особенности приезд Вашей Светлости в те места сильно встревожили Шамя, который, собрав значительныя скопища, поспешил на помощь Чеченцам. Здесь пока всё мирно и покойно; Даже в Табасаране и Кайтаге, откуда я часто получаю письма, ничего особеннаго не замечается, исключая иногда небольшой воровской шайки.

6^{го} сентября я передвинулся с частью отряда из Турчидага в Акушу, оставив на высотах Гамаши Генерал-майора Волкова с 2^{ми} батал[іонами] пехоты и 4^{ми} горными орудіями и 4^{ми} сотнями кавалеріи; а в самом Казыкумыке расположил 2^а батал[іона] с 2^{ми} горными орудіями и пешею ракетною командою. В случае надобности эти баталіоны могут быть соединены менее нежели 3^и часа времени. В Чираге же стоит один баталіон для наблюденія дороги, идущей через Кукмидаг в Табасарань. В таком положеніи останутся войска до наступленія холодов. Здесь же на Дузмейдане я останусь два дня, чтоб в собраніи всех здешних старшин внушить им энергическія меры для единодушнаго их возстанія и истребленія появляющихся здесь часто Абраков и чтоб придать Кадію Нурбаану более силы и воли в его действиях. Он очень слаб характером и нерешителен. Отсюда перейду в Губдень, куда к назначенному времени, по моему приглашенію, должен приехать и Шамхал, чтоб прочнее возстановить порядок в этой деревне. Хоть Губденцы недавно явились с раскаяніем ко мне и Шамхалу, но не совсем доверяя им, я иду к ним, чтоб ближе познакомится с ними.

В Шуре, в теченіи лета число больных было самое незначительное: едва превышало 300; но август месяц взял своё, и теперь, к сожаленію, возрасло до тысячи. При этом не могу без скорби вспомнить о молодом, прекрасном офицере Генеральнаго штаба Горецком, котораго недавно постигла внезапная смерть. Он долго страдал лихорадочными припадками, а пред своею кончиною – расстройством умственных способностей.

В Петровское укрепленіе уже прибыло несколько суден с комисариатскими вещами, приёмку которых начал Графскій полк. От этого огромныя экономическія выгоды, без сомненія, вскоре выкажутся.

Штаб-Доктор Попов молодецки прискакал на Турчидаг и поехал в Ахты, откуда чрез Гусарки, Дербет и Дишлагар прибудет опять в Шуру и отправится на левый фланг.

Посторойки башень в Шуре окончились. Оне не только сильно обороняют, но и очень украшают Шуру.

Благодареніе Богу! в этой части Дагестана везде отличный урожай хлеба.

Не могу не хвалиться службою Полковника Агаларбека: его удивительная деятельность, храбрость, строгій порядок, введённый им в внутреннем управленіи краем притягивает к нему народ. Агаларбек имеет неперемнное намереніе возобновить, как Унжугаты, все разрушенныя деревни вблизи Казыкумыка. Это было бы чрезвычайно благотельно для этого края, теперь очень стеснённаго.

მიხეილ ვორონცოვისადმი #19 (257)

კ[ნიაზს] ვორონცოვსა. 1852 წლის 8 სექტემბ[ერსა].
დუზმეიდნის ლაგერი აყუშაში

პატივი მქონდა, თქუენის ბრწყინვალეების 23 და 29 აგვისტოს ორი წერილი მიმელო თურჩიდალში სექტემბრის 4^{სა}. კ[ნიაზ] ბარიატინსკის ოტრიადის წარმატებულმა მოქმედებამ დიდს ჩეჩნეთში და განსაკუთრებით თქუენის ბრწყინვალეების იმ ადგილებში ჩამობრძანებამ ძალზედ ააფორიაქა შამილა, რომელმაც შეჰკრიბა მნიშვნელოვანი ბრბო და ჩეჩნების დასახმარებლად გასწია. აქ ჯერჯერობით ყველაფერი მშვიდად და წყნარადაა; ტაბასარანსა და ყაითალშიც კი, საიდამაც ხშირად ვიღებ წერილებს, არაფერი განსაკუთრებული არ შეიმჩნევა, თუკი არ ჩავთვლით მცირე ქურდულს შაიკას დროგამოშვებითა.

6^{სა} სექტემბერს ოტრიადის ნაწილთან ერთად წარვედ თურჩიდალიდამ აყუშაში, გამაშის სიმაღლეებზე დავტოვე ლენერალ-მაიორი ვოლკოვი 2^{სა} ქვეითის ბატალ[იონით] 4^{სა} სამთო ორუდიითა და კავალერიის 4^{სა} ასეულითა; ხოლო შიგ ყაზიყუმუხში განვალაგე 2 ბატალ[იონი] 2^{სა} სამთო ორუდიითა და ქვეითი სარაკეტო კომანდითა. საჭიროების შემთხვევაში ეს ბატალიონები შეიძლება შეერთებულ იქნენ 3 საათზედ ნაკლებს დროში. ჩირალში კი სდგას ერთი ბატალიონი ყუყმიდალის გავლით ტაბასარანს მიმავალი გზის სათვალთვალოდ. ესრეთს მდგომარეობაში დარჩებიან ჯარები სიცივეების დადგომამდინ. აქვე დავრჩები დუზმეიდანს ორს დღესა, რათა ყველა აქაური უხუცესის შეკრებაზედ ენერგიული ზომები შთაფუნერგო მათ ერთსულოვანის წინააღმდეგობის გასანევად და აქ ხშირად გამოჩენილი აბრაკების გასანადგურებლად და რათა მეტი ძალა და ნება შევსძინო ყადი ნურბანს მის მოქმედებებში. ის ძალზედ სუსტია ბუნებით და გაუბედავი. აქედამ გადავალ გუბდენს, სადაც დანიშნულის დროისთვის, ჩემის დაპატიუებით, უნდა მოვიდეს შამხალიც, რათა უფრო საიმედოდ აღსდგეს წესრიგი ამ სოფელში. თუმცა გუბდენელები ამასწინათ ჩემთან და შამხალთან გამოცხადდნენ მონანიებითა, მაგრამ არცთუ ბოლომდე ვენდობი მათ და მივდივარ მათთან, რათა უფრო ახლოს გავიცნო ისინი.

შურაში ზაფხულის განმავლობაში ავადმყოფთა რიცხვი ყველაზე უმნიშვნელო იყო: ძლივს აღემატებოდა 300^{სა}; მაგრამ აგვისტოს თუემ თავისი გაიტანა და ახლა, სამწუხაროდ, ათასამდე გაი-

ზარდა. ამასთანავე, არ შემძლია მწუხარების გარეშე გავიხსენო ღენერალური შტაბის ახალგაზრდა, მშვენიერი ოფიცერი გორეცკი, რომელსაც მოულოდნელი სიკუდილი ენია ახლახანს. ის დიდხანს იტანჯებოდა ციების შეტევებით, ხოლო თავისი სიკუდილის წინ – გონებრივი უნარის მოშლილობითა.

პეტროვსკის უკრებლენიეში უკვე ჩამოვიდა რამდენიმე გემი კომისარიატის ბარგით, რომლის მიღებაც დაიწყო სალრაჰო პოლკმან. აქედამ უზარმაზარი ეკონომიკური სარგებელი, ეჭვი არაა, მალე გამოჩნდება.

შტაბ-დოხტორი პოპოვი ვაჟკაცურად მოიჭრა თურჩიდალსა და გაემართა ახტასა, საიდანაც გუსარკის, დერბეტისა და დიშლაგარის გავლით ისევ შურას ჩავა და გაემართება მარცხენა ფლანგზედ.

კოშკების მშენებლობა შურაში დასრულდა. ისინი არა მხოლოდ კარგად იცავენ, არამედ ძალქედ ჰმოსავენ შურასა.

მადლი ღმერთსა! დაღესტნის ამ ნაწილში ყოველგან შესანიშნავი მოსავალია პურისა.

არ ძალმიძს თავი არ მოვიწონო პოლკოვნიკ ალაღარბეგის მსახურებითა; მისი გასაოცარი სიბეჯითე, სიმამაცე, მკაცრი წესრიგი, მის მიერ მხარის შინაგანს მმართველობაში შემოღებული, მისდამი განწყობს ხალხსა. ალაღარბეგს გააჩნია უეჭველი ზრახვა, ყველა დანგრეული სოფელი, უნუჟგატის მსგავსად, აღადგინოს ყაზიყუმუხის სიახლოვესა. ეს იქნებოდა ერთობ კეთილშობილური რამ ან უკვე ძალზედ შევიწროებული ამ მხარისათვის.

მიხეილ ვორონცოვისადმი #20 (258)

К[нязю] Воронцову. 19 Сентяб[ря] 1852 года. Шура.

Отправив к Вашей Светлости курьера с донесением из Дуз-Мейдана, я оставался там ещё три дня, собрав Кадиев и Старшин со всей Акуши; я приказал им принять решительные меры против вторжений Абраков, которые пользуясь родственными связями, находят в самой Акуше не убежище, а тайное содействие в разбоях и грабежах, распространяя в то же время слухи о силе и могуществе Шамиля. Собрание Кадиев и

Старшин признало всегдашним законом против Абраков несколько моих предложений, из коих самые главные: 1). Кто из Акушинцев решится бежать к неприятелю, оставив дом своих предков, родину и этим разрывая все родственные связи, тот считается врагом Божиим и людей; 2). Дом того человека тотчас разрушается, оставшее имение поступает в пользу Кадиев и общества, а жена и дети изгоняются к мужу в горы; 3). Такому же наказанию подвергается и тот, кто окажет Абраку какое-либо содействие, или скроет его от наших преследований; 4). Разрушение Абракских домов начат в самой Акуше с бежавших родственников Кадия Нурбаана, как главного лица; 5). Кто не выйдет на тревогу, с того в первый раз взыскивается в пользу общества один бык, а потом и более, и несколько других подобных пунктов, относящихся более единодушному возстанію Акушинцев против Абраков, принято собраніем с большой готовностью.

Из Дуз-Мейдана я перешёл в Губдень, жители которой встретили меня с изъявленіем почтительной покорности. Деревня эта есть лучшая из всех мною выденных в Дагестане по красоте, богатству и обширности: в кой считается более 1000 дворов жителей. Простояв здесь три дня вместе с Шамхалом, чтоб прочнее водворить порядок в этой деревне, я возвратился в Шуру, направив баталіоны Самурскаго полка в Дишлагар. Остальная же часть отряда расположена: между Аймаки и Кутиши два батал[іона] с 4^{мя} горными орудіями и сотнею Дагестанских всадников; и между Джунгутаем и Арказом две роты Дагестан[скаго] полка с 2^{мя} горн[ыми] оруд[іями], Дивизион Драгун с конно-ракетными командами, 1^{1/2} роты стрелков и команда Сапёр[ов]. Здоровый климат, изобиліе фуража и опасеніе рано ввести войска в Шуру, где всё ещё продолжаются лихорадки, заставили меня избрать это место для лагеря, которое в тоже время прикрывает собою оба джунгутая и казанище от внезапных вторженій хищнических партій.

безпрерывныя, неотступныя прозъбы Цудахарцев вынудили меня расположить в самой деревне, до наступления холодов, две роты Графскаго полка для охраны ея.

Без глубокой скорби не могу доложить Вашей Светлости о несчастном случае, постигшем команду линейнаго №15 баталіона, которая в числе 1^{го} Унт[ерофицера] и 20 рядовых шла из Мятлинской башни в Чирюрт за провизією и на дороге вся команда погибла от нападений хищников, т[о] е[сть] убиты 9^{ти}, а 12, вероятно, взяты в плен. По этому делу, в котором не видно ни благоразумія начальника, выславшаго эту команду, ни храброй защиты самой команды, производится следствие в самом строжайшем смысле; тем более, что почти в тоже время на Худумбаше команда линейнаго №13 батал[іона], состоявшая из 15^{ти} человек, потеряв при самом начале нападения огромной партіи, Унтерофицера и двух солдат, остальные 12^{ти}, не потеряв присутствія духа, сомкнулись с замечательным хладнокровіем и неустрашимостью и отстреливаясь, отступили в стройном порядке и не потеряв ни одного человека, успели соединиться с высланными из редута людьми.

В настоящее время вниманіе Шамиля обращено более на Чечню; в Дагестане же пока нет особенно важных приготовлений для серьёзнаго вторженія в наши границы, но говорят, будто после Байрама, который уже прошёл, Шамиль будет иметь большое совещаніе в Телетли.

მიხეილ ვორონცოვისადმი #20 (258)

კ[ნიაზს] ვორონცოვსა. 19 სექტემბ[ერი] 1852 წელი. შურით

თქვენს ბრწყინვალეობასთან დუზ-მეიდნიდამ კურიერის გამოგზავნის მერე ცნობითურთ იქ დავრჩი კიდეც სამს დღესა და შვე-ჰკრიბე ყადიები და სტარშინები მთელი აყუშიდამა; მე მათ ვუბრძანე, გადამწყვეტი ზომები მიეღოთ აბრაგთა შემოჭრების წინააღმდეგ, რომლებიც სარგებლობენ ნათესაური კავშირებითა და თვით

აყუშაში ჰპოვებენ არა თავშესაფარს, არამედ ფარულს დახმარებას ყაჩაღობასა და ძარცვაში და იმავდროულად აგდებენ ხმებს შამილის ძალასა და ძლიერებაზედ. ყადიებისა და უხუცესების კრებამ ურყევ კანონად ჰსცნო ჩემი რამდენიმე წინადადება, რომელთაგან ყველაზე მთავარია: 1). ვინც აყუშელთაგან გადასწყვეტს მტრის მხარეს გადასვლას თვისის წინაპრების სახლის, სამშობლოს მიტოვებით და ამით ყველა ნათესაურ კავშირს გასწყვეტს, იგი ჩაითვლება ლ'თისა და ხალხის მტრად; 2). ასეთი კაცის სახლი იმავ ნუთში დაინგრევა, დარჩენილი მამული სარგებლობაში გადაეცემა ყადიებსა და საზოგადოებას, ხოლო ცოლი შვილებთან ერთად მთაში განიდევნება ქმართან; 3). ასეთივე სასჯელი ეწევა მას, ვინც აბრაგს გაუწევს როგორსამე დახმარებასა, ან დაიფარავს მას ჩვენის დევნისაგან; 4). თვით აყუშაში დაწყებული აბრაგთა სახლების ნგრევა ყადია ნურბაანის, როგორც მთავარი პირის, გაქცეული ნათესავებისაგან; 5). ვინც არ გამოვა განგაშზედ, მას საზოგადოების სასარგებლოდ თავდაპირველად ჩამოერთმევა ერთი ხარი, ხოლო მერე მეტიცა, და რაოდენიმე სხვა ამგუარი პუნქტი, რომელიც ეხება აყუშელების უფრო ერთსულოვანს აღზევებას აბრაგთა წინააღმდეგ, დიდის მზაობითაა მიღებული კრების მიერ.

დუზ-მეიდნიდამ მე გადაველ კუბდენსა, რომლის ბინადარნიც დამხვდნენ მონინებულის მორჩილების გამოხატვითა. დალესტანში ჩემს მიერ ნანახ ყველა სოფელს შორის ეს სოფელი საუკეთესოა სილამაზითა, სიმდიდრითა და სივრცითა: მასში ითვლება ბინადართა 1000 კომლამდინ. შამხალთან ერთად აქ სამს დღეს გაჩერებული, რათა უფრო მყარად დამემკვიდრებინა ნესრიგი ამ სოფელში, დავბრუნდი შურას და სამურის პოლკის ბატალიონები გავჰგზავნე დიშლაგარსა. ხოლო ოტრიადის დანარჩენი ნაწილი განლაგებულია: აი-მაკსა და ქუთიშას შორის ორი ბატალ[იონი] 4^{აბ} სამთო ორუდიითა და დალესტნელ მხედართა ასეულითა; და ჯუნგუთასა და არქაზს შორის დალესტ[ნის] პოლკის ორი ასეული 2 სამ[თო] ორუდ[იითა], დრაგუნთა დივიზიონი ცხენოსანთა სარაკეტო კომანდებით, მსროლელთა 1^{1/2} ასეული და საპიორ[თა] კომანდა. ჯანსალმა კლიმატმა, ფურაჟის სიუხვემ და სიფრთხილემ – ნადრევი არ იყოს ჯარის შეყვანა შურას, სადაც ჯერაც გრძელდება ციებ-ცხელება – მაიძულა ეს ალაგი შემერჩია ლაგერისთვისა, რომელიც თავისი მდებარეობით იმავდროულად მტაცებელთა პარტიების უეცარი შემოჭრებისგან იცავს ორივეს – ჯუნგუთასა და ყაზანიშჩესა.

წუდახარელთა უწყვეტმა, დაჟინებულმა მუდარამ მაიძულა, სიცივეების დადგომამდის შიგ სოფელში ორი საღრაფო პოლკი განმეთავსებინა მის დასაცავად.

არ ძალმიძს ღრმა მწუხარების გარეშე მოვახსენო თქვენს ბრწყინვალეებას უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც თავს დაატყდა №15 ლინიის ბატალიონის კომანდას, 1^{სს} უნტეროფიცრისა და 20 რიგითის ოდენობით რომ მიდიოდა პროვიზიანზედ მიატლის კოშკიდან ჩირიურთსა და გზად მთელი კომანდა დაილუპა მტაცებელთა თავდასმხმისა გამოისობით, ანუ მოკლულია 9, ხოლო 12, სავარაუდოდ, აყვანილია ტყუედა. ამ საქმეზედ, რომელშიც არა ჰსჩანს არცა კომანდის გამგზავნი ნაჩალნიკის კეთილგონიერება, არცა თავად კომანდის მამაცური თავდაცვა, წარმოებს გამოძიება უმკაცრესის გაგებითა; მით უმეტეს, რომ თითქმის იმავდროულად, როგორც კი თავდასხმა იწყო მრავალრიცხოვანმა პარტიამ, 15 კაცისგან შემდგარმა №13 ლინიის ბატალ[იონის] კომანდამ ხუდუმბაშზედ დაჰკარგა უნტეროფიცერი და ორი სალდათი, ხოლო დანარჩენი 12^ა, მხნეობის დაუკარგავად, შესანიშნავის გულგრილობითა და შეუპოვრობით დადგა მიჯრით და სროლით, სრულის სიმწყობრით დაიხია უკან და ერთი კაცის დაუკარგავად მოასწრო, შეერთებოდა რედუტიდან გამოგზავნილ ხალხსა.

ამჟამად შამილის ყურადღება უფრორე ჩეჩნეთზედ არის მიპყრობილი; ხოლო დაღესტანში ჯერჯერობით არა ჰსჩანს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მზადება სერიოზული შემოჭრისათვის ჩუენს საზღვრებში, მაგრამ ამბობენ, თითქოს ბაირამის მერე, რომელმაც უკვე ჩაიარა, შამილს დიდი თათბირი ექნება ტელეტლოსა.

ქეთევან ორბელიანისადმი #51 (259)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! მომირთმევია თქვენი პეტრე მენგრელი, რომელიცა აპირებს ცოლის შერთვას, და მისთვის მიბძანდება მენგრელიაში. – ახლა თქვენ იცით, როგორც შეეწევით.

თქვენი ამბავი სულ წვრილად შევიტყე: როგორც ნაბძანებულხართ ალავერდს სოფიოსთან ერთად, მითომ სალოცავად, მაგრამ ხალხი კი სხუა მიზეზს ამბობენ; როგორც შექცე-

ულხართ, როგორც ღამე გითევიათ და სხუანი და სხუანი. – ამის ანგარიშს მერე მოგთხოვთ.

ღონენა ალექსანდრე აქა ბძანდება და ძალიან ჯავრობს, რატომ ივანე წიგნს არა მწერსო. – ჩემს ბიძია ალექსანდრეს დიდად და დიდად მოკითხვას მოვახსენებ. – ვეშურები წერასა. მშვიდობით, ლ^ათსა¹ ვჰსთხოვ თქვენს ხილვას. თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

2^ა ოკდობ: 1852.
შურით.²

მიხეილ ვორონცოვისადმი #21 (260)

К[нязю] Воронцову. 5^{го} Октяб[ря] 1852 года
Т[емир]Х[ан]Шура

Письмо Вашей светлости от 18 Сентяб[ря] я имел честь получить с курьером. После донесения мною к Вашей Светлости от 19 Сент[ября] ничего особенного не произошло в Дагестане. Войска расположены на тех же местах, потому что в горах погода стоит до сих пор необыкновенно тёплая.

Успешныя действия наших войск в Чечне сильно встревожило Шамиля; он собрал огромныя толпы и поспешно укрепляет какую-то площадь около Дарго.

К разработке дороги в Табасарани и Кайтаге я не приступал в нынешнем году, потому что я не так ещё хорошо знаком с этим народом, а главное, я полагаю, для этого потребовалось бы отделить туда часть отряда, чего я не мог сделать в продолжении лета. Этот вопрос слишком щекотлив для Табасаранцев и потому я думаю решить его в Дербенде.

Недавно я ездил в Талгинское ущелье, отстоящее от Петровскаго укрепления на 16 вёрст, от Шуры же не далее 30^{ми}. Здесь находятся минеральныя воды, сернощелочныя горячія и

холодные. Это не источник, но течёт целая река. В версте от Петровскаго же находятся крымскія грязи и там же морское купанье. Сколькo пользы принесли бы нашим войскам и всему краю эти целебные воды, если устроить там, хоть на лето, временное помещеніе, вместо того, чтобы посылать отсюда больных военных чинов в Пятигорск. Две роты весьма были бы достаточны для прикрытія этого места, где пролегает большая дорога, по которой и теперь жители, для сохраненія пути, возят провіант из Петровскаго в Казыкумык.

С чувством глубочайшей скорби доношу Вашей Светлости, что на именіе К[нязей] Орбеліановых вновь учинено притязаніе со стороны казны. Земля под именем Агрикари есть хорошее именіе нашей фамиліи, до сих пор неприкосновенное никем, неоспориваемое, и не десятки лет, но века прошли, как оно находится во владеніи нашем. Татары, Тушины, Хевсурь, словом, кто только имеет несколько сот баранов, знают это именіе, потому что предки их и они сами платили и теперь платят нам за пастбу, называемую Сабалахо. Но теперь брат мой Илья пишет, что вдруг землемер был послан отмеревать эту землю в казну, и поэтому он ездил туда, чтоб остановить мереваніе до возвращенія Вашей Светлости.

Что мне сказать против этой вопиющей несправедливости, в действительности которой я не могу увериться до сих пор? Неужели мы стоим ниже Агаларов, которым, по великодушному ходатайству Вашей Светлости, дарованы права Государём Императором. Неужели Агалары должны владеть именіями, а Князя Орбеліани ходить с сумою нищеты и за чтож?

Ваша Светлость! одно только справедливое заступничество Ваше может спасти нашу фамилію от конечнаго разоренія – и без того уже разорившуюся – от несправедливых притязаній людей, которых в настоящем случае руководит злоба и зависть к нашей фамиліи.

მიხეილ შორონცოვისადმი #21 (260)

კ[ნიაზს] ვორონცოვსა. 5^ს ოქტომბ[ერს] 1852 წელსა
თ[ემირ]ხ[ან]შურა

პატივი მქონდა, თქუენის ბრწყინვალეების 18 სექტემბ[რის] წიგნი მიმელო კურიერისგან. თქუენის ბრწყინვალეებისთვის ჩემი 19 სექტემბ[რის] მოხსენების შემდეგ დალესტანში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჯარები განლაგებულია იმავე ადგილებზედ, რადგან მთებში ამინდი აქამომდის უჩვეულოდ თბილია.

ჩეჩნეთში ჩუენის ჯარების წარმატებულმა მოქმედებამ შამილი ძალზედ შეაშფოთა; მან შეჰკრიბა უზარმაზარი ბრბოები და საჩქაროდ ამაგრებს რაღაც მოედანს დარლოს მახლობლად.

ტაბასარანსა და ყაითალში გზის დამუშავებას წელს არ შევდგომივარ, რადგან ჯერ ესრეთ კარგად არ ვიცნობ ამ ხალხსა, და, რაც მთავარია, ვჰგონებ, ამისთვის საჭირო იქნებოდა ოტრიადის ნაწილის გამოყოფა იქ, რისი გაკეთებაც მე არ შემეძლო ზაფხულის მანძილზედ. ეს საკითხი მეტად ფაქიზია ტაბასარანელთათვის და ამიტომ ვჰფიქრობ, დერბენდს გადავწყვიტო იგი.

ახლახანს ვიყავ თალგის ხეობაში, რომელიც პეტროვსკის სიმაგრეიდან 16 ვერსზედაა დაშორებული, ხოლო შურიდან არა უმეტეს 30^{მსა}. აქ არის მინერალური გოგირდტუტოვანი ცხელი და ცივი წყლები. ეს წყაროც არ არის, არამედ მთელი მდინარე მოედინება. ხოლო პეტროვსკიდან ვერსზედ მდებარეობს ყირიმის ტალახები და იქვე ზღვის აბაზანები. რამდენს სარგებლობას მოუტანდა ჩუენს ჯარებსა და მთელს მხარეს ეს სამკურნალო წყლები, თუკი იქ, თუნდაც საზაფხულოდ, მოეწყობოდა დროებითი ნაგებობები, ნაცვლად იმისა, რომ აქედამ სამხედრო ავადმყოფი ჩინები იგზავნებოდნენ პიატიგორსკსა. ორი როტა საკმარისი იქნებოდა ამ მხარის დასაცავად, სადაც გადის დიდი გზა, რომელზედაც გზის შესანარჩუნებლად ბინადარნი ამჟამადაც ეზიდებიან პროვიანტს პეტროვსკიდან ყაზიყუმუსსა.

ულრმესის მწუხარებით ვაცნობებ თქუენს ბრწყინვალეებას, რომ კ[ნიაზ] ორბელიანოვთა მამულზედ კვლავ განცხადდა უფლება ხაზინის მხრიდან. აგრიკარად წოდებული მინა ჩუენის საგვარეულოს კარგი მამულია, აქამომდის ყველასგან ხელუხლებელი, უცილობელი და არა ათწლეულები, არამედ საუკუნეებია გასული, რაც ის ჩუენს მფლობელობაშია. თათრებმან, თუშებმან, ხევსურებმან,

ერთის სიტყვით, ვისაც კი გააჩნია რამდენიმე ასეული ცხვარი, იციან ეს მამული, რადგან მათი წინაპრები და თავად ისინი გვიხდიდნენ და კვლავაც გვიხდიან საძოვრისთვისა, რომელსაც საბალახო ჰქვია. მაგრამ ეხლა ჩემი ძმა ილია მწერს, რომ უცებ გამოგზავნილ იქნა მიწის ამზომი ამ მიწის მისაზომად ხაზინისთვისა და ამიტომ ის იყო იქ, რათა აზომვა შეეჩერებინა თქვენის ბრწყინვალეობის დაბრუნებამდინ.

რა უნდა ვსთქვა ამ აღმამფოთებელი უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის სინამდვილაც აქამომდე არ ძალმიძს ვირწმუნო? ნუთუ ჩუენ ვსდგავართ ალაღარებზედ დაბლა, რომელთაც თქვენის ბრწყინვალეობის გულმონყალე შუამდგომლობით ებოძათ უფლებები ხელმწიფე იმპერატორისაგან. ნუთუ ალაღარები უნდა ჰფლობდნენ მამულებსა, ხოლო კნიაზ ორბელიანებმან მათხოვრის ჩანთით იარონ და რისი გულისთვის?

თქუენო ბრწყინვალებავ! მხოლოდ თქუენს სამართლიანს გამოსარჩლებას თუ ძალუძს დაიფაროს ჩუენი ისედაც უკვე დაქცეული გვარი საბოლოო დაქცევისაგან და ადამიანთა უსამართლო მოთხოვნათაგან, რომელთაც ამ შემთხვევაში ჰმართავს ღვარძლი და შური ჩუენის გვარისადმი.

ქეთევან ორბელიანისადმი #52 (261)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი ალავერდში წასვლა, მითომ სალოცავად – შევიტყვე, კარგად დანვრილებით შევიტყვე. მაგრამ ორნი სტარუხა ქვრივები, რომ ცხენებს მიაჭენებდით და მიეშურებოდით, მითომ ვინ უნდა გაგეხარებინათ თქვენის იქ მისვლითა, თქვენის ლოცვაში ტყუილის ოხრვითა და გულში ცემითა? – კარგი; ამის ანგარიშს, როცა მოვალ, მაშინ მოგთხოვ. –

ამა წერილითა მომირთმევია ძველად თქვენი კაკალა, ახლა დიდი ბეზირგანი, რომლისა ხელში ჰსტრიალებს ვაჭრობა ასტარხნისა, მაზანდარანისა და გილანისა; მარტო წლეულს მოუვიდა ჩვიდმეტის გემით საქონელი. – ეს ამბავი ისე ხელად, ლაპარაკში, გაუტარე ჩვენს დიდს ძიას ალექსანდრესა, რომელსაცა, ვიცი, ძალიან იამება. –

ჩვენი სანდროს წერილი ხომ არ მოგსვლიათ, და ანუ როგორ არის, და მიუღიათ? – მომწერეთ იმის ადრესი, მინდა მივსწერო. –

მეც ამ თვეში მოველი კნიაზ არლუთინსკისა, რომ წამოვიდე თქვენკენ. როგორც ამასწინად ისმოდა, ამ თვის გასულს უნდა მოვიდეს აქა ანგარიშით. – დიდის სიხარულით გამოვსწევ თქვენკენ, და ღთსა¹ ვჰსთხოვ, რომ მეღირსოს ხილვა თქვენი მშვიდობიანად და ბედნიერად.

თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

1852 ოქტომბრის² 13^ა დღესა.
შურიტ.³

იაკინთეს სიყვარულით მოვიკითხავ.

ილია ორბელიანისადმი #80 (262)

ჩემო ბატონო ილიავ იარანალო!

მოგილოცავ ჰელმწიფის წყალობასა. ეეე! ეგეც შენი ღენარლობა; ვნახოთ რა გამოვა მანდედამაც. – ჩემს საყვარელს იარანალშას სიყვარულით აკოცე და მიულოცე ჩემმაგიერ ჩინი. ახრ, მაგასაც შენთან ერთად მოუვიდა ჩინი და? – ნეტავი მეღიგონ რას იტყვის შენ ღენარლობაზედ? –

ეს ოთხი დღე იქნება, რა ცხენოსანი ლეკის ჯარი მოუხდა ყაზანიშჩელებსა და წაართვა საქონელი. ყაზანიშჩელები გამოუდგნენ თავის ცოლშვილებით, მოენივნენ, გადუჭრეს გზაცა, საქონელიც წაართვეს უკან და მასთან ერთად 32 ცხენიცა, 22 თოფი და 15 ხმალი; ამისგარდა 11^ა მოუკლეს და 4^ა ტყვედ დაიჭირეს, რომელთაშორის ერთიც ხუთასისთავია უნცუქულები ოსმანილაუ.¹ ესეც ასე მოხდა.

დიდის მოუთმენელობით მოველი კნიაზს არლუთინსკისა, და არ ვიცი კი როდის მოვა, – რომ გამოვსწიო შენსკენ კურირსავით. –

დღეს მეჯლიში მაქუს ახალ ლენარლებისათვის, სადაცა შენს სადღეგრძელოსაც დავლევთ. – მშვიდობით, ჩემო ილიკო, ფულებისათვის ნუ ჰზრუნავ, ლ~თი² მონყალეა და მწყალობელი ჩვენი; არ დაგვაგდებს ზურაბიანთა უნუგეშოდ. –

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

24^ა ოკდომ: 1852.

თემირხანშური[თ].³

ამ მინუტში მომივიდა მთავარმართველის წერილი, რომელშიაც სხუათაშორის მწერს ჩვენის მთის მამულების *отмежевание*-სათვის* რომ მითომ შენისა და კნეინას მანანას თხოვნითა *отмежевываютъ Тріалетскія пастбищныя места, чтобъ потомъ приступить къ разделу общаго имения в горах.*** – მეც შენის მონერილობითა მთავარმართველს შევსჩივლე უსამართლოებისათვის, და აი ანდრეევსკი რას იწერება. ახლა თქვენ იცით, და მეკი ვჰხედავ რომ შენ შემაცდინე. – ამ წიგნებს შენ გიგზავნი, წაიკითხე და გაშინჯე, და შემატყობინე.

*გამიჯვნისათვის.

**ორიალეთის საძოვარ მიდამოებს მიჯნავენ, რათა მერმე შეუდგნენ საერთო მამულის გაყოფას მთებში.

მისიონარული წერილები #22 (263)

28 Октября 1852 года. Т[емир]Х[ан]Шура
К[нязю] Воронцову

С чувством истинной радости имел честь поздравить Вашу Светлость с производством Князя Семёна Михайловича в Генералы и вместе принести глубочайшую благодарность за брата моего Илью.

Два письма Вашей Светлости из Алупки и Тамани имел честь получить 21 и 22 числа. Из моего донесения усмотреть изволите, что в продолжение второй половины Октября неприятель несколько раз пытался сильными партиями вторгнуться в наши границы. Так, 15^{го} числа значительныя скопища Горцев вторгнулись с двух сторон в Казыкумыкское Ханство, но разбитыя баталіоном Графскаго полка и храбрым Агалар-беком бежали в горы, потеряв 19^{ти} убитыми на месте сраженія. 19^{го} числа значительная партия Горцев под предводительством Салатаускаго Найба напала на Худомбаш; но меткій ружейный огонь, открытый с редута и появившійся в тоже время эскадрон Драгун заставили неприятеля броситься опроретью к Зубуту, успев зажечь сено, заготовленное для рот линейнаго №13 баталіона; почти в тоже время хищники отбили в окрестностях Дишлагара скот принадлежащій маркитанту Самурскаго полка; и хотя баталіон прямо с плаца, где учился, погнался за партией, преследуя 35 вёрст, но успел только отбить до 70 штук, остальная часть, т[о] е[сть] более 200 угната неприятелем. 20^{го} числа Найбы: Аварскій Албуру и Койсубулинскій Ибраим с двумя другими найбами отбили скот у Казанищев, но жители поддержанные с 4^{ми} баталіоном апшеронскаго полка, там расположенным, догнали неприятеля и не только возвратили свой скот, но убили 12 чело[век] Горцев, взяли в плен 4^х, в числе которых один пятисотенный, отняли 32 лошади, 22 ружья и 17 шашек. 24^{го} числа Найбы Хирагинскій и Куядинскій с 600 конной партии

отбили у Чоглинцев 500 баранов; но Майор Богданович, предупредомлённый о прорыве партіи, быстро двинулся из сел[енія] Кутиши с 3^{мя} ротами баталіона¹ Дагест[анскаго] полка и двумя горными орудіями, и прогнав небольшую конную партію, появившуюся на дороге, занял на горе позиціи, откуда расходятся дороги в Гергебиль и Хожалмаки. Между тем непріатель гнал баранов, не подозревая тут пагубной для себя встречи и очутился вдруг пред ротами, которыя приняв его метким оружейным огнём и картечью, загнали в котловину. Здесь произошло истребленіе этой партіи: 44 чел[овека] заколоты штыками, в числе их и Найб Муса Дибир; 15 убиты жителями, и здесь же убиты 35 лошадей; отбиты солдатами 3^н значка, из коих один найбскіи; более 70 лошадей и множество разнаго оружія достались солдатам и жителям; в плен взяты 14 человек; кроме того Аймакинцы, довольно позд[н]о вышедшие на тревогу, успели на Гергебильском спуске догнать непріателя и убить ещё 2^х челов[ек] и взять 4^х лошадей. Потеря наша в этом деле заключается в 1^м убитом рядовом от раны. Ранены: 1 Офицер, 5 нижних чинов и 7 жителей, и все кинжалами. Этот день долго будет памятен Горцам. Два серебрянные знака, из коих один найбскіи, представляю Вашей Светлости.

Дело о незаконной продаже торфа в Дербенде я поручил Подполк[овнику] Воронченко, котораго опытность и способность ручаются мне в том, что оно будет вполне раскрыто без всякаго пристрастія и окончено в скором времени.

Собранныя мною сведенія о чиновнике Штукине следующія: он человек умный, очень дельный и деловой и невзяточник; характера угрюмаго, настойчиваго нелюдим, мстителен и ведёт самую уединённую жизнь, чуждаясь общества и Русских, и Татар.

В деле 15^{го} Октября вблизи Казыкумыка непріатель в первый раз в Дагестане употребил противу нас ракеты. Из пущенных им ракет одна неразорванная доставлена ко мне, и по тщательному осмотру оказывается нашею. Я просил Полковника Давыдова предоставить её Вашей Светлости.

Пленные Горцы мне сказали, что Шамиль разослал некоторым Найбам по 60 таких ракет, но откуда оне достались ему, пленные не знали.

Маიორ Джомар[д]изе, командир конно-иррегулярнаго Дагестанскаго полка в начале нынешняго лета был сильно ранен кинжалом ворвавшимся к нему ночью в квартиру Горцами. От этой раны рука его осталась без всякаго владения. Отлично-усердная служба этого Штаб-офицера при прекрасной нравственности вынудили меня принять смелость и рапортом от 18 числа ходатайствовать у Вашей Светлости о особенно милостивом к нему внимани: чтоб эту его рану, отнявшую владение руки – хотя и не в сражении ему нанесённую, но всё однакож неприятелем, соединив с прежними им полученными ранами, причислить ко второму разряду на получение пенсии. Эта милость Вашей Светлости падёт на достойнейшаго Штаб-офицера.

Ея Светлости Княгине Елисавете Ксаверевной приношу истинно глубокое уважение.

მიხეილ შორენცოვისადმი #22 (263)

1852 წლის ოქტომბრის 28. თ[ემირ]ხ[ან]შურით
კ[ნიაზს] ვორონცოვსა

პატივი მქონდა, გულნრფელის სიხარულის გრძნობით მომელოცა თქუენის ბრწყინვალეებისათვის კნიაზ სიმონ მიხაილოვიჩისთვის ღენარლობის მიცემა და აქვე მომეხსენებინა უღრმესი მადლობა ჩემის ძმის ილიას გამო.

პატივი მქონდა, თქუენის ბრწყინვალეების ორი წიგნი ალუპკი-დამ და ტამანიდამ მიმელო 21^{სა} და 22^{სა} რიცხვებში. ჩემი მოხსენებ-დამ ინებეთ შეიტყოთ, რომ ოქტომბრის მეორე ნახევრის განმავლო-ბაში არაკეთილმოსურნე რამდენიმეჯერ ეცადა ჩუენს საზღვრებში შემოჭრილიყო მძლავრის პარტიებითა. ასე, 15^{სა} რიცხვში მთიელთა ანგარიშგასანევი ბრბოები ორის მხრიდამ შემოიჭრნენ ყაზიყუმუხის სახანოში, მაგრამ შეტაკების ადგილზე დაჰკარგეს 19 მოკლული და,

საღრაფო პოლკის ბატალიონისა და მამაცი ალაღარბეგის მიერ დაქსაქსულნი, გაიქცნენ მთებში. 19^ლ რიცხვში ხუდომბაშს დაეცა მთიელთა მნიშვნელოვანი პარტია სალათაუს ნაიბის წინამძღოლობითა; მაგრამ რედუტიდამ გახსნილმა ზუსტმა სათოფე ცეცხლმა და იმავე დროს გამოჩენილმა დრაგუნთა ესკადრონმა არაკეთილმოსურნე აიძულა ნაჩქარევად გაქცეულიყო ზუბუტისკენ, მას მერე, რაც მოასწრო ცეცხლისთვის მიეცა თივა, მომზადებული №13 ლინის ბატალიონის ასეულთათვისა; ლამის იმავე დროს მტაცებლებმა დიშლაგარის შემოგარენიდან წაასხეს სამურის პოლკის მარკიტანტის კუთვნილი პირუტყვი; და თუმცა ბატალიონი პირდაპირ პლაციდამ გაეკიდა პარტიასა, სდია 35 ვერსზედ, მაგრამ მხოლოდ 70 სულის წართმევადა მოახერხა. დანარჩენი ნაწილი, ანუ 200^{ზღ} მეტი არაკეთილმოსურნემ გაიტაცა. 20^ლ რიცხვში ნაიბებმა: ავარიელმა ალბურუმ და ყოისუბულელმა იბრაჰიმმა ორ სხვა ნაიბთან ერთად წაართვეს საქონელი ყაზანიშჩესთან, მაგრამ იქ დაბანაკებული აფშერონის 4 ბატალიონითა და ორის სხვის მხარდაჭერით, ბინადარნი დაენივნენ მტერსა და არა მარტო დაიბრუნეს თავიანთი საქონელი, არამედ მოჰკლეს 12 მთიელი კა[ცი], ტყუედ აღიყვანეს 4, რომელთა შორისაც ერთი მეჭუთასეა, წაართვეს 32 ცხენი, 22 თოფი და 17 ხრმალი. 24^ლ რიცხვში ხირაკისა და ყუიადის ნაიბებმა ცხენოსანთა 600^{აწი} პარტიით ჩოღლელებს 500 ცხუარი წაართვეს; მაგრამ პარტიის შემოჭრის შესახებ წინასწარ გაფრთხილებული მაიორი ბოგდანოვიჩი უმალ დაიძრა სოფ[ელ] ქუთიშიდამ დაღესტ[ნის] პოლკის ბატალიონის 3 როტითა და ორის სამთო ორუდიითა და გზაზედ გამოჩენილი ცხენოსანთა ორი მცირე პარტიის განდევნის შემდეგ დაიკავა პოზიციები მთაზედ, სადაც გზები იყრება გერგებლისაკენ და ხოჯალმაქისაკენ. ამასობაში მტერი ცხვარს მიერეკებოდა, რადგან არ ეჭვობდა ამ დროს მისთვის დამლუპველს შეხვედრასა და უცებ აღმოჩნდა პირისპირ იმ ასეულებისა, რომელთაც ზუსტი სათოფე ცეცხლითა და კარტეჩით მიიღეს იგი და ქვაბნარში მოიმწყვდიეს. აქ გაანადგურეს ეს პარტია: 44 კა[ცი] ხიშტებით დაიჭვრიტა, მათ შორის ნაიბი მუსა დიბირიცი; 15 მოკლულია მობინადრეების მიერ და აქვე მოკლულია 35 ცხენი; სალდათების მიერ წართმეულია სამი ალაში, რომელთაგან ერთი ნაიბისაა; 70^{ზღ} მეტი ცხენი და ბევრი სხვადასხვაგვარი იარაღი ჩაიგდეს ხელში სალდათებმა და მობინადრეებმან; ტყუედ აყვანილია 14 კაცი; გარდა ამისა, აიმაკელებმა, საკმაოდ გვიან გამოსულებმა განგაშზედ, მოასწრეს, მტერს დასწეოდნენ გერგებლის დაღმართზე და მოეკლათ კიდეც 2 კა[ცი] და წა-

ერთმიათ 4 ცხენი. ჩუენი დანაკარგი ამ საქმეში შეადგენს ქრილობისგან გარდაცვლილ 1^ა რიგითსა. დაჭრილნი არიან: 1 აფიცარი, 5 დაბალი ჩინი და 7 მობინადრე და ყველა ხანჯლებითა. ეს დღე დიდხანს დარჩება მთიელთა ხსოვნაში. ორს ვერცხლის ნიშანს, რომელთაგან ერთი ნაიბისაა, ნარვუდგენ თქუენს ბრწყინვალებასა.

ტორფის არაკანონიერი გაყიდვის საქმე დავავალე პოდპოლკ[ოვნიკ] ვორონჩენკოს, რომლის გამოცდილება და უნარიც მარნმუნებენ იმაში, რომ ის, რა თქმა უნდა, უახლოეს ხანებში გაიხსნება ყოველგვარის მიკერძოების გარეშე.

ჩემს მიერ ჩინოვნიკ შტუკინზედ შეგროვებული ცნობები შემდეგია: ის ჭკვიანი კაცია, ძალიან საქმიანი და არ იღებს ქრთამსა; პირქუშია, მტკიცე ხასიათისა, უკარება, შურისმაძიებელი და ენევა ფრიად განდეგილს ცხოვრებასა, ერიდება საზოგადოებას, რუსთაც და თათართაცა.

15^ა ოქტომბრის საქმეში ყაზიყუმუხის მახლობლად არაკეთილმოსურნემ დალესტანში პირველად გამოიყენა რაკეტები ჩუენს წინააღმდეგ. მათ მიერ ზარბაზნის ნასროლი რაკეტიდამ ერთი აუფეთქებული მოტანილია ჩემთან და გულმოდგინე დათვალიერების შემდეგ ჩუენი აღმოჩნდა. მე ვსთხოვე პოლკოვნიკ დავიდოვს, ეჩვენებინა იგი თქუენის ბრწყინვალებისათვის. მთიელმა ტყვეებმა მითხრეს, რომ შამილამ ზოგიერთ ნაიბს სათითაოდ 60 ესრეთი რაკეტა გაუგზავნა, მაგრამ საიდან ჩაუვარდა მას ისინი, ტყვეებმა არ იცოდნენ.

მაიორი ჯომარ[დიძე], დალესტნის ცხენოსანთა ირეგულარული პოლკის მეთაური, ამ ზაფხულის დასაწყისში ხანჯლით მძიმედ დასჭრეს მასთან ბინაში ღამე შეჭრილმა მთიელებმან. ამ ქრილობის გამო ის სრულიად ველარ ჰფლობს ხელსა. ამ შტაბ-აფიცრის შესანიშნავმა და გულმოდგინე მსახურებამ საქებარს სულიერებასთან ერთად მაიძულა, მეხმო გამბედაობისათვის და 18^ა რიცხვის რაპორტით თქუენის ბრწყინვალების წინაშე მეშუამდგომლა მისდამი განსაკუთრებულის ყურადღებისათვის: რათა მისი ეს ქრილობა, თუმც ბრძოლაში არა, მაგამ მაინც მტრის მიერ მიღებული, რომელმაც ხელი წართვა, მის წინა ქრილობებთან ერთად, ჩაითვალოს პენსიის მისაღებ მეორე კატეგორიადა. თქუენის ბრწყინვალების ეს მონყალება მიეგებება უღირსეულეს შტაბ-აფიცარსა.

მის ბრწყინვალებას ელიზავეტა ქსავერიევნას ვაახლებ ჩემს ჭეშმარიტად ღრმა პატივისცემასა.

მისჯილ უჩეკბინინსადში #1 (264)

Секретно

Милостивый Государь,
Михаил Павлович.

Для исполненія приказанія Князя Наместника, сообщеннаго мне Вашим Превосходительством 23-го минувшаго Юнь, я сделал секретное, обстоятельное дознаніе о поступках и нравственности Правителя канцеляріи Дербентскаго военнаго Губернатора титулярнаго советника Штукина, и все собранные мною о нем сведенія ведут к тому окончательному заключенію, что Г. Штукин человек умный, с большим навыком в делопроизводстве, очень трудолюбивый и безкорыстный; но он самолюбив, упрям и мстителен; готов употреблять крайніе разтолкованія законов лишь-бы чрез это привести в исполненіе то решеніе по какому нибудь делу, какое он предопределил; при том он в обращеніи необходимелен, угрюм, проводит время в одних занятіях служебных, нигде небывает и у себя никого непринимаает. Я между прочим старался удостовериться безошибочно, бывает-ли Штукин в действіях своих руководим корыстью, взятками; но все сведенья в этом отношеніи положительно оправдывают его.

Имея честь сообщить Вашему Превосходительству о сих сведеніях, покорнеше прошу принять увереніе в совершенном моем почтеніи и преданности.

Подлинное подписал: Князь Григорій Орбеліани

4^ლ Ноября 1852 г.

Укр[епленіе] Темир-Хан-Шура.

Его П-ву М.П.

Щербинину.

მიხეილ შჩერბინინისადმი #1 (264)

საიდუმლოდ

მონყალეო ხელმწიფევე,
მიხეილ პავლოვიჩ.

კნიაზ მეფისნაცვლის იმ ბრძანების შესასრულებლად, რომელიც თქვენმა აღმატებულებამ შემატყობინა გასული ივნისის 23^{სა}, მე მივმართე საიდუმლო, საფუძვლიან მოკვლევას დერბენდის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველის ტიტულარული მრჩევლის შტუკინის ქცევებზედ და ზნეობაზედ და ჩემს მიერ მასზედ შეგროვებულ ყოველს ცნობას მივყავართ იმ საბოლოო დასკვნამდე, რომ ბ. შტუკინი ჭკვიანი კაცია, დიდი გამოცდილებით საქმეთნარმოებაში, ძალზედ შრომისმოყვარე და უანგარო; მაგრამ ის თავმოყვარეა, ჯიუტი და შურისმაძიებელი; მზადაა მიმართოს კანონის უკიდურეს განმარტებას, ოღონდაც ამით აღსრულებაში მოიყვანოს ის გადაწყვეტილება ამა თუ იმ საქმეზედ, რომელიც წინასწარ განსაზღვრა; ამასთან ერთად, თავდაუჭერელია მოპყრობაში, პირქუშია, დროს მხოლოდ სამსახურეობრივ საქმეებში ჰკლავს, არსად დაიარება და თავისთანაც არავის ჰღებულობს. მე, სხვათაშორის, ვცდილობდი უტყუარად დავრწმუნებულიყავ, არის ხოლმე თუ არა შტუკინი თავის მოქმედებებში მართული ანგარებით, ქრთამებით; მაგრამ ამ მხრივ ყველა ცნობა დადებითად ახასიათებს მას.

მაქვს რა პატივი, თქვენს ბრწყინვალეებას ვაუწყო ამ ცნობების შესახებ, უმორჩილესად ვთხოვ, სარწმუნოდ მიიღოს ჩემი სრული თავყვანისცემა და ერთგულება.

დედანს ხელი მოაწერა: კნიაზმა გრიგოლ ორბელიანმა

4^ლ ნოემბერს 1852 წ.

ციხე[სიმაგრე] თემირხანშურა.

მის აღ-ს მ. პ.

შჩერბინინს.

ილია ორბელიანისადმი #81 (265)

ჩემო ბატონო იარანალო ილიკო! აი რა მოხდა ამ მხარე-სა ამ ცოტას ხანში: მთაზედ, აქვე შურასთან, ჰსდგას დღისით ყარაულად ექუსი ყაზახი. ეს ბიკეთი ერთ დღეს ასე ამონყვიტეს, რომ შურაში გავიგეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც საღამოზედ აღარმოვიდნენ ყაზახები. ამგვარი სიმყრალე, სიდამპლე სულისა და ხორცისა, უთოოდ უნდა ყაზახებში მოხდეს. – ეს ბიკეთის ადგილი ასე ახლოა, რომ ორის გუთნის გაშლაც არ იქნება. – ჩემი ჭყვივლი და ყვირილი, მგონია, ზეცაში ანგელოზებს აფთხოვდა; მაგრამ ნაფაიდა? –

ამის სამაგიეროდ აი კიდევ რა მოხდა: ოთხს ადგილს გერგებილსა და ქუთიშის შუა ლაზარევმა, ჩემის ბძანებით, გააკეთა заклады;^{1*} ერთს ზასადაში დაიჭირეს ხუთი კაცი 17^ლ ცხენით; მეორეში მოკლეს 2^ა კაცი და ერთი დაიჭირეს 3^ლ ცხენით და 18^ლ საქონლითა; მესამეში დაიჭირეს 4^ა გუბდენელნი ცოლშვილით მიმავალნი მთაში, და მეოთხეში, საცა თვით ლაზარევი იყო როტებითა, მოკლეს 12 და დაიჭირეს 2^ა, ექუსის ცხენითა, და ბევრი იარაღიც იშოვნეს. – და ამით ყაზახების სისხლი ავიღე.

ღენერალი ვოლკოვი გავგზავნე რეკოლნოსიროვად² ერთს ღამეს ბურთუნაისკენ 12^ლ როტითა, 4^ლ ზარბაზნითა, 2^ლ დივიზიონით დრაგუნისა და პოლკით დაღისტანსკის ვსადნიკებისა. მთაზედ ასეთი საზარელი ნისლი იყო, რომ მრავალი

ძირი თივა გადასწვეს და სოფელმა ვერ დაინახა, და ისე დაბრუნდნენ, რომ ერთი თოფიც არ გაუსროლიათ. – საზარელი ვეება კედელი, თითქმის 5^ა ვერსტი სიგრძე, და ზოგი უფრო მეტს ამბობს – გაუვლიათ იმ მთიდან, სადაცა კლუღენაუ გავიდა ჯარით 1844 წელსა, და თერინდულის ხევის პირზედ მოდის ეს კედელი და ჩადის იმ ტყიანს ხევში, რომლისა თავზედ იდგა ნეიდგარდი; ასე რომ ეხლა ძალიან ძნელია ჯარით სალათაუზედ ასვლა. ჩვენმა ჯარმა ცოტაოდენი კედელი დაანგრია, მაგრამ ბევრი დრო უნდა და დიდი ჯარი, რომ ეს კედელი დაინგრეს. – ჯერ მთავარმართებლისათვის არ შემიტყობინებია ესე და შემდეგ მოვსწერ. –

ჩემს საყვარელს ძალუა იარანალმას სიყვარულით მოვიკითხავ; ნინუცა ჩამიკოცნე.

ეგების კ: არლუთინსკისა შეიტყო რამე, როდის მოდის, და ან როდის მელირსება წამოსვლა აქედამ? –

ღ^ა თსა³ ვჰსთხოვ შენთან ყოფნას.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

21^ა ნოემბერს 1852.

შურით.⁴

*საფრები.

მიხეილ ჰორონცოვისადმი #23 (266)

К[нязю] Воронцову.

2¹⁰ Декаб[ря] 1852 года

Т[емир]Х[ан]Шура

Письмо Вашей Светлости от 21¹⁰ ноября я имел честь получить вчера с курьером по возвращении моём из Чир-юрта,

куда я ездил для обозрения Сулакской линии и осмотра Драгун[скаго] полка.

Этот полк находится, как и всегда, в превосходном состоянии, невзирая на то, что большая часть его всякий год бывает в походе.

В Прикаспийском крае пока спокойно, и полагаю, что наступления холода ещё более воспрепятствуют хищническим вторжениям. Но Шамиль уже собирает кавалерию и готовится против Чеченскаго отряда. Данийл-Султан находится в тыле за намерение его бежать к нам. Он отдан под строжайший надзор жителям Карахскаго и Тенумрухскаго обществ. Измена Султана чрезвычайно огорчило Шамиля, в особенности, когда в то же время он узнал и о бегстве Халит-Дибера, человека уважаемаго по уму, храбрости и обширному родству; он, кажется, брат Галват-Дибера, бывшаго Каратинскаго найба.

Пленные Горцы, о которых Вашей Светлости угодно было знать, содержатся здесь в гоубтвахте для вымена наших пленных; но собственно Абраки исключаются из этого правила: они отдаются под суд и наказываются по важности их преступлений.

В Сюрги я назначил кадіем бывшаго там Юзбашу, место котораго занял племянник умершаго Кадія; и таким образом устранена причина к зависти и вражде между двумя их фамиліями.

Почтенный Абих, проездом котораго я воспользовался, принял живейшею готовностью мое предложеніе, ехать для исследования минеральных вод вблизи Агачаула. Он уже исполнил это и обещался сообщить мне из Тифлиса о результатах своих исследований. Между тем здешній медик, сопровождавшій Абиха, доносит мне, что по его соображенію, воды этаго источника могут приносить пользу в Худосочіях, ломотном, чесотном, лишайном, венерическом, при затверденіях, завалах брюшных внутренностей и происходящих от этаго недугах. И если при том вспомнить, что вблизи этаго

целебнаго источника находятся и Крымскіе грязи и морское купаніе, то какое было благодеяніе для наших полков от учрежденія здесь на лето временнаго госпиталя.

Дело о продаже пороха в Дербенде окончено и находится у меня на разсмотреніе; оно в скором времени будет представлен Вашей Светлости.

О каменном угле, найденном в Кюринском Ханстве, как уведомляет меня Генер[ал] Минквиц, к сожаленію оказывается, что он имеет очень незначительный слой, и по уверенію горнаго инженера, не стоит разработки. Это известіе огорчает меня до глубины души тем, что я слишком поторопился донести об этом Вашей Светлости но я так был рад этому открытію! Впрочем, по приказанію Вашей Свет[лост]и я просил Юсупбека прислать мне несколько кусков того угля, которые я воз[ь]му с собою в Тифлис.

По приезде Князя Аргут[инскаго] в Шуру, я не замедлю выехать прямо в Закаталы чрез Нуху, и потом уже, пользуясь Вашим дозволеніем, буду иметь счастье представиться Вашей Светлости в Тифлис.

Ея Светлости Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу моё глубочайшее уваженіе.

მიხეილ ვორონცოვისადმი #23 (266)

კ[ნიაზს] ვორონცოვსა

1852 წლის დეკემბრ[ის] 2^{სა}

თ[ემირ]ხ[ან]შურით

გუშინ, ჩირიურთიდამ დაბრუნებულს, სადაც წასული გახლდით სულალის ლინიის დასათვალიერებლად და დრაგუნთა პოლკის შესამონმებლად, პატივი მქონდა, კურიერის მეშვეობით მიმელო თქვენის ბრწყინვალეების 21^{სა} ნომბრის წიგნი.

ეს პოლკი, როგორც ყოველთვის, არის შესანიშნავს მდგომარეობაში, იმისდა მიუხედავად, რომ მისი დიდი ნაწილი ყოველს წელიწადს იმყოფება სალაშქროდ.

კასპისპირა მხარეში ჯერჯერობით სიმშვიდეა და ვჭგონებ, რომ სიცივის დადგომა კიდევ უფრო შეუშლის ხელს მტაცებელთა თავდასხმებსა. მაგრამ შამილი უკვე აგროვებს კავალერიას და ემზადება ჩეჩნური რაზმის წინააღმდეგ. დანიილ სულთანი იმყოფება ზურგში ჩუენთან გამოქცევის განზრახვის გულისთვისა. ის იმყოფება ყარახისა და თენუმრუხის საზოგადოებების ბინადართა უმკაცრესი ზედამხედველობის ქუემ. სულთანის ლალატმან უაღრესად განანწყენა შამილი, განსაკუთრებით, როცა იმავდროს შეიტყო გონებით, სიმამაცითა და ვრცელის სანათესაოთი პატივსაცემი კაცის, ხალით-დიბირის გაქცევის შესახებაც; ის, ვჭგონებ, ძმაა ყოფილი კარატის ნაიბისა, ლალვაც-დიბირისა.

ტყვე მთიელები, რომელთა შესახებაც თქუენს ბრწყინვალეებას ჰსურდა შეეტყო, აქ იმყოფებიან ჰაუპტვახტსა ჩუენს ტყვეებზედ გასაცვლეღადა; მაგრამ საკუთრივ აბრაგები ამ წესიღამ გამოირიცხებიან: ისინი გადაეცემიან სასამართლოსა და მათის დანაშაულის კვალობაზედ დაისჯებიან.

სიურგიში ყადად დავნიშნე იქ მყოფი იუზბაში, ვისი ადგილიც გარდაცვლილის ყადის ბიძაშვილია დაიკავა; და, ამგუარად, აცილებულია შურის მიზეზი მათ ორს გვარს შორის.

პატივცემულმა აბიხმა, რომლის აქ გავლითაც ვისარგებლე, ჩემს წინადადებაზე გამოთქვა უცხოველესი მზადყოფნა, რომ გამეგზავროს მინერალური წყლების გამოსაკვლეღად აღაჩაულის მახლობლად. მან უკვე გააკეთა ეს და დამპირდა თბილისიღამ შემმატყობინოს თავისი კვლეღების რეზულტატების შესახებ. ამასობაში აქაური მედიკოსი, აბიხის თანმხლები, მატყობინებს, რომ, მისი აზრით, ამ წყაროს წყლებს სიკეთის მოტანა შეუძლიათ უძღურების, ტეხეღების, მუნის, სირსველის, ვენერიული, შეკრულობის, კუჭ-ნაწლავში მასის დაგროვებისა და მით გამონვეულ სნეუღებათა დროს. და თუკი, ამასთან ერთად, გავიხსენებთ, რომ ამ სამკურნალო წყაროს სიახლოვეს ყირიმის ტალახებია და ზღვის აბაზანები, მაშინ რაოდენი სიკეთე ექნებოდა ჩუენის პოლკებისათვის საზაფხულო დროებითი ჰოსპიტლის მოწყობას აქა.

დერბენდში დენტის გაყიდვის საქმე დასრულებულია და ჩემთანაა განსახილვეღად; იგი უახლოეს ხანში წარედგინება თქუენს ბრწყინვალეებასა.

ქურის სახანოში აღმოჩენილ ქვანახშირზედ, როგორც ღენერ[ალი] მინკვიცი მატყობინებს, სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ მას გააჩნია უმნიშვნელო ფენა და, სამთო ინჟინრის რწმუნებით, არ ღირს დამუშავებად. ეს ცნობა გულის სიღრმემდე მალონებს მით, რომ ძალზედ ვიჩქარე თქუენის ბრწყინვალეებისთვის ამის შეტყობინება, მაგრამ ისრე ვიყავ გახარებული ამ აღმოჩენითა! თუმცა, თქუენის ბრწყინვალეების ბრძანებით, მე ვჰსთხოვე უსუფუბეგს გამოეგზავნა ჩემთვის იმ ნახშირის რამდენიმე ნატეხი, რომლებსაც მე თბილისს წამოვიღებ თანა.

კნიაზ არლუთ[ინსკის] შურაში ჩამოსვლის შემდეგ არ დავაყოვნებ ნუხის გავლით პირდაპირ ზაქათალაში გამგზავრებას და მერე უკვე ვისარგებლებ თქუენის ნებართვით და მექნება ბედნიერება, წარვსდგე თქუენის ბრწყინვალეების წინაშე თბილისსა.

მის ბრწყინვალეებას კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნას და ღრაჭინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი #2 (267)

Князю Александру Ивановичу Барятинскому

Полковник Левин представит Вашему Сіятельству моего племянника, Князя Александра Орбеліани, который изъявил мне похвальное желание своё, искать службы и счастья под славным начальством Вашего С[іятельств]ва. Он молод, неопытен, но надеюсь, что благородством характера и готовностью, положить голову на службе царской, будет достоин Вашего внимания. Примите его, Князь, под тенью правой руки Вашей. Но если он, Боже сохрани, своим усердіем, своей храбростью не вполне оправдает моей надежды, отрубите ему голову без всякаго сожаления.

6^{го} декаб[р]я 1852 года. Т[емир]Х[ан]Шура.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი #2 (267)

კნიაზს ალექსანდრე ივანოვიჩ ბარიატინსკის

თქვენს ბრწყინვალეობას პოლკოვნიკი ლევეინი წარუდგენს ჩემს ძმისწულს, კნიაზს ალექსანდრე ორბელიანსა, რომელმაც განმიცხადა თავისი საქებარი სურვილი, ეძია სამსახური და ბედნიერება თქვენის ბრწყინვალეობის დიადი ხელმძღვანელობის ქუეშ. ის ახალგაზრდაა, გამოუცდელი, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ კეთილშობილის ხასიათითა და მზადყოფნით დასდებს თავს მეფის სამსახურისათვის, ის გახდება ღირსი თქვენის ყურადღებისა. მიიღეთ იგი, კნიაზო, თქვენის მარჯვენის ჩრდილისა ქუეშ. მაგრამ, თუკი ის, ლთმა დაიფაროს, თვისის გულმოდგინებით, თვისის სიმამაცით სრულად არ გაამართლებს ჩემს მოლოდინსა, მოჰკუეეთ თავი ყოველგუარი დანებების გარეშე.

6 დეკემბ[ერსა] 1852 წელი. თ[ემირ]ხ[ან]შურა.

მიხეილ ვორონცოვისადმი #24 (268)

К[нязю] Воронцову. 16 Декаб[ря] 1852 года
Т[емир]Х[ан]Шура

Письмо Вашей Свет[лост]и от 6^{го} декаб[ря] я имел честь получить с курьером. В настоящее время в Дагестане нет новостей, заслуживающих внимания, кроме того, что Шамиль готовит Кавалерию для Чечни.

Согласно воле Вашей Свет[лост]и, изъяснённой в том письме я нахожу возможным собрать под команду Генер[ала] Сулова до 4^х баталіона пехоты с приличным числом горных орудій и 400 человек из Дагестанских всадников для движения в Салатавию в то время, когда К[нязь] Барятинскій откроет в Чечне свои действия и теперь же по этому предмету я вхожу с ним в сношения. Но меня страшит только суровое время года,

когда в Салатавіи слишком холодно и потому, быть может, я не решусь назначить Драгун в эти набегі; Впрочем всё зависит от погоды, какая будет в то время. Нет сомненія, что несколько раз благоразумно повторенныя нами набегі в Салатавію разъединят силы непріятелиа и этим принесут существенную пользу Чеченскому отряду. Обо всём этом я передам Князю Аргутинскому тотчас же по приезде его в Шуру.

Общая польза и слава нашего оружія должны быть впереди всех других расчётов, и в этом отношеніи, по моему мненію, нет ни Дагестана, ни Чечни; есть только враг и войско Великой Имперіи, силою котораго должен решиться великій, кровавой вопрос о судьбе Кавказа.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу моё глубочайшее уваженіе.

მიხეილ ვორონცოვისადმი #24 (268)

კ[ნიაზს] ვორონცოვსა. 1852 წლის დეკემბრ[ის] 16^{სა}
თ[ემირ]ხ[ან]შურით

პატივი მქონდა, თქუენის ბრწყინვალეების 6^{სა} დეკემბრის წიგნი მიმელო კურიერისგან. ამჟამად დაღესტანში ყურადსაღები სი-ახლეები არ არის, გარდა იმისა, რომ შამილი კავალერიას ამზადებს ჩეჩნეთისთვისა.

იმ წერილში განმარტებული თქუენის ბრწყინვალეების ნების თანახმად, შესაძლებლად ვრაცხ, ლენერ[ალ] სუსლოვის მეთაურობით სალათავიისკენ წასასვლელად შევკრიბო ფეხოსანთა 4 ბატალიონი შთამბეჭდავი რაოდენობის სამთო ორუდიითა და დაღესტნელ მხედართა 400 კა[ცი] მაშინ, როცა კ[ნიაზი] ბარიატინსკი ჩეჩნეთში დაიწყებს მოქმედებასა და ამ საქმეზედ მე ახლავე ვამყარებ მასთან ურთიერთობას. მაგრამ მე მხოლოდ წელიწადის მკაცრი დრო მაშინებს, როცა სალათავიაში ძალზედ ცივა და ამიტომ, შესაძლოა, მე ვერ გავბედო დრაგუნის დანიშვნა ამ თავდასხმებისთვისა; თუმცა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორი ამინდი იქნება იმ დროსა. ეჭვგარეშეა, რომ ჩუენს მიერ რამდენიმეჯერ ჭკვიანურად

განმეორებული თავდასხმები სალათავიაში მტრის ძალებს დაქსაქსავს და ამით მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს ჩეჩნეთის რაზმსა. ამ ყველაფრის შესახებ მე კნიაზ არლუთინსკის ვაცნობებ შურაში მისი ჩამოსვლისთანავე.

ჩუენი იარაღის საერთო სარგებლობა და დიდება ყველა სხვა რამეზედ მაღლა უნდა იდგეს და, ამ მხრივ, ჩემის აზრით, არ არსებობს არც დაღესტანი, არცა ჩეჩნეთი; არის მხოლოდ მტერი და დიდი იმპერიის ჯარი, რომლის ძალითაც უნდა გადაწყდეს კავკასიის ბედის დიდი, სისხლიანი საკითხი.

უნმიდესს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და ღრაჭინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

ბასპორტები, შენიშვნები,
კომენტაჲები

ტექსტისათვის

სამეცნიერო აპარატი წამოდგენილია კომენტარებით, პირთა, გეოგრაფიულ, წარმომავლობის სახელთა ანოტირებული საძიებლებითა და ლექსიკონით. რამდენადაც აქ არ არის მოცემული ავტორის ეპისტოლური მემკვიდრეობის ენის საკითხები (ენობრივი მიმოხილვა წარმოდგენილი იქნება გრიგოლ ორბელიანის წერილების ბოლო ტომისთვის დართულ სამეცნიერო აპარატში), მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია, პუნქტუაცია და აზრები (ცხადია, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა). ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არ ჩაგვისწორებია.

კომენტარებს წინ უძღვის პასპორტები, სადაც მკითხველი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განანილებულია შემდეგ რუბრიკებში:

1. **ავტოგრაფი:** აქ ვიგებთ, რა სახითაა წერილი ჩვენამდე მოღწეული – ავტოგრაფით, მისი ასლით, თუ ნაბეჭდი ვერსიით; სად და რა ნომრით ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C ლიტერით, ლიტერატურის მუზეუმი L, ცენტრალური არქივი A, ხოლო ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი – Z ლიტერით. თუ წერილი ასლის სახითაა დაცული, რუბრიკა წარმოდგენილია სახელწოდებით „ასლი“;
2. **„თარიღი და ადგილი“:** აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარიღებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;
3. **„ხელმოწერა“:** რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, რუბრიკა „ხელმოწერა“ პასპორტს არ ერთვის;

4. „ადრესატისადმი მიმართვის ფორმა“: აქ მკითხველი გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და ა. შ.
5. „ავტოგრაფის აღწერილობა“: რუბრიკა გვანვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, რა ზომისა და რა ფერის ქაღალდზეა ბარათი დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;
6. „ადრესატის მისამართი“: აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანი იშვიათად აწერს მისამართს წერილზე. იგი, სავარაუდოდ, კონვერტზე იქნებოდა დაფიქსირებული, რაც დღემდე არ შენახულა. იშვიათად ადრესატის ადგილსამყოფელი წერილშია დასახელებული. უმრავლეს შემთხვევაში კი ჩვენ ის წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერებით აღვადგინეთ;

საპასპორტე რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

1. „შენიშვნები“: აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღწუსებული. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს;
2. „პირველი პუბლიკაცია“: აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი, გამოცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა. შ.
3. „დათარილება“: რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახსნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი.

თითოეული საკომენტარო ფრაზა დამონმებულია გვერდისა და სტრიქონის მითითებით, რომლებიც ერთმანეთისაგან მძიმითაა გამოყოფილი. კომენტარებში სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება წლისა და სათაურის აღნიშვნით, ვთქვათ, 1851, მიხეილ ვორონცოვისადმი №2 (გვ.6), პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „К[НЯЗЮ] Воронцову. Марта 16 дня 1851“, რომლითაც იწყება უშუალოდ წერილი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს. ანბანური რიგი, როგორც წესი, გვარების მიხედვითაა შედგენილი; ქალი პიროვნებები წარმოდგენილი არიან ქალიშვილობის გვარით, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ, ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია, ორბელიანი-თუმანიშვილისა მათა. როცა ქალიშვილობის გვარი არ არის ცნობილი, პიროვნება მითითებულია მეუღლის გვარით, მაგ., კახანოვსკისა (გენერალ-მაიორ სიმონ კახანოვსკის მეუღლე), ალევისა (კოლეგიის ასესორის, პავლე ალევის, მეუღლე) და სხვ.

იმ შემთხვევებში, როდესაც არ არის დაზუსტებული პიროვნების ვინაობა: უცნობია გვარი თუ სახელი, ტექსტური მონაცემია ნაჩვენები, მაგ., ბაქრაძე (პრაპორშჩიკი პარტიზანულ რაზმში), ბელკევიჩი (ბლიკევიჩი) (პოდპოლკოვნიკი, გრიგოლ ორბელიანის თანამებრძოლი).

საკუთარი სახელი გვარის შემდეგ ფუძის სახითაა მოცემული. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირთა ანოტირებისას ვეყრდნობოდით კომენტარებს. რამდენადაც ამა თუ იმ პიროვნე-

ბის ვინაობა აქ არის ახსნილი, საძიებელში პირთა სახელი მოცემულია არა ტექსტური, არამედ რეალური ფორმით. მაგ., გრიგოლ ორბელიანი „ნეიდგარდტს“ წინამდებარე ტომში წარმოდგენილ წერილებში „ნეიდგარდის“ სახით მოიხსენიებს (წინა წლების წერილებში ხმარობს „ნეიდლარდსაც“). „ნეიდგარდი“ კომენტარებში ტექსტიდან მოხმობილ ციტატებშია დამონშებული, ხოლო საძიებელში პირი „ნეიდგარდტის“ სახითაა წარმოდგენილი.

საძიებლებში პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს გვერდები იმ შემთხვევებშიც აქვს მითითებული, როცა ისინი მხოლოდ იგულისხმება და დასახელებული არ არის, მაგ., თუ ტექსტში წერია „და“, „ძმა“, „სიძე“, „რძალი“, „ცოლშვილი“, „ქალაქი“ და ა. შ. და ცნობილია, ვისზე, ან რაზეა საუბარი, გვერდები მითითებული აქვს ამ სიტყვების ქვეშ ნაგულისხმევ პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს, მაგ., ერთერთ წერილში ვკითხულობთ: „выпросил у Государя прошение.“ რამდენადაც ამ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I, საძიებელში გვერდები მითითებული აქვს მას. გეოგრაფიულ სახელს გვერდები აღენიშნება იმ შემთხვევებშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

როცა საუბარია ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე, მაგრამ ის მოხსენიებულია ნათესავის საშუალებით, გვერდები ეთითება ორივე პიროვნებას, მაგ.: „შამილას შვილიც მოსულიყოს ჯარითა.“ – საძიებელში ამ შემთხვევაში გვერდები მითითებული აქვს როგორც შამილს, ისე მის ვაჟ ყაზი-მუჰამედს.

საძიებელში გვერდები არ გვაქვს დაფიქსირებული იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და ტექსტში ზუსტად არ ჩანს, ვისზეა საუბარი.

რაც შეეხებათ ადრესატებს, წერილების გვერდები არ მივუთითეთ მათ, ვის მიმართაც ბარათების უმრავლესობაა დაწერილი, მაგ., ილია ორბელიანს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანსას, მიხეილ ვორონცოვს, სვიმონ შალიკაშვილს. მათ გვერდები აღენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა

პირებისადმი გაგზავნილ წერილებში არიან მოხსენიებულნი, ან მათდამი მიმართულ წერილებში მათზე საუბარია, როგორც მესამე პირზე. სხვა ეპისტოლეთა ადრესატებს კი გვერდები აღნიშნული აქვთ.

საძიებელში, წინა ტომებისგან განსხვავებით, ანოტაციები არ დავურთეთ საქართველოს ქალაქებსა და მხარეებს, აგრეთვე კონტინენტებს, ცნობილ ქვეყნებსა (მაგ., რუსეთს, თურქეთს) და ეთნონიმებს (მაგ., ქართველს, რუსს, სომეხს და ა. შ.). მათ მხოლოდ გვერდები აქვს მითითებული.

გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელები ანოტირებულ საძიებელში გატანილია ტექსტური მონაცემით, ფრჩხილებში კი სწორი ფორმა ასახული. თუ ავტორი სახელს ერთზე მეტი ვარიანტით ხმარობს, ყველა ეს ვარიანტი ასახულია საძიებელში და ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი.

წარმომავლობის სახელები მოცემულია მხოლოდითი რიცხვის ფორმით, თუმცა ტექსტში ის შეიძლება მრავლობითის ფორმით იყოს გამოყენებული.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. თითოეული ვარიანტის გვერდები და სტრიქონები ცალ-ცალკეა დამონმებული, რომლებიც ერთმანეთისაგან ასევე პარალელური ხაზებითაა გამიჯნული. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სამეცნიერო ჯგუფი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუშაობისას.

მიხეილ ვორონცოვისადმი №2 (192) (გვ. 6-7)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 11r-v.

თარიღი და ადგილი: „Марта 16 дня 1851.Закаталы“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“ /

„Письмо Вашего С[иятельство]ва...“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ტკიცინა ქა-
ლალი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია ყავისფერი
მელნით, აჩქარებული ხელით; 11r-ს ზედა მარჯვენა მხარეს
აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახუ-
რობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 6, 4-5. „**донесенія К[нязя] Барятинского о славном его деле в Чечне**“ – იგულისხმება გენერალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი, რომელიც 1851 წლიდან იყო დივიზიის უფროსი და სისტემატურ შეტევებს ახორციელებდა ჩეჩნების წინააღმდეგ. ამ წარმატებული ექსპედიციისათვის მოგვიანებით მან გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღო და დაინიშნა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსად.

გვ. 6, 5-6. „**Отголоски этой битвы, в которой Шамил понёс сильное поражение**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ბარიატინსკისა და შამილის მეომრებს შორის 1851 წლის თებერვალში მომხდარი შეტაკება ჩეჩნების ტერიტორიაზე მდინარეებთან – შავდონკასა და ბასთან.

გვ. 6, 9. „**Гумбетовцы, Андійцы и Аварцы**“ – საუბარია დაღესტნურ ტომებზე.

გვ. 6, 13-14. „**собрание из жителей Джар, Телсы, Кастар и Мацих**“ – სავარაუდოდ, საუბარია სოფლებზე, რომლებიც დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს. გეოგრაფიული პუნქტები „ტელსი“ და „კასტარი“

ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული არ არის. ამდენად, ვფიქრობთ, რომ საქმე უნდა გვექონდეს სახელების არასწორ დანერასთან (რაც გრიგოლ ორბელიანის წერილებში არცთუ იშვიათად გვხვდება), ან გაურკვეველი ხელწერის გამო მათ არასწორ ამოკითხვასთან. რამდენადაც ქარი და მაციხი იმდროინდელი ზაქათალის ოლქის სოფლებია, შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა, ამოუცნობი სოფლებიც ასევე იმდროინდელი ზაქათალის ოლქის ყოფილიყო, მაგალითად, თალი და კანდახი.

გვ. 6, 19. „**напал на разбойника Карахскаго жителя**“ – საუბარია ჩეჩნეთის მაღალმთიანი სოფლის მცხოვრებზე.

გვ. 6, 21. „**мщение в Джарцах против Гулхадар**“ – გულხადარებს ეძახდნენ მთის მაცხოვრებლებს, რომლებიც დროებითი სამუშაოს საშოვნელად ბარში ჩადიოდნენ. ყარახი ჩეჩნეთის მაღალმთიანი სოფელია და იქიდან ქარში სამუშაოდ ჩამოსულებიც „გულხადარებად“ იწოდებოდნენ.

გვ. 6, 22. „**учинена в Постапинских лесах**“ – სავარაუდოდ, საუბარია დაღესტნის ტერიტორიაზე მდებარე ტყეზე.

გვ. 6, 23. „**1500 чел[овек] Энгилейцев**“ – საუბარია ინგილოებზე – ქართულ მოსახლეობაზე, რომელიც ცხოვრობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში.

გვ. 6, 26. „**Деревни Катах и Мацих**“ – იგულისხმება დაღესტნის სოფლები – კატეხი და მაციხი.

გვ. 6, 27. „**старика Ажи Исмаила**“ – საუბარი უნდა იყოს მაციხელ ჰაჯი ისმაილზე, რომლის გათავისუფლებაც გრიგოლმა სთხოვა მიხეილ ვორონცოვს 1850 წლის დეკემბერში, რომ გამოეყენებინა ადგილობრივი მცხოვრებლების დასაწყნარებლად.

გვ. 7, 3-4. „**Энисельском, Элисейском и деревни Белаканы**“ – ენისელი და ელისუ საინგილოს სასულთნოები იყო.

გვ. 7, 5. „**Прапорщик Ажи дарвиш**“ – როგორც ჩანს, რუსეთის მხარდამჭერი ადგილობრივი მცხოვრები იყო.

გვ. 7, 13-14. „Муганлинская до Талы, Алмалинская до Ках и от Белакана до Мазимчая“ – საუბარი უნდა იყოს ქვემო ქართლის სოფელ მულანლოზე, ზაქათალის რაიონის სოფელ თალაზე, დაღესტნის სოფელ აღმალოსა და დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე კახზე, ბელაქანსა და ბელაქნის რაიონის სოფელ მაზიმჩაზე.

გვ. 7, 17-18. „переселение Джарцев из Таначей“ – 1830 წელს, როდესაც რუსეთის იმპერიამ ქარი, ზაქათალა და კაპისდარა გაანადგურა, მოსახლეობის დიდი ნაწილი გადავიდა პატარა დასახლებებში, რომლებსაც „ტანაჩებს“ უწოდებდნენ. ტყე, სადაც ეს დასახლებები იყო, ტანაჩის ტყედ მოიხსენიება. სავარაუდოდ, ამ პატარა დასახლებების მცხოვრებთა გადასახლებაზეა საუბარი.

მიხეილ ვორონცოვისადმი №3 (193) (გვ. 9-10)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 12r-v, 13r.

თარიღი და ადგილი: „Марта 25 дня. 1851. Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „K[нязю] Воронцову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: სამუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 9, 3. „из Тальских жителей“ – საუბარია დაღესტნის სოფელ თალის მცხოვრებლებზე.

გვ. 9, 4. „под командою Юзбаши Муртузали Нурова“ – რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელები მათი მხარდამჭერი ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან აყალიბებდნენ ყაჩაღებთან (რომლებსაც მტაცებლებს უწოდებდნენ) მებრძოლ სამხედრო დანაყოფებს, ე.წ. „მონადირეთა რაზმებს“. თალის მკვიდრთა-

გან ჩამოყალიბებულ ერთ-ერთ ასეთ ასეულს მეთაურობდა მურთუზალი ნუროვი.

გვ. 9, 7. „**знаменитаго Качага Тамбала Хажаба**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ თაღელ ყაჩაღზე.

გვ. 9, 16-17. „**брат которого в прошлом году был главною причиною Мелкум Ражаба**“ – თაღელი მურთუზალი ნუროვი და მისი ძმა, რომლის სახელიც უცნობია, რუსეთის მხარდამჭერები იყვნენ და აქტიურად იბრძოდნენ „ყაჩაღების“ წინააღმდეგ. ტექსტიდან გამორჩენილია სიტყვა. არ ჩანს, რისი მიზეზი გახდა ნუროვის ძმა. რამდენადაც აქ საუბარია ყაჩაღების განადგურებაზე, შესაძლოა, მეღქუმ რაჟაბიც ერთ-ერთი მათგანი იყოს და ნუროვი კი – მისი სიკვდილის მიზეზი.

გვ. 9, 27. „**два брата Нуровы и Алибек Дибиров**“ – როგორც ჩანს, ალიბეკ დიბიროვიც თაღელ მონადირეთა რაზმის წევრი იყო.

გვ. 9, 28. „**Ажи Муртуза и Халажиев**“ – საუბარია მონადირეთა რაზმების მეთაურებზე – მურთუზ ჰაჯისა და ალექსანდრე ხალაჯოვზე (Галаджиев). მურთუზ ჰაჯი წარმოშობით ბელაქნელი ლეკი იყო. 1862 წლამდე იგი რუსეთის მხარეს იბრძოდა, ჰქონდა კაპიტნის წოდება და მეთაურობდა ბელაქნელებისაგან ჩამოყალიბებულ „მონადირეთა“ რაზმს, რომელიც დევნიდა რუსეთის მოწინააღმდეგე „ყაჩაღებს“. პირადად მან მოკლა 60 ყაჩაღი და მათი თავები რუსებს გადასცა. 1850-იანი წლების ბოლოს ჰაჯი მურთუზსა და ალექსანდრე ხალაჯოვს შორის დაპირისპირება მოხდა. იმის გამო, რომ ხალაჯოვი მონათლული იყო, სამხედრო ხელმძღვანელობამ მისი მხარე დაიჭირა, რითაც გაანაწყენა მურთუზ ჰაჯი და მოგვიანებით იგი მთიელთა მხარეს გადავიდა.

გვ. 9, 28. „**в Туюнуке – Михлирда**“ – ასეთი გეოგრაფიული სახელი XIX ს-ის წყაროებში არ დასტურდება. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ, შესაძლოა, საუბარი იყოს ყუბანის ოლქის ქალაქ თემრუკზე. მიხლირდას შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ. 10, 11-12. „**один из убійц Кобулова**“ – 1850 წლის 8 მაისს მთიელთა ათასკაციანი რაზმი თავს დაესხა ბელაქანს. კაპიტანი ქობულოვი მეთაურობდა ქართული მილიციისა და თბილისის გრენადერთა პოლკის გაერთიანებულ რაზმს. იგი თავის რაზმთან ერთად დაედევნა ლეკების მცირე ჯგუფს და ხაფანგში აღმოჩნდა. ჩასაფრებულმა მთიელებმა მეომართა უმრავლესობა დახოცეს და მოკლეს თავად ქობულოვიც.

გვ. 10, 12-13. „**Энисельскаго участкаго заседателя, К[нязя] Андроникова**“ – საუბარია ენისელის სასულთნოს რწმუნებულ, პოდპორუჩიკ დიმიტრი თომას ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ. 10, 15. „**брату Найба Бакрака Алия**“ – სავარაუდოდ, საუბარია ჯურმუთის ნაიბ ბაკრაკ-ალიზე.

გვ. 10, 20. „**Переселеніе Джарцев из Таначей**“ – ქარელების გადასახლება მთიდან ბარში ვორონცოვის ერთ-ერთი პოლიტიკური სვლა იყო, რომლის მეშვეობითაც შამილს მხარდამჭერები აკლდებოდა დაღესტანში.

მიხეილ ვორონცოვისადმი №4 (194) (გვ. 12-13)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 13v-14r.

თარიღი და ადგილი: „5^{го} Апр[еля] 1851.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову
Два письма Вашего С[и]ятельств[а]...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 12, 13. „**через Князя Григорія Мухранскаго**“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-

მუხრანელზე (მუხრანსკიზე), რომელიც 1850 წელს დანიშნეს დაღესტნის ქარ-ბელაქნის ოლქის უფროსად და დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურად. იგი, ფაქტობრივად, გრიგოლ ორბელიანის (როგორც ქარ-ბელაქნის სამხედრო ოლქისა და ლეკეთის სასაზღვრო ხაზის უფროსის) თანაშემწე იყო და ხშირი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

გვ. 12, 19-20. „**Князь Мамука... уехал в Элисаветпол**“ – რამდენადაც თავადი მამუკას გვარი ნახსენები არ არის, ვფიქრობთ, რომ უნდა იგულისხმებოდეს გრიგოლის ნათესავი მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანი, რომელმაც 1850 წელს მიიღო პოლკოვნიკის წოდება. ელიზავეტოპოლი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ განჯის იმდროინდელი სახელია.

გვ. 12, 25-26. „**в селеніи Гогаме**“ – სავარაუდოდ, საუბარია ზაქათალის ერთ-ერთ სოფელზე.

გვ. 13, 18. „**привели из сел[енія] Качкачая**“ – სავარაუდოდ, საუბარია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სოფელ კაჩკაჩაზე.

გვ. 13, 20-21. „**поселиться жители Гаваза**“ – საქართველოში ამ სახელწოდების სოფლები არის როგორც ყვარლის, ისე ახალგორის მუნიციპალიტეტებში, მაგრამ, რამდენადაც ზაქათალა, სადაც იმჟამად იმყოფებოდა გრიგოლ ორბელიანი, ყვარელთან უფრო ახლოს არის, იქ მდებარე გავაზი უნდა იგულისხმებოდეს.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №1 (195) (გვ. 15-16)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №496, გვ.: 1r-v, 2r-v.

თარიღი და ადგილი: „17 мая 16^ს მაისს 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი კეთილის მსურველი და მოსამსახურე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი, გადაკეცილი ქალაღი; 2 ფურცელი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X21,4 სმ; გადაკეცილისა: 21,4X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით; წერილი განთავსებულია 1r-v გვერდებზე, ხოლო 2v გვერდზე მისამართი წერია რუსულად. ამავე გვერდის თავსა და ბოლოში წითელი ფერის ლუქის ბეჭდის ნარჩენია.

ადრესატის მისამართი: „Его сиятельству Князю Семену Осиповичу Шаликову В с: Белакан“

შენიშვნები: 1. აქ რუსული სიტყვა წერია, რომელიც არ იკითხება; 2. ღმერთი; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ღმერთმა; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 7-8.

წერილის ადრესატია გრენადერთა პოლკის ხაზინადარი სიმონ იოსების ძე შალიკაშვილი, რომელიც 1850-1854 წლებში მსახურობდა ბელაქანსა და ზაქათალაში.

გვ. 15, 16. „კინლამ ყარაბალში დაგნიშნეს უეზდის ნაჩალნიკად“ – იმ დროს ყარაბალის სახანო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

გვ. 15, 16-17. „ჩილაევის თხოვნითა“ – სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს 1849-1850 წლებში ქარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის მეთაური ბორის გაბრიელის ძე ჭილაშვილი, რომელიც ამ ბარათის წერისას უკვე გარდაცვლილი იყო და მის ადგილზე გრიგოლი იყო დანიშნული.

გვ. 15, 18. „უარი მოვახსენე მთავარმართებელსა“ – გრიგოლი, როგორც წესი, მეფისნაცვლებსაც მთავარმართებელს უწოდებს. 1851 წელს კავკასიის მეფისნაცვალთა იყო მიხეილ ვორონცოვი.

გვ. 15, 30-31. „ჩემმაგიერ გამოუცხადე მურთუზჰაჯისა, რომ მოვიდეს აქ ჩემთან“ – სავარაუდოდ, საუბარია ჰაჯი მურთუზზე, რომელიც იმ დროს რუსეთის ოფიცერი იყო, მაგრამ მოგვიანებით, 1863 წელს, იმპერიის წინააღმდეგ ზაქათალის აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

გვ. 16, 1. „ხიმშიაშვილს დიდი მადლობა გამოუცხადე ჩემმაგიერ“ – სავარაუდოდ, საუბარია ყვარლის უბნის რწმუნებულ, პოდპორუჩიკ სოლომონ ევსევის ძე ხიმშიაშვილზე.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №2 (196) (გვ. 16-18)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365 (დავთარი შეიცავს 36 ფურცელს), გვ.: 6r-v, 7r-v.

თარიღი და ადგილი: „31^ა მაისს 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი კეთილის მსურველი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი, თხელი ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21,4X12,9 სმ; ფურცელი, რომელიც რესტავრაციის შედეგად სქელ ქაღალდზეა დანებებული, იმდენად თხელია, რომ მეორე გვერდზე წინა გვერდის ნაწერები ემჩნევა; წერილი განთავსებულია ოთხივე გვერდზე; შესრულებულია შავი ტუშით.

ადრესატის მისამართი: სვიმონ შალიკაშვილისადმი გაგზავნილი წინა წერილი ბელაქანშია გაგზავნილი, სადაც ადრესატი იმ დროისთვის მსახურობდა. მართალია, წინამდებარე წერილს მისამართი არ აწერია, მაგრამ, სავარაუდოდ, ისიც **ბელაქანში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 8-9.

დათარილება:

გვ. 16, 18. **„გამოაჩენს ახალსა შენსა ტალეირანობასა“** – ადრესატი შედარებულია XIX საუკუნის ცნობილ ფრანგ სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატ შარლ მორის ტალეირანთან.

გვ. 16, 21-22. **„ერისთვისშვილის მკვლელთაგანიკი არ უნდა იყოს“** – საუბარია ზაქარია გიორგის ძე ერისთავის მკვლევლებზე.

გვ. 17, 5-6. **„მურთუზჰაჯის დიდსა გონებასა და ჯამათსა“** – სავარაუდოდ, საუბარია ზაქათალელ ჰაჯი მურთუზზე.

გვ. 17, 15. **„ყარაალია ცრუ კაცია“** – სავარაუდოდ, საუბარია ჯურმუთის ნაიბ ყარა-ალიზე, რომელმაც XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში უღალატა შამილს და გადავიდა რუსეთის მხარეს. ჯურმუთი ლეკების ერთ-ერთი მსხვილი გაერთიანება იყო ზემო დაღესტანში.

გვ. 17, 18-19. **„მეც ვჰსთხოვე მთავარმართებელსა“** – იგულისხმება მეფისნაცვალ ვორონცოვი.

გვ. 17, 21-22. **„შენს მოლლას... არაბულის ენისა კარგად ცოდნისათჳს“** – ძნელი სათქმელია, რომელ მოლაზეა საუბარი, მაგრამ ისტორიული წყაროებითაც დასტურდება, რომ, ჩეჩნეთისაგან განსხვავებით, დაღესტანში იმდენად განათლებული სასულიერო პირები იყვნენ, რომ ორიენტალისტებსაც კი აოცებდნენ არაბული ენის კარგი ცოდნით.

გვ. 17, 22-23. **„თითო სიტყვა ჯავაირად ჰღირსთჳო“** – იგულისხმება ძვირფასი თვალი.

გვ. 17, 24. **„მაიორი კანანოვიჩი, რომ გწერს“** – გრიგოლ ორბელიანის წერილების მეორე ტომის (1937 წ.) კომენტარების ავტორი აკაკი განერელია „კავკასიის კალენდარზე“ დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ეს უნდა იყოს თბილისის ეგერთა პოლკის მაიორი პეტრე ივანეს ძე კანანოვიჩი.

გვ. 17, 24-25. „**კართუბანში ლეკის ჩამოსვლა**“ – საუბარია სოფელ ყარსუბანზე, რომელიც ამჟამად შედის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

გვ. 17, 25-26. „**შენცი ათახარაბის ფოშტაში მოლიო**“ – გაურკვეველია, რომელ გეოგრაფიულ პუნქტზეა საუბარი.

გვ. 17, 32-33. „**უნდა იაროს გავაზისაკენ**“ – სავარაუდოდ, საუბარია კახეთში, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელზე, რომელიც ამჟამად ეკუთვნის ყვარლის მუნიციპალიტეტს.

გვ. 17, 34. „**ჰსდგას ჯართა ბეჟანიანში**“ – საუბარია ძველ გავაზზე.

გვ. 18, 2. „**ვნახო ყუტურ მოლლას თავითქო**“ – გრიგოლ ორბელიანის წერილების მეორე ტომის (1937 წ.) კომენტარების ავტორის, აკაკი განწერელიას, დაკვირვებით, ეს უნდა იყოს ზაქარია ერისთავის ერთ-ერთი მკვლელი, რომელიც სოფელ კატეხში ცხოვრობდა („Кавказский Сборник“, ტ. XI, ტფ. 1887).

მიხეილ ვორონცოვისადმი №5 (197) (გვ. 18-19)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 16v-17r.

თარიღი და ადგილი: „2^{го} июня 1851. Закаталы“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „K[нязю] Воронцову“ / „После приезда Вашего Сіятельства...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომა: 34,5X21,2 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღნიტით.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 18, 16-17. „**в истреблении партіи Моллы Ибрайма Халиля**“ – „მოლა იბრაიმ ხალილი“ ერქვა ცნობილი დრამა-

ტურგის, მირზა ფათალი ახუნდოვის, პიესას, რომლის მთავარი პერსონაჟიც გამოყვანილი იყო ავანტიურისტად და თაღლითად. ორბელიანის წერილის მიხედვით, მოლა იბრაიმ ხალილი რუსეთთან დაპირისპირებული პიროვნებაა, რომელსაც მთიელთა სერიოზული დაჯგუფება ჰყავს და ებრძვის რუსებს. ზუსტად ასეთი სახელის მქონე პირი შესაბამისი პერიოდის დოკუმენტურ წყაროებში ვერ აღმოვაჩინეთ, მაგრამ არსებობს 1851 წლის 13 ივლისს ჰაჯი ხალილის მიერ შამილისათვის მიწერილი ბარათი, რომელშიც საუბარია მის მიერ ათასკაციანი რაზმის ჩამოყალიბებაზე, ასევე საუბარია ციხესიმაგრეების მშენებლობის დამთავრებასა და სამხედრო მზადყოფნაზე. რამდენადაც წერილში ნახსენებია დალესტნის სოფელი წახური, აშკარაა, რომ წერილის ავტორი დალესტნელია. ვფიქრობთ, აქ სწორედ მასზე უნდა იყოს საუბარი და ორბელიანს, რომელსაც წაკითხული ექნებოდა ახუნდოვის გახმაურებული პიესა, უბრალოდ სახელები აერია.

გვ. 18, 22. „Графиня Шуазаль похвалила меня“ – საუბარია პოლკოვნიკ ედუარდ ოქტავის ძე შუაზელ-გოფიეს მეუღლეზე.

გვ. 19, 3. „Слышно, что Шамиля ожидают в Согратле“ – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტნის იმამსა და დალესტნის სოფელ სოლრატლზე.

გვ. 19, 3-4. „в Ирибы делаются сборы“ – საუბარია დალესტნის სოფელზე და იქ შამილის მომხრეთა თავმოყრაზე.

ნიკოლოზ ვოლფისადმი №1 (198) (გვ. 20-21)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 16r-v.

თარიღი და ადგილი: „2¹⁰ Июня 1851. Закаталы“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Николай Ивановичу Вольфу“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაქი; 1 ფურცელი; ზომა: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: 1846 წლიდან ნიკოლოზ ვოლფი მსახურობდა კავკასიის საგანგებო კორპუსის შტაბში, რომელიც განთავსებული იყო თბილისში. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია რუსეთის არმიის გენერალი ნიკოლოზ ივანეს ძე ვოლფი (1811-1881), რომელიც 1844 წლიდან მსახურობდა კავკასიაში, მონაწილეობდა ჩეჩნეთის ექსპედიციებში, დარღოს ალუბაში და სხვ. 1846 წელს სამსახური დაიწყო კავკასიის საგანგებო კორპუსის შტაბში, სადაც პასუხისმგებელი იყო არმიის განთავსების ადგილების შერჩევაზე, ყაზარმების მოწყობაზე და სხვ.

გვ. 20, 3. „**Поручик Айғони**“ – კავკასიის გენერალური შტაბის დოკუმენტებში იხსენიება მთარგმნელი პორუჩიკი მაჰად აიგონი და, სავარაუდოდ, წერილში მასზე უნდა იყოს საუბარი.

გვ. 20, 20-21. „**партіи Моллы Ибрайма Халиля**“ – იხ. №197-ე წერილის კომენტარი.

გვ. 20, 24-25. „**Маіор Канинович молодецки действовал**“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს თბილისის ეგერთა პოლკის მაიორ პეტრე ივანეს ძე კანანოვიჩზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №6 (199) (გვ. 22)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 14v-15r.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову Письмо Вашего С[іятельств]ва...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 35X21,2 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით, აჩქარებული ხელით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილში საუბარია ყაჩაღებთან ბრძოლაზე და ნათქვამია, რომ ამ წერილის დაწერის წინა დღეს მოკლეს ერთი ყაჩაღი და მისი ძმა ტყვედ აიყვანეს, მაგრამ თავადი ერისთავის მკვლელთაგან ვერავის ნაანყდნენ. რამდენადაც 1851 წლის 13 სექტემბერს ძმის – ილიასადმი მიწერილ ბარათში მოთხრობილია, როგორ მოკლეს თავადი ზაქარია ერისთავის ერთ-ერთი მკვლელი – ლალა აბდულ-ქერიმოლი, რომელსაც ზაქარიას შინელის საყვლური ჰქონდა თან და რომლის მოკვლაც, გრიგოლის თქმით, მტრის ასი კაცის მოკვლას უდრიდა, ეს წერილი 1851 წლის 13 სექტემბრამდეა დაწერილი, მაგრამ ვორონცოვისადმი გაგზავნილი კიდევ ერთი წერილი, რომელსაც ვათარიღებთ 1851 წლის 2 აპრილიდან 7 ივნისამდე და, რომლის მიხედვითაც, ზაქარია ერისთავის ერთ-ერთი მკვლელი უკვე მოკლულია, საშუალებას გვაძლევს, რომ ეს ბარათიც ასევე დავათარიღოთ – **1851 წლის 2 აპრილიდან 7 ივნისამდე**, მაგრამ თანმიმდევრობის თვალსაზრისით, ეს ბარათი მეორეზე ადრინდელია.

გვ. 22, 9. „**Тальскіе жители, возвращённые из Воронежа**“ – საუბარია ვორონეჟში გადასახლებული თაღელების შეწყალებასა და დაბრუნებაზე.

გვ. 22, 12-13. „**встретили их за Царскими Колодцами**“ – საუბარია კახეთის რაიონის სოფელზე, რომელსაც ამჟამად დედოფლისწყარო ეწოდება.

გვ. 22, 13-15. „**Рамазанъ и товарищи его думают о том, как бы на самом деле выказать и своё доверіе и преданность их Правительству**“ – ვინაიდან კონტექსტიდან ჩანს, რომ წერილში საუბარია თალის მცხოვრებლებზე, უნდა იგულისხმებოდეს რუსეთის არმიის შტაბსკაპიტანი რამაზან ალა თაღე-

ლი, რომელიც ხან თანამემამულეების მხარეს იყო და ხან – იმპერიის. იგი 1861-1862 წლების ზაქათალის აჯანყების ერთ-ერთ ორგანიზატორად ითვლებოდა და აჯანყებულებს დალესტნელებთან აკავშირებდა, მაგრამ მისი ჩახშობის შემდეგ ისევ რუსეთის სამსახური გააგრძელა. მას დაავალეს აჯანყების მონაწილეების დასახელება, რაც ბოროტად გამოიყენა და იმის გამო, რომ ამ სიიდან პიროვნების გამოტოვებისთვის ქრთამს იღებდა, ბელაქნელებმა გააძევეს.

გვ. 22, 20-21. „**обратились с просьбою к Данильбеку**“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 22, 25. „**Мухахские охотники убили близ сел[енія] Чардахло**“ – სავარაუდოდ, საუბარია დალესტნის სოფელ მუხახის (სხვაგან გრიგოლი მუხსახსაც ახსენებს) მონადირეთა რაზმზე და სოფელ ჩარდახლოზე, რომელიც თალის რაიონს ეკუთვნოდა.

გვ. 22, 27. „**из убійц К[нязя] Эристова**“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, ელენე იოანეს ასულ ორბელიანის, ქმარზე – ზაქარია გიორგის ძე ქსნის ერისთავზე, რომელიც ლეკებმა მოკლეს 1850 წლის 4 აგვისტოს.

მიხეილ ვორონცოვისადმი №7 (200) (გვ. 24)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 15r-v.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову“ / „Спешу доложить Ваш[ему] С[иятелст]ву...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 35X21,2 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით, აჩქარებული ხელით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.
პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წერილში საუბარია ჭარ-ბელაქნის ყაჩაღების წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციაზე, რომლის დროსაც მოკლეს ზაქარია ერისთავის ერთ-ერთი მკვლეელი. რამდენადაც ამ ყაჩაღების დევნაზე და ზაქარია ერისთავის მკვლელებთან ანგარიშსწორებაზე 1851 წლის წერილებშია საუბარი (იგი 1850 წლის ბოლოს მოკლეს) და ისიც ვიცით, რომ 1851 წლის 2 აპრილამდე არც ერთი მკვლელთაგანი არ იყო დასჯილი, სავარაუდოდ, წერილი 1851 წლის 2 აპრილის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ბარათის ბოლოს ნათქვამია, რომ წინა წლის დეკემბრიდან წერილის დაწერის დრომდე რუსეთის მხარეს ბელაქანში 31 ყაჩაღი ჰყავდა მოკლული, ილია ორბელიანი-სადმი 1851 წლის 7 ივნისის წერილში კი ვკითხულობთ: „ყაჩაღები ძალიან დაფთხნენ და გადაცვინდნენ აქედამ მთას იქით. ხუმრობა ხომ არ არის, 57 თავი მოჭრილი იმათგანი“. შესაბამისად, ეს წერილი მეორეზე ადრე უნდა იყოს დაწერილი, ანუ **1851 წლის 2 აპრილიდან 7 ივნისამდე.**

გვ. 24, 3. „**Чанка-Али убит**“ – საუბარია ცნობილ ყაჩაღზე.

გვ. 24, 5-6. „**под командою К[нязя] Мачабелова и Поручика К. Абхазова**“ – სავარაუდოდ, საუბარია შტაბსკაპიტან ესტატე მიხეილის ძე მაჩაბელსა და ალექსანდრე თეიმურაზის ძე აფხაზოვზე, რომლებიც მსახურობდნენ ბელაქანში.

გვ. 24, 11. „**доверенностью Шамиля**“ – საუბარია ჩერნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 24, 13-14. „**ценил его выше Султана**“ – სავარაუდოდ, საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 24, 17-18. „**Прапорщиком партизанской команды Бакрадзе и Андроникова**“ – ამ სამხედრო პირთა სახელები უცნობია.

გვ. 24, 19-20. „**последний – знаменитаго Качага Мамед Олсар Оглы**“ – სავარაუდოდ, ესეც ბელაქნელი ყაჩაღი იყო.

გვ. 24, 20-21. „**учавствовавшего в убийстве К[нязя] Эривова**“ – საუბარია ლეკების მიერ 1850 წლის 4 აგვისტოს

მომხდარ ზაქარია გიორგის ძე ქსნის ერისთავის მკვლელობა-ზე.

ილია ორბელიანისადმი №64 (201) (გვ. 26)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №237.

თარიღი და ადგილი: „7^ლ ივნის 1851.ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ილიკო“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; შესრულებულია მოშავო მელ-ნით.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი ძმას ეკითხება: „როგორა ხარ და ანუ როგორ შეეჩვიე ახალსა შენსა თანამ-დებობასა, და ანუ კიდევ და კიდევ როგორ ასრულებ შენს პოლკის მიღებასა?“ ილია ორბელიანისადმი მიწერილ მომდევ-ნო (№65) წერილშიც იმავე შეკითხვას სვამს გრიგოლი: „რა-ტომ არასა მწერ შენს პოლკის მიღებისათჳს, ანუ როგორ მორჩი ჩინჩავატსა დებუსა; ან როგორ შეეჩვიე პოლკის მოვ-ლასა და ანგარიშსა.“ ამდენად, ირკვევა, რომ ილიამ პოლკი ჩინჩავატში გადაიბარა ალექსანდრე დებუსგან. დასახელებუ-ლი სოფელი მდებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ამჟა-მინდელ აფშერონის რაიონში. შესაბამისად, წერილი გაგზავ-ნილი უნდა იყოს **ჩინჩავატში**.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ღვთით; 3. ღმერთი; 4. სიტყვა ხაზ-გასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშ-ვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 9-10.

გვ. 26, 1-2. „**როგორ შეეჩვიე ახალსა შენსა თანამდებობა-სა**“ – 1851 წელს ილია ორბელიანი დაინიშნა ქართველ გრენა-დერთა პოლკის მეთაურად.

გვ. 26, 11. „**ლევანის ღრუზინსკის დრუჟინამაც**“ – ქარ-თულ რაზმს (дружина) უწოდებდნენ 1849 წლის მაისში შექ-

მნილ არარეგულარულ სამხედრო ფორმირებას, რომელშიც შედიოდა ქართველი თავადაზნაურობა და მილიცია. რამდენადაც ეს რაზმი, ძირითადად, ლეკების სასაზღვრო ხაზზე მოქმედებდა, 1850 წლის სექტემბრიდან კი ლეკების სასაზღვრო ხაზის მარცხენა ფლანგს ლევან მელიქიშვილი ხელმძღვანელობდა, აქაც ის უნდა იგულისხმებოდეს.

გვ. 26, 18. „**არჩილ, ღთით, მორჩა**“ – ვინმე არჩილს ორბელიანი ზაქათალიდან გაგზავნილ წერილებში ხშირად ახსენებს. ამ ბარათების შინაარსებიდან ჩანს, რომ იგი ხშირად გადაადგილდებოდა – ხან თბილისში იყო და ხან სად. 1853 წელს ილია ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ეს პიროვნება უნდა იყოს გრიგოლის შიკრიკი (Ординарец) არჩილ ანდრონიკაშვილი. დიმიტრი ჯორჯაძისათვის 1859 წლის 14 მარტს გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი ძალიან გახარებული იყო არჩილის ვაჟის შექენით. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ეს არჩილი გრიგოლის ნათესავის – ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის – ვაჟი უნდა იყოს.

გვ. 26, 19-20. „**მოუვიდა მეზურნე ალექსაცა**“ – მისი გვარი უცნობია.

გვ. 26, 25. „**საწყალი ტასიკო გაგარინისა**“ – იგულისხმება გრიგოლის ნათესავი, მანანა ორბელიანის ქალიშვილი ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინისა.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №3 (202) (გვ. 27)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365 (დავთარი შეიცავს 36 ფურცელს), გვ. 8r.

თარიღი და ადგილი: „30 ივნისსა. 1851. ბელაქანი“ / „26^ა ივნისს 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: 1 ფურცელი; ქალაქის ზომა: 22,1X19,7 სმ; ხელნაწერი რესტავრირებულია, მაგრამ მაინც

ძალიან დაზიანებულია, ალაგ-ალაგ გახეულია და რამდენიმე სიტყვა არ იკითხება; ფურცელი შუაზე ჰორიზონტალურადაა გახეული, რესტავრაციის შედეგად ეს ორი ნაწილი სქელ ქაღალდზეა დანებებული და ასეა ერთმანეთთან შეერთებული; ფურცლის პირველი ნაწილის ბოლო სამ სტრიქონზე მელანი გაბაცებული და გაფერმკრთალებულია; ამავე ნაწილის მარჯვენა მხარე მოხეულია; შესრულებულია შავი მელნით; ავტორს მისამართი და გაგზავნის ადგილი წერილის თავშიც მიუწერია და ბოლოშიც, ოღონდ სხვადასხვაგვარად. როგორც ჩანს, წერილი 26 ივნისს დაწერა ზაქათალაში, მაგრამ გაგზავნა ვერ მოახერხა, ამასობაში ბელაქანში წავიდა და 30 ივნისს წერილი იქიდან გააგზავნა.

ადრესატის მისამართი: სვიმონ შალიკაშვილი იმ დროისთვის ბელაქანში მსახურობდა. მართალია, წერილს მისამართი არ აწერია, მაგრამ, სავარაუდოდ, ის **ბელაქანში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ეს ნაწილი მოხეულია; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ეს ნაწილი მოხეულია; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ეს სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ, ჩამატების ნიშანიც გაკეთებულია; 7. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8-13. ეს სიტყვები აღარ იკითხება, მელანია წაშლილი; 14. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 10.

გვ. 27, 4-5. „**შამილა მოსულა რულჯაში, ჭოხის სიახლოესა**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე, რულჯაბი (რულუჟა) კი ისევე, როგორც ჭოხი, ცენტრალური დაღესტნის სოფელია.

გვ. 27, 5-6. „**სალტის ნაიბი ომარ**“ – შამილის ნაიბი ომარ სალტელი 1851 წელს სათავეში ედგა ყაითალისა და ტაბასარანის ექსპედიციას.

გვ. 27, 7. „გიულის სოფელთან ჯაქარყულიაღა“ – სავარაუდოდ, იგიულისხმება ჯაფარყული ალა ბაკიხანოვი და დაღესტნის სოფელი.

გვ. 27, 8. „ჰუსუმბეგ ქურის სახანოს ცხენოსნითა“ – საუბარი უნდა იყოს იმ ყუბელ ახალგაზრდა სამხედრო პირზე, რომელიც ორ სხვა ახლობელთან ერთად გრიგოლმა მიაბარა თავისი პოლკის სასწავლო ქვედანაყოფში გამოცდილების შესაძენად.

გვ. 27, 9. „ალარბეგი ყაზიყუმუხელებითა“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხანზე, რომელიც ბავშვობიდანვე მძევლად ჰყავდათ რუსებს და მათ მხარეს იბრძოდა.

გვ. 27, 12. „ღულთიდაღის მთაზედ გაქცეულა“ – საუბარია დაღესტნის ერთ-ერთ მთაზე.

გვ. 27, 12-13. „ჰაჯიმურად ნასულიყოს აყუშისაკენ“ – საუბარია შამიღის ნაიბზე და დაღესტნის სოფელ აყუშაზე.

გვ. 27, 13-14. „ჰსდგას არღუთინსკი“ – საუბარია რუსეთის არმიის გენერალ მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოღორუკოვზე, რომელიც იმ დროს იყო სამხრეთ დაღესტნის, ყუბანისა და დარუბანდის ჯარების უფროსი.

გვ. 27, 16. „უამბე მურთუზჰაჯისა“ – საუბარია რუსეთის იმპერიის ოფიცერ ჰაჯი მურთუზზე.

იღია ორბელიანისადმი №65 (203) (გვ. 27-29)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №238.

თარიღი და ადგილი: „5^ს ივღისს 1851. ზაქათალით.“

ხელმწინერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო იღიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 26X21 სმ; შესრულებულია მოშავო მელნით.

ადრესატის მისამართი: წერიღში გრიგოლი ძმას ეკითხება: „რატომ არასა მწერ შენს პოლკის მიღებისათჳს, ანუ როგორ მორჩი ჩინჩავატსა დებუსა; ან როგორ შეეჩვიე პოლკის მოვ-

ლასა და ანგარიშსა.“ დამონმებული ციტატიდან ირკვევა, რომ ილიამ პოლკი ჩინჩავატში გადაიბარა ალექსანდრე დებუსგან. დასახელებული სოფელი მდებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ამჟამინდელ აფშერონის რაიონში. შესაბამისად, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **ჩინჩავატში**.

შენიშვნები: 1-2-3-4-5-6-7. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. „ან ჩემზე რას ამბობენ“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 13-14.

გვ. 27, 21-22. „**პოლკის მიღებისათვის**“ – 1851 წელს ილია ორბელიანმა ჩაიბარა ქართველ გრენადერთა პოლკი.

გვ. 27, 22. „**როგორ მორჩი ჩინჩავატსა დებუსა**“ – საუბარია ალექსანდრე იოსების ძე დებუზე, რომელიც 1846-1851 წლებში მეთაურობდა ქართველ გრენადერთა პოლკს და შემდეგ ეს თანამდებობა ილია ორბელიანს გადააბარა (თავად დაინიშნა შავი ზღვის სასაზღვრო ხაზის განყოფილების მეთაურად). სავარაუდოდ, იგულისხმება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ამჟამინდელი აფშერონის რაიონის სოფელი ჩინჩავატი.

გვ. 28, 2. „**შამილა მოსულა ჭოხთან ჯარითა**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამსა და დაღესტნის სოფელ ჭოხზე.

გვ. 28, 3-4. „**გაუგზავნია სალტის ნაიბი**“ – შამილის ნაიბი ომარ სალტელი 1851 წელს სათავეში ედგა ყაითაღისა და ტაბასარანის ექსპედიციას.

გვ. 28, 6-7. „**ყუყმას მთაზე შეხვდა ამ პარტიას ჯაფარყულიაღა, ალაღარბეგი**“ – საუბარია დაღესტნის მთაზე (სადაც მოხდა შეტაკება), ჯაფარყული ალა ბაკიხანოვსა და ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე, რომელიც რუსეთის მხარეს იბრძოდა.

გვ. 28, 10. „**გამაშის მთებზედ ავიდა**“ – იგულისხმება მთა ცენტრალურ დაღესტანში.

გვ. 28, 10-11. „**არლუთინსკიმ შეუტია ჩემის აფშერონელებითა**“ – საუბარია მოსე არლუთინსკიზე, რომლის დაქვემ-

დებარებაშიც იმ დროს შედიოდა აფშერონის ბატალიონი. აფშერონელებს კი გრიგოლი „თავისად“ იმიტომ მოიხსენიებს, რომ ადრე (1847 წლის ივლისიდან) იყო აფშერონის 81-ე ქვეითი პოლკის მეთაური.

გვ. 28, 14. **„დუბელტი დაჭრეს მსუბუქად“** – საუბარია მიხეილ ლეონტის ძე დუბელტზე (1822-1900), რომელიც 1849 წელს გადაიყვანეს აფშერონის ქვეით პოლკში.

გვ. 28, 15-16. **„კარლსბადშიაც წავა“** – ჩეხეთის კურორტ კარლოვი-ვარს იმ დროს კარლსბადს უწოდებდნენ და იქ ხშირად აგზავნიდნენ დაჭრილ ოფიცრებს გამოსაჯანმრთელებლად.

გვ. 28, 19. **„გაიქცნენ ბეჟანიანის გზისაკენ“** – საუბარია დღევანდელ ახალსოფელზე.

გვ. 28, 21. **„დახვდა პოდპოლკ. კულმანი“** – გრიგოლ ორბელიანის წერილების მეორე ტომის (1937 წ.) კომენტარების ავტორი აკაკი განერელია „კავკასიის კალენდარზე“ დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ ეს უნდა იყოს ეგერთა პოლკის ოფიცერი, მე-2 ბრიგადის მე-12 ბატალიონის უფროსი მიხეილ სიმონის ძე კულმანი.

გვ. 28, 25-26. **„გამოჩნდა შილდის ხეობაში“** – სავარაუდოდ, იგულისხმება მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადის – ჩელთის – ხეობა, სადაც მდებარეობს სოფელი შილდა.

გვ. 28, 29-30. **„სულთან აპირებს ჯარით შემოსვლასა“** – სავარაუდოდ, საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 28, 30-31. **„შამილას შვილიც მოსულიყოს ჯარითა“** – უნდა იგულისხმებოდეს შამილის ვაჟი ყაზი-მუჰამედი, რომელსაც ცოლად ჰყავდა დანიილ სულთანის ქალიშვილი ქარიმათი.

გვ. 28, 31. **„რისსა, არჩის სიახლოესა“** – საუბარია დაღესტნის მალალმთიან სოფლებზე.

ილია ორბელიანისადმი №66 (204) (გვ. 29-30)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №239.

თარიღი და ადგილი: „12 ივლისს 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ილიკო“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 26X21 სმ; შესრულებულია მოლურჯო მელნით.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი ძმას ეუბნება: „შენი წერილი მომივიდა, ჩემო ილიკო, რომელშიაცა მწერ პოლკის მიღებასა.“ ილიასადმი გაგზავნილი წინა (№65) წერილის შინაარსიდან ვიცით, რომ ილიამ პოლკი ჩინჩავატში გადაიბარა ალექსანდრე დებუსგან. შესაბამისად, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **ჩინჩავატში**.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 14-15.

გვ. 29, 16. „**მოვიდეთ ოქროპირ ბატონიშვილთან**“ – საუბარია ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, ვაჟზე.

გვ. 29, 18-20. „**შენ შენი შესაფერი ყოველთჳს შეგხვდება, და იმასკი, მგონია, შენისთანა ვერ შეხვდეს**“ – სავარაუდოდ, საუბარია ოქროპირ ბატონიშვილის რომელიმე ქალიშვილზე, რომლის შერთვაც ილიას უნდოდა და უარი მიიღო. ოქროპირ ბატონიშვილს სამი ქალიშვილი ჰყავდა: მათგან ერთი – ანა – იმ დროს ცოლად ჰყავდა ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელს, პრასკოვია და თამარი კი გასათხოვრები იყვნენ.

გვ. 29, 21-22. „**ივანე შალიკოვი ირთავს ცოლად გულბათის ქალსა დარიკოს**“ – როგორც ჩანს, საუბარია გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ იოსების ძე შალიკაშვილის ძმაზე – ივანეზე (1813-1866), რომელმაც ცოლად მოიყვანა დარეჯან (დარია) გულბათის (პანტელეიმონის) ასული ქავჭავაძე.

გვ. 30, 2. „შამილა ჰსდგას ჯართა ქოხის სიახლოესა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამსა და დაღესტნის სოფელ ქოხზე.

გვ. 30, 2-3. „მოპირდაპირედ კნიაზ არლუთინსკისა“ – საუბარია რუსეთის არმიის გენერალ მოსე ზაქარეას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე.

გვ. 30, 3-4. „ჰაჯიმურად ხუთასის ცხენოსნითა არაკნი-დამ ბუინალზედ განვლო“ – საუბარია შამილის ნაიბსა და დაღესტნის სოფლებზე.

გვ. 30, 9-10. „ლოთი ჯამობეგი ხომ მაშინვე დერბენდის ციხეში შეძვრება“ – საუბარია დაღესტნის მხარის – ყარაყაითაღის – მმართველ ჯამოვ ბეგზე.

გვ. 30, 14-15. „კნიაზ გრიგოლ მუხრანის ბატონისა“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე (მუხრანსკიზე), რომელიც იყო ქარ-ბელაქნის ოლქის უფროსი.

გვ. 30, 17-18. „ელისუს ციხე გამოდის ძალიან ლამაზი და მაგარი“ – ელისუ იყო დიდი დასახლება ზაქათალის ოლქში, სადაც XIX საუკუნის შუა წლებში აშენდა მრგვალი ფორმის ციხე-სიმაგრე, რომლიდანაც შეიძლებოდა ელისუსკენ მიმავალი გზების გაკონტროლება.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №4 (205) (გვ. 31-32)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 9r-v, 10r.

თარიღი და ადგილი: „26 ივლისს 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი ქალაღი; 2 ფურცელი; ზომა: 18,2X11,1 სმ; ქვემოთ პატარა ადგილას ფურცელი მოხეულია, ხოლო ზემოთ მხარეს გაყვითლებულია სიძველისაგან; ხელნაწერი რესტავრაციის შედეგად სხვა ქალაღზეა დაწებებული; წერილი დაწერილია

სამ გვერდზე, IV გვერდი თავისუფალია; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: რადგანაც სვიმონ შალიკაშვილი იმ დროისთვის **ბელაქანში** მსახურობდა, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. „და ხვალ იქ ავალ“ სიტყვები ჩამატებულია; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 15-16.

გვ. 31, 2. **„ყარაალის ათიათასისა ჯარით ჩამოსულა“** – სავარაუდოდ, საუბარია ჯურმუთის ნაიბ ყარა-ალიზე, რომელიც იმ დროს ჯერ არ იყო გადასული რუსების მხარეს.

გვ. 31, 4-5. **„შამილას თავში საცემი ბევრი აქუს“** – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 31, 6-7. **„დანიილ სულთანიც ძალიან მიუმსხვრევია ალაღარბეგსა“** – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე, ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე (რომელიც რუსების მხარეს იბრძოდა) და მათ შეტაკებაზე.

გვ. 31, 7-8. **„თემიმალაც დაჭრილი ძლივ მოუთრევიათ შინ“** – სავარაუდოდ, საუბარია სულთან დანიილ ბეგის ძმისწულზე, რომელიც მისი ერთ-ერთი ნაიბი იყო.

გვ. 31, 8-9. **„ჰაჯიმურადიც ჰყავს შემწყვედული ერთს მთაზედ ტაბასარანში კნიაზს არლუთინსკისა“** – საუბარია შამილის ნაიბსა და რუსეთის არმიის გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე.

გვ. 31, 10-11. **„ნადირშაჰას ყათლამი უყო“** – საუბარია ირანის შაჰზე, რომელიც 1741-1742 წლებში ცდილობდა დაღესტნის დაპყრობას.

გვ. 31, 15. **„ჰაჯიმურთუზას და მისს ახოტნიკებსა“** – სავარაუდოდ, საუბარია ჰაჯი მურთუზზე, რომელიც მთიელთაგან შეკრებილ ე.წ. მონადირეთა რაზმს მეთაურობდა.

გვ. 31, 15-16. „გამოუგზავნე ბაირალი ხიმშიევის ხელითა“ – სავარაუდოდ, საუბარია ყვარლის უბნის რწმუნებულ, პოდპორუჩიკ სოლომონ ევსევის ძე ხიმშიაშვილზე.

გვ. 31, 16-17. „მირზა ავათა მყავს“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის გადამწერ მირზა ვექილოვზე.

გვ. 31, 18. „მივდივარ მესელდეღერზედა“ – საუბარია დაღესტნის ერთ-ერთ სიმაგრეზე.

გვ. 31, 19. „თუ შენც აკიმალს ახვალ“ – საუბარია დაღესტნის ერთ-ერთ მთაზე.

გვ. 31, 28. „გუბახის მხრიდამ დაიცვას, თუ არა“ – საუბარია ბელაქნის რაიონის მთა გუბახზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №8 (206) (გვ. 32-34)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 17v, 18r-v, 19v.

თარიღი და ადგილი: „3^{то} августа, 1851.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: 17v და 18r-v-სი: 34X21,5 სმ; 19v-სი: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; ყველა გვერდს აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 32, 5-6. „монаршей милости св[ятой] Анны 1^{ой} степени“ – რუსეთის იმპერატორი იმ დროს იყო ნიკოლოზ I. საუბარია მის მიერ ორბელიანის დაჯილდოებაზე წმინდა ანას ორდენით.

გვ. 32, 16-17. „о разграбленіи монастыря Св[ятого] Давида Гарезельскаго“ – ეს თავდასხმა დავით გარეჯის მონასტერზე მოხდა 1851 წლის 19 ივლისს.

გვ. 32, 20. „**один из Горских Татар... другой из сел[енія] Кесаман**“ – სხვა წერილში გრიგოლი აკონკრეტებს, რომ სარლარიდან და ქესამანიდან იყვნენ.

გვ. 32, 24. „**Самухских, или Казахских Татар**“ – საუბარია ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის განმგებლობაში მყოფი სოფლების – სამუხისა და ყაზახის – მცხოვრებლებზე.

გვ. 33, 1. „**Монахи находятся в Ирибы**“ – საუბარია გატაცებულ ბერებზე.

გვ. 33, 6. „**частью изрубили**“ – ყაჩაღებმა ამ თავდასხმის დროს მოკლეს: მღვდელმონაზვნები, ბერები და მორჩილები: სერაპიონი, გერმანი, ბესარიონი, მიხეილ ქართველიშვილი, ოთარ ელიოზიშვილი და სიმონ ლომიძე.

გვ. 33, 8-9. „**Ажимурад после нескольких поражений, нанесённых ему К[нязем] Аргутинским**“ – საუბარია ნაიბ შაჯი მურატსა და მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკიზე.

გვ. 33, 9. „**бежал из Табасарани мимо Чирага**“ – საუბარია დალესტნის პროვინცია ტაბასარანზე და ყაზიყუმუხსა და ქურას შორის მდებარე გამაგრებულ პუნქტ ჩირალზე.

გვ. 33, 10-11. „**через гору Алахамдаг спустился в Ихрекское ущелье**“ – საუბარია ალახუნ დაღის მთასა და იხრეკის ხეობაზე, რომლებიც დალესტანში მდებარეობს.

გვ. 33, 12. „**ротмистр Македонскій с Рутульским Найбом**“ – ქართულ წერილში, სადაც იგივე მოვლენებია აღწერილი, გვხვდება როტმისტრი მაკედონსკი. უნდა იგულისხმებოდეს სამურის ოლქის უფროსის თანაშემწე, როტმისტრი პეტრე მიხეილის ძე მაკედონსკი. რუთულის ნაიბი იყო აბუმუსლიმი.

გვ. 33, 14-15. „**пробраться к стороне Арчи**“ – საუბარია არჩის მთაზე.

გვ. 33, 17. „**противу Кистенцев**“ – საუბარია ქისტებზე.

გვ. 33, 20-21. „**из сел[енія] Вакири**“ – საუბარია ამჟამინდელი სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირზე.

გვ. 33, 25. „Князь Амилахваров с похвальной ревностью“ – სავარაუდოდ, საუბარია ახალგაზრდა თავად ივანე გივის ძე ამილახვარზე, რომელიც 1851 წლიდან იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ და მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით გამოირჩეოდა.

გვ. 33, 29-30. „горах Месельдегехе, Джоржообале и Моуравдаге“ – საუბარია მესელდეღერის, ჯორჯოობალისა და მოურავდაღის მთებზე, რომლებიც დაღესტანშია.

გვ. 34, 1-2. „Артил[лерийский] Штабскапитан Мадатов и Подпоручик Алибек“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ბაქოსა და შირვანის მინერალური წყლების დირექტორი პეტრე ნიკოლოზის ძე მადათოვი და ალიბეკ დიბროვი.

გვ. 34, 4-5. „Полковника Резваго окрестили порохом“ – პიროვნების სახელი უცნობია.

გვ. 34, 12. „Шинский баталіон“ – საუბარი უნდა იყოს ბატალიონზე, რომელიც დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე მაღალმთიან სოფელ შინში იყო განლაგებული.

მიხეილ ვორონცოვისადმი №9 (207) (გვ. 36-37)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 19r-v.

თარიღი და ადგილი: „6^{ое} августа, 1851. Закаталы“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К [воронцову]“ / „Письмо Вашего С[иятельство]ва...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 36, 23-24. „**объявил Вашу волю Башмакову**“ – სავარაუდოდ, საუბარია კავალერიის პორუჩიკ არკადი დიმიტრის ძე ბაშმაკოვზე, რომელიც, როგორც ჩანს, ორბელიანებთან დაახლოებული პირი იყო. მოგვიანებით, 1857 წელს, მან ცოლად შეირთო გრიგოლის რძლის, ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანის, და – ელისაბედ ილიას ასული ბაგრატიონი (დაბად. 1836 წელს).

გვ. 36, 30-31. „**Баталіон Графскаго полка**“ – შირვანის 84-ე ქვეით პოლკს 1828 წელს მიენიჭა გრაფ პასკევიჩის სახელი და მას „გრაფის პოლკადაც“ მოიხსენიებდნენ.

გვ. 36, 31; 37, 1. „**позиції у сел[енія] Гельмец**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ ლელმენზე.

გვ. 37, 1-2. „**Князь Васильчиков продолжает свою работу в Шинском ущелье**“ – საუბარია მდინარე შინის ხეობაზე (რომელიც დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს) და ნოვოროსიისკისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორ, ცხენოსანთა პოლკის მეთაურ, პოლკოვნიკ სერგეი ილარიონის ძე ვასილჩიკოვზე.

გვ. 37, 3. „**в горном магале**“ – მაჰალი XIX საუკუნეში კავკასიის მთიანეთის ადმინისტრაციულ ერთეულებს ერქვა, რომლებიც შედგებოდა რამდენიმე სოფლისგან. ერთ-ერთი სოფელი ითვლებოდა ცენტრად და მისი ნაიბი წყვეტდა საზოგადოებრივ საქმეებს. ჭარ-ბელაქნის ოლქი 1839 წელს დაიყო 5 მაჰალად, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო მთიანი მაჰალი.

გვ. 37, 5-6. „**Князь Абхазов с Джарцами и Тальцами направился к Кусуру**“ – საუბარია ალექსანდრე თეიმურაზის ძე აფხაზოვზე, რომელიც მსახურობდა ჭარ-ბელაქნის ოლქში და მთიანი მაჰალის სოფელ კუსურზე.

გვ. 37, 6-7. „**Мачабелов с жителями Мухахскаго ущелья в Джиних**“ – სავარაუდოდ, საუბარია შტაბსკაპიტან ესტატე მიხეილის ძე მაჩაბელზე, დაღესტანში მდებარე მდინარე მუხახის ხეობის მცხოვრებლებსა და დაღესტნის სოფელ ჯინიხზე.

გვ. 37, 7-8. „в Цахурь – Ажиага с Элисуйскою Милицією“ – საუბარია იმჟამინდელი ქარ-ბელაქნის ოლქის სოფელ წახურსა და ელისუს პრისტავ, პორუჩიკ ჰაჯი-ალა ბეგზე.

ილია ორბელიანისადმი №67 (208) (გვ. 38-41)

ავტოგრაფი: Z (ზსიემ) 24495/ლიტ. არქ. 1095.

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემი ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: თხელი, მოცისფრო ქაღალდი; ზომა: 27X22 სმ; შესრულებულია შავი ტუშით 4 გვერდზე; ხელნაწერის I გვერდი გადახეულია; ამავე გვერდის მარცხენა მხარეს აქვს მინაწერი მობრუნებული სახით; წერილი დაუთარილებელია. საინვენტარო ნიგნში თარიღად შეცდომით 1835 წელია მითითებული.

ადრესატის მისამართი: ილიასადმი გაგზავნილი წინა სამი (№№64,65,66) წერილიდან ვიცით, რომ იგი იმყოფებოდა **ჩინჩავატში**. წინამდებარე წერილში, რომელიც მაქსიმუმ ერთი თვის შუალედშია დაწერილი, არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ამ ადგილას სიტყვაა გადახაზული, რომელიც არ იკითხება და ზემოდან ეს სიტყვები აწერია; 3-4-5. ეს სიტყვა ჩამატებულია; 6. ღვთის.

პირველი პუბლიკაცია: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ.: 302-305.

დათარილება: წერილში ნახსენებია დავით გარეჯის მონასტრის გაძარცვა და ბერების დახოცვა, რაც 1851 წლის 19 ივლისს მოხდა. შესაბამისად, ბარათი ამის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. მეორე მხრივ, მასში ვკითხულობთ: „გუშინ წინ 1500 კაცი შევყარე სულ აქაურნი და გავგზავნე в Горный магал“ და „ჩემი გაგზავნილი ჯარი დაბრუნდა გორნის მაჰალიდამ...“

5^o მოიყვანეს ტყვედ... 8^o წყალში დაიხრჩნენ...“ იგივე ინფორმაცია გვხვდება 1851 წლის 10 აგვისტოს სვიმონ შალიკაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში: „ხალხი გაგზავნე в Горный Магал; რვა კაცი დაახრჩეს ყაჩაღთაგანი სამურის წყალში“. შალიკაშვილისათვის გაგზავნილ წერილში ამ ინფორმაციას წინ უსწრებს სიტყვები: „არ ვიცი მოგწერე თუ არა“, რაც მიგვანიშნებს, რომ ეს ამბავი ცოტა ადრეც შეიძლებოდა მიეწერა მისთვის, ილია ორბელიანისათვის გაგზავნილი წერილიდან კი, როგორც ვნახეთ, ჩანს, რომ ეს ჯარი გრიგოლს ბარათის დაწერამდე ორი დღით ადრე გაუგზავნია. შესაბამისად, წინამდებარე წერილი შალიკაშვილისათვის გაგზავნილს ცოტათი უნდა უსწრებდეს წინ და **1851 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში – 10 აგვისტომდე** უნდა იყოს დაწერილი.

გვ. 38, 15. „პასეკმა ამის ძალით მიიღო“ – საუბარია გენერალ დიომიდე ვასილის ძე პასეკზე.

გვ. 38, 16. „დაეხოცნენ აზენში“ – საუბარია იმჟამინდელი ქარ-ბელაქნის ოლქის სოფელზე.

გვ. 38, 18-19. „მიმინერია კიდეც მთავარმართებლისათვის“ – იგულისხმება მეფისნაცვალის ვორონცოვი.

გვ. 38, 20-21. „შეუდგა თვთ გრიგოლ მუხრანსკი“ – საუბარია ქარ-ბელაქნის ოლქის უფროს გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე (მუხრანსკიზე).

გვ. 38, 27-28. „უდაბნოში მონასტრის გატეხა და ბერების დახოცვა“ – საუბარია გარეჯის უდაბნოსა და 1851 წლის 19 ივლისს მონასტერში მომხდარ თავდასხმაზე, რომლის დროსაც მოკლეს მღვდელმონაზვნები, ბერები და მორჩილები: სერაპიონი, გერმანი, ბესარიონი, მიხეილ ქართველიშვილი, ოთარ ელიოზიშვილი და სიმონ ლომიძე.

გვ. 38, 28-29. „სარლარიდამ და ქესამანიდამ მოსულან“ – პირველი ყაჩაღის შესაღებ სხვა წერილში ნათქვამია, რომ ის იყო „из Горских Татар“. შესაძლოა, საუბარი იყოს ყირიმის მთიან სოფელ სარლარზე (ამჟამად ბელობროდსკოე), რომელიც XIX ს-ის II ნახევრის ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება

თათრულ სოფლად. ქესამანი იმდროინდელი ერევნის გუბერნიის ახალი ბაიაზეთის მაზრის მუსლიმანური სოფელი იყო.

გვ. 38, 29-30. „**13^{მე} ყაჩაღნი შაქელები**“ – საუბარია ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის განმგებლობაში მყოფ სოფელ შაქის მცხოვრებლებზე.

გვ. 39, 2. „**სამუხელნი, ან ყაზახელნი**“ – საუბარია ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის განმგებლობაში მყოფი სოფლების – სამუხისა და ყაზახის – მცხოვრებლებზე.

გვ. 39, 18. „**ბერები არიან ირიბში**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე, სადაც წაუყვანიათ დატყვევებული ბერები: მაკარი და ისაკი, დიაკონი სერგეი, მორჩილი ბასილი და კიდევ სამი, რომელთა სახელებიც უცნობია.

გვ. 39, 28. „**კუსურზე წავიდა აბხაზოვი**“ – საუბარია იმჟამინდელი ჭარ-ბელაქნის ოლქის სოფელ კუსურზე და, სავარაუდოდ, ალექსანდრე თეიმურაზის ძე აფხაზოვზე, რომელიც მსახურობდა ბელაქანში.

გვ. 39, 29. „**თაღელებით გოდორდალისაკენ**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ თაღის მცხოვრებლებზე და, სავარაუდოდ, მაღალმთიან სოფელ კოროდახზე.

გვ. 39, 29-30. „**მაჩაბელი მუხსახელებითა და სხუა სოფლებიდამ ჯინიხზედ**“ – სავარაუდოდ, საუბარია შტაბსკაპიტან ესტატე მიხეილის ძე მაჩაბელზე, დაღესტნის სოფელ მუხახის მცხოვრებლებსა და დაღესტნის სოფელზე.

გვ. 39, 30-31. „**ჰაჯი ალა ელისუს მილიციითა წახურში**“ – საუბარია ელისუს პრისტავ პორუჩიკ ჰაჯი ალა ბეგსა და იმჟამინდელი ჭარ-ბელაქნის ოლქის სოფელ წახურზე.

გვ. 40, 2. „**მოიტაცეს 750 ცხვარი ჭურმუტისა**“ – საუბარია ზემო დაღესტნის ლეკთა მსხვილ დასახლებაზე.

გვ. 40, 15. „**არლუთინსკი შევიდა ტაბასარანში და ყაითალში**“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკიზე, დაღესტნის სამხრეთ პროვინცია ტაბასარანსა და სოფელ ყაითალზე.

გვ. 40, 16. „**ჰაჯიმურად იყო გამაგრებული**“ – საუბარია შამილის ცნობილ ნაიბზე, რომელმაც 1851 წლის ზაფხულში ილაშქრა ტაბასარანზე.

გვ. 40, 20. „**გამოიქცა იქიღამ ჩირალისაკენ**“ – საუბარია ყაზიყუმუხსა და ქურას შორის მდებარე გამაგრებულ პუნქტზე.

გვ. 40, 21-22. „**გააგდებინა შაჰვალის ცოლი დატყვევებულ**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანის ძმის (ზოგიერთი წყაროს მიხედვით – ძმისშვილის), ბუინალის მმართველის, შაჰვალის, ცოლზე – სულთანათზე, რომელიც 1851 წლის ივლისში ჰაჯი მურატის მეომრებმა, მის ქმარზე თავდასხმისა და მისი მოკვლის შემდეგ, დაატყვევეს, მაგრამ გაქცევა შეძლო. ტყვეობაში დარჩნენ მისი შვილები – ზუბაირი და უკაირი.

გვ. 40, 22. „**გადმოვიდა ალახუნის მთაზედ**“ – ალახუნ დალი დალესტინის ერთ-ერთი მთაა.

გვ. 40, 23. „**ჩამოვიდა იხრევის ხეობაში**“ – სავარაუდოდ, საუბარია დალესტინის ტერიტორიაზე მდებარე იხრევის ხეობაზე.

გვ. 40, 23-24. „**დახვდა რუთულის ნაიბი**“ – საუბარია რუთულის ნაიბ აბუ-მუსლიმზე, რომელიც იმ დროს სათავეში ედგა ჰაჯი მურატის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას.

გვ. 40, 24. „**ახტის მილიცია როტმისტრის მაკედონსკითურთ**“ – როტმისტრი კაპიტნის ტოლფასი სამხედრო წოდება იყო კავალერიაში. უნდა იგულისხმებოდეს სამურის ოლქის უფროსის თანაშემწე, როტმისტრი პეტრე მიხეილის ძე მაკედონსკი.

გვ. 40, 25-26. „**გადაატარეს მთა არჩისკენ**“ – საუბარია დალესტინის ერთ-ერთ მთაზე.

გვ. 40, 27-28. „**შამილა სამისმხრით მივიდა ყაზიყუმუხის სახანოზედ**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტინის იმამსა და დალესტინის ერთ-ერთ იმდროინდელ სახანოზე.

გვ. 40, 31. „**სულთანი რათლუხს**“ – საუბარია დანიილ სულთანსა და დალესტინის სოფელზე.

გვ. 41, 1-2. „**ავედი მოურავდალზედა**“ – საუბარია დალესტინის ერთ-ერთ მთაზე.

გვ. 41, 6. „**შენი პირველი ბატალიონი**“ – სავარაუდოდ, საუბარია ქართველ გრენადერთა პოლკის ბატალიონზე, რად-

გან ილია ორბელიანი 1851 წელს სწორედ ამ პოლკს მეთაურობდა.

გვ. 41, 11. „რას ჰშვება სანდრიკო“ – საუბარია გრიგოლისა და ილიას ძმისშვილზე – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №5 (209) (გვ. 42-43)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 11r-v, 12r-v.

თარიღი და ადგილი: „10 აგვისტო 1851: ზაქათალით“

ხელმოწერა: „შენი კეთილის მსურ[ველი] გრიგოლ ორბელ[იანი]“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოცისფრო, გაცრეცილი, თხელი, სიფრიფანა ქალაღი; 2 დამოუკიდებელი ფურცელი; დაზიანებული; ზომა: 21,2X13,3 სმ; ქვედა მარცხენა მხარე მოხეულია; რესტავრაციის შედეგად ფურცელი დაკრულია სხვა ქალაღზე; შესრულებულია ბაცი ლურჯი მეღნით; დაწერილია გაკრული, აჩქარებული ხელით ორ გვერდზე; III გვერდი თავისუფალია, IV-ზე მისამართი წერია, აქვეა წითელი ლუქის ნარჩენი.

ადრესატის მისამართი: „Его сиятельству, Князю Семену Осиповичу Шаликову. Г^{ны} маиору и кавалеру, в. с Лагодех“

შენიშვნები: 1. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილები მოხეულია; 2. ღმერთი; 3-4-5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 16-17.

გვ. 42, 1-2. „თავიანთ ჰაჯიმურთუზით იყვნენ“ – სავარაუდოდ, საუბარია იმ ჰაჯი მურთუზზე, რომელიც იმ დროს რუსეთის ოფიცერი იყო.

გვ. 42, 8. „ყარაალი და ბაკრაკი აპირებდენ“ – სავარაუდოდ, საუბარია ჯურმუთის ნაიბ ყარა-ალიზე (რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ შამილის მხარეს იყო) და ჯურმუთის მომავალ ნაიბ ბაკრაკ-ალიზე.

გვ. 42, 15-16. „რომელთაშორის არის ერთი ჰაჯი“ – საუბარია მუსულმანზე, რომელსაც მექა აქვს მოლოცვილი.

გვ. 42, 16-17. „მეგობარი დანიელ სულთანისა“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიელ ბეგზე.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №6 (210) (გვ. 43-44)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 13r-v, 14r-v.

თარიღი და ადგილი: „11 აგვისტოს 1851. ზაქათალით“

ხელმოწერა: „შენი კეთილის მსურველი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, დალაქავებული, მოცისფრო ქალაღი; ზომა: 20,9X13,2 სმ; 4 ფურცელი; დაზიანებული; ფურცლები რესტავრაციის შედეგად დამოუკიდებლად დაკრული სქელ ქალაღზე; წერილი დანერილია სამ გვერდზე, IV გვერდზე მინანერებია. შესრულებულია ბაცი ლურჯი მელნით, რომელიც გადასულია და ცალკეული ადგილების ამოკითხვა უკვე ჭირს; III-IV ფურცლის ზედა გვერდითა მხარე მოხეულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტის მიხედვით ჩანს, რომ ადრესატი **ბელაქანში** იმყოფებოდა: „ეს სხუა არაფერი არა არისრა მისმეტი რომ უნდათ შენი მანდ ყოფნა ბატალიონითა, სხუა არაფერი. – მეც არ მინდა, რომ ეგ ადგილი უჯაროდ იყოს, მაგრამ რა გაეწყობა რუსის სალდათსა, ვერ აუტანია აგვისტოში მანდაური ჰაერი, და მეშინიან, რომ ერთიანად ბატალიონი არ გაგინყდეს ავათმყოფობითა. – რაუყოთ, ათიოდ დღე შეინახონ ბელაქნელთა თავიანთ თავი, მანამ ჰავა შეიცვლებოდეს.“ / „დღეს და ხვალ დარჩი მანდა და თუ არა იყოსრა

ნადი ისევ ლაგოდებსა და იმედი მიეც, რომ ყოველთვის დღე და ღამ ბელაქნელებისათვის მზადა ხარ.“

შენიშვნები: 1. მელნის გადასვლის გამო სიტყვა დღეს აღარ იკითხება, აღვადგინეთ აკაკი განერელიას გამოცემის მიხედვით; 2. სიტყვა ძნელად იკითხება; 3. „არაფერი არა არისრა“ ძნელად იკითხება; 4. ღვთის; 5. „და იმედი მიეც... მზადა ხარ“ ძნელად იკითხება მელნის გადასვლის გამო; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. „ეგ ნაიბები“ ძნელად იკითხება; 8. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. ეს ბოლო მინაწერი ძნელად იკითხება.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 17-18.

გვ. 43, 4. „**გუშინ მურთუზალიმ მომწერა**“ – სავარაუდოდ, საუბარია რუსეთის მხარეს მებრძოლ მურთუზალი ალი-სულთანოვზე, რომელიც 1865 წელს დააჯილდოვეს კავკასიის დაპყრობაში მონაწილეობისთვის.

გვ. 43, 10-11. „**ჰაჯიმურადიც ნაიბობილამ გადაუყენებია**“ – იმ დროს დაიწყო დაპირისპირება ჰაჯი მურატსა და შამილს შორის, რაც ჰაჯი მურატის რუსეთის მხარეს გადასვლით დამთავრდა.

გვ. 43, 11-12. „**სულთანიც რათლუხში არის**“ – სავარაუდოდ, საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგსა და დაღესტნის სოფელ რათლუხზე.

გვ. 44, 6. „**გავგზავნე ანკრაკში**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

ილია ორბელიანისადმი №68 (211) (გვ. 44-46)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №240.

თარიღი და ადგილი: „21 აგვისტოს 1851 ზაქათალით.“ **ხელმოწერა:** „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოლურჯო ფერის ქაღალდი; ზომა: 21X13 სმ; 2 ფურცელი; შესრულებულია მოლურჯო მელნით.

ადრესატის მისამართი: ილიასადმი გაგზავნილი წინა (№№64,65,66) წერილებიდან ვიცით, რომ იგი იმყოფებოდა **ჩინჩავატში**. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. დედანში წერია „გამეჯინჯა“; 2-3-4-5-6-7. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. „ჩემზე რას ამბობენ“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 18-19.

გვ. 44, 14-15. **„მოუწერიათ შენთან ლიკოვსა და პისარევსკისა“** – ვიზიარებთ გრიგოლ ორბელიანის წერილების მეორე ტომის (1937 წ.) კომენტარების ავტორის, აკაკი განწერელის, აზრს, რომ აქ უნდა იგულისხმებოდნენ ქართულ გრენადერთა პოლკის მეომრები – მაიორი აპოლონ თევდორეს ძე ლიკოვი და პოლკოვნიკი თეოდორე გერასიმეს ძე პისარევსკი.

გვ. 44, 19-20. **„კატეხში რომ იდგნენ“** – საუბარია ბელაქნის რაიონის სოფელზე.

გვ. 45, 1-2. **„გავშინჯე მესელდეღერ, ჯორჯოობალ და მოურავდალ“** – საუბარია დალესტნის მთებზე. როგორც ჩანს, ამ დათვალიერების შედეგად გადაწყდა, რომ მესელდეღერის მთაზე აეგოთ სიმაგრე, რადგან 1853 წლის დოკუმენტებში ნახსენებია, რომ მესელდეღერის სიმაგრეს შამილის მეომრებმა ალყა შემოარტყეს.

გვ. 45, 3. **„მიღის გზა მაალ რასისაკენ“** – საუბარია კავკასიონის ბუნებრივ საზღვარზე, რომელსაც მაალ რაასას („Мааль-Рааса“) უწოდებდნენ.

გვ. 45, 10-11. **„ჰაჯიმურად გამოუცვლელია შამილას ნაიბობიდამ“** – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტნის იმამსა და მის ყოფილ ნაიბზე.

გვ. 45, 13. „ჭანკა ქათალისათვის“ – ჭანკას დალესტანში უწოდებდნენ სოციალურ წრეს, რომელიც ბიებზე ოდნავ დაბლა იდგნენ (აზნაურების მსგავსად). აქ საუბარია ნაიბ ფატა ალიზე (Фата-Али), რომელიც მოგვიანებით რუსეთის მხარეს გადავიდა და დალესტნის მილიციის ოფიცერი გახდა.

გვ. 45, 13-14. „სურხაი ხანის შვილი – ჩემი ნოქერი იყო“ – საუბარია სურხაი ხანზე, რომელიც 1829 წელს ავარიის ხანის, სულთან-ახმედის, გარდაცვალების შემდეგ რუსებმა ავარიის გამგებლად დანიშნეს, თუმცა მოგვიანებით იძულებულნი გახდნენ, ავარია ორად გაეყოთ და მისი უდიდესი ნაწილი მაინც სულთან-ახმედის შვილისთვის – აბუ ნუცალ ხანისთვის – გადაეცათ. სურხაი ხანის შვილი იყო მურთუზალი, შემდგომში ყაზიყუმუხის მმართველი.

გვ. 45, 16-17. „ბაშსუვალილიდამ მოიტაცეს“ – საუბარია სოფელ ბაშსუვოლილზე.

გვ. 45, 17-18. „პოდპოლკოვნიკმა ბლიკვეჩმა გაგზავნა“ – სავარაუდოდ, საუბარია პოდპოლკოვნიკ ბელკვეჩზე.

გვ. 45, 19. „ომი ეშაქმეიდანზედ“ – საუბარია მცირე კავკასიონის ეშაქმეიდანის ულელტეხილზე.

გვ. 45, 22. „დაუმარხავთ ჯინისში“ – საუბარია დალესტნის სოფელზე.

გვ. 45, 25-26. „მთაში გოდორდალთან“ – სავარაუდოდ, საუბარია მალალმთიან სოფელ კოროდახზე.

ილია ორბელიანისადმი №69 (212) (გვ. 46-47)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №241.

თარიღი და ადგილი: „8^მ სექტემბერს 1851 ზაქათალით“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოლურჯო ფერის ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; წერილის ნაწილი შესრულებულია მოლურჯო, ნაწილი კი მოშავო მელნით.

ადრესატის მისამართი: ილიასადმი გაგზავნილი წინა (№№64,65,66) წერილებიდან ვიცით, რომ იგი იმყოფებოდა **ჩინჩავატში**. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ, ამიტომ, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 19-20.

გვ. 46, 5. „**ფულებს მიზოვეისთვს მისაცემად**“ – საუბარია მდიდარ თბილისელ ვაჭარ ივანე მინაის ძე მირზოევზე, ანუ ოვანეს მინასის ძე მირზოიანზე, რომლისგანაც ორბელიანები, როგორც ჩანს, სესხს იღებდნენ.

გვ. 46, 11-12. „**გრიგოლ მუხრანსკი შეუდგა გულსმოდგინებითა**“ – საუბარია იმდროინდელი ქარ-ბელაქნის ოლქის უფროს გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე (მუხრანსკიზე).

გვ. 46, 13. „**ბლიკევიჩის საქმე, როგორც შენ არ მოგწონს**“ – სავარაუდოდ, საუბარია პოდპოლკოვნიკ ბელკევიჩზე.

გვ. 46, 19-20. „**ირიბში იყრება დიდი ჯარიო**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 46, 26. „**გავგზავნე ტანაჩის ტყეებში**“ – სავარაუდოდ, საუბარია მთა ტანაჩი ბაშის ტყეებზე.

გვ. 46, 27. „**წავლენ ხიმრიკისაკენ**“ – საუბარია დაღესტნის მდინარეზე.

ილია ორბელიანისადმი №70 (213) (გვ. 47-48)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №242.

თარიღი და ადგილი: „13^ლ სექტემბერს 1851.ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოლურჯო ფერის ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; წერილის ნაწილი შესრულებუ-

ლია მოლურჯო, ნაწილი კი მოშავო მელნით; ავტოგრაფის მცირე ნაწილი დაზიანებულია.

ადრესატის მისამართი: ილიასადმი გაგზავნილი წინა (№№64,65,66) წერილებიდან ვიცით, რომ იგი იმყოფებოდა **ჩინჩავატში**. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. „ლალა აბდულ-ქერიმოლი“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 20-21.

გვ. 47, 10. „**შენმა აფიცარმა თარხანოვმა**“ – დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომელ თარხანოვზე საუბრობს. ძმები – იოსებ და კონსტანტინე თარხნიშვილები – მოგვიანებით გრენადერთა პოლკის მეთაურები გახდნენ, მაგრამ ძნელი სათქმელია, აქ მათ გულისხმობს, თავის წერილებში ნახსენებ ილიას, ესტატეს, რამაზს, თუ რომელიმე სხვა თარხნიშვილს.

გვ. 47, 17. „**კაპლერი წასული მთაში**“ – ალექსანდრე ქრისტოიანეს ძე კაპლერი 50-იან წლებში მსახურობდა ლეკების სასაზღვრო ხაზზე.

გვ. 47, 23. „**ყობახროლიდამ შეატყობინეს**“ – საუბარია ბელაქნის რაიონის სოფელ ყობახროზე.

გვ. 47, 25. „**აფხაზოვმა მოაგროვა 40-მდის ბელაქნელი**“ – აკაკი განწერელის აზრით, ეს უნდა იყოს ალექსანდრე თეიმურაზის ძე აფხაზოვი, რომელიც მსახურობდა ბელაქანში.

გვ. 48, 2-3. „**ბელაქნელი ყაჩალი ლალა აბდულ-ქერიმოლი**“ – დამატებითი ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ. 48, 3-4. „**ერისთავის მკულელთაგანი...**“ – საუბარია ზაქარია გიორგის ძე ერისთავზე.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №7 (214) (გვ. 48-49)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 15r-v, 16r-v.

თარიღი და ადგილი: „17^ლ სექტემბერს 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 15,5X10,8 სმ; წერილი დანერილია სამ გვერდზე, IV გვერდზე მისამართია; შესრულებულია ლურჯი მეღვინით, რომელიც ადგილ-ადგილ დაღვენილია ფურცლებზე; მეორე ფურცელზე, ორივე მხარეს, წითელი ლუქის ნარჩენია; მისამართზე შავი ტუშით რაღაც სიმბოლოებია გაკეთებული, სავარაუდოდ, ავტორის მიერვე.

ადრესატის მისამართი: „Его Сиятельству Князю Семену Осиповичу Шаликову [...] В Белакан.“

შენიშვნები: 1-2-3-4-5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ორი რუსული სიტყვა წერია, რომელიც არ იკითხება; 7. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 21-22.

გვ. 48, 16. „ბაკრაქასა უთხოვნია შემწეობა“ – სავარაუდოდ, საუბარია ჯურმუთელ ბაკრაკ-ალიზე.

გვ. 48, 18. „გიგზავნი შენს ბაუმს“ – სავარაუდოდ, საუბარია სამეგრელოს ეგერთა პოლკის მაიორ ალექსეი ვასილის ძე ბაუმზე.

გვ. 48, 19-20. „ვგზავნი წოორკატას“ – უნდა იგულისხმებოდეს დაღესტნის მთებში მდებარე უღელტეხილი წოორკანი (Цооркаи).

გვ. 48, 23-24. „გამოუგზავნე პისარევსკისა“ – უნდა იგულისხმებოდეს ქართულ გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკი თეოდორე გერასიმეს ძე პისარევსკი.

გვ. 48, 26. „თული მაჰმად რომ გამოუგზავნო“ – პიროვნება დაუდგენელია.

ილია ორბელიანისადმი №71 (215) (გვ. 49-50)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №243.

თარიღი და ადგილი: „25^ა სექტემ: 1851 ზაქათალით“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოლურჯო ფერის ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ილიას შტაბი ყოფილ სიღნაღის ოლქშია: „მე არ ვიცი შტაბში რათ მოსდით გვიან ჩემი დონესენიები. იქნება იმიტომ რომ, რადგანაც ზოგიერთი შემთხვევები მოხდება ხოლმე სიღნაღის უეზდში, და მანამ მე მომივა სიღნაღის უეზდიდამ და ჩემგან მანდ წამოვა, სიღნაღიდამ პირდაპირ ტყობულობენ по Гражданской части.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **სიღნაღის ოლქში**.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 22-23.

გვ. 49, 12. „**მირზოევის ფულის გამოსატანად**“ – საუბარია მდიდარ თბილისელ ვაჭარ ივანე მინაის ძე მირზოევზე.

გვ. 49, 16. „**აი ბაირამიც დადგა**“ – საუბარია მუსლიმანურ დღესასწაულზე.

გვ. 50, 9-10. „**რომელ თვეში გამოივლის მთავარმართებელი**“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვზე.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №8 (216) (გვ. 50-51)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 17r-v, 18r-v.

თარიღი და ადგილი: „26 სექტემბერი, 1851] ზაქათალით“

ხელმოწერა: „[...] გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, მოცისფრო ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21,3X12,9 სმ; დაზიანებული; ქვედა მხარე მოხეულია; წერილი დაწერილია პირველ ორ გვერდზე, III გვერდი თავისუფალია, IV-ზე მისამართი წერია, ამავე გვერდზე წითელი ლუქის ნარჩენია; ფურცელი დაკრულია სქელ ლურჯ ქაღალდზე; შესრულებულია ლურჯი მელნით.

ადრესატის მისამართი: „Его Сиятельству Князю Семену Осиповичу Шаликову В с: Белакани“

შენიშვნები: 1-2-3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი გან ერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 23.

გვ. 50, 17. „**გამოგზავნო წოორკანამდის**“ – საუბარია დაღესტნის მთებში მდებარე უღელტეხილზე.

გვ. 51, 5-6. „**უთხრა მურთუზალის და მურთუზჰაჯისა**“ – სავარაუდოდ, საუბარია რუსეთის მხარეს მეზობლ მთიელებზე – მურთუზალი ალი-სულთანოვსა და ჰაჯი მურთუზზე.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №9 (217) (გვ. 51-52)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 19r-v, 20r-v.

თარიღი და ადგილი: „27^ს სექტემბ: 1851 ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ლურჯი ფერის გაცრეცილი, თხელი ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21,1X13 სმ; დაზიანებული; I ფურცლის ზედა მარჯვენა მხარე და II ფურცლის ზედა და ქვედა მარცხენა მხარეები მოხეულია; წერილი დაწერილია პირველ ორ გვერდზე, III გვერდი თავისუფალია, IV-ზე მინაწერები და მისამართია, ამავე გვერდზე წითელი ლუქის ნარჩენია; ფურცელი დაკრულია სქელ ლურჯ ქაღალდზე; შესრულებულია ბაცი ცისფერი მეღვინით. ხელრთვა ორგან არის: ერთი – ძირითადი ტექსტის ბოლოს, მეორე – პირველი მინაწერის შემდეგ.

ადრესატის მისამართი: „Его Сиятельству Князю Семену Осиповичу Шаликову в. С: Белакани“

შენიშვნები: 1. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილები მოხეულია; 2-3-4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 24.

გვ. 51, 14-15. „სულთანის მოსულა ირიბში“ – საუბარია დანიილ სულთანზე.

გვ. 51, 25. „მიჰველებია კულმანცა“ – უნდა იგულისხმებოდეს ეგერთა პოლკის ოფიცერი, მე-2 ბრიგადის მე-12 ბატალიონის უფროსი მიხეილ სიმონის ძე კულმანი.

გვ. 52, 6. „პოლკოვნიკი კნიაზი ანდრონიკოვიცა“ – იმ დროს პოლკოვნიკის წოდებით დაღესტანში იბრძოდა რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი, რომელიც 1849 წელს დანიშნეს თბილისის გრენადერთა პოლკის მეთაურად.

ილია ორბელიანისადმი №72 (218) (გვ. 53-54)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №244.

თარიღი და ადგილი: „27^ა სექტემბ: 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოლურჯო ფერის ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; შესრულებულია მოშავო მელნით.

ადრესატის მისამართი: ილია ორბელიანისადმი წინა (№71) წერილიდან, რომელიც 25 სექტემბერსაა დაწერილი, ირკვევა, რომ მისი შტაბი ყოფილ სიღნაღის ოლქშია განთავსებული. წინამდებარე წერილი 2 დღის შემდეგაა დაწერილი. ამიტომ, სავარაუდოდ, ესეც **სიღნაღის ოლქში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღვთისაგან; 3-4-5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 25-26.

გვ. 53, 2-3. „**რომ მირზოევის მივსცე**“ – საუბარია მდიდარ თბილისელ ვაჭარ ივანე მინაის ძე მირზოევზე.

გვ. 53, 13. „**ნახსდინონ რა ბაშსუვაგილის მეტი**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ ბაშსუვოლილზე.

გვ. 53, 14. „**უფრო სულთანს ეკუთვნის**“ – სავარაუდოდ, გულისხმობს ელისუს ყოფილ სულთანს – დანილ ბეგს.

გვ. 53, 18. „**მომივიდა რაპორტი მელიქოვისაგან**“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, რომელიც 1850 წლის 18 სექტემბრიდან იყო ლეკეთის სასაზღვრო ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაური.

გვ. 53, 21. „**კულმანიც მიჰშველება**“ – უნდა იგულისხმებოდეს ეგერთა პოლკის ოფიცერი, მე-2 ბრიგადის მე-12 ბატალიონის უფროსი მიხეილ სიმონის ძე კულმანი.

გვ. 53, 27. „**როგორც მითხრა პისარევსკიმ**“ – უნდა იგულისხმებოდეს ქართულ გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკი თეოდორე გერასიმეს ძე პისარევსკი.

გვ. 54, 1-2. „**მურთუზჰაჯიმ თხუთმეტის კაცითა**“ – საუბარია იმ ზაქათალელ ჰაჯი მურთუზზე, რომელიც იმ დროს რუსეთის ოფიცერი იყო.

გვ. 54, 4. „ყაჩალი ბურჯიკახიო“ – ზაქარია ერისთავის მკვლელი ამ ყაჩალის შესახებ დამატებითი ცნობები არ გვაქვს.

გვ. 54, 4. „ერისთვის შვილის მკვლელი“ – საუბარია ზაქარია ერისთავზე.

გვ. 54, 5-6. „ჰკითხე ივანეს მუხრანსკისა“ – სავარაუდოდ, საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე (მუხრანსკიზე), რომელიც თავისი ერევნის პოლკით 1850 წელს იბრძოდა დანიილ ბეგისა და ჰაჯი მურატის წინააღმდეგ ლეკეთის სასაზღვრო ხაზზე და კარგად იცნობდა მათ.

გვ. 54, 7. „დავითკა ერთბაშად დავინახე გუშინ“ – აკაკი განერელია მიიჩნევს, რომ ეს უნდა იყოს დავით მამუკას ძე ორბელიანი, მაგრამ ამის დამადასტურებელ ფაქტს ვერ მივაკვლიეთ.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №10 (219) (გვ. 54-55)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 21r-v, 22r-v.

თარიღი და ადგილი: „29^ს სექტემ: 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გაყვითლებული ქაღალდი; 2 თხელი ფურცელი; ზომა: 20,8X13,1 სმ; წერილი დანერილია პირველ ორ გვერდზე, III გვერდი თავისუფალია, IV-ზე მისამართია, ამავე გვერდზე წითელი ლუქის ნარჩენია; ფურცელი დაკრულია სქელ ქაღალდზე; შესრულებულია ბაცი ლურჯი მელნით.

ადრესატის მისამართი: მეოთხე გვერდზე მხოლოდ ადრესატის ვინაობა წერია: „Князю Семёну Осиповичу Шаликову.“ მისამართი აღნიშნული არ არის, მაგრამ წინა და მომდევნო წერილების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრესატი იმყოფებოდა **ბელაქანში**.

შენიშვნები: 1-2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 26.

გვ. 54, 17. „შენის სტარუხას შვილის ამბავი“ – ვერ დავადგინეთ, ვინ არის სიმონ შალიკაშვილის ახლობელი ეს მოხუცი ქალი და მისი ვაჟი.

გვ. 54, 27. „მზად არის ქურმუტში“ – სავარაუდოდ, საუბარია ზემო დაღესტნის ლეკთა მსხვილ დასახლებაზე.

სიმონ შალიკაშვილისადმი №11 (220) (გვ. 55-56)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 23r-v, 24r-v.

თარიღი და ადგილი: „4^ა ოკდომბ: 1851.ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი კეთილის მსურველი გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, მოცისფრო ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომები: 20,8X13,3 სმ. (I ფურცლის); 15,6X13,5 სმ. (II ფურცლის); დაზიანებული; II ფურცლის ქვედა მხარე მოხეულია, II გვერდის მარჯვენა მხარე რესტავრაციის შედეგად ცუდად არის ჩამოჭრილი და კიდურა სიტყვები ბოლომდე აღარ იკითხება, ამიტომ დამალული ადგილები ტექსტში აღდგენილია კვადრატულ ფრჩხილებში; III-IV გვერდებზე წითელი ლუქის ნარჩენია; წერილი დაწერილია პირველ სამ გვერდზე, IV გვერდზე მისამართია; ფურცელი დაკრულია სქელ ქაღალდზე; შესრულებულია შავი ტუშით.

ადრესატის მისამართი: „Князю Семену Осиповичу Шаликову в Белаган“

შენიშვნები: 1-2-3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 26-27.

გვ. 55, 11. „აღლარბეგისაგან წერილი“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან აღლარ ბეგზე.

გვ. 55, 11-12. „მაცნობებს ჰაჯიმურადის საქმესა“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ჰაჯი მურატის გადასვლა რუსეთის მხარეს.

გვ. 55, 19. „შენს საყუარელს შადინოვთან“ – სავარაუდოდ, საუბარია კავკასიის სამხედრო კორპუსის საგანგებო საქმეთა რწმუნებულ გრიგოლ აბელის ძე შადინოვზე.

გვ. 55, 19-20. „ასე ეძახის მუხრანისპატონი“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე (მუხრანსკიზე), რომელიც იმ დროს დაღესტანში მსახურობდა.

გვ. 56, 6. „მურთუზალის უთხარ“ – სავარაუდოდ, საუბარია რუსეთის მხარეს მებრძოლ მურთუზალი ალი-სულთანოვზე.

გვ. 56, 6-7. „სამი ქართველი კისერზედ რომ გაძევსთ“ – საუბარია დატყვევებული ქართველების გამოსნაზე.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №12 (221) (გვ. 56-57)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 25r-v.

თარიღი და ადგილი: „ნ^ს ოკდომ: 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, მოცისფრო ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 20,7X13,3 სმ; დაზიანებული; წერილი განთავსებულია ორივე გვერდზე; დაწერილია შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით; ფურცელი დაკრულია სქელ ქაღალდზე; ალაგ-ალაგ დასვრილია.

ადრესატის მისამართი: წერილზე მისამართი აღნიშნული არ არის, მაგრამ წინა წერილების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრესატი იმყოფებოდა **ბელაქანში**.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღვთის; 3. „ი“-ს ადგილას მოხეულია; 4. დედანში „ურუსისასათვს“ წერია; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 27-28.

გვ. 56, 20-21. „**ჰაჯიმურადი აბუნტდა**“ – იგულისხმება განხეთქილება შამილსა და ჰაჯი მურატს შორის.

გვ. 56, 24. „**შამილ და სულთან**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამსა და ელისუს ყოფილ სულთან დანილ ბეგზე.

გვ. 57, 2-3. „**მიუნერია ალაღარბეგისათვს**“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე, რომელიც რუსეთის მხარეს იყო.

გვ. 57, 5-6. „**შემთხვევას არ დაჰკარგამს კნიაზ არლუთინსკიცა**“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე.

გვ. 57, 8. „**ყარაალიც მოუკლამთ მთაში**“ – სავარაუდოდ, საუბარია ჯურმუთის ნაიბ ყარა-ალიზე, მაგრამ ინფორმაცია არასწორია. მოგვიანებით ყარა-ალი გადავიდა რუსების მხარეს.

გვ. 57, 12. „**ამ შენს ურუსისათვს ვეცდები**“ – სავარაუდოდ, გრიგოლი გულისხმობს იმას, რომ ავარიელები სულთან ურუსის შთამომავლები არიან.

ილია ორბელიანისადმი №73 (222) (გვ. 57-59)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №245.

თარიღი და ადგილი: „8^ა ნოემ: 1851. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ილიკო“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 26X21 სმ; შესრულებულია მოლურჯო მელნით.

ადრესატის მისამართი: ილია ორბელიანისადმი №71 წერილიდან, რომელიც 25 სექტემბერსაა დაწერილი, ირკვევა, რომ მისი შტაბი ყოფილ სიღნაღის ოლქშია განთავსებული. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ. ამიტომ, სავარაუდოდ, ესეც **სიღნაღის ოლქში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ღმერთი; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 28-29.

გვ. 57, 21-22. „**მიზოვეისაგან დაბარებული ნივთებში**“ – საუბარია მდიდარ თბილისელ ვაჭარ ივანე მინაის ძე მირზოევზე.

გვ. 58, 15-16. „**მომგვარეს ხუთი გულხადარა**“ – გულხადარებს ეძახდნენ მთის მაცხოვრებლებს, რომლებიც დროებითი სამუშაოს საშოვნელად ბარში ჩადიოდნენ.

გვ. 58, 18. „**სულთნის ნაზირის ცოლშვილი**“ – სავარაუდოდ, საუბარია დანილ სულთანთან დაწინაურებულ პირსა და მის ცოლ-შვილზე, რადგან ნაზირი ზედამხედველს, მეთაურს, მინისტრს ნიშნავს.

გვ. 58, 22-23. „**ხონთქარსა ჰსთხოვოს ჩვენს კელმწიფესთან შუამდგომელობა**“ – ოსმალეთის სულთანი იმ დროს იყო აბდულმეჯიდ I (1839-1861), რუსეთის იმპერატორი კი – ნიკოლოზ I (1825-1855)

გვ. 58, 24-25. „**მინერმონერა ჩვენის ყუტყაშინსკის ძმასთან**“ – საუბარია ისმაილ ბეგ ყუტყაშინსკიზე, რომელიც ყუტყაშინის სულთნის შვილი იყო, მაგრამ რუსეთის არმიამ მსახურობდა და ამიტომ რუსებმა სულთნობა აღუდგინეს. მან სამსახური ქართულ გრენადერთა პოლკიდან დაიწყო და, როგორც ჩანს, იცნობდა ორბელიანებს. 1851 წელს ის გენერალ-

მაიორი იყო და კავკასიის საგანგებო კორპუსში იბრძოდა. მისი ძმის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

გვ. 58, 27-28. **„ჯავშუმი ჰაჯიმურადთან მოუკლამთ ჰიდატლში“** – ჯავშუმის სახელი უცნობია. საუბარია შამილის ყოფილ ნაიბსა და გუნბის რაიონის სოფელზე.

გვ. 58, 30. **„ბახტალოს ფოშტასთან“** – საუბარია ზაქათალის რაიონის სოფელ ბახთალაზე.

გვ. 59, 1. **„ივანე სულ სხვაგან არის“** – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანზე – მანანას ვაჟზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №10 (223) (გვ. 59-60)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 20r-v.

თარიღი და ადგილი: „20 ноября, 1851. Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 33X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; არშია ჩამოჭრილია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 59, 11. **„Князь Григорій Мухранскій будет иметь честь“** – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე (მუხრანსკიზე).

გვ. 60, 1. **„Башня на Похалистави“** – საუბარია კომკზე, რომელიც შენდებოდა კახეთის კავკასიონზე, ამჟამინდელი ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარე მთა ფოხალისთავზე.

გვ. 60, 6. **„возле Бахтальскаго поста“** – საუბარია ზაქათალის რაიონის სოფელ ბახთალაზე.

გვ. 60, 10-11. „Даниель бек ведёт переписку в Константинополе с братом Куткашинскаго“ – სავარაუდოდ, საუბარია სულთან დანიილ ბეგზე და ყუტყაშელი ისმაილ ბეგის ძმაზე.

გვ. 60, 13. „выпросил у Государя прощение“ – იმ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

მიხეილ ვორონცოვისადმი №11 (224) (გვ. 61)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 21r.

თარიღი და ადგილი: „10 декаб[ря] 1851. Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“ / „Письмо В[ашего] С[иятельств]ва...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,2 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში:** „Письмо В[ашего] С[иятельств]ва от 8^{го} числа я имел честь получить, в котором угодно было Вам приказать мне приехать в г[ород] Тифлис.“

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 61, 22. „завтра я отправляюсь в Сацхенис“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ქვემო ქართლის სოფელი, რომელიც ამჟამად შედის გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

გვ. 61, 26-27. „известія о Анцухском найбе Шахове“ – უნდა იგულისხმებოდეს დაღესტნის სოფელ ანწუხის ნაიბი შახოვი.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №13 (225) (გვ. 62)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516, გვ. 156.

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: პატარა, გაცრეცილი, მოყვითალო ქაღალდი; 1 პატარა ფურცელი; ზომა: 17X10 სმ; შესრულებულია მოყავისფრო მელნით.

ადრესატის მისამართი: სვიმონ შალიკაშვილი იმ დროისთვის ბელაქანში მსახურობდა. მართალია, წერილს მისამართი არ აწერია, მაგრამ, სავარაუდოდ, ის ბელაქანში უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: მიუხედავად იმისა, რომ ბარათი ძალიან მოკლეა, მისი მიახლოებითი დათარილება მაინც შესაძლებელია. ერთადერთი სვიმონი, რომელიც გვხვდება გრიგოლ ორბელიანის წერილების ადრესატებს შორის, არის სვიმონ იოსების ძე შალიკაშვილი. იგი 1850-იანი წლების დასაწყისში ბელაქანში მსახურობდა ბატალიონის უფროსად. მას შემდეგ, რაც გრიგოლ ორბელიანი ქარ-ბელაქნის ოლქის მმართველად დაინიშნა და ზაქათალაში გადავიდა, ხშირი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მასთან. გრიგოლი დანიშნულების ადგილზე 1850 წლის მიწურულს ჩავიდა და სვიმონთან ინტენსიური მიმოწერა 1851 წელს ჰქონდა. ზოგჯერ, როგორც ჩანს, ყოველდღე სწერდა (იხ. 1851 წლის 26 და 27 სექტემბრის წერილები) და, თუ წერილის მიწერას დააგვიანებდა, ამას საგანგებოდ აღნიშნავდა: „ეს რაოდენიმე დღეა, რა შენთან აღარ მომიწერია.“ სწორედ ამ პერიოდის წერილებში ემშვიდობება იგი სვიმონს სიტყვებით: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“ (იხ. 1851 წლის 21 ივნისის, 26 ივლისისა და 29 სექტემბრის წერილები). რამდენადაც ორბელიანისა და შალიკაშვილის სამხედრო დანაყოფები ახლო-ახლოს იყო ერთმანეთთან, ისინი ხშირად ეხმარებოდნენ ერთმანეთს საბრძოლო მასალებით. იხ. გრიგოლის სიტყვები სვიმონისათვის გაგზავნილი სხვადასხვა წერილიდან: „ჩემო სვიმონ! ხვალ გამოგზავნე ორი ზარბაზანი“

(1851 წლის 26 სექტემბერი), „შენს წერილში ითხოვ 5000 პატრონებსა ბელაქნელებისათვის“ (1851 წლის 27 სექტემბერი) და სხვ. სვიმონ შალიკაშვილი 1863 წელს მოკლეს, მაგრამ 1851 წლის შემდეგ გრიგოლ ორბელიანს მისთვის სულ რამდენიმე წერილი აქვს გაგზავნილი, რომლებიდანაც ჩანს, რომ მათ ისეთი ხშირი საქმიანი ურთიერთობები აღარ ჰქონდათ (1853 წლიდან შალიკაშვილი რიაზანის ქვეით პოლკს მეთაურობდა). წინამდებარე უთარილო წერილის შინაარსს ეტყობა, რომ წერილის ავტორსა და ადრესატს შორის ხშირი მიმოწერაა. მასში არ არის არც მოკითხვები, არც საუბარი საკუთარ მდგომარეობაზე. ფაქტობრივად, არის მხოლოდ ერთადერთი საქმიანი წინადადება. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ სვიმონ შალიკაშვილისათვის მიწერილი ეს ბარათიც **1851 წელს** უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ, რადგან თარიღს ვერ ვაზუსტებთ, მას ვათავსებთ 1851 წლის წერილების ბოლოს.

1852

ქეთევან ორბელიანისადმი №46 (226) (გვ. 63)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516, გვ.: 121r-v, 122r.

თარიღი და ადგილი: „თებერვლის 12^ს დღესა. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „თქვენი მორჩილი მოსამსახურე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გადაკეცილი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 21,5X13,3 სმ; გადაკეცილისა: 26,6X21,5 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით.

ადრესატის მისამართი: თბილისი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 63, 6. „**დავპირდი ძალუა მანანასა**“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის – დავით ორბელიანის – ქვრივ მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 63, 7. „**ილიკო შემოეცილა თავის დანიშნულისათჳს**“ – საუბარია გრიგოლის ძმა ილია ორბელიანსა და მის საცოლლე ბარბარე ილიას ასულ ბატონიშვილზე.

გვ. 63, 12-13. „**ძალუა ელისაბედ და ბაბალე როგორ და ან როდის წავიდნენ**“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი და მეორე ბიძის, იაკობის, ქალიშვილი ბარბარე ორბელიანი-ოპოჩინინისა.

გვ. 63, 14. „**გოჰარალას, ჩვენს ველმწიფას**“ – სავარაუდოდ, საუბარია თბილისელ ცხენებით მოვაჭრეზე, რადგან ილია ორბელიანისათვის 1848 წელს გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გრიგოლი ახსენებს გოჰარალას მიერ გაგზავნილ ცხენს.

გვ. 63, 17. „**ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 63, 17-18. „**ივანე ხომ ჯერ არ წასულა ჩაჩნისაკენ**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ. 63, 18-19. „**პატარა ალექსანდრე რასა ჰშვრება**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნათესავ ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე, აქვე მოხსენიებული ივანეს უმცროს ძმაზე.

გვ. 63, 20. „**სანდრიკო ჩამიკოცნე**“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულზე – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

ილია ორბელიანისადმი №74 (227) (გვ. 64-65)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №246.

თარიღი და ადგილი: „13 თებერვალს 1852 წელსა. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; შესრულებულია მოლურჯო მელნით.

ადრესატის მისამართი: ილია ორბელიანისადმი №71 წერილიდან, რომელიც 25 სექტემბერსაა დაწერილი, ირკვევა, რომ მისი შტაბი ყოფილ სიღნაღის ოლქშია განთავსებული. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ. ამიტომ, სავარაუდოდ, ესეც **სიღნაღის ოლქში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. „სამოცი თუმანი მიზოვესა, და ორმოცი თუმანი შენს ხაზინადარსა“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთმა; 3. ღმერთი; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 30-33.

გვ. 64, 1-2. „**დორმეზის ფული მმართვეს ივან მინაჩის მირზოვეისა**“ – საუბარია კარეტაზე, რომლის შესაძენადაც გრიგოლმა, ილიას თხოვნით, თბილისელი ვაჭრის – ივანე მინაჩის ძე მირზოვეისგან ვალი აიღო.

გვ. 64, 2-3. „**შენის ხაზინადრითურთ**“ – ხაზინადარის გვარი უცნობია.

გვ. 64, 13-14. „**თუ მთავარმართველმა არ წარმადგინა... არენდაზედ**“ – XIX საუკუნიდან ოფიცერთა წასახალისებლად რუსეთის არმიაში შემოიღეს მატერიალური დაჯილდოებაც. ეს იყო ფასიანი საჩუქრები, ფული და არენდა. პოლკოვნიკებს ექვსწლიანი არენდით აძლევდნენ მიწებს (პოლონეთის ტერიტორიაზე), რომელთა წლიური შემოსავალი იყო 5 ათასი ოქ-

როს მონეტა. ამ ჯილდოზე გრიგოლი მეფისნაცვალ ვორონცოვს უნდა წარედგინა.

გვ. 64, 21. „არლუთინსკი აპრილში წამოვა“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგოროუკოვზე.

გვ. 64, 29. „ჰაჯიმურადი აქ მოვიდა ჩემთან“ – შამილის ნაიბი იმ დროს უკვე რუსების მხარეს იყო გადასული.

გვ. 54, 31-32. „მიჰყავს ქალაქში კონსტანტინეს“ – სავარაუდოდ, საუბარია პოლკოვნიკ კონსტანტინე დავითის ძე თარხნიშვილზე, რომელიც იმ პერიოდში ზაქათალაში იყო.

გვ. 65, 1-2. „გაუგზავნე ძალუა ქეთევანს“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, მეუღლე ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 65, 3. „პასუხი გასცე ძალუა მანანასა“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, დავით ორბელიანის, ქვრივ მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 65, 5. „ღთი იყოს შენი მფარველი და შენის ვარინკასი“ – საუბარია ილია ორბელიანის მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბატონიშვილზე (1831-1884), რომელიც იმ დროს ილიას დანიშნული ჰყავდა.

მიხეილ ვორონცოვისადმი №12 (228) (გვ. 65-66)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 21v-22r.

თარიღი და ადგილი: „16 фев[раля] 1852 Закаталы“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომა: 34X20,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; გარეთა არშია რესტავირებულია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 65, 16. „Богатырское дело в Каракайтаге“ – საუბარია დალესტნის სოფელ ყარაყაითალზე, რომელიც მდებარეობდა ამჟამინდელი ყაითალის რაიონის მთისწინეთში.

გვ. 65, 19. „прокрадывался к Самурьчаю“ – სამურჩაი მდინარეა, რომელიც მიედინება დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და აქ, სავარაუდოდ, ის იგულისხმება, მაგრამ იქვე არის ამავე დასახელების სოფელიც და ვერც იმას გამოვრიცხავთ.

გვ. 65, 22. „Ажимурад пробывл здесь“ – საუბარია ნაიბ ჰაჯი მურატზე.

გვ. 66, 2-3. „через Тифлис в Грозную“ – ამჟამინდელი ქალაქ გროზნოს ადგილას იმ დროს ციხესიმაგრე იყო.

ბაბაღე საგინაშვილისადმი №1 (229) (გვ. 67-68)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №432, 1r-v; 2r-v.

თარიღი და ადგილი: „27^ლ თებერ: 1852 ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი კეთილის მსურველი და მარადის პატივისმცემელი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დაო ბაბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი, გადაკეცილი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X20,6 სმ; გადაკეცილისა: 20,6X13,3 სმ; დაზიანებული; შესრულებულია ლურჯი მელნით. 2v გვერდზე თარიღი „1852“ ფანქრით არის მიწერილი სხვისი ხელით. ფურცელი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**. გრიგოლი ბაბაღეს ეუბნება: „გულით, სულით გამახარე შენის წერილითა, რომელსაცა, სწორედ გითხრა, სრულებით არ მოველოდი. აბა ვისა აქუს დრო თბილისში წერისათვის და ანუ ვინ მოიცლის ამა უბრალო, უსაამო საქმისათვის?“

შენიშვნები: 1. ღვთის.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 33-34.

წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილი ბაბაღე სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა.

გვ. 67, 16. **„თბილისიღამ გამოვედით მე და კაპლერი“** – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ქრისტიანეს ძე კაპლერზე.

გვ. 67, 19. **„ერთი თვე თქვენთანა ერთად“** – როგორც ჩანს, 1852 წლის იანვარში გრიგოლი თბილისში იმყოფებოდა, შესაძლოა, ძმის ნიშნობასთან დაკავშირებით.

გვ. 67, 28-29. **„მადამ ბრუსილოვა, ახვერდოვა, ალღევა, კახანოვსკა“** – საუბარია დაღესტანში მომსახურე სამხედრო მაღალჩინოსანთა – სამხედრო შტაბის გენერალ-მაიორის, ალექსეი ნიკოლოზის ძე ბრუსილოვისა, და იული თევდორეს ძე ახვერდოვის მეუღლეებზე. ალღევი და კახანოვსკი, სავარაუდოდ, დაღესტანში მომსახურე ოფიცრები იყვნენ.

გვ. 67, 30-31. **„თუმანისშვილის ლექსებში, შვიდნი მთიებნი, და კრონოსებნი“** – შესაძლოა, საუბარი იყოს გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის რომელიმე ლექსზე, რადგან იგი ბესიკისა და საიათნოვას სტილის ლექსებს წერდა.

გვ. 68, 9. **„მე ხომ შენი შვილივარ“** – ორბელიანი ბაბაღელს ხუმრობით დედას უწოდებდა.

გვ. 68, 15. **„მშვენიერი კნინა ანნეტა“** – შესაძლოა, აქ საუბარი იყოს ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე.

გვ. 68, 16. **„უწყრება იმ საბრალოსა“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.

გვ. 68, 18. **„მოვიდა აქ არჩილ“** – სავარაუდოდ, საუბარია არჩილ ივანეს ძე ანდრონიკაშვილზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №13 (230) (გვ. 69)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 22r.

თარიღი და ადგილი: „28 фев[раля], 1852. Закаталы“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“ / „Письмо Вашего С[и]ятельств[а]“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაქი; ზომა: 34X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; რესტავრირებულია; აქვს დამლა; წერილი ნასწორებია.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 69, 3-4. „имел честь получить с нарочным“ – საუბარია კურიერის, შიკრიკის მიერ წერილის მიტანაზე.

გვ. 69, 6. „на свадьбу моего брата Ильи“ – ილია ორბელიანმა ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონზე იქორწინა 1852 წლის დასაწყისში.

გვ. 69, 8-9. „расчёты выезда К[нязя] Аргутинского из Шуры“ – მოსე ზაქარაიას ძე არღუთინსკი, როდესაც სამხედრო მოქმედებები თემირხანშურიდან მის გასვლას მოითხოვდა, ავარიის მმართველობას გრიგოლ ორბელიანს გადააბარებდა ხოლმე. 1852 წლის დასაწყისშიც მას სჭირდებოდა გამგზავრება და ამიტომ იყო საჭირო გრიგოლ ორბელიანის დროული ჩასვლა იქ.

გვ. 69, 11. „при прибываніи сюда Врангеля“ – საუბარი უნდა იყოს გენერალ ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე (1804-1880), რომელიც 1852 წელს დაინიშნა იმდროინდელი ქარ-ბელაქნის ოლქის მეთაურად.

ილია ორბელიანისადმი №75 (231) (გვ. 70-71)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №247.

თარიღი და ადგილი: „23^ა მარტს 1852. თბილისი.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 19X13 სმ; შესრულებულია მოშავო მელნით.

ადრესატის მისამართი: ილია ორბელიანისადმი №71 წერილიდან, რომელიც 1851 წლის 25 სექტემბერსაა დაწერილი, ირკვევა, რომ მისი შტაბი ყოფილ სიღნაღის ოლქშია განთავსებული. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ. ამიტომ, სავარაუდოდ, ესეც **სიღნაღის ოლქში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 34-37.

გვ. 70, 23-24. „**ჩემთან იყო პოლკოვნიკი Бартоломей**“ – სავარაუდოდ, საუბარია ეგერთა პოლკის ოფიცერ ივანე ალექსის ძე ბართოლომეიზე, რომელიც 1850-1853 წლებში კავკასიის მთიანეთში იბრძოდა.

გვ. 70, 26. „**მთავარმართველისაგან სმოტრი**“ – საუბარია მიხეილ ვორონცოვის მიერ ილია ორბელიანის პოლკის დათვალიერებაზე.

გვ. 70, 28-29. „**შენს ქორწილს აღარ დაუშლის**“ – ილიამ და ბარბარე ილიას ასულმა ბაგრატიონმა ჯვარი დაიწერეს 1852 წელს.

გვ. 71, 4. „**მიიღებ ვოლჩისაგან აჩიციალნოდ ქაღალდსა**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ნიკოლოზ ივანეს ძე ვოლფი – კავკასიის საგანგებო კორპუსის შტაბის გენერალი.

მიხეილ ვორონცოვისადმი №14 (232) (გვ. 71)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 22v.

თარიღი და ადგილი: „28 апреля. 1852 Т[емир] Х[ан] Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომა: 35X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; რესტავრირებულია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 71, 11-12. „**исправлять должность командующаго войсками в Прикаспійском крае**“ – 1852 წელს გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა კასპიისპირა მხარის სამხედრო შენაერთების სარდლის მოვალეობას.

მოსე არღუთინსკი-დოლგოროუკოვისადმი №4 (233) (გვ. 73-74)

ფოტოპირი: L: ფოტოპირი 1501 d, 181-182.

თარიღი და ადგილი: „3 мая / 3^{го} Мая 1852 года Укр[епление] Темир-Х[ан]-Шура.“

ხელმოწერა: „Вашего Сіятельства Покорный Слуга К[нязь] Григорій Орбеліани“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Сіят[ельс]тву Князю М.З. Аргутинскому Долгорукому“ / „Милостивый Государь Князь Моисей Захарьевич“

ფოტოპირის აღწერილობა: | გვერდის ზედა ნაწილი ძნელი გასარჩევია (როგორც ჩანს, წინა გვერდის ნაწერია გადასული); არაავტოგრაფული ნუსხა, ავტორიზებული. შესრულებულია მელნით.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი ადრესატს სთხოვს ნებართვას, დამდეგ ზაფხულს შამხლის მილიციის 2 ასეული

შენახონ ხაზინიდან: „Считая обязанностью представить об этом на решение Вашего Сіятельства, я имею честь покорнейше просить удостоить меня уведомленіем, благоугодно ли будет изъявить согласіе, в виде опыта, на сбор на предстоящее лето 2^х сотень Шамхальской милиціи, с производством им содержанія от казны.“ წერილი 3 მაისს არის დაწერილი, ანუ ზაფხულამდე 1 თვეც აღარ არის დარჩენილი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ დარჩენილ დროში გრიგოლს პასუხის მიღებაც უნდა მოესწრო, ხოლო წერილის ადრესატამდე მისვლასა და მერე პასუხის უკან დაბრუნებას დრო სჭირდებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვი შორს არ იმყოფებოდა. ჩვენ წინა წერილებიდან ვიცით, რომ ის თემირხანშურაში დროებით გრიგოლმა შეცვალა. ალბათ, დოლგორუკოვმა დასვენების უფლებით ისარგებლა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი იმყოფებოდა **თბილისში**.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 73, 9-10. „**одну сотню в Халим-Бек ауле**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 73, 16-17. „**сделать от Шамхальцев**“ – შამხლელებად იწოდებოდა თათრული წარმოშობის ტომი, რომელიც ყუმიხურ ენაზე საუბრობდა და ცენტრალურ და ჩრდილოეთ დაღესტანში ცხოვრობდა.

გვ. 73, 18. „**в Муселим-ауле и Больги**“ – მუსლიმაული ერქვა დაღესტნის ამჟამინდელი ბუინაქსკის რაიონის სოფელ ატლანაულს. კონტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საუბარი უნდა იყოს მუსლიმაულთან ახლოს მდებარე სოფელ ბულენზე.

გვ. 73, 18-19. „**Казанище, в полной готовности**“ – ყაზანიში არის დაღესტნის ამჟამინდელი ბუინაქსკის რაიონის სოფელი.

გედეონ ბუჭყიაშვილისადმი №3 (234) (გვ. 76-77)

ავტოგრაფი: Z (ზსიემ) 24416/ლიტ. არქ. 1016.

თარიღი და ადგილი: „შაბათს. 1852. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი კეთილის მსურველი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო გედეონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; დაწერილია I გვერდზე; II გვერდი თავისუფალია. ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია, ფურცლის ერთი ნახევარი ჩამოხეული აქვს და დანარჩენი მხრიდანაც მოხეულები აქვს; წერილი შესრულებულია შავი ტუშით.

ადრესატის მისამართი: ტექსტში გრიგოლ ორბელიანი ევგენიევსკის ციხის მონახულებას ახსენებს და გედეონთან ერთად სადილობის იმედს გამოთქვამს: „ხვალ, ღმრთის შენევნითა, გაახლები თქვენს მშვენიერს ციხეში.“ წერილში საუბარი უნდა იყოს ევგენიევსკის, ანუ ანდრეევსკის, ციხეზე (რომელიც მდებარეობდა დაღესტანში, ჩირქეისთან, თემირხანშურიდან 25 კილომეტრში), რასაც გვიდასტურებს მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვისადმი 9 მაისს გაგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „Третьего дня я возвратился из поездки, которую совершил через Евгенийское укрепление... в котором произведены огромные работы, Подполк[овником] Бучкиевым.“ შესაბამისად, წერილი გაგზავნილია **ევგენიევსკში**.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ამ ადგილას ფურცელი მოხეულია, სიტყვა აღდგენილია პირველი პუბლიკაციის ჩვენების მიხედვით; 3. აღდგენილი ადგილი მოხეულია; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ. 313.

დათარიღება: ტექსტში გრიგოლ ორბელიანი ევგენიევსკის ციხის მონახულებას ახსენებს და გედეონთან ერთად

სადილობის იმედს გამოთქვამს: „ხვალ, ღმრთის შენევნითა, გი-
ახლები თქვენს მშვენიერს ციხეში და ვეცდები, რომ სადილა-
თაც მოგისწრო.“ ილია ორბელიანისთვის 4 მაისს გაგზავნილი
წერილიდანაც ვიგებთ, რომ მეორე დღეს „სულაკის ლინია“
უნდა გასინჯოს: „ხვალ მივდივარ სულაკის ლინიის გასაშინ-
ჯავად.“ ქეთევან ორბელიანისათვის 9 მაისს გაგზავნილი წე-
რილის შინაარსიდან კი ჩანს, რომ გრიგოლი წინა დღეს დაბ-
რუნდა მგზავრობიდან: „გუშინ მოველ სულალის ლინიიდან.“
მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვისადმი ასევე 9 მაისს გაგ-
ზავნილ წერილში ვკითხულობთ: „Третьего дня я возвратился
из поездки, которую совершил чрез Евгениевское укрепление... в
котором произведены огромные работы, Подполк[овником]
Бучкиевым.“ მართალია, გრიგოლი აქ თავისი დაბრუნების
დროს („Третьего дня“) წინა წერილში მითითებული დროისგან
 („გუშინ მოველ“) განსხვავებულად წარმოადგენს, მაგრამ აქ
მთავარი ის არის, რომ ევგენიევსკის ციხეში მან მოინახულა
გედეონ ბუჭყიაშვილი, რომელთანაც, ილია და ქეთევან ორბე-
ლიანებისადმი გაგზავნილი წერილების მიხედვით, 5 მაისს
გაემგზავრა. შესაბამისად, წინამდებარე წერილი, ისევე რო-
გორც ილია ორბელიანისადმი №76, დაწერილი უნდა იყოს **4
მაისს.**

გვ. 76, 25. „**თქვენს მშვენიერს ციხეში**“ – იგულისხმება
ევგენიევსკის, ანუ ანდრეევსკის, ციხე, რომელიც
თემირხანშურიდან დაახლოებით 25 კილომეტრით იყო
დაშორებული.

გვ. 76, 27. „**ჰაჯიმურადმა თქვენი ჭირი წაიღო ნუხსა**“ –
საუბარია შამილის ყოფილი ნაიბის მკვლევლობაზე 1852 წლის
23 აპრილს. ეს საკითხი გედეონ ბუჭყიაშვილს განსაკუთრე-
ბით დააინტერესებდა, რადგან ჰაჯი მურატი სწორედ მის მა-
მას, ნუხის პრისტავ ივანე ბუჭყიაშვილს გაექცა.

გვ. 76, 29-30. „**სოფიოს უმდაბლეს] მოკითხვას მოვახსე-
ნებ**“ – საუბარია გედეონ ბუჭყიაშვილის ცოლზე, რომელიც,
გრიგოლ ორბელიანის წერილების მიხედვით, 1850 წელს შე-
ირთო.

ილია ორბელიანისადმი №76 (235) (გვ. 77-78)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №248, 85რ-v, 86რ-v.

თარიღი და ადგილი: „4^ა მაისს 1852 წელს, თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოყვითალო ფერის თაბახის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,2 სმ; გადაკეცილისა: 21,2X13,3 სმ; შესრულებულია შავი მეღნით.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ილია შტაბშია და ეს შტაბი მდებარეობს „ბელიი კლუჩზედ“, ანუ თეთრიწყაროში: „მთავარმართებელი კიდევ იწერება, რომ ბელიი კლუჩზედ ვიყავო, ვნახე შტაბი და прекрасный 4-й батал., ასე იწერება და ძალიან მადრიელია შენი.“ ამასთან, ჩანს, რომ ილიასთან იმყოფება (ან, ყოველ შემთხვევაში, მანამდე იმყოფებოდა) გრიგოლის ძმის – ზაქარია ორბელიანის – მეუღლე ქეთევანი: „ძალუა ქეთევან მანდვე არის, თუ ქალაქის სურვილმა მოიტაცა?“ ქეთევან ორბელიანისადმი №47 წერილში კი, რომელიც 5 დღის შემდეგაა დაწერილი, გრიგოლი თავის რძალს ეკითხება: „არცკი ვიცი ისევ აღბულაღზედ დარჩით, თუ ქალაქის მეტმა სურვილმა გაგიტაცა საშინელს სიცხეებში?“ აღბულაღი ქალაქ თეთრიწყაროს ყოფილი სახელწოდებაა. ამრიგად, წერილი გაგზავნილია **აღბულაღში**.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 37-38.

გვ. 77, 5-6. „მთავარმართებლის წერილი მომივიდა“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვზე.

გვ. 77, 18. „როგორ ხაზაიკობდა ვარინკა“ – საუბარია ილიას მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 77, 20. „**ძალუა ქეთევან მანდვე არის**“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, მეუღლე ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 77, 23. „**ავალ ხუდუმბოშუედ**“ – ხუდუმ-ბაში მთა არის დაღესტანში და, როგორც ჩანს, მასზეა საუბარი.

გვ. 77, 23-24. „**ჩავივლი მეტლას**“ – მიატლი სოფელია დაღესტანში.

გვ. 77, 24. „**მივალ იასონთან**“ – იასონ ივანეს ძე ჭავჭავაძე 1852 წელს ლეკების წინააღმდეგ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში კავალერიის მეთაური იყო.

გვ. 77, 24-25. „**დავბრუნდები ყუმთურყალაზედ**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ ყუმთორ-ყალეზე.

გვ. 77, 26. „**ჰავიშურადის ჩაძაღლება**“ – საუბარია შამილის ყოფილი ნაიბის მკვლელობაზე.

გვ. 78, 1-2. „**შამხლის ხალხია უპატრონო**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 78, 5-6. „**მითომ სულთან აპირებს**“ – სავარაუდოდ, საუბარია სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 78, 11. „**სანდრიკო ჩამიკოცნე**“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარია ორბელიანის, ვაჟ ალექსანდრეზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №47 (236) (გვ. 78-79)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №307, 1r-v, 2r.

თარიღი და ადგილი: „მაისის 9^ს წელსა 1852 თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი, გადაკეცილი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,7 სმ; გადაკეცილისა: 21,7X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ილია ორბელიანისადმი №76 წერილიდან ჩანს, რომ ილია შტაბშია და მასთან, სავარაუდოდ, იმყო-

ფება (ან, ყოველ შემთხვევაში, მანამდე იმყოფებოდა) წერილის ადრესატი ქეთევანი: „ძალუა ქეთევან მანდვე არის, თუ ქალაქის სურვილმა მოიტაცა?“ შტაბშივე უნდა ყოფილიყო ქეთევანის შვილი სანდრიკო: „სანდრიკო ჩამიკოცნე, მგონია ჰსჯობდეს, რომ ეს ზაფხული შენს შტაბში გაატაროს, და ეგებ ოსტატი ვინმე აფიცრებთაგანიც მიუჩინო.“ განსახილველ წერილში, რომელიც 5 დღის შემდეგაა დაწერილი, ჩანს, რომ გრიგოლმა კიდევ არ იცის, ქეთევანი ისევ ალბულალშია, თუ თბილისში დაბრუნდა: „არცკი ვიცი ისევ ალბულალზედ დარჩით, თუ ქალაქის მეტმა სურვილმა გაგიტაცა სამინელს სიცხეებში?“ მაგრამ ბარათში გრიგოლი ქეთევანს სთხოვს, რომ წერილი მისწეროს ილიას, რომელიც ალბულალში იმყოფება: „ილიკოს მისწერეთ ჩემ მაგიერ, რომ იასონმა ჩინებულ პოლკის უჩენიე მაჩვენა და ძალიანაც მომეწონა.“ ამით ირკვევა, რომ გრიგოლი წერილს გზავნის არა ალბულალში, არამედ თბილისში.

შენიშვნები: 1. ჭავჭავაძეს; 2. ავტოგრაფში აქ მძიმე არ წერია; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 38-41.

გვ. 78, 26. „**ისევ ალბულალზედ დარჩით**“ – ალბულალი ქალაქ თეთრიწყაროს ერქვა XX საუკუნის შუა წლებამდე. ის გომერის ქედზე მდებარეობს ზღვის დონიდან 1180 მეტრის სიმაღლეზე და, როგორც ჩანს, ქეთევანი დასასვენებლად იყო წასული.

გვ. 78, 28. „**გუშინ მოველ სულალის ლინიიდან**“ – სავარაუდოდ, საუბარია დალესტნის მდინარე სულალის (სულაკი) სასაზღვრო ხაზზე.

გვ. 78, 28-29. „**ვნახე სოფიო ბუჭყიევის ცოლი, და იასონ ჭავჭავაძის ცოლი**“ – საუბარია პოდპოლკოვნიკ გედეონ ივანეს ძე ბუჭყიაშვილისა და იასონ ივანეს ძე ჭავჭავაძის მეუღლეებზე – სოფიოზე, რომლის გვარიც უცნობია და მარიამ (მაია) შალვას ასულ ქსნის ერისთავზე (1816-1869), რომელიც 1841 წელს გაჰყვა ცოლად იასონ ჭავჭავაძეს.

გვ. 79, 3-4. „ბეკამის მეტი არსად ყოფილა“ – საუბარია ხაშურის რაიონის სოფელზე. ამ დასახელების ორი სოფელია – დიდი და პატარა ბეკამი.

გვ. 79, 4-5. „**მითომ ტასიკო დაენიშნოსთ ოლლობუიო-ზედ**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანზე (1831-1884), რომელიც ცოლად გაჰყვა გენერალ-ლეიტენანტ ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოს (1818-1880).

გვ. 79, 7. „**ილიკოს მისწერეთ ჩემ მაგიერ**“ – საუბარია გრიგოლის ძმა ილია ორბელიანზე.

გვ. 79, 7-8. „**იასონმა ჩინებულ პოლკის უჩენიე მაჩვენა**“ – საუბარია იასონ ივანეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 79, 11-12. „**ბუჭყიევის ბატალიონიც ძალიან მომენონა**“ – საუბარია პოდპოლკოვნიკ გედეონ ივანეს ძე ბუჭყიაშვილზე.

გვ. 79, 16. „**თამარ როგორ არის**“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ასული თამარი (1816-1861), ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკის (1799-1859) მეუღლე.

გვ. 79, 17. „**ბაბალე, კატო, სოფიო მათის ქმრებით და დედით მომიკითხეთ**“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, იაკობის, სხვა ქალიშვილები: ბარბარე (დაბად. 1820) და მისი ქმარი ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინი (1807-1885), ეკატერინე (1824-1875) და მისი ქმარი ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვი (1810-1873), სოფიო (1829-1879) და მისი ქმარი დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი (1825-1899) და მათი დედა ნინო მაყაშვილი-ორბელიანისა (1801-1865).

გვ. 79, 18-19. „**ბატონისშვილი მარიამ შეურიგდა თუ არა ილიასა**“ – როგორც გრიგოლ ორბელიანის წერილებიდან ჩანს, 1849 წელს, პეტერბურგში ყოფნის დროს, ილია ორბელიანი არ სწვევია იულონ ბატონიშვილის ვაჟ დიმიტრის (მარიამ ბატონიშვილის ბიძაშვილს), რის გამოც მარიამი ნაწყენი იყო ილიაზე.

გვ. 79, 20. „**დიდი ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხეთ**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 79, 20-21. „**ძალუა მანანა დაბრუნდა**“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, დავითის, მეუღლე მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 79, 22-23. „**მამუკას ცოლი ქეთევან მომიკითხეთ**“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის, მეუღლე ქეთევან გიორგის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 79, 23. „**სანდრიკო ჩამიკოცნეთ**“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარია ორბელიანის, ვაჟ ალექსანდრეზე.

გვ. 79, 24-25. „**ძალუა ვარინკა როგორ ჰრჩება მარტო აღბულაღსა**“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

მოსე არლუთინსკი-დოღგორუკოვისადმი №5 (237) (გვ. 80-81)

ფოტოპირი: L: ფოტოპირი 1501 d, 183-184.

თარიღი და ადგილი: „9^{ое} Мая 1852 года. Т[емур]-Х[ан]-Шура.“

ხელმოწერა: „Вашего Сіятельства Покорнейшій Слуга К. Григорій Орбеліани“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Ваше Сіятельство, Князь Моисей Захарьевич“

ფოტოპირის აღწერილობა: შესრულებულია მელნით.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი ადრესატს სთხოვს დაღესტნის ცხენოსანთა ირეგულარული პოლკის მეთაურის დანიშვნას: „Так как Джомардизе нескоро может оправиться от раны, то с рапортом прошу ваше Сіятельство разрешенія, кого угодно будет вам назначить заведывать Дагестанским конноиррегулярным полком?“ რამდენადაც პოლკი მეთაურის გარეშე დიდხანს ვერ იქნებოდა და გრიგოლს პასუხი სწრაფად სჭირდებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსე არლუთინსკი-დოღგორუკოვი შორს არ იმყოფებოდა. ჩვენ წინა წერილებიდან ვიცით, რომ ის თემირხანშურაში დროებით გრიგოლმა შეცვალა. ალბათ, დოღგორუკოვმა დასვენების უფ-

ლებით ისარგებლა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი იმყოფებოდა **თბილისში**.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 80, 8-9. **„отбить скот у сел: Курклю“** – საუბარია დაღესტნის სოფელ კურკლიზე.

გვ. 80, 11. **„чрез Евгеніевское укрепление“** – საუბარია სოფელ ჩირქეის პირდაპირ 1841 წელს აშენებულ ციხესიმაგრეზე.

გვ. 80, 11-12. **„Худумбаш, Мятлы, Чирюрт и на Тимиргой“** – საუბარია დაღესტნის მთა ხუდუმბაშსა და დაღესტნის სოფლებზე – მიატლიზე, ჩირიურთსა და თემირგოზე (მასხაჩყალიდან 33 კმ.).

გვ. 80, 12-13. **„произведены огромныя работы, Подполк[овником] Бучкіевым“** – საუბარია პოდპოლკოვნიკ გედეონ ივანეს ძე ბუჭყიაშვილზე, რომელიც იმ დროს ბატალიონის მეთაური იყო.

გვ. 80, 20. **„князь Чавчавадзе показал мне“** – საუბარია პოლკოვნიკ იასონ ივანეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 80, 27. **„Непріятное произшествіе с майором Джомардизе“** – სავარაუდოდ, იგულისხმება გვარი ჯომარდიძე, მაგრამ რუსულ დოკუმენტურ წყაროებში გვხვდება „Джемарджидзев“. მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარდიძე (1822-1889) იყო დაღესტნის ცხენოსანთა პოლკის უფროსი 1852-1854 წლებში.

გვ. 80, 28-29. **„дом Корганова, в котором“** – სავარაუდოდ, საუბარია პოლკოვნიკ ვასილ ივანეს ძე ყორღანაშვილზე, რომელიც 1852 წელს იყო ნუხის (ამჟამად შაქი) მაზრის უფროსი.

გვ. 81, 3. **„в Гимри и Унцукуль“** – საუბარია დაღესტნის სოფელსა და ციხესიმაგრეზე.

გვ. 81, 8. **„От Агиларбека я получил известіе“** – საუბარია ყაზიყუმუხის ხან ალაღარ ბეგზე.

გვ. 81, 8-9. **„Данійльбек с значительною партією“** – საუბარია სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 81, 10. „**я предписал Клугенау**“ – საუბარია დალესტნის ერთ-ერთი დივიზიის მეთაურ ფრანც კარლოს ძე კლუკი-ფონ-კლუგენაუზე.

გვ. 81, 12. „**Ахтинскою милицією к Лучеку**“ – საუბარია დალესტნის სოფელ ახტის მილიციასა და სოფელ ლუჩეკზე.

გვ. 81, 13. „**перейти к Хине**“ – საუბარია დალესტნის სოფელ ხინზე, იგივე ხნოზე.

გვ. 81, 14. „**или даже к Гельмецу**“ – საუბარია დალესტნის სოფელ ლელმენზე.

გვ. 81, 14. „**для содействия Генералу Врангелю**“ – საუბარია ჭარ-ბელაქნის ოლქის ჯარების მეთაურ ალექსანდრე ვესტათეს ძე ვრანგელზე.

გვ. 81, 15. „**Трагическая кончина Ажимурада**“ – საუბარია შამილის ყოფილი ნაიბის, ჰაჯი მურატის, მკვლელობაზე ნუხაში 1852 წლის 23 აპრილს.

გვ. 81, 18. „**Шамхал оправился от своей болезни**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 81, 19-20. „**решается проехать по своим деревням**“ – თარკოს შამხალს გრიგოლი ხშირად ადანაშაულებს იმაში, რომ მის გამგებლობაში არსებულ სოფლებს ყურადღებას არ აქცევდა.

გვ. 81, 20. „**не уменьшается в Губдене**“ – საუბარია დალესტნის სოფელზე.

გვ. 81, 27. „**Дупельт и Деллингаузен возвратились в Шуру из отпуска**“ – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ ლეონტის ძე დუბელტზე (1822-1900), რომელიც 1851-1854 წლებში სამხედრო მინისტრის თანაშემწე და საგანგებო დავალებების შემსრულებელი იყო და ედუარდ კარლოს ძე დელინგსჰაუზენზე (1824-1888), რომელიც 1847 წლიდან 1853 წლამდე მონაწილეობდა კავკასიის ბრძოლებსა და სიმაგრეების მშენებლობაში.

მიხეილ ვორონცოვისადმი №15 (238) (გვ. 84-85)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 24r-v.

თარიღი და ადგილი: „11 мая 1852 года Т[емир]X[ан]Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“

ფოტოპირის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაქი; ზომა: 34,5X22,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 84, 5. „**о трагической кончине Ажимурада**“ – საუბარია შამილის ყოფილი ნაიბის მკვლელობაზე ნუხაში 1852 წლის 23 აპრილს.

გვ. 84, 6. „**голова его лежит в прахе**“ – მოკლულ ჰაჯი მურატს თავი მოჰკვეთეს, სპირტში ჩადეს და თბილისში გაგზავნეს ამოსაცნობად და ხალხისთვის საჩვენებლად.

გვ. 84, 8. „**убійством ничтожняго квартальнаго**“ – 1852 წლის 22 აპრილს, გაქცევის წინ, ჰაჯი მურატმა მოკლა პოლიციის ოფიცერი, რომელსაც იმ უბნის, კვარტლის ზედამხედველობა ევალა (ასეთ ოფიცრებს „კვარტალნის“ უწოდებდნენ).

გვ. 84, 8-9. „**приобрестъ вновь доверенность Шамиля**“ – შამილის ნდობა ჰაჯი მურატს დაკარგული ჰქონდა და, თითქოს, იმ ოფიცრის მოკვლით მისი კეთილგანწყობის დაბრუნება უნდოდა.

გვ. 84, 10. „**в городе вместо спасенія ожидал его топоръ**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება იმდროინდელი ნუხა, დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქი შაქი.

გვ. 84, 14-15. „**моих отношеній к Айдарь беку**“ – საუბარია ჰაჯი მურატის ყოფილ თანამებრძოლ ჰაიდარ ბეგზე,

რომელიც იმ დროს უკვე რუსების მხარეს იბრძოდა დალესტინის მილიციის ცხენოსანთა პოლკში.

გვ. 84, 19 „**Похвальное поведение Ажиагабека и сына его**“ – საუბარია ელისუს პრისტავ პორუჩიკ ჰავჯი-ალა ბეგსა და მის ვაჟზე, რომლის სახელიც უცნობია.

გვ. 84, 24. „**Недавно я осматривал Сулахскую линию**“ – სავარაუდოდ, საუბარია დალესტინის მდინარე სულალის (სულაკი) სასაზღვრო ხაზზე.

გვ. 84, 25. „**замечательны Евгениевские укреп[ления]**“ – იგულისხმება სოფელ ჩირქეის პირდაპირ 1841 წელს აშენებული ციხე.

გვ. 84, 28. „**Князь Чавчавадзе показал**“ – საუბარია იასონ ივანეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 85, 1. „**Данииль-Султан двинулся к границе**“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 85, 2. „**сообщил барону Врангелю**“ – საუბარია გენერალ, ბარონ ალექსანდრე ვესტათეს ძე ვრანგელზე.

გვ. 85, 4-5. „**в Лучек для прикрытия**“ – საუბარია დალესტინის სოფელზე.

გვ. 85, 5. „**деревень Ихрекского ущелья**“ – საუბარია იხრეკის ხეობის სოფლებზე.

გვ. 85, 6. „**занять сел[ение] Хина, или даже Гельмец**“ – საუბარია დალესტინის სოფელ ხინზე (იგივე ხნოუზე) და ღელმენზე.

ალექსანდრე კაპლერისადმი №1 (239) (გვ. 86-87)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 25r-v.

თარიღი და ადგილი: „16 Мая 1852 года. Т[емир]Х[ан]Шура“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Александрю Христиановичу Капгеру.“

ფოტოპირის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; წერილი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფება **ელისუში**: „Вчера я получил радостное уведомление от Генерала Барона Врангеля о безуспешном вторжении Данийл Султана в Элисуиское ущелье. Зная о движении его в вашу сторону, рассчитывавшего на содействие жителей, я с нетерпением ожидал известий от Вас. Благодарение Богу! трёхлетняя угроза Султана наконец разрешилась пустяками.“

შენიშვნები: 1. არ იკითხება.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 86, 17-18. „от Генерала Барона Врангеля“ – საუბარია გენერალ, ბარონ ალექსანდრე ვესტათეს ძე ვრანგელზე.

გვ. 86, 18. „вторжении Данийл Султана“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 86, 29. „Управляющий Акушою Нурбаан-Кадии“ – ნურბაან ყადის ორბელიანი სხვა წერილებშიც ახსენებს და ყველგან უკმაყოფილოა მისი უუნარობით.

გვ. 86, 29-30. „Джемил бек Кайтахский“ – საუბარია დაღესტნის მხარის, ყარაყაითალის, მმართველ ჯამოვ-ბეგზე.

გვ. 86, 30. „грозный Шамхал“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 87, 1. „сын Шамхала – Далгат“ – საუბარია შამხალ აბუ-მუსლიმ ხანის ვაჟ დაღვათზე, რომელიც 1852 წელს დაიღუპა.

გვ. 87, 4. „Шамиль вёл чрез Араканскаго Найба переписку“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამსა და ჩეჩნეთის ერთ-ერთი სოფლის, არაკნის, ნაიბზე.

გვ. 87, 5. „Спасибо ещё Агалар беку и Юсуп беку“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგსა და ქურის სახანოს მმართველ უსუფ ბეგზე.

გვ. 87, 8. „Шура уже прежняя Шурочка“ – საუბარია ქალაქ შურაზე (ამჟამინდელი შაქი), რომელიც ქალის სახელის ომონიმია და გრიგოლ ორბელიანი სიტყვებით თამაშობს.

გვ. 87, 10. „Ремер да Волынский остались“ – საუბარია კავკასიის საარტილერიო გარნიზონის კაპიტან ვილჰელმ გოტფრიდის ძე ფონ რემერსა და აფშერონის პოლკის პოდ-პოლკოვნიკ ვასილ ივანეს ძე ვოლინსკიზე.

ალექსანდრე ვრანგელისადმი №1 (240) (გვ. 88-89)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 27r-v.

თარიღი და ადგილი: „24^{to} Мая 1852 Т[емир]Х[ан]Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Александрю Ефстафьевичу Барону Врангелю“

ფოტოპირის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომა: 34,3X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; წერილი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: გენერალ-მაიორი ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელი 1852 წელს ლეკეთის სასაზღვრო ხაზის ჯარებს მეთაურობდა და დაღესტანში საბრძოლო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ მისი რაზმი მთიანი მაჰალის წინააღმდეგ მოქმედებებშია ჩართული: „Капитан Астафьев неожиданно привѣз мне письмо Главнокомандующаго, в котором Его Светлость просит меня содействовать вашему отряду в действиях его против Горнаго Магала, укрепляемаго теперь Данійл Султаном.“ მთიანი მაჰალი მდებარეობდა ყოფილ **ჭარ-ბელაქნის ოლქში**. შესაბამისად, წერილიც იქ არის გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 88, 25. „Капитан Астафьев неожиданно привѣз“ – სავარაუდოდ, საუბარია ელიზავეტოპოლის სამხედრო რწმუნებულ, მაიორ ალექსეი ანდრიას ძე ასტაფიევიზე.

გვ. 88, 25-26. „**письмо Главнокомандующаго**“ – საუბარი უნდა იყოს კავკასიის კორპუსის მთავარსარდალ, გრაფ ვორონცოვზე.

გვ. 88, 28. „**укрепяемаго теперь Данийл Султаном**“ – სავარაუდოდ, საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 88, 31. „**Ихрекским ущельем**“ – სავარაუდოდ, საუბარია იხრეკის ხეობაზე, რომელიც დალესტანში მდებარეობს.

გვ. 89, 16-17. „**прошлогодные дела в Кайтаге повторяются**“ – სავარაუდოდ, ორბელიანი გულისხმობს 1851 წლის 31 დეკემბერს შამილის მომხრე ბუკ-მუჰამედისა და 300-კაციანი ცხენოსანთა რაზმის შეტევას ყაითაღზე.

გვ. 89, 20. „**от Сулака до Дербенда**“ – სავარაუდოდ, საუბარია დალესტანის მდინარე სულაკსა და ციხესიმაგრე დერბენდზე (ამჟამად ქალაქია).

გვ. 89, 21-22. „**соберётся отряд у Лучека**“ – საუბარია დალესტანის სოფელ ლუჩეკზე.

გვ. 89, 23-24. „**Генерал Манюкин, или Волков**“ – სავარაუდოდ, საუბარია ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინზე, რომელიც 1852-1858 წლებში სათავეში ედგა 21-ე ქვეითი რაზმის პირველ ბრიგადას. ვოლკოვის სახელი უცნობია.

ქეთევან ორბელიანისადმი №48 (241) (გვ. 91-92)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №308, 1r-v, 2r.

თარიღი და ადგილი: „29^ა მაისს 1852. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი კეთილის მსურველი გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავე ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი, გადაკეცილი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია ფურცლის გვერდებზე.

ადრესატის მისამართი: ტექსტში გრიგოლი მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ თავის უახლოეს ნათესავეებს, რაც მოწმობს, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ფრაზა – „მე რატომ ადრე არ შემატყობინეს, მითომ ვისზედ ნაკლები ვარ?“ – ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი; 3-4. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი გან ერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 41-42.

გვ. 91, 9. **„ტასიკოს ქორწილში“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანზე (1831-1884), რომელიც ცოლად გაჰყვა გენერალ-ლეიტენანტი ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოს (1818-1880).

გვ. 91, 14. **„სანდრიკო როგორ არის“** – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარია ორბელიანის, ვაჟ ალექსანდრეზე.

გვ. 91, 16. **„ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხეთ“** – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 91, 17-18. **„თამამშოვის ქარვასლა ვერ წაიღო ნიაღვარმა“** – საუბარია თბილისელი ვაჭრის, გაბრიელ თამამშოვის, მიერ 1847-1851 წლებში ამჟამინდელი თავისუფლების მოედანზე აშენებულ სავაჭრო სახლზე, რომლის შუაგულშიც თეატრი იყო განთავსებული.

გვ. 91, 22-23. **„ეკუთვნის პოლკოვნიკს კაპლერსა“** – საუბარი უნდა იყოს ალექსანდრე ქრისტოიანეს ძე კაპლერზე.

გვ. 91, 23-24. **„უნდოდა წაეღო კონსტანტინე თარხნისშვილსა“** – საუბარია კონსტანტინე დავითის ძე თარხან-მოურავზე.

გვ. 91, 28. **„ძალუა მანანა როგორ დაბრუნდა“** – საუბარია გრიგოლის ნათესავის, დავითის, მეუღლე მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 91, 29. **„ტასოს ამბავი რა მოიტანა“** – საუბარია მანანა ორბელიანის ქალიშვილ ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ. 91, 30-31. „სადილათ შამხალთან“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 92, 2-3. „თამარ, ბაბაღე, კატო, სოფიო... თავიანთ ქმრებითა, მომიკითხეთ“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, იაკობის, ქალიშვილები: თამარი და მისი მეუღლე ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკი, ბარბარე და მისი მეუღლე ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინი, ეკატერინე და მისი მეუღლე ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვი, სოფიო და მისი მეუღლე დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გედეონ ბუჭყიაშვილისადმი №4 (242) (გვ. 92-93)

ავტოგრაფი: Z (ზსიემ) 24417/ლიტ. არქ. 1017.

თარიღი და ადგილი: „31 მაისს 1852. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო გედეონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; დაზიანებული; დაწერილია I გვერდზე, II-III გვერდები თავისუფალია, IV გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია მისამართის მითითების გარეშე; III გვერდის ზემოთ და IV გვერდის ზემოთ და ქვემოთ ლუქის ნარჩენია; წერილი შესრულებულია შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით.

ადრესატის მისამართი: წერილის IV გვერდზე მხოლოდ ადრესატის ვინაობაა მითითებული: „Г-лу Подполковнику и кавалеру Бучкиеву; Евген.“ გედეონ ბუჭყიაშვილისადმი №3 წერილიდან (რომელიც, სავარაუდოდ, ამავე წლის 4 მაისსაა გაგზავნილი) ვიგებთ, რომ იმ დროისთვის გედეონი **თემირხანშურაში** მსახურობდა. ამიტომ, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ. 313.

გვ. 92, 10. „ნავსულვიყავ სადილათ ბრონევსკისთან“ – რამდენადაც ორბელიანის სხვა წერილებში ეს პიროვნება პოლკოვნიკად მოიხსენიება, სავარაუდოდ, საუბარია პავლე ნიკოლოზის ძე ბრონევსკიზე, რომელსაც 1848 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება და 1849 წლის დეკემბრიდან მეთაურობდა დაღესტნის 82-ე ქვეით პოლკს.

გვ. 92, 16. „სოფიოს დიდის პატივისცემით“ – საუბარია გედეონ ბუჭყიაშვილის მეუღლეზე.

ალექსეი ორლოვისადმი №1 (243) (გვ. 93)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 28r.

თარიღი და ადგილი: „3^{то} июня 1852. Т[емир]Х[ан]Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Графу Алексею Федоровичу Орлову / Вашему С[яте]льст]ву“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: 1852 წელს ალექსეი ორლოვი იმპერატორის კანცელარიის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. შესაბამისად, წერილი, სავარაუდოდ, **პეტერბურგში** უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია ალექსეი თეოდორეს ძე ორლოვი (1787-1862), რუსი სამხედრო მოღვაწე, იმპერატორის კანცელარიის უფროსი და ჟანდარმერიის შეფი 1845-1856 წლებში.

გვ. 93, 5-6. „предоставить Подполк[овнику] Дубельту“ – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ ლეონტის ძე დუბელტზე (1822-1900), რომელიც 1851-1854 წლებში სამხედრო მინის-

ტრის თანაშემწე და საგანგებო დავალებების შემსრულებელი იყო.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №1 (244) (გვ. 94-95)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 28v-29r.

თარიღი და ადგილი: „3¹⁰ июня 1852. Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Князю Александру Ивановичу Барятинскому“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ადრესატი დასასვენებლად იმყოფება წყლებზე: „Вы, Князь, теперь на водах отдыхаете от трудов.“ გრიგოლ ორბელიანის წერილებში ხშირადაა საუბარი თბილ და მჟავე წყლებზე. თბილი წყალი მდებარეობს გარიაჩევოდსკში, ხოლო მჟავე წყალი – ამჟამინდელ კისლოვოდსკში. ორივე კურორტი რუსეთის ფედერაციაშია, ამჟამინდელი სტავროპოლის მხარეში. მართალია, არ ჩანს, ზუსტად რომელ კურორტზე იმყოფება ადრესატი, მაგრამ ვიცით, რომ წერილი გაგზავნილია **ამჟამინდელი სტავროპოლის მხარეში.**

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი (1815-1879), რომელიც იმ დროს იყო მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაური და კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი.

გვ. 94, 10. „в предательстве Шамхала“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 94, 13. „Джемил бек Каракайтахский“ – საუბარია დაღესტნის მხარის, ყარაყაითალის, მმართველ ჯამოვ ბეგზე.

გვ. 94, 14. „Нурбаан Акушинский“ – საუბარია აჰყოშის მმართველ ნურბაან ყადზე.

გვ. 94, 16-17. „Спасибо ещё Юсупбеку Кюринскому и Агалар беку Кузыкумскому“ – საუბარია ქურის სახანოს მმართველ უსუფ ბეგსა და ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე.

გვ. 94, 20-21. „Данійл бек занял и укрепляет Горный Магал“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 94, 21. „Генерал Врангель не имеет“ – საუბარია გენერალ-მაიორ ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელზე.

გვ. 94, 23. „Главногокомандующіи приказал“ – საუბარი უნდა იყოს კავკასიის კორპუსის მთავარსარდალ, გრაფ ვორონ-ცოვზე.

გვ. 94, 25-26. „под командою Генерала Волкова“ – საუბარი უნდა იყოს პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე, რომელიც მეთაურობდა ამ ოპერაციას.

გვ. 94, 30. „прошлогодняя дела повторятся в Табасаране“ – იგულისხმება მთიელთა თავდასხმა ტაბასარანზე 1851 წელს.

გვ. 95, 7. „Шамиль делает большіе сборы в Андіи“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის მომხრეთა თავმოყრაზე დაღესტნის ერთ-ერთი უძველესი ტომით – ანდებით – დასახლებულ ტერიტორიაზე.

გვ. 95, 8. „потянулись к Боголалу“ – საუბარია დაღესტნის ერთ-ერთ ტომ ბაგულალზე და მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №49 (245) (გვ. 97-98)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №309, 1r-v, 2r-v.

თარიღი და ადგილი: „19^ლ ივნისს 1852 წელს. ქუთიშის მთით.“

ხელმოწერა: „თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი, გადაკეცილი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,2X20,5 სმ; გადაკეცილისა: 20,5X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია ფურცლის გვერდებზე.

ადრესატის მისამართი: ტექსტში გრიგოლი მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ თავის უახლოეს ნათესავებს, რაც მოწმობს, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღმერთსა; 2. სიტყვები – „და ან ვისგან“ – ჩამატებულია ავტორისავე ხელით; 3. ბრჭყალებში ჩასმული წინადადება ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ეს ორი სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 43-44.

გვ. 97, 2-3. „სანდროს წასვლისათვის“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, ვაჟის პეტერბურგში წასვლაზე სასწავლებლად.

გვ. 97, 15. „მანანასავით, ინერებით“ – საუბარია დავით ორბელიანის ქვრივ მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 97, 20. „ალექსანდრე რომელს პოლკში განწესებულა“ – საუბარია მანანას ვაჟ ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ. 97, 22. „ივანე ჯერ ისევ მანდ იქნება“ – საუბარია მანანას ვაჟ ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ. 97, 27-28. „მამა, პაპა, ბიძები, ღონონები, სულ ქალაქში არიან დამარხულნი თქო“ – ღონენა რევაზის ძე ორბელიანი იყო გრიგოლის წინაპრის, ასლან ყაფლანის ძის, ერთ-ერთი შვილიშვილი. ღონენას საგვარეულო შტო მის შვილზე შეწყდა და მათი მამულების ნაწილი დავით რევაზის ძე ორბელიანს დარჩა, რომელიც იყო ალექსანდრე და ივანე ორბელიანების დიდი პაპა. შესაბამისად, ივანე დავითის ძე ორბელიანი, მისი მამა, პაპა და ბიძები ღონენას მამულების მემკვიდრეები იყვნენ. სავარაუდოა, რომ ორბელიანთა ეს შეწყვეტილი შტო მათ საგვარეულოში ნაკლები ღირსებებით გამოირჩეოდა და

სახელ „ლონენას“ სანათესაოში საზოგადო მნიშვნელობით ხმარობდნენ. შესაბამისად, დავით რევაზის ძე ორბელიანის შთამომავალთა ლონენასთან შედარება მათ საერთო თვისებებსაც (ბრძოლისთვის თავის არიდება და მშვიდი ცხოვრების ძიება) უნდა ემყარებოდეს.

გვ. 97, 30. „ჩემი საყვარელი ქეთევან“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნათესავის, მამუკა თამაზის ძე ორბელიანის, მეუღლე ქეთევან გიორგის ასულ ერისთავზე.

გვ. 97, 31; 98, 1. „ალექსანდრე და ბარბარე გრიგოლობას ვერ გიზმენთქო“ – საუბარია ქეთევან ერისთავის მულის, მარიამ (მაია) თამაზის ასულ ორბელიან-თუმანიშვილის, შვილებზე – ალექსანდრე გიორგის ძე და ბარბარე გიორგის ასულ თუმანიშვილებზე.

გვ. 98, 3. „ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 98, 8. „ჩემი საყვარელი ძალუა ბარბარე“ – საუბარია ილია ორბელიანის მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 98, 9. „ილიას წიგნიც დღეს მომივიდა“ – საუბარია გრიგოლის ძმა ილია ორბელიანზე.

გვ. 98, 10-11. „ზაფხული ერთად გაატაროთ ბელიი კლუჩზედ“ – სავარაუდოდ, იგულისხმება თეთრინყარო, სადაც ისინი ისვენებდნენ.

ალექსანდრე სუსლოვისადმი №1 (246) (გვ. 98-99)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 31r.

თარიღი და ადგილი: „30^{то} июня 1852 Лагерь на горе Кутиши“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Генералу Александру Алексеевичу Суслову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაღდი; ზომა: 34X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ვასილ ბებუთაშვილისადმი №1 წერილში, რომელიც ასევე ივნისშია დაწერილი, გრიგოლი ადრესატს ატყობინებს, რომ გენერალი სუსლოვი ორი ბატალიონით დგას გამაშის მთაზე, ხოლო ერთი ბატალიონით – ყაზიყუმუხში: „მე ვჰსდგევეარ ლაგირად ქუთიშის მთაზედ 5^{ლხ} ბატალ:; ამისგარდა ლენერალ სუსლოვი ორის ბატალ: გამაშის მთაზედ და ერთიც ბატალ: ყაზიყუმუხსა.“ გამაშის მთაც და ყაზიყუმუხიც **დაღესტანში** მდებარეობს, შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია იმ დროს ერევნის რაზმის მეთაური, რუსი გენერალ-მაიორი ალექსანდრე ალექსის ძე სუსლოვი.

გვ. 98, 22-23. „**придумали одно лекарство: козырять**“ – იგულისხმება თავმონონება, ყოყორება.

გვ. 98, 24. „**Шамиль по возвращении из Гамаши**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამსა და ცენტრალური დაღესტნის სოფელზე.

გვ. 99, 3. „**Генерал Волков с боя занял**“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

გვ. 99, 4-5. „**соединился с Генер[алом] Врангелем**“ – საუბარია გენერალ-მაიორ ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელზე.

გვ. 99, 6. „**направиться к Цахуру**“ – საუბარია იმყამინდეღი ჭარ-ბელაქნის ოლქის სოფელ წახურზე.

გვ. 99, 6-7. „**укрепился Данийл Султан**“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 99, 8. „**вблизи Ишкарты**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ იშკარტზე.

გვ. 99. 9. „**Майор Котляревский... дороге**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება კავკასიის სამხედრო შტაბის ოფიცერი, გენერალ-მაიორი იოსებ საბას ძე კოტლიარევსკი.

გვ. 99, 13. „**Постройка дер[евни] Унжугаты**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ უნჯუხატზე, რომელიც დანგრევის შემდეგ ხელახლა უნდა აშენებულიყო.

ვასილ ბებუთაშვილისადმი №1 (247) (გვ. 100-101)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 30v (დანომრილია, როგორც 30v).

თარიღი და ადგილი: „ქუთიშის მთით იენისს 1852 წელსა“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „კნიაზს ვასილი იოსების-ძეს ბებუთოვს.“ / „კნიაზო“

ავტოგრაფის აღწერილობა: დიდი, სქელი, გაყვითლებული ქალაღი; 1 ფურცელი; ზომა: 34,5X21,2 სმ; შესრულებულია შავი მეღნით; წერილის I გვერდზე ვორონცოვისადმი რუსულად მიწერილი წერილი მთავრდება. როგორც ჩანს, გრიგოლ ორბელიანს ადრესატისთვის არც ერთი წერილი არ გაუგზავნია.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ირკვევა, რომ ვასილ ბებუთაშვილი იმყოფებოდა **თბილისში**. ავტორი ადრესატს სწერს: „და თქვენკი თბილისში, მგონია, ნატრულობთ სიგრილესა.“

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ღმერთმან; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 42-43.

წერილის ადრესატია გენერალი ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილი (ბებუთოვი).

გვ. 100, 29. „**ქუთიშის მთით**“ – საუბარია დაღესტნის მაღალმთიან სოფელ ქუთიშაზე.

გვ. 101, 1. „**მივიღე ნესტორ წერეთლის ხელითა**“ – საუბარია იმპერატორის ამალის ახალგაზრდა ოფიცერ ნესტორ

დიმიტრის ძე წერეთელზე (დაბად. 1829), რომელიც მოგვიანებით ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გახდა.

გვ. 101, 4. „**ღენერალ სუსლოვი ორის ბატალ: გამაშის მთაზედ**“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ალექსის ძე სუსლოვზე (1807-1877), რომელიც 1852 წელს ერევნის რაზმის მეთაური იყო.

გვ. 101, 6-7. „**გალაშკის მხრიდამ**“ – საუბარია ინგუშეთის სოფელზე.

გვ. 101, 11. „**ჯამოზეგ ლოთი**“ – საუბარია დაღესტნის მხარის, ყარაყაითალის, მმართველ ჯამოვ-ბეგზე.

გვ. 101, 11-12. „**ნურბაან სუსტი და სულელი**“ – აჰყოშის მმართველ ნურბაან ყადს ორბელიანი სხვა წერილებშიც ახსენებს და ყველგან უკმაყოფილოა მისი უუნარობით.

გვ. 101, 12. „**ჩვენი შამხალი**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 101, 13-14. „**ალალარბეგსა და უსუფბეგსა**“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალალარ ბეგსა და ქურის სახანოს მმართველ უსუფ ბეგზე, რომელიც ამ თანამდებობაზე რუსებმა დანიშნეს.

გვ. 101, 17. „**ღენერალი ვრანგელი თავის ჯარით**“ – საუბარია გენერალ-მაიორ ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელზე, რომელიც 1852 წელს ლეკეთის სასაზღვრო ხაზის ჯარებს მეთაურობდა.

გვ. 101, 17-18. „**შეერთდა ღენერ: ვოლკოვსა ღელმენთანა**“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვსა და დაღესტნის სოფელ ღელმენზე.

გვ. 101, 19. „**სადაცა გამაგრებულა სულთან**“ – სავარაუდოდ, საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №16 (248) (გვ. 101-103)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 31v-32r.

თარიღი და ადგილი: „1852 года 3 июля. Лагерь на высотах Кутиши“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“

ფოტოპირის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: 31-ე ფურცლისა: 34X21 სმ; 32-ე ფურცლისა: 33,5X20,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ორივე ფურცლის შიდა არშია რესტავრირებულია; სიტყვები ალაგ-ალაგ ჩამატებულია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 101, 26. „Данійль Султан бежал“ – საუბარია ელიუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 102, 5-6. „двух деревень – Курдула и Гельмеца“ – საუბარია დაღესტნის სოფლებზე – ყურდულსა და ლელმენზე.

გვ. 102, 8. „дороги в Бурж“ – სავარაუდოდ, იგულისხმება დაღესტნის ციხესიმაგრე და სოფელი ბურჯი, რომელსაც ორბელიანი სხვა წერილებშიც ახსენებს.

გვ. 102, 25. „Барону Врангелю было приказано“ – საუბარია გენერალ-მაიორ ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელზე.

გვ. 102, 32. „отряд полковника Корганова“ – სავარაუდოდ, საუბარია პოლკოვნიკ ვასილ ივანეს ძე ყორღანაშვილზე, რომელიც 1852 წელს იყო ნუხის (ამჟამად შაქი) მაზრის უფროსი.

გვ. 102, 32-33. „возвращены в Царскіе Колодцы и в Нуху“ – სავარაუდოდ, საუბარია ამჟამინდელ დედოფლისწყაროსა და შაქზე.

გვ. 103, 1-2. „Агаларь-бек вновь устраивает разрушенную деревню Унжугаты“ – საუბარია ყაზიყუმუხის

უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგსა და დალესტნის სოფელ უნჟუ-ხატზე.

გვ. 103, 7. „Шамиль по возвращении из Галашки“ – ინ-გუშეთის სოფელ გალაშკაში შამილი შეიჭრა 1852 წლის ივნისში.

ილია ორბელიანისადმი №77 (249) (გვ. 105)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №249.

თარიღი და ადგილი: „9^ა ივლისს 1852 ქუთიშის მთა.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ილო“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; შესრულებულია მოშავო მელ-ნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ორბელიანისადმი №49 წერილში, რომელიც 19 ივნისს არის დაწერილი, გრიგოლი რძალს სწერს: „ილიას წიგნიც დღეს მომივიდა ზაქათალიდამ.“ რამდენადაც წინამდებარე წერილის დაწერამდე დიდი დრო არ არის გასული (მხოლოდ 20 დღე), შესაძლებელია, ის **ზაქათალაში** იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი; 3. „ქუთიშის მთა“ ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 44.

გვ. 105, 17. „ბაირამიც გავიდა“ – საუბარია მუსლიმანურ დღესასწაულზე.

გვ. 105, 18. „შამილა წამოვა ჯვართაო“ – საუბარია ჩქინეთ-დალესტნის იმამზე.

გვ. 105, 19-20. „იმის მამასა აქუს ცხონება, დიდს დინგაუს“ – საუბარია შამილის მამაზე – დენგავ (დონოგო) მუჰამედზე, რომელიც უზდენტა სოციალური წრიდან იყო.

გვ. 105, 22. „**ძალუა ბარბარეს წიგნიც**“ – საუბარია ილია ორბელიანის მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 105, 25. „**სულთნის შერიგება**“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანილ ბეგზე, რომელიც 1844 წლამდე რუსეთის მხარეს იყო და იმ დროს მოლაპარაკებებს მართავდა, რომ მათგან პატიება მიეღო.

გვ. 105, 26-27. „**კოსტანტინე და ესტატე სიყვარულით მომიკითხე**“ – შესაძლებელია, იგულისხმებოდნენ კონსტანტინე დავითის ძე და ესტატე დიმიტრის ძე თარხნიშვილები.

ილია ორბელიანისადმი №78 (250) (გვ. 106-107)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №250.

თარიღი და ადგილი: „18^ლ ივლისს 1852. ქუთიშის მთით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძმავო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; შესრულებულია მოშავო მელნით.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ილია **თბილისშია** და თავის ახლობლებთან ყოფნით ტკბება: „ჩემის ანგარიშით შენ ახლა უნდა იყო შენს ქულქათში გაფარაღათებული, გაფარფარებული, განსვენებაში, გახარებაში.“

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; ბოლოში ერმოლოვის მინაწერია:

„Душа моя Илико, весьма благодарен тебе за поклон, который передал мне Князь Григорий Дмитриевич. Свидетельствуй мое искреннее почтение княгине Варваре.–

Прощай душа моя, будь здоров.

Лубящий тебя Клавдий

Ермолов

Милой мой Илико,
Растояние между нами далеко,
Разделяют нас высокие горы,
Где живут страшные вору.
И не видят наши взоры.
И все чепуха и вздоры.“

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 47-48.

გვ. 106, 4. „**მომივიდა წერილი მთავარმართებლისა**“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვზე.

გვ. 106, 7. „**იასონს ჭაფჭავაძეს არ მოუვიდა ლენარლობა**“ – საუბარია იასონ ივანეს ძე ჭაფჭავაძეზე.

გვ. 106, 25-26. „**გულნაკლულია ვრანგელზედაც და კოსტანტინეზედაც**“ – საუბარია გენერალ-მაიორ ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელზე, რომელიც 1852 წელს ლეკეთის სასაზღვრო ხაზის ჯარებს მეთაურობდა და პოლკოვნიკ კონსტანტინე დავითის ძე თარხნიშვილზე, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა მთიელებთან.

გვ. 107, 1. „**ჩემი საყვარელი ძალუა ვარინკა**“ – საუბარია ილია ორბელიანის მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №17 (251) (გვ. 107-109)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 32v, 33r-v.

თარიღი და ადგილი: „18^{то} июля 1852. Кутишинскія высоты“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „K[нязю] Воронцову.“ / „Письма Вашей Светлости“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი ყა-

ვისფერი მელნით; ორივე ფურცლის შიდა არშია რესტავრირებულია; სიტყვები ალაგ-ალაგ ჩამატებულია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 107, 16. „на записку Генерала Вольфа“ – საუბარია კავკასიის სამხედრო კორპუსის გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ივანეს ძე ვოლფზე.

გვ. 107, 22-23. „от Арчи до Мухахского ущелья и Сарибаша“ – საუბარია დაღესტნის სოფელ არჩიზე, იქვე მდებარე მუხახის ხეობასა და ყოფილ ჭარ-ბელაქნის ოლქში მდებარე სოფელ სარიბაშზე (სარუბაშზე).

გვ. 108, 15. „хищническим партиям Даниїла Султана“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 108, 19. „этого округа, Ихрекского ущелья“ – სავარაუდოდ, საუბარია იხრეკის ხეობაზე.

გვ. 108, 20. „отряду Барона Врангеля“ – საუბარი უნდა იყოს გენერალ, ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე.

გვ. 108, 28. „Гудахарцев и Шамхальцев“ – საუბარია დაღესტნის ამ ორი სოფლის მცხოვრებლებზე.

გვ. 108, 34. „по назначению Шамхала“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 109, 5. „Карабудекентцы в числе 150 местных жителей“ – იგულისხმება დაღესტნის სოფელი ყარაბუდახკენტი.

გვ. 109, 14. „байрам, которым так страшали нас“ – იგულისხმება გავრცელებული ხმები, რომ მუსლიმანური მარხვის დამთავრების შემდეგ დაინყებოდა მთიელთა შემოტყევები.

ილია ორბელიანისადმი №79 (252) (გვ. 111-113)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №251.

თარიღი და ადგილი: „29^ა ივლისს 1852 ქუთიშის მთა“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; 2 ფურცელი; ზომა: 21X13 სმ; შესრულებულია მოშავო მელნით.

ადრესატის მისამართი: ილია ორბელიანისადმი №78 წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ გრიგოლი 18 ივლისს თბილისში იმყოფებოდა. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შტაბში გამგზავრების შესახებ. ამიტომ, სავარაუდოდ, ესეც თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი; 3. „ქუთიშის მთა“ ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 48-49.

გვ. 111, 30. „**მივიდნენ ცხრანი ნაიბნი**“ – სავარაუდოდ, იგულისხმებიან შამილის ნაიბები: მუხამედ ემინი, დანიილ ბეგი, აბაქარ დებირი, ახმად ავტურინსკი და სხვ.

გვ. 111, 31-32. „**ყორალი ლაზარევი დაუხვდა ჯუნგუთაელებითა**“ – საუბარია რუს მხედართმთავარ ივანე დავითის ძე ლაზარევიზე, რომელიც 1850 წელს დანიშნეს მეხთულის სახანოს მმართველად, ჯუნგუთაი კი მეხთულის სოფელია.

გვ. 112, 2-3. „**არქასზედ დახვდა მაიორი ტიხონოვი**“ – ამავე პერიოდის წერილებში გრიგოლ ორბელიანი არაერთგან ახსენებს მაიორ ტიხანოვს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ ბარათში გვარი შეცდომით წერია და აქაც უნდა იგულისხმებოდეს დალესტნის ქვეითი პოლკის მაიორი დიმიტრი ივანეს ძე ტიხანოვი.

გვ. 112, 5-6. „**დიდს მთას შენშრეკისას**“ – საუბარია დალესტნის მთა შენშრეკზე.

გვ. 112, 12. „**იშოვნა აიდარბეგმა**“ – საუბარია ჰაჯი მურატის ყოფილ თანამებრძოლ ჰაიდარ ბეგზე, რომელიც იმ დროს უკვე რუსების მხარეს იბრძოდა დალესტნის მილიციის ცხენოსანთა პოლკში.

გვ. 112, 20-21. „**მთავარმართებლის ნებით ჩავალ**“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვზე.

გვ. 112, 27-28. „**სიმბორსკულად, აღმისრულეს**“ – იგულისხმება გენერალ-მაიორი ანდრეი მიხეილის ძე სიმბორსკი, რომელიც სიმკაცრით გამოირჩეოდა და სრულ მორჩილებაში ჰყავდა მეომრები.

გვ. 112, 33. „**ერთი შამხალის ბეგებთაგანი**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 113, 7. „**ჩემი საყვარელი ძალუა ვარინკა**“ – საუბარია ილია ორბელიანის მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 113, 8. „**სანდრიკო ვის წაუყვანია**“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, ვაჟის წაყვანაზე პეტერბურგში.

კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №2 (253) (გვ. 113-114)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №97, Hd-7536.

თარიღი და ადგილი: „31 ივლისს შური[თ]“

ხელმოწერა: „ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს და აღირსოს შენი ხილვა შენს ერთგულს გრიგოლ ორბელიანს.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო კონსტანტინე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 17X11 სმ; შესრულებულია მოშავო მეღვინით.

ადრესატის მისამართი: წერილის ადრესატი კონსტანტინე თარხნიშვილი იმ დროისათვის **ნუხის** (ამჟამინდელი **შაქი**) გამგებლის თანამდებობაზე მუშაობდა და ბარათიც, შესაბამისად, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წინამდებარე უთარილო ბარათში მოვლენები ძალიან ზოგადად არის აღწერილი, რაც დათარილებისათვის მყარ დასაყრდენს არ იძლევა, მაგრამ 1852 წლის აგვისტოში მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკისათვის გაგზავნილ ვრცელ წერილში გრიგოლ ორბელიანი აღწერს 1852 წლის ივნისში ერპელში მომხდარ ამბებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს. ამ წერილში ვკითხულობთ: „Эрпелинцы также вели себя не хорошо в Июне месяце. По интригам бездарнаго Абдурахима (брата Уллубея) и других лиц они вздумали объявить, что они не желают иметь Мухудина своим Управляющим, заставили его выехать в Шуру и избрали своим Управляющим Абдурахима. По приказанію моему Полковник Кишинскій арестовал Абдурахима и отправил его в Петровское; кроме того 11th человек Эрпелинцев из главных зачинщиков, посажены на Шуринскую гаубтвахту. Произведенным следствием сущность этаго дела раскрыта; Эрпелинцы опомнились; просили возвращенія Мухудина и обещали загладить свою вину точным исполненіем приказаній начальства. Мухудин вступил вновь в управление Эрпелями.“

თუ გავითვალისწინებთ, რომ ერპელი ყუმიხური სოფელია, რომ ყუმიხებს „დაღესტნის თათრებს უწოდებდნენ“ და რომ დავლეთ მირზა შეის ალი წარმოშობით ყუმიხი იყო და წერდა მის ისტორიას (იხ. მისი ნარკვევი „Рассказ кумыка о кумыках“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში“ („Кавказ“, Тифлис, 1848, №№ 37-44), ძნელი არ იქნება მოვლენებს შორის კავშირის დანახვა. ერპელელების დაუმორჩილებლობა 1852 წლის ივნისში დანყებულა, უთარილო წერილი კი, რომელზედაც წელი არ არის მითითებული, 31 ივლისს არის დაწერილი. როგორც ჩანს, მშვიდობიანად საქმის დასრულებაში ის იგულისხმება, რომ „ერპელელები გონს მოეგნენ.“ უთარილო წერილი თემირხანშურიდან არის გაგზავნილი, სადაც პატიმრობაში იყვნენ ამბოხების მოთავეები. როგორც ჩანს, ფრაზაში „რომ აქ დარჩომილნი არ დაფრთხნენ“ ისინი იგულისხმებიან, მირზა ალიში, კი, რომელიც „დიდი დიპლომატია“, სავარაუდოდ,

დავლეთ მირზა შეიხ ალი იგულისხმება, რომელიც, ყუმბიტა ერთ-ერთი ყველაზე დიდი საზოგადო მოღვაწე იყო იმ პერიოდში და წარმოუდგენელია, რომ არ ცდილიყო მის ხალხსა და რუსებს შორის წარმოქმნილი ამ დაპირისპირების მშვიდობიანი, დიპლომატიური გზით მოგვარებას. შესაბამისად, **31 ივლისში 1852 წელი** უნდა იგულისხმებოდეს.

წერილის ადრესატია გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე დავითის ძე თარხნიშვილი (თარხან-მოურავი), იმ დროისათვის ნუხის (ამჟამინდელი შაქი) გამგებელი.

გვ. 113, 14-15. „**მშვიდობიანად სრულდება ეს საქმე**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ერპელელთაგან რუსეთის მიერ დანიშნული მმართველის, მუხუდინის, განდევნა და მის ნაცვლად მათთვის სასურველი აბდურახიმის დანიშვნა.

გვ. 113, 16-17. „**არ მიიღოთ რისხვითა და ყვედრებითა გამოგზავნილნი**“ – როგორც ჩანს, ყუმბიტებმა დელეგაცია გააგზავნეს მოსალაპარაკებლად. კონსტანტინე თარხნიშვილი იმ დროს იყო ნუხის მმართველი და მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებაში.

გვ. 113, 17-18. „**რომ აქ დარჩომილნი არ დაფრთხნენ**“ – სავარაუდოდ, იგულისხმებიან თემირხანშურაში დატუსაღებული აჯანყების მოთავეები, რადგან წერილი იქიდან არის გაგზავნილი.

გვ. 113, 18. „**მირზა ალი დიდი დიპლომატი ყოფილა**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ყუმბიტის ისტორიოგრაფი და საზოგადო მოღვაწე დავლეთ მირზა შეიხ ალი.

გვ. 113, 22-23. „**შაშინკა კარგათ არის, ჩემი რძალი მომიკითხე და სიძე იაკობ**“ – სავარაუდოდ, საუბარია ადრესატის ნათესავებზე.

გვ. 113, 24. „**გუშინ სანყალს ყარამანთან ვიყავი**“ – ტექსტის მიხედვით, საუბარია დალესტნელ ნაიბზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №50 (254) (გვ. 114-115)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №310, 1r-v; 2r.

თარიღი და ადგილი: „9-ს აგვისტო. 1852 წელს. თურჩიდალი.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი, გადაკეცილი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,2 სმ; გადაკეცილისა: 21,2X13,2 სმ; მოხეული გვერდისა: 16,2X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; 2r გვერდი მე-16 სანტიმეტრიდან (ქვემოდან) მოხეულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღეთის; 2. ღმერთი; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 49-50.

გვ. 114, 7-8. „ილიკოსი, რა წამოვიდა ზაქათალიდამ“ – საუბარია გრიგოლის ძმა ილია ორბელიანზე.

გვ. 114, 8-9. „გაისტუმრეთ თუ ჯერ არა, სანდრიკო“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, ვაჟის პეტერბურგში გასტუმრებაზე.

გვ. 114, 15. „იაკინთე სიყვარულით მომიკითხე“ – იგულისხმება ქეთევანის ძმა იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი.

გვ. 114, 19. „ბიძა ჩემი ალექსანდრე“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 114, 20-21. „ყაფლანის ამბავი რა იცით“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 114, 21-22. „ცოლშვილი როგორა ჰყავს“ – ყაფლანის პირველი ცოლი ნინო თამაზის ასული ქობულაშვილი იმ დროს გარდაცვლილი იყო. ყაფლანს მისგან დარჩა შვილები –

ელენე (დაბად. 1833) და ნინო (დაბად. 1839), ცოლად კი იმ დროს ჰყავდა ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი.

გვ. 114, 23-24. **„ბატონისშვილი ილია ნაბძანდაა მოსკოვში“** – საუბარია გრიგოლის რძლის, ბარბარეს, მამაზე – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, ვაჟზე.

გვ. 114, 25. **„თავის ქალებთაგანი“** – ილია ბატონიშვილს იმ დროს, ბარბარეს გარდა, ჰყავდა კიდევ რვა ქალიშვილი: ანა (1828-1905), გაიანე (1832-1903), ელისაბედი (დაბად. 1836), ვერა (1840-1903), ოლა (1840-1913), ალექსანდრა (1845-1909), ეკატერინე (1846-1888), ნადეჟდა (1847-1930).

გვ. 115, 1. **„ლონენა ალექსანდრე აქ არის“** – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე, რომელიც შედარებულია თავის ნათესავ ლონენა რევაზის ძე ორბელიანთან.

გვ. 115, 6. **„ლერწამტანი თამარ სად არის“** – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ასული თამარი (1816-1861), ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკის (1799-1859) მეუღლე.

გვ. 115, 7-8. **„მოხარულია, რომ ბაბაღე გაისტუმრა დედოფლის წყაროსა“** – საუბარია თამარის დაზე – ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ. 115, 10. **„ძალუა ნინა დიდის სიყვარულით მომიკითხეთ“** – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, მეუღლე ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 115, 13. **„ძალუა ელისაბედს და ბაბაღეს“** – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი და მეორე ბიძის, იაკობის, ქალიშვილი ბარბარე ორბელიანი-ოპოჩინინისა.

მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვისადმი №6 (255) (გვ. 115-127)

ფოტოპირი: L: ფოტოპირი 1501 d, 186-197.

თარიღი და ადგილი: „21¹⁰ Августа 1852 года Лагерь на Турчидаг“

ხელმოწერა: „Вашего Сіятельства Покорный Слуга К: Григорій Орбеліани“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Сіят[ельс]тву Князю М.З. Аргутинскому Долгорукому.

Милостивый Государь Князь Моисей Захарьевич.“

ფოტოპირის აღწერილობა: არაავტოგრაფული ნუსხა, ავტორიზებული. შესრულებულია მეღწილით.

ადრესატის მისამართი: წერილის ბოლოს გრიგოლ ორბელიანი ადრესატს სწერს, რომ წერილის დამთავრებისას მან გაიხარა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის ბერლინში ყურადღებით მიღების ფაქტით: „Окончивая это письмо я был обрадован известіем о благосклонном пріеме, сделанном Вашему Сіятельству Князем Варшавским и о Всемилостивейшем вниманіи, которым Государь Император осчастливил Вас в Берлине.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ადრესატი იმყოფებოდა ბერლინში.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია რუსეთის არმიის გენერალი მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვი.

გვ. 116, 4. „о намереніях Даниель-Бека“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 116, 5. „деревни Ихрякского ущелья“ – საუბარია იხრეკის ხეობის დაღესტნურ სოფლებზე.

გვ. 116, 16-17. „высланных Бароном Врангелем“ – საუბარი უნდა იყოს გენერალ, ბარონ ალექსანდრე ევსტატეს ძე ვრანგელზე.

გვ. 116, 17. „под начальством Полковника Капгера“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ქრისტიანეს ძე კაპლერზე.

გვ. 116, 23. „**к сел. Сарубаш**“ – საუბარია კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მდებარე ლეკების სოფელზე.

გვ. 117, 3. „**укрепленія Цахура и Джиниха**“ – საუბარია დაღესტნის სიმაგრეებზე – წახურსა და ჯინიხზე.

გვ. 117, 17. „**орудія из Петровскаго**“ – პეტროვსკი 1857 წლამდე ერქვა დაღესტნის უმნიშვნელოვანეს ქალაქ მახაჩყალას.

გვ. 117, 25-26. „**под начальством Генерала Волкова**“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

გვ. 117, 28-29. „**подходил к Курдулу**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 117, 30-31. „**Темим-Ага... бежал из Курдула**“ – საუბარია სულთან დანიილ ბეგის ძმისწულზე, რომელიც მისი ერთ-ერთი ნაიბი იყო.

გვ. 118, 2. „**под командою Маіора Дьяконова**“ – სავარაუდოდ, საუბარია აფშერონის პოლკის მაიორ ივანე ანდრიას ძე დიაკონოვზე.

გვ. 118, 24. „**по приказанію Шамиля**“ – საუბარია ჩეჩენეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 118, 34. „**Джиних и многія другія деревни**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ ჯინიხზე.

გვ. 120, 17. „**к стороне Борчи**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 120, 27. „**находится в Ихрякском ущеліи**“ – საუბარია იხრეკის ხეობაზე.

გვ. 120, 34; 121, 1. „**под начальством Генерал-Маіора Сулова**“ – საუბარია იმ დროისათვის ერევნის რაზმის მეთაურ, გენერალ ალექსანდრე ალექსის ძე სუსლოვზე.

გვ. 121, 10-11. „**в Шуре и тамошних окрестностях, я поручил Полковнику Кишинскому**“ – სავარაუდოდ, საუბარია 1850-1852 წლებში აფშერონის პოლკის მეთაურ ნიკოლოზ სიმონის ძე კიშინსკიზე.

გვ. 121, 15-16. „в окрестностях Караная“ – საუბარია ყარანაის ტბაზე, რომელიც დაღესტანში მდებარეობს.

გვ. 121, 17. „настигнутая Маіором Котляревским“ – სავარაუდოდ, იგულისხმება კავკასიის სამხედრო შტაბის ოფიცერი, გენერალ-მაიორი იოსებ საბას ძე კოტლიარევსკი.

გვ. 121, 18. „выше Ахатли“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 121, 22. „поручил Маіору Лазареву“ – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ. 121, 31. „Араканцы вышли на тревогу“ – საუბარია დაღესტნის სოფელ არაკნის მცხოვრებლებზე.

გვ. 122, 4. „Маіора Тиханова с 2^{ми} ротами“ – სავარაუდოდ, საუბარია დაღესტნის ქვეითი პოლკის მაიორ დიმიტრი ივანეს ძე ტიხანოვზე.

გვ. 122, 4-5. „между Ахкентом и Апши“ – საუბარია დაღესტნის სოფლებზე.

გვ. 122, 7-8. „раззорить оба Дженгутая“ – დაღესტანში ამ სახელწოდების ორი სოფელი იყო – ზემო და ქვემო ჯენგუთაი (ჯუნგუთაი).

გვ. 122, 12. „спустилась с Харкаса“ – საუბარია დაღესტნის მთაზე.

გვ. 122, 14. „сотню Багадура“ – საუბარია ბალათურ ნურის ძის ცხენოსანთა ასეულზე.

გვ. 122, 22. „2 роты из Оглов“ – საუბარია დაღესტნის სოფელ ოღლიზე.

გვ. 122, 22-23. „и занял ими Шеншерек“ – საუბარია დაღესტნის მთა შენშრეკზე.

გვ. 122, 24. „отступая от Джентая“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მთა ჯენტაუ (ჯინტაუ).

გვ. 122, 25. „дорогу в Бурундук-Кале“ – საუბარია დაღესტნის ერთ-ერთ გამაგრებულ პუნქტზე.

გვ. 123, 3. „бросились опрOMETRY“ – იგულისხმება, რომ თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ.

გვ. 123, 19-20. „**Шихша-Бек, Багадуру и Гайдар-Беку, убившему знаменщика**“ – საუბარია დალესტნის ცხენოსანთა რაზმის ასეულის მეთაურ ბალათურ ნურის ძესა და დალესტნის მილიციის ცხენოსანთა რაზმის მეთაურ ჰაიდარ ბეგზე. შიხშა ბეგს ორბელიანი რამდენჯერმე ახსენებს თავის წერილებში, მაგრამ სხვა ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ. 123, 23. „**В окрестностях пос. Цуара**“ – საუბარია ნუარას გადასასვლელზე დალესტანში.

გვ. 123, 23-24. „**селений Убри, Ницаукра**“ – იგულისხმება დალესტნის სოფლები უბრა და ნიცოვკრა.

გვ. 123, 33. „**около Чираха**“ – საუბარია ყაზიყუმუხსა და ქურას შორის მდებარე გამაგრებულ პუნქტ ჩირაღზე.

გვ. 124, 4-5. „**оставив Полковника Броневского**“ – საუბარია დალესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაურ პავლე ნიკოლოზის ძე ბრონევსკიზე.

გვ. 124, 8. „**на Турчидаг**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მთა თურჩიდაღი.

გვ. 124, 33-34. „**назначить над ними Кафлан-Бека Гиллинскаго**“ – საუბარია უძველესი სოფელი გილის (ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორია) მმართველზე.

გვ. 125, 3-4. „**Кагерман-Бека Буйнакского**“ – საუბარია სოფელ ბუინაღის მმართველ კაგერმან ბეგზე.

გვ. 125, 7. „**интригам бездарнаго Абдурахима (брата Уллубея)**“ – საუბარია ერპელელ აბდურახიმსა და მის ძმაზე – აუხის ნაიბ ულუბეი მოლაზე.

გვ. 125, 8-9. „**иметь Мухудина своим Управляющим**“ – საუბარია ერპელის მმართველზე.

გვ. 125, 11. „**Полковник Кишинский арестовал**“ – სავარაუდოდ, საუბარია 1850-1852 წლებში აფშერონის პოლკის მეთაურ ნიკოლოზ სიმონის ძე კიშინსკიზე.

გვ. 125, 26. „**Ягья с 15-20^{бю} человеками приверженцев**“ – სავარაუდოდ, საუბარია ყაზიყუმუხის ნაიბ ჰაჯი იაგიაზე.

გვ. 126, 2. „Шеляги вновь отстроено“ – კონტექსტის მიხედვით, საუბარი უნდა იყოს დაღესტნის სოფელზე, მაგრამ, როგორც ჩანს, მართლწერა არ არის სწორი.

გვ. 126, 3. „Угадій Сюргинский, Магмед-Кадий“ – სავარაუდოდ, საუბარია სიურგისა და აჰყოშის ყადებზე.

გვ. 126, 7. „Агалар-Бек возобновляет это селение“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე.

გვ. 126, 19-20. „сделанном Вашему Сіятельству Князем Варшавским“ – საუბარია ივანე თევდორეს ძე პასკევიჩზე, რომელიც იმ დროს იყო პოლონეთის მეფისნაცვალი.

გვ. 126, 21. „Государь Император осчастливил Вас“ – რუსეთის იმპერატორი იმ დროს იყო ნიკოლოზ I.

მიხეილ ვორონცოვისადმი №18 (256) (გვ. 138-139)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 34r-v.

თარიღი და ადგილი: „30 августа 1852 года. Лагерь на Турчидаге“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.

Письмо Вашей Светлости“

ფოტოპირის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღნითი; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი თბილისში მსახურობდა, რაც ზოგჯერ წერილის შინაარსიდანაც ირკვევა ხოლმე: „Айдар бек и его товарищи возвратились весьма милостиво награждённые Вашею Светлостью; но все они заболели от Тифлиских жаров.“ შესაბამისად, წერილი **თბილისშია** გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 138, 5-6. „оставив там Полковника Броневского“ – საუბარია დაღესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაურ პავლე ნიკოლოზის ძე ბრონევსკიზე.

გვ. 138, 9-10. „под командою Муртузалия, брата Кибит-Магомы“ – აქ იგულისხმება არა რუსეთის მომხრე რომელიმე მურთუზალი, რომლებსაც ახსენებს ხოლმე თავის წერილებში ორბელიანი, არამედ შამილის ნაიბ ყიბიტ მაჰმადის (მაგომას) ძმა.

გვ. 138, 10-11. „разбита храбрым Агаларбеком“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე.

გვ. 138, 14. „Ягья и скрывается у них“ – სავარაუდოდ, საუბარია ყაზიყუმუხის ნაიბ ჰაჯი იაგიაზე.

გვ. 138, 16-17. „Прапорщика Кагермана – побочного сына Мехти Шамхала“ – მეხთი II იყო თარკოს შამხალი 1794-1830 წლებში და რუსეთის იმპერიის გენერალ-ლეიტენანტი. საუბარია მის უკანონო შვილზე, რომელიც დაინიშნა გუბდენის მმართველად.

გვ. 138, 17. „Шамхал, как выражается в письмах“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 138, 18. „уважив прозьбу Нохбики“ – საუბარია ავარიის ყოფილი მმართველის, სულთან ახმედხანის, ცოლზე.

გვ. 138, 20. „Сюргинский Кадий недавно умер“ – საუბარია ცენტრალურ დაღესტანში დარღვლებით დასახლებული რეგიონის ყადზე.

გვ. 138, 28. „Недостаток здесь в дравах хорошо заменён кизяками“ – სანვაგად იყენებდნენ გამხმარ ნაკელს – ნივას.

გვ. 139, 11-12. „слабому управлению Нурбааным“ – საუბარია აჰყოშის იმდროინდელ მმართველზე – ნურბაან ყადზე.

გვ. 139, 14. „Айдар бек и его товарищи“ – საუბარია ჰაჯი მურატის ყოფილ თანამებრძოლ ჰაიდარ ბეგზე, რომე-

ლიც იმ დროს რუსების მხარეს იბრძოდა დაღესტნის მილიციის ცხენოსანთა პოლკში.

მიხეილ ვორონცოვისადმი №19 (257) (გვ. 141-142)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 35r-v, 36r.

თარიღი და ადგილი: „8 сентяб[ря] 1852 года. Лагерь Дузмейдан в Акуше“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.

Два письма Вашей Светлости “

ფოტოპირის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 141, 4-5. „**действія отряда К[нязя] Бярятинскаго в Большой Чечне**“ – საუბარია გენერალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე, რომელიც იმ დროს იყო დივიზიის მეთაური და წარმატებით იბრძოდა ჩეჩნების წინააღმდეგ.

გვ. 141, 6-7. „**встревожило Шамиля**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 141, 13. „**на высотах Гамаши Генерал-майора Волкова**“ – საუბარია ცენტრალური დაღესტნის მთასა და დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

გვ. 141, 19. „**через Кукмидаг в Табасарань**“ – საუბარია დაღესტნის ყუყმადალის მთაზე.

გვ. 141, 21. „**Здесь же на Дузмейдане**“ – იგულისხმება დიდი მოედანი.

გვ. 141, 24. „**придать Кадію Нурбаану более силы**“ – საუბარია აპყომის იმდროინდელ მმართველზე.

გვ. 141, 27. „должен приехать и Шамхал“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 142, 4-5. „офицере Генеральнаго штаба Горецком“ – სავარაუდოდ, საუბარია მთავარსარდლის გენერალური შტაბის ადიუტანტ, კაპიტან ლუდვიგ ანტონის ძე გორეცკიზე.

გვ. 142, 13. „Штаб-Доктор Попов“ – საუბარია კორნელი ადრიანეს ძე პოპოვზე, რომელიც 1852 წელს იყო კავკასიის კორპუსის შტაბის ექიმი.

გვ. 142, 14. „через Гусарки, Дербет и Дишлагар“ – საუბარია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფელ გუსარზე, ამჟამინდელ ქალაქ დერბენდსა და დაღესტნის სოფელ დეშლაგარზე (ამჟამინდელი სერგოკალა).

გვ. 142, 20. „службою Полковника Агаларбека“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალალარ ბეგზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №20 (258) (გვ. 144-146)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 36v, 37r-v, 38r.

თარიღი და ადგილი: „19 Сентябр[ря] 1852 года. Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.

Отправив к Вашей Светлости...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 144, 32. „о силе и могуществе Шамиля“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 145, 10-11. „бежавших родственников Кадія Нурбаана“ – საუბარია აჰყოშის იმდროინდელ მმართველზე.

გვ. 145, 21. „вместе с Шамхалом“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ ხანზე.

გვ. 145, 23. „направив баталіоны Самурскаго полка в Дишлагар“ – საუბარია დაღესტნის სოფელ დეშლაგარზე (ამჟამინდელი სერგოკალა).

გვ. 145, 26. „между Джунгутаем и Арказом“ – საუბარია დაღესტნის სოფლებზე – ჯუნგუთაისა და, სავარაუდოდ, არქაზზე (ამჟამად ბუინაქსკის რაიონი).

ქეთევან ორბელიანისადმი №51 (259) (გვ. 148-149)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №311, 1r.

თარიღი და ადგილი: „2^ს ოკტობ: 1852. შურიტ.“

ხელმოწერა: „თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი, გადაკეცილი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X20,1სმ; გადაკეცილისა: 20,1X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი, სხვა ხელნაწერებთან შედარებით, კარგ მდგომარეობაშია.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღმერთსა; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 50-51.

გვ. 148, 26-27. „**მომირთმევია თქვენი პეტრე მენგრელი**“ – როგორც ეკატერინე დადიანისადმი 1856 წლის 28 ნოემბრის წერილიდან ჩანს, აქ საუბარია გრიგოლთან მყოფ აზნაურზე – პეტრე კოპიაშვილზე, რომელიც ადრე დადიანებთან მსახურობდა.

გვ. 148, 31. „**ალავერდს სოფიოსთან ერთად**“ – ქეთევანისადმი მიწერილი მომდევნო წერილიდან ჩანს, რომ ეს სოფიოც, ქეთევანივით, ქვრივია. ამდენად, საუბარი უნდა იყოს გრიგოლის ბიძაშვილიშვილ სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასულ ორბელიანზე, რომელიც გათხოვილი იყო ზურაბ (ზაქარია) დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილზე და 1851 წელს დაქვრივდა.

გვ. 149, 3. „**ლონენა ალექსანდრე აქა ბძანდება**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე, რომელიც შედარებულია თავის ნათესავ ლონენა რევაზის ძე ორბელიანთან.

გვ. 149, 4. „**ივანე ნიგნს არა მწერსო**“ – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანზე, მანანას ვაჟზე.

გვ. 149, 4. „**ჩემს ბიძია ალექსანდრეს**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №21 (260) (გვ. 149-150)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 38r-v, 39r.

თარიღი და ადგილი: „5^{го} Октяб[ря] 1852 года Т[емир]X[ан]Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“ / „Письмо Вашей светлости...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 149, 26. „**ездил в Талгинское ущелье**“ – საუბარია თალგის ხეობაზე, რომელიც მახაჩყალასთან მდებარეობს.

გვ. 150, 12. „Земля под именем Агрикари“ – საუბარია მთა აგრიკარზე, რომელიც ამჟამად დმანისის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

გვ. 150, 18-19. „брат мой Илья пишет“ – საუბარია გრიგოლის ძმა ილია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანზე.

გვ. 150, 24. „Неужели мы стоим ниже Агаларов“ – ალა-ლარი ხანსა და ბეგზე დაბლა მდგომი სოციალური ფენა იყო.

ქეთევან ორბელიანისადმი №52 (261) (გვ. 152-153)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №312, 1r-v, 2r.

თარიღი და ადგილი: „1852 ოკდომბრის 13^ს დღესა. შურით.“

ხელმოწერა: „თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის გაცრეცილი, გადაკეცილი ქაღალდი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,5X21,2 სმ; გადაკეცილისა: ფ.1: 21,2X13,8X13,3 სმ; ფ.2: 21,2X13,2X12,6 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი ადგილ-ადგილ გამოჟონილია. გადაკეცვა ფურცლის არასიმეტრიულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღმერთსა; 2. აქ ჯერ დაუწერია „ივლ“, შემდეგ გადაუხაზავს და თავზე დაუწერია „ოკდომბრის“; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 51.

გვ. 152, 22-23. „ორნი სტარუხა ქვრივები, რომ ცხენებს მიაჭენებდით“ – საუბარი უნდა იყოს გრიგოლის ბიძაშვილიშვილ სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასულ ორბელიანზე, რომელიც გათხოვილი იყო ზურაბ (ზაქარია) დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილზე და 1851 წელს დაქვრივდა.

გვ. 152, 27-28. „ძველად თქვენი კაკალა, ახლა დიდი ბეზირგანი“ – საუბარია ორბელიანების ნაყმევზე. ბეზირგანი დიდვაჭარს ნიშნავს და კაკალას, როგორც ჩანს, ვაჭრობა დაუწყია.

გვ. 152, 29. „მაზანდარანისა და გილანისა“ – საუბარია ირანის რეგიონებზე.

გვ. 152, 31. „ჩვენს დიდს ძიას ალექსანდრესა“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 153, 1. „სანდროს წერილი ხომ არ მოგვლიათ“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, ვაჟ ალექსანდრეზე.

გვ. 153, 4. „მოველი კნიაზ არლუთინსკისა“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე.

გვ. 153, 12. „იაკინთეს სიყვარულით მოვიკითხავ“ – იგულისხმება ქეთევანის ძმა იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი.

ილია ორბელიანისადმი №80 (262) (გვ. 153-154)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №252, 92რ-v, 93რ.

თარიღი და ადგილი: „24^ლ ოკდომ: 1852. თემირხანშური[თ].“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო ილიავ იარანალო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოყვითალო ფერის თაბახის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X21,3 სმ; გადაკეცილისა: 21,3X13,1 სმ; წერილი განთავსებულია 3 გვერდზე; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ილია ორბელიანისადმი №78 წერილის შინაარსიდან ვიცით, რომ ილია თბილისში იმყოფებოდა. თბილისშია ის №79 და №81 წერილების მიხედვითაც. წინამდებარე წერილში არაფერია ისეთი, რაც მის შტაბში ყოფნას

დაადასტურებს. ამიტომ, სავარაუდოდ, ესეც **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; ამის შემდეგ მიზანშეწონილია აღექსანდრე ორბელიანის ხელით: „მომილოცავს სულით და გულით საყვარელო ძმაო ილიავ შენი ღვინვრლობა. ღმერთმა შენი ლეიტენანტობაც მაჩვენოს მალე. გრიგოლმა მიმანერინა ყაფლანთან წიგნი, რომელშიაც ვწერ შენზედ დიდს განგაშას; ზურაბიანთ გაგვასწრეს მეთქი; ვიცი იტყვის ბოროტი ბაკლანას ბიძაშვილია. შენი აღექსანდრე.

ჩემს რძალს ბარბარეს მდაბლად თავს დაუკრამ. ეხლა პავლოვი აქ არის რომელმაც მოგილოცა ღვინვრლობა. –“

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 52-53.

გვ. 153, 13. „**ჩემო ბატონო ილიავ იარანალო**“ – „იარანალი“ სიტყვა „გენერლის“ უფრო ადრეული ფორმაა ქართულში. ილია ორბელიანმა გენერალ-მაიორის ჩინი 1852 წელს მიიღო.

გვ. 153, 15-16. „**ჩემს საყვარელს იარანალომას**“ – საუბარია ილია ორბელიანის მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 153, 17-18. „**ნეტავი მელიტონ რას იტყვის შენ ღვინვრლობაზედ**“ – საუბარია გრიგოლის დის, ეფემიას, ქმარზე – მელიტონ ბარათაშვილზე.

გვ. 153, 25. „**უნცუქუქული ოსმანილაუ**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ უნცუქუქულის ნაიბ ოსმანილაგზე.

გვ. 154, 1-2. „**მოველი კნიაზს არლუთინსკისა**“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარაიას ძე არლუთინსკი-დოლგოროუკოვზე, რომლის მოვალეობასაც ასრულებდა გრიგოლი თემირხან-შურაში.

გვ. 154, 7. „**არ დაგვაგდეbs ზურაბიანთა უნუგეშოდ**“ – გრიგოლის მამას ერქვა ზურაბი (დიმიტრი) და, სავარაუდოდ, გრიგოლი გულისხმობს საკუთარ თავს და მის დედმამიშვილებს.

გვ. 154, 11. „ამ მინუტში მომივიდა მთავარმართებლის ნერილი“ – საუბარია მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვზე.

გვ. 154, 13-14. „კნინას მანანას თხოვნითა“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, დავით ორბელიანის, ქვრივ მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 154, 17. „ანდრეევსკი რას ინერება“ – მეფისნაცვალ ვორონცოვის ექიმმა ერასტ სტეფანეს ძე ანდრეევსკიმ ცოლად მოიყვანა მარიამ თამაზის ასული ორბელიანისა და გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის ქალიშვილი ბარბარე და, როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებით ერეოდა ორბელიანების მიწების განაწილებაში. საერთოდ, მან ისარგებლა მეფისნაცვალთან ახლო ურთიერთობით და დიდძალი მამულები შეიძინა საქართველოში.

მიხეილ ვორონცოვისადმი №22 (263) (გვ. 155-157)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 39v, 40r-v, 41r.

თარიღი და ადგილი: „28 Октября 1852 года. Т[емир]Х[ан]Шура“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაღდი; ზომა: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ერთი სიტყვა ჩამატებულია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: რამდენადაც ბარათიდან ჩანს, რომ მის დაწერამდე 6 დღით ადრე გრიგოლ ორბელიანს მიუღია მიხეილ ვორონცოვის მიერ ტამანიდან გაგზავნილი ნერილი: „Два письма Вашей Светлости из Алупки и Тамани имел честь получить 21 и 22 числа“ – შესაძლოა, ეს ბარათიც ტამანში იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ბატალიონის ნომერი არ იკითხება.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 155, 4-5. „**производством Князя Семёна Михайловича в Генералы**“ – საუბარია მიხეილ ვორონცოვის შვილზე – სიმონ მიხეილის ძე ვორონცოვზე, რომელსაც 1852 წლის პირველ ოქტომბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

გვ. 155, 5-6. „**благодарность за брата моего Илью**“ – საუბარია გრიგოლის ძმაზე – ილია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანზე, რომელსაც სწორედ იმ დროს მიენიჭა გენერლის წოდება.

გვ. 155, 7. „**из Алупки и Тамани**“ – ალუპკა და ტამანი შვეიზლვისპირა ქალაქებია, ერთმანეთისგან დაახლოებით 200 კილომეტრით დაშორებული. პირველი მდებარეობს ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე, მეორე კი – ტამანის ნახევარკუნძულზე. ალუპკა მიხეილ ვორონცოვის საკუთრება იყო და იქ ჰქონდა უზარმაზარი სასახლე, რომელიც დღეს ყირიმის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. კავკასიის მეფისნაცვალის ხშირად სტუმრობდა ამ ადგილებს.

გვ. 155, 13. „**храбрым Агалар-беком**“ – საუბარია ყაზი-ყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე.

გვ. 155, 15-16. „**под предводительством Салатаускаго Найба**“ – საუბარი უნდა იყოს დაღესტნის ერთ-ერთი მხარის – სალათავის – ნაიბ გაირბეკზე.

გვ. 155, 16. „**напала на Худомбаш**“ – საუბარია დაღესტნის მთა ხუდუმბაშზე.

გვ. 155, 18. „**броситься опретью к Зубуту**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება დაღესტნის ერთ-ერთი უძველესი სოფელი ზუბუტლი.

გვ. 155, 20-21. „**в окружностях Дишлагара**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ დეშლაგარზე (ამჟამინდელი სერგოკალა).

გვ. 155, 21. „**маркитанту Самурского полка**“ – საუბარია ვაჭარზე, რომელიც ომიანობის დროს თან დაჰყვება ჯარს და ვაჭრობს სურსათითა და სხვა პროდუქტებით. ზოგჯერ მარკიტანტს უწოდებდნენ პოლკის მზარეულსაც.

გვ. 155, 25. **„Найбы: Аварскій Албуру и Койсбулинскій Ибраим“** – როგორც ტექსტიდან ჩანს, საუბარია რუსეთის მხარდამჭერ ნაიბებზე.

გვ. 155, 31. **„Найбы Хирагинскій и Куядинскій“** – სავარაუდოდ, საუბარია დალესტნის ერთ-ერთი ტომის – ალულების – სოფელ ხირაგისა (იგივე შირაგის) და სოფელ ყუიადის ნაიბებზე.

გვ. 156, 1. **„отбили у Чоглинцев“** – სავარაუდოდ, იგულისხმება დალესტნის სოფელ ჩოლლის მცხოვრებლები.

გვ. 156, 1-2. **„Майор Богданович, предуведомлённый о прорыве“** – სავარაუდოდ, საუბარია სამურის ქვეითი პოლკის მაიორ პავლე ევსტათის ძე ბოგდანოვიჩზე.

გვ. 156, 6. **„Гергебиль и Хожалмаки“** – გერგებილი და ხაჯალმაქი (ხოჯალმაქი) დალესტნის სოფლებია.

გვ. 156, 10-11. **„в числе их и Найб Муса Дибир“** – საუბარია სოღრატლის ყად დიბირ-მუსაზე.

გვ. 156, 14. **„кроме того Аймикинцы“** – საუბარია დალესტნის სოფელ აიმაკის მცხოვრებლებზე.

გვ. 156, 22-23. **„поручил Подполк[овнику] Воронченко“** – საუბარი უნდა იყოს თბილისის ეგერთა პოლკის ოფიცერ რაფიელ მათეს ძე ვორონჩენკოზე.

გვ. 156, 26. **„сведения о чиновнике Штукине“** – საუბარია დერბენდის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის უფროს მატვეი პანტელეიმონის ძე შტუკინზე.

გვ. 156, 33-34. **„просил Полковника Давыдова“** – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტ, პოლკოვნიკ როსტისლავ დიმიტრის ძე დავიდოვზე.

გვ. 157, 1-2. **„Шамиль разослал некоторым Найбам“** – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტნის იმამსა და მის ნაიბებზე.

გვ. 157, 4. **„Маюр Джомар[д]изе“** – საუბარია მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარდიძეზე, რომელიც 1852-1854 წლებში იყო დალესტნის ცხენოსანთა პოლკის უფროსი.

გვ. 157, 17. „Княгине Елисавете Ксаверевной“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე.

მიხეილ შჩერბინინისადმი №1 (160-161)

ასლი: Z (ზსიემ) 24433/ლიტ. არქ. 1033.

თარიღი და ადგილი: „4th Ноября 1852 г. Укр[епление] Темир-Хан-Шура.“

ხელმოწერა: „Князь Григорій Орбеліани“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Милостивый Государь, Михаил Павлович.“

ასლის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 27X22 სმ; დანერილია შავი ტუშით 2 გვერდზე; გრიფით: საიდუმლო.

ადრესატის მისამართი: მიხეილ შჩერბინინი იყო სახელმწიფო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი. ამ პერიოდში დავალებული ჰქონდა „კავკასიის კალენდრის“ გამოცემაზე ზედამხედველობა. კანცელარია განთავსებული იყო თბილისში, „კავკასიის კალენდარიც“ თბილისში გამოდიოდა. ამიტომ, წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე მიხეილ პავლეს ძე შჩერბინინი (1807-1881), რომელსაც 1852 წელს დავალებული ჰქონდა „კავკასიის კალენდრის“ გამოცემაზე ზედამხედველობა.

გვ. 160, 4. „приказанія Князя Наместника“ – იგულისხმება მიხეილ ვორონცოვი. როგორც ჩანს, შტუკინის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ორბელიანს სწორედ მეფისნაცვალმა დაავალა, რადგან ამის შესახებ მასაც მისწერა 1852 წლის 28 ოქტომბრის წერილში.

გვ. 160, 7-9. „**Правителя канцеларіи Дербентскаго военнаго Губернатора титулярнаго советника Штукина**“ – საუბარია დერბენდის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის უფროს მატვეი პანტელეიმონის ძე შტუკინზე.

ილია ორბელიანისადმი №81 (265) (გვ. 162-163)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №253, 94r-v, 95r.

თარიღი და ადგილი: „21^ლ ნოემბერს 1852. შურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო იარანალო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოყვითალო ფერის თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X21,4 სმ; გადაკეცილისა: 21,4X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ფურცელი იმდენად თხელია, რომ მელანი მომდევნო გვერდებზეც არის გაჟღენთილი.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ირკვევა, რომ ილია **თბილისში** იმყოფება. გრიგოლი ძმას სწერს: „ჯერ მთავარმართებლისათვის არ შემიტყობინებია ესე და შემდეგ მოვსწერ.“ მთავარმართებელი მიხეილ ვორონცოვი თბილისში მსახურობდა და ზმნა „მოვსწერ“ მიგვანიშნებს, რომ ილიაც იქ იმყოფება, ანუ თბილისში. გარდა ამისა, გრიგოლი ძმას სთხოვს ნინუცას (სავარაუდოდ, ნინო ბარათაშვილის) ჩაკოცნას, რომელიც ასევე თბილისში ცხოვრობდა. როგორც ჩანს, ილია თავისი შტაბიდან ხშირად ჩადიოდა თბილისში.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ეს სიტყვა ჩამატებულია; 3. ღმერთსა; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 53-54.

გვ. 162, 13-14. „ჩემი ჭყვილი და ყვირილი, მგონია, ზეცაში ანგელოზებს აფთხოვდა; მაგრამ ნაფაიდა?“ – „ნაფაიდა“ თურქული ფრაზაა, შედგება ორი სიტყვისაგან: „ნა“ (რა) „ფაიდა“ (სარგებლობა, ხეირი) და ნიშნავს: რა ხეირი? რა სარგებლობა? ამით გრიგოლი გამოხატავს, რომ მის ყვირილს შედეგი არ მოუტანია.

გვ. 162, 16-17. „ლაზარემა, ჩემის ბძანებით, გააკეთა“ – საუბარია ივანე დავითის ძე ლაზარევი, რომელიც 1850 წელს დანიშნეს მეხთულის სახანოს მმართველად.

გვ. 162, 24. „ღენერალი ვოლკოვი გავგზავნე რეკოლნოსიროვად“ – საუბარია დალესტინის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე, რომელიც გრიგოლს დაზვერვაში გაუგზავნია.

გვ. 163, 3-4. „კლულენაუ გავიდა ჯარით“ – საუბარია ფრანც კარლოს ძე კლუკი-ფონ-კლუგენაუზე, რომელიც 1841 წლიდან მეცხრამეტე ქვეითი დივიზიის მეთაური იყო დალესტანში.

გვ. 163, 5. „თერინლულის ხევის პირზედ“ – საუბარია დალესტინის მდინარე თერენგულის ხევიზე.

გვ. 163, 6-7. „რომლისა თავზედ იდგა ნეიდგარდი“ – საუბარია 1842-1844 წლებში კავკასიის მთავარმართებელ და მთავარსარდალ ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდგარდტზე.

გვ. 163, 10-11. „მთავარმართებლისათვის არ შემიტყობინება“ – საუბარია მეფისნაცვალ, გრაფ მიხეილ ვორონცოვზე.

გვ. 163, 12. „ჩემს საყვარელს ძალუა იარანალმას“ – საუბარია ილია ორბელიანის მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 163, 13. „ნინუცა ჩამიკოცნე“ – 1852 წლიდან თავის ძმასთან, ილია ორბელიანთან, და მოგვიანებით რძალთან, ბარბარესთან (ვარინკასთან), გაგზავნილ წერილებში გრიგოლი ძალიან ხშირად და თბილად ახსენებს ამ ნინუცას. წერილებიდან ჩანს, რომ წინანდლიდან, ანა და ბარბარე ბატონიშვილებთან ერთად, შამილის მეომრებს ისიც ჰყავდათ გატაცებული. რუსულ დოკუმენტურ წყაროებში კახეთიდან გატაცე-

ბულთა შორის დასახელებულია 17 წლის ნინო ბარათაშვილი, რომელიც მამის ავადმყოფობამდე პეტერბურგში ცხოვრობდა და არცთუ დიდი ხნის დაბრუნებული იყო საქართველოში. როგორც ჩანს, საუბარია გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, რომელიც იმ დროს მართლაც 16-17 წლისა იყო და ვფიქრობთ, რომ გრიგოლის 1852-1859 წლების წერილებში მის მიერ ნახსენები „ნინუცა“ ყველგან მისი დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილია (1828-1906).

გვ. 163, 14. „არლუთინსკისა შეიტყო რამე“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგოროუკოვზე, რომლის მოვალეობასაც ასრულებდა გრიგოლი თემირხანშურაში.

მიხეილ ვორონცოვისადმი №23 (266) (გვ. 163-165)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 41v-42r.

თარიღი და ადგილი: „2¹⁰ Декаб[р]я 1852 года Т[емир]Х[ан]Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову. Письмо Вашей Светлости“

ფოტოპირის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,3X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა, შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი. ეს განსახილველი წერილის შინაარსიდანაც ირკვევა: „по приказанію Вашей Свет[лост]и я просил Юсупбека прислать мне несколько кусков того угля, которые я воз[ъ]му с собою в Тифлис.“ / „потом уже, пользуясь Вашим дозволеніем, буду иметь счастье представитья Вашей Светлости в Тифлис.“

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 164, 8. „Шамиль уже собирает кавалерию“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 164, 9. „Данійл-Султан находится в тыле“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 164, 11. „Карахсаго и Тенумрухсаго обществ“ – სავარაუდოდ, საუბარია დაღესტნის ყარახისა და ტლესერუხის საზოგადოებებზე.

გვ. 164, 13. „узнал и о бегстве Халит“ – საუბარი უნდა იყოს ნაიბ ლალვაც დიბირის ძმაზე – ნაიბ ხალით დიბირზე.

გვ. 164, 14-15. „брат Галват-Дибира, бывшего Каратинсаго найба“ – საუბარია კარატის ნაიბ ლალვაც დიბირზე.

გვ. 164, 22. „племянник умершаго Кадія“ – საუბარია ცენტრალური დაღესტნის ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქის – სიურგის (სიურგუ, სირხა) ყაღზე.

გვ. 164, 25. „Почтенный Абих“ – სავარაუდოდ, საუბარია ცნობილ მეცნიერ ჰერმან ვილჰელმის ძე აბიხზე (1806-1886), რომელიც იყო დერბუტის (ტარტუ) უნივერსიტეტის პროფესორი, მინერალოგი.

გვ. 164, 27. „минеральных вод вблизи Агачаула“ – საუბარია დაღესტნის სოფელ აღაჩაულზე.

გვ. 165, 8. „уведомляет меня Генер[ал] Минквиц“ – საუბარია დერბენდის გუბერნატორ, პოლკოვნიკ იული თევდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 165, 13. „просил Юсупбека прислать“ – საუბარია ქურის სახანოს მმართველ უსუფ ბეგზე.

გვ. 165, 16. „По приезде Князя Аргут[инсаго]“ – საუბარია რუსეთის არმიის გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე.

გვ. 165, 20-21. „Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავზე – მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტის, პოლკოვნიკ ედუარდ ოქტავის ძე შუაზელ-გოფიეს, მეუღლეზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №2 (267) (გვ. 167)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 42v.

თარიღი და ადგილი: „6^{то} декаб[р]я] 1852 года. Т[емир] Х[ан] Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Князю Александру Ивановичу Барятинскому“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 33,3X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: 1851 წლიდან ალექსანდრე ბარიატინსკი ჩეჩნეთში ახორციელებდა საომარ მოქმედებებს, რაც წერილების საშუალებითაც დასტურდება: „Письмо Вашего С[иятельство]ва от 7 марта я имел честь получить вместе с копією донесенія К[нязя] Барятинскаго о славном его деле в Чечне.“ / „Два письма Вашей Светлости от 23 и 29 августа я имел честь получить на Турчидаге 4^{то} сентября. Успешныя действия отряда К[нязя] Барятинскаго в Большой Чечне.“ / „Согласно воле Вашей Свет[лост]и, изъяснённой в том письме я нахожу возможным собрать под командою Генер[ала] Сулова до 4^х баталіона пехоты с приличным числом горных орудій и 400 человек] из Дагестанских всадников для движения в Салатавию в то время, когда К[нязь] Барятинскій откроет в Чечне свои действия.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს ჩეჩნეთში.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 167, 17-18. „Полковник Левин представит... моего племянника, Князя Александра Орбелиани“ – სავარაუდოდ, საუბარია კავკასიის სამხედრო კორპუსის საარტილერიო ბატარეის მეთაურ ლევ თევდორეს ძე ლევინსა და გრიგოლის ძმის, ზაქარიას, ვაჟ ალექსანდრეზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №24 (268) (გვ. 168-169)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 43r.

თარიღი და ადგილი: „16 Декаб[р]я 1852 года Т[емир]Х[ан]Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Воронцову.“
Письмо Вашей Свет[лост]и“

ფოტოპირის აღწერილობა: სამუშალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვი **თბილისში** მსახურობდა და, სავარაუდოდ, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 168, 18-19. „Шамиль готовит Кавалерію для Чечни“ – საუბარია ჩეჩნეთ-დღესტნის იმამსა და ჩეჩნეთის ექსპედიციის სამზადისზე.

გვ. 168, 21-22. „собрать под командою Генер[ала] Сулова“ – სავარაუდოდ, საუბარია ერევნის რაზმის მეთაურ, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ალექსის ძე სუსლოვზე.

გვ. 168, 24-25. „К[нязь] Бяратинскій откроет в Чечне свои действия“ – საუბარია კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროს ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 169, 6-7. „передам Князю Аргутинскому“ – საუბარია რუსეთის არმიის გენერალ მოსე ზაქარაიას ძე არლუთინსკი-დოლგოროუკოვზე.

გვ. 169, 13-14. „Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვასა და მის ნათესავზე – მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტის, პოლკოვნიკ ედუარდ ოქტავის ძე შუაზელ-გოფიეს, მეუღლეზე.

საძიებლები

პირთა ანოტირებული საძიებელი

აბდულმეჯიდ I – ოსმალეთის სულთანი 1839-1861 წლებში. 58

აბდურახიმი – ერპელის მმართველი, აუხის ნაიბ ულუბეი მოლას ძმა, რომელიც გრიგოლ ორბელიანის ბრძანებით დააპატიმრეს და პეტროვსკში გაგზავნეს. 125

აბიხი ჰერმან ვილჰელმის ძე (1806-1886) – ცნობილი მეცნიერი, დერპტის (ტარტუ) უნივერსიტეტის პროფესორი, მინერალოგი. იკვლევდა კავკასიის მინერალურ წყლებს. 164

აბუ-მუსლიმი – რუთულის ნაიბი. სათავეში ედგა ჰაჯი მურატის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციას. 33
40 91 124 138 141 145

აბუ-მუსლიმ შამხალი – მაჰდი შამხლის შვილი, თარკოს სახანოს მმართველი (1836-1860), რუსული ორიენტაციის გენერალი. გარდაცვალებამდე მართავდა საშამხლოს. 40 78 81 83 86 87 91 94 101 108 109 112 113 124 125
138 141 145

ავალიშვილი-ორბელიანისა ელისაბედ სოლომონის ასული (1798-1856) – გრიგოლ ორბელიანის ბიძის – სამარაგდონ ორბელიანის – მეუღლე. 63 68 115

აიგონი მაჰად – მთარგმნელი, პორუჩიკი. 20

ალბურუ – რუსეთის მხარდამჭერი დალესტნელი ნაიბი. 155

ალეევისა (ალლეევა) – კოლეგიის ასესორის, პავლე ალეევის, მეუღლე. 67

ალექსა (მეზურნე) – სავარაუდოდ, არჩილ ანდრონიკაშვილთან დაახლოებული პირი. 26

ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე (1805-1878) – პედაგოგი. ასწავლიდა თბილისის სემინარიაში. მუშაობდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მთარგმნელად, ასევე მსახურობდა თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში. სხვადასხვა დროს იყო ახალციხის, ქუთაისისა და თელავის მაზრის უფროსი, თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი. დაკრძალულია სამთავისის ტაძარში. 114 153

ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული (1812-1895) – ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ქალიშვილი, გრიგოლის ძმის, ზაქარია ორბელიანის, მეუღლე. წერილების ადრესატი და აგრეთვე გვ.: 65 77

ალი-სულთანოვი მურთუზალი – ელისუს სულთანი, წარსულში რუსეთის მმართველობის მოწინააღმდეგე, ხოლო შემდგომში – ერთგული მსახური. 43 51 56

ალღევა – იხ. ალღევისა

ამილახვარი ივანე გივის ძე (1829-1905) – ქართველი თავადი, სამხედრო მოღვაწე. 1850 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია და 1851 წლიდან აქტიურად ჩაება მთიელთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. 1893 წელს დაინიშნა კავკასიის არმიის პირველი კორპუსის მეთაურად, 1896 წელს კი მიიღო კავალერიის გენერლის წოდება. 33

ანდრეევსკი ერასტ სტეფანეს ძე (1809-1872) – კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, პირადი ექიმი. დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, დოქტორის ხარისხი დაიცვა ხარკოვის უნივერსიტეტში, ექიმად იმსახურა ოდესაში, სადაც გაეცნო მიხეილ ვორონცოვს. კავკასიაში ვორონცოვმა ის სამედიცინო ნაწილის დროებით მმართველად დანიშნა. მეფისნაცვალთან ახლო ურთიერთობის გზით ანდრეევსკიმ დიდძალი მამულები შეიძინა საქართველოში. ცოლად შეირთო მარიამ თამაზის ასულ ორბელიანისა და გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის ასული ბარბარე (რომელიც გარდაიცვალა 1893 წელს. დაკრძალულია მთანმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში). პეტერბურგში გადაყვანილ ვორონცოვს ანდრეევსკიც თან გაჰყვა. მოგვიანებით უცხოვრია ოდესაში, სადაც გარდაცვლილა. ჰყავდა ორი ქალიშვილი – ნინო და ელენე. 154

ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) არჩილ ივანეს ძე (1834-1864) – გრიგოლ ორბელიანის შიკრიკი, მისი ნათესავის – ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის – ვაჟი. 26 68

ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) დიმიტრი თომას ძე – პოდპორუჩიკი, ენისელის უბნის რწმუნებული. 10

ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) რევაზ ივანეს ძე – პოლკოვნიკი. 1849 წელს დაინიშნა თბილისის გრენადერთა პოლკის მეთაურად. 52

არლუთინსკი-დოლგორუკოვი მოსე ზაქარიას ძე (1797-1855) – იგივე არლუთაშვილი-მხარგრძელი, გენერალი, დაღესტნის ომების მონაწილე. 1827 წლიდან მსახურობდა გრენადერთა ქართულ პოლკში მაიორის ჩინით. მეფის რუსეთის ერთგულების დასამტკიცებლად აქტიურად იყო ჩართული გურიის აჯანყების ჩახშობაში. 1847 წლიდან დაინიშნა დარუბანდის სამხედრო გუბერნატორად

და სამოქალაქო ნაწილის მმართველად. ამავე დროს იყო სამხრეთ დაღესტნის ჯარის სარდალი. მთელი სისასტიკით უსწორდებოდა მთიელებს. 1877 წელს მეფის მთავრობამ ძეგლი დაუდგა დაღესტანში. 27 28 30 31 33 36 40 57 64 69 73 80 115 153 154 163 165 169

ასტაფიევი ალექსეი ანდრეას ძე – მაიორი, ელიზავეტოპოლის (ამჟამად განჯა) სამხედრო რწმუნებული. 88 89

აფხაზოვი (აბხაზოვი) ალექსანდრე თეიმურაზის ძე – სამხედრო პირი, 1851 წელს მსახურობდა ჭარ-ბელაქნის ოლქში. 24 37 39 47

ალალარ ბეგი – გენერალ-მაიორი, ყაზიყუმუხის უკანასკნელი ხანი. ბავშვობიდანვე მძევლად ჰყავდათ რუსებს და მათ მხარეს იბრძოდა. 27 28 31 55 57 81 87 94 101 103 123 126 138 142 155

ახვერდოვისა (ახვერდოვა) – დაღესტანში მომსახურე სამხედრო მალაღმინოსნის, იული ახვერდოვის, მეუღლე. 67

ბაგრატიონი-ანდრონიკაშვილისა მაია (მარიამ) არჩილის ასული (1775-1854) – ერეკლე II-ის ქალიშვილის, ელენეს, შვილი პირველი ქორწინებიდან, იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის, ძმის არჩილისგან, იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის, ღვიძლი და. მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე, დედა გენერალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილისა. სამეფო ტახტის გარშემო ბრძოლის ინტრიგებს ქმართან ერთად გაარიდა თავი და ახალციხეში წავიდა. 1810 წელს გადაასახლეს ვორონეჟში. 1830 წლიდან ცხოვრობდა გურჯაანის ახლოს, კახთუბნის მონასტერში. 1840 წელს გადავიდა თბილისში. ცხოვრობდა ანჩისხატის ტაძრის ეზოში. დაკრძალულია იქვე. 79

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ილია (1790-1854) – გიორგი XII-ის შვილი. დედასთან ერთად გადაასახლეს რუსეთში. ცხოვრობდა მოსკოვში. დაქორწინდა სამოქალაქო მრჩევლის, ობოლენსკის, ქალიშვილ ანასტასიაზე. მსახურობდა იზმაილოვის პოლკში პოლკოვნიკის თანამდებობაზე. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. 1844 წელს ფრანგულიდან უთარგმნია ფილოსოფოს კლარკის მიმოწერა გერმანულ ფილოსოფოს ლაიბნიცთან. ჰყავდა ცამეტი შვილი. 79 114

ბაგრატიონი-ორბელიანისა ბარბარე (ვარინკა) ილიას ასული – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლე. 63 65 77 79 98 105 107 113 153 163

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ოქროპირ (1795-1857) – გიორგი XII-ის ვაჟი, ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების აქტიური ორგანიზატორი პეტერბურგიდან. 1829-1830 წლებში იგი საქართველოში იმყოფებოდა. მის აქ ყოფნასთან არის დაკავშირებული შეთქმულების დაწყება 1832 წელს. გადასახლებული იყო კოსტრომაში. დაქორწინდა გრაფ კუტაისოვის ქალიშვილზე. დაკრძალულია მოსკოვში, პოკროვსკის მონასტერში. 29

ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა ანა (ანნეტა) ილიას ასული – გიორგი XII-ის შვილიშვილი, სასახლის ფრეილინა, 1852 წელს ცოლად გაჰყვა დავით ჭავჭავაძეს. ანა ბაგრატიონს დიდი დამსახურება მიუძღვის თელავში ქალთა განათლების კერების დაარსების საქმეში. 68

ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) გრიგოლ იოანეს ძე (1797-1861) – იოანე მუხრან-ბატონისა და ქეთევან ერეკლე II-ის ასულის მესამე ვაჟი, გენერალ-მაიორი. განათლება მიიღო პაჟთა კორპუსში. მონაწილეობდა კავკასიის მთიელებთან ბრძოლაში. მსახურობდა ჭარბე-

ლაქნის ოლქის უფროსის თანამდებობაზე. ასევე მეთაურობდა დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგს. 12 30 38 46 54 55 59

ბაკიხანოვი ჯაფარყული ალა (1796-1867) – ბაქოს უკანასკნელი ხანის – ჰუსეინ ყულიხანის – ვაჟი, აზერბაიჯანელი მწერლის, აბასყული ალა ბაკიხანოვის ძმა. რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1827 წელს დაინიშნა შაბრანის მაჰალის ნაიბად. იბრძოდა თურქების წინააღმდეგ და შემდეგ კავკასიის მთიელებთან. 1838 წლიდან მსახურობდა სამხრეთ კავკასიის მუსულმანთა ცხენოსან პოლკში. 1842-1843 წლებში მთიელებს ებრძოდა სამურის ოლქში და დაღესტანში. 1844-1848 წლებში იბრძოდა სალტასთან და გერგებილთან. 1849 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 27 28

ბაკრაკ-ალი (ბაკრაკი, ბაკრაკა) – შამილის ნაიბი ჯურმუთიდან. 10 42 43 48

ბარათაშვილი მელიტონ ნიკოლოზის ძე (1795-1860) – პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა, გრიგოლ ორბელიანის სიძე. ერმოლოვისა და პასკევიჩის დროს კავკასიის მთავარი სამმართველოს თარჯიმანი. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1833 წელს არჩეულ იქნა თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად. არაერთხელ შეუსრულებია თბილისის გუბერნიის მარშლის მოვალეობა. იყო თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული პიროვნება, ქართული მწერლობის კარგი მცოდნე. გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალულია ოსიაურში, საგვარეულო მამულში. 153

ბარათაშვილი ნინო მელიტონის ასული (1829-1906) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და, „ცისკრის“ თანამშრომლის, ლიტერატორ ლეონიდ ბარათაშვილის, მეუღლე. გარკვე-

ული დროის განმავლობაში იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში. 163

ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული (1824-1892) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის – ყაფლან (იოანე) ასლანის ძე ორბელიანის – მეორე ცოლი. 114

ბართოლომეი ივანე ალექსის ძე – ცნობილი ნუმიზმატი და სამხედრო პირი. 1850-1853 წლებში მსახურობდა კავკასიის ჯარების შტაბში. ამავე დროს, იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გარდაცვალა თბილისში, 1870 წელს. 70

ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე – გენერალ-ფელდმარშალი, 1835 წლიდან კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი. შამილის დატყვევებით, მისი ხელმძღვანელობის ქვეშ დასრულდა კავკასიის დამორჩილება. ცოლად ჰყავდა ელისაბედ დიმიტრის ასული ორბელიანი. 6 94 141 167 168

ბაუმი ალექსეი ვასილის ძე – მაიორი სამეგრელოს ეგერთა პოლკში. 48

ბაქრაძე – სავარაუდოდ, ეგერთა პოლკის პრაპორშჩიკი. სახელი უცნობია. 24

ბალათურ ნურის ძე – დაღესტნის ცხენოსანთა რაზმის ასეულის მეთაური. 123

ბალარჩი – ერთ-ერთი ყაჩაღური რაზმის მეთაური. 22

ბაშმაკოვი არკადი დიმიტრის ძე – მაიორი, კავალერიის პორუჩიკი. ცოლად ჰყავდა გრიგოლის რძლის, ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანის, და ელისაბედ ილიას ასული ბაგრატიონი. 36

ბებუთაშვილი (ბებუთოვი) ვასილ იოსების ძე – ინფანტერიის გენერალი, კავკასიური ომების გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე. 1809 წლიდან სამხედრო სამსახურში შევიდა. მისი სამხედრო ბიოგრაფიიდან აღსანიშნავია გურიის 1841 წლის აჯანყების ჩახშობა. ასევე ბაშკადიკლარისა და კიურაკდარის ბრძოლები, რისთვისაც გენერალ-ლეიტენანტის ჩინით ანდრია პირველწოდებულის ორდენი დაიმსახურა. პეტრე დიდის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო. 1846 წელს ქუთაისის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა შამილი. 1855 წლიდან იყო სამხრეთ კავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი. გარდაიცვალა 1858 წელს. 100

ბელკევიჩი (ბლიკევიჩი) – პოდპოლკოვნიკი, გრიგოლ ორბელიანის თანამებრძოლი. 45 46

ბლიკევიჩი – იხ. ბელკევიჩი

ბოგდანოვიჩი პავლე ვესტათის ძე – სამურის ქვეითი პოლკის მაიორი. 156

ბრანიცკაია-ვორონცოვისა ელისაბედ ქსავერის ასული – მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მეუღლე, რუსული არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი, ალ. პუშკინის პოეტური მუზა. საქართველოში ცხოვრების პერიოდში ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. მისი თაოსნობით 1846 წელს თბილისში დაარსდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის მესვეურობით თბილისში, ქუთაისსა და თელავში გაიხსნა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები. ელისაბედი ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ სალონს თბილისში. 157 165 169

ბრონევსკი პავლე ნიკოლოზის ძე (1816-1886) – პოლკოვნიკი.
1849 წლიდან მეთაურობდა დაღესტნის 82-ე ქვეით
პოლკს. 92 124 138

ბრუსილოვისა (ბრუსილოვა) – სამხედრო შტაბის გენერალ-
მაიორის, ალექსანდრე ბრუსილოვის, მეუღლე. 67

ბურჯიკახი (ბურჯიკახიო) – ზაქარია ერისთავის მკვლელ ყა-
ჩალთა ბანდის ერთ-ერთი წევრი ბელაქნიდან. 54

ბუჭყიაშვილი (ბუჭყიევი) გედეონ ივანეს ძე (გარდ. 1858 წელს)
– პოლკოვნიკი, ქართლის აზნაურთა გვარის წარმომად-
გენელი. იგი იყო მეფე ერეკლე II-ის ათასისთავის, ივანე
ბუჭყიაშვილის, მესამე შვილი. ბუჭყიაშვილებს დიდი და-
მსახურება მიუძღვით კავკასიაში რუსული მმართველო-
ბის განმტკიცების საქმეში. გედეონი წმინდა გიორგის
ჯვრის კავალერი იყო. 76 78 79 80 92 150 153

ბუჭყიაშვილისა სოფიო ნიკოლოზის ასული – პოლკოვნიკ გე-
დეონ ბუჭყიაშვილის მეუღლე. გარდაიცვალა 1878
წელს. 76 78 92

გაირბეკი – დაღესტნის ერთ-ერთი მხარის – სალათავის –
ნაიბი. 155

გარეჯელი დავით – ცამეტ ასურელ მამათაგანი. მის სახელს
მიენერება დავით გარეჯის მამათა მონასტრის დაარსე-
ბა მე-6 საუკუნეში. 32

გორეცკი ლუდვიგ ანტონის ძე – კაპიტანი, მთავარსარდლის
გენერალური შტაბის ადიუტანტი თემირხანშურის გარ-
ნიზონში. 142

გოჰარალა – თბილისელი ცხენებით მოვაჭრე. 63

დავიდოვი როსტისლავ დიმიტრის ძე (1819-1869) – გენერალ-მაიორი, პოლკოვნიკი, კავკასიის მთავარმართებლის ადიუტანტი. 156

დავლეთ მირზა შეიხ ალი – ყუმბიხი ისტორიოგრაფი და საზოგადო მოღვაწე. 113

დალგათი – შამხალ აბუ-მუსლიმ ხანის ვაჟი. გარდაიცვალა 1852 წელს. 87

დანიელ (დანიილ) სულთანი (დანიელ ბეგი) – რუსული ორიენტაციის გენერალი, ელისუს მმართველი 1844 წლამდე. გენერალ შვარცთან უკმაყოფილების გამო შამილს მიემხრო. მისი ასული ცოლად ჰყავდა შამილის ვაჟს ყაზიმოჰამედს. 1859 წელს დანიელმა უღალატა განწირულ იმამს და ბარიატინსკის ეახლა. 1869 წელს ოსმალეთში წავიდა, სადაც მალე გარდაიცვალა. 22 28 31 40 42 43 51 53 56 57 58 60 78 81 85 86 88 94 99 101 105 108 116 118 119 164

დაუთ ბეგი – ყარაბუდახკენტის მამასახლისი. 125

დებუ ალექსანდრე იოსების ძე – 1846-1851 წლებში მეთაურობდა ქართველ გრენადერთა პოლკს, შემდეგ დაინიშნა შავი ზღვის სასაზღვრო ხაზის განყოფილების მეთაურად. 27

დელინგსჰაუზენი ედუარდ კარლოს ძე (1824-1888) – კავკასიის ბრძოლების მონაწილე 1847-1853 წლებში. 81

დენგავ (დონოგო) მუჰამედი – შამილის მამა. 105

დიაკონოვი ივანე ანდრიას ძე – აფშერონის პოლკის მაიორი. 118

დიბირ-მუსა – სოლრატლის ყადი. 156

დიბიროვი ალიბეკ – თალელ „მონადირეთა რაზმის“ წევრი. 9
34

დუბელტი მიხეილ ლეონტის ძე (1822-1900) – 1849 წლიდან მსახურობდა აფშერონის ქვეით პოლკში. 1851-1854 წლებში იყო სამხედრო მინისტრის თანაშემწე და საგანგებო დავალებათა შემსრულებელი. 28 81 93

ერისთავი ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე (1779-1860) – იოანე მუხრან-ბატონისა და ერეკლე II-ის ასულ ქეთევან ბატონიშვილის ქალიშვილის, ბარბარეს, მეუღლე. ალექსანდრე ერისთავის ქალიშვილი ნინო ცოლად ჰყავდა ივანე თამაზის ძე ორბელიანს. 63 79 91 98 114 149 152

ერისთავი ზაქარია გიორგის ძე – სენატორ გიორგი იასეს ძე ერისთავის ვაჟი, პოლკოვნიკი, დაღესტნის ომების მონაწილე, ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსი. 1850 წელს ყაჩაღებმა აკუნეს სადგურ მულანლოსთან. ცოლად ჰყავდა ლუარსაბ ორბელიანის ასული ელენე. შვილი არ შესძენიათ. 16 22 24 48 54

ერისთავი-ორბელიანისა მანანა (1808-1870) – ქსნის ხეობის თავადის, მირმანოზ დავითის ძე ერისთავის, ასული, საელჩოს მრჩევლის, დავით ორბელიანის, მეუღლე, XIX საუკუნის საქართველოში კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი. დაქვრივდა 22 წლის ასაკში. დარჩა სამი შვილი. მის ლიტერატურულ სალონში გადაწყდა ქართული თეატრის აღდგენისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების რეალური საკითხები. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ დამნაშავეთა მე-4 კატეგორიაში შეიყვანეს სალომე ბატონიშვილის გვერდით. მის სახლში იგეგმებოდა შეთქმულების დეტალები. 63 65 79 91 97 154

ერისთავი-ორბელიანისა ქეთევან გიორგის ასული (1808-1897)
– გრიგოლის შორეული ნათესავის, მამუკა (მაკარ) თა-
მაზის ძე ორბელიანის, მეუღლე. 79 97

ერისთავი-ჭავჭავაძისა მარიამ შალვას ასული (1816-1869) –
იასონ ჭავჭავაძის მეუღლე. 78 79

ვასილჩიკოვი სერგეი ილარიონის ძე – პოლკოვნიკი, ნოვორო-
სიისკისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი, ცხე-
ნოსანთა პოლკის მეთაური. 37

ვექილოვი მირზა – გრიგოლ ორბელიანის მდივანი და ნდობით
აღჭურვილი პირი ზაქათალაში. 31

ვოლინსკი ვასილ ივანეს ძე – აფშერონის პოლკის პოდპოლ-
კოვნიკი. 87

ვოლკოვი პეტრე აპოლონის ძე – გენერალ-მაიორი, დაღესტნის
სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაური. 89 94
99 101 117 118 124 141 162

ვოლფი ნიკოლოზ ივანეს ძე (1811-1881) – რუსეთის არმიის
გენერალი, კავკასიის ჯარების გენერალური შტაბის
უფროსი. მონაწილეობდა ჩეჩნეთის ექსპედიციებში,
დარღოს აღებასა და სხვა ბრძოლებში. 71 107

ვორონჩენკო რაფიელ მათეს ძე – რუსი სამხედრო მოსამსახუ-
რე, პოდპოლკოვნიკი, თბილისის ეგერთა პოლკის ოფი-
ცერი. 156

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – რუსი თავადი,
გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი
1845-1854 წლებში. მანამდე იგი ნოვოროსიისკის გენე-
რალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალი იყო.

3 წლიდან 19 წლამდე ლონდონში იზრდებოდა, სადაც მამამისი რუსეთის იმპერიის ელჩად მუშაობდა. უდიდესი წვლილი შეიტანა ოდესის განვითარებაში. შამილის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჩეჩნეთში გამოჩენილი თავგანწირვისათვის პრინცის ნოდება მიანიჭეს. 1848 წლისთვის დაღესტნის უდიდესი ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდა. სარდლობდა დარღოს ოპერაციას, რომელიც რუსეთის მხედრობისთვის სამარცხვინო კრახით დასრულდა. თბილისში მის დროს დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, ბოტანიკური ბაღი, ქართული ჟურნალი, ოპერა, ქართული და რუსული თეატრი და სხვ.
წერილების ადრესატი და აგრეთვე გვ.: 15 17 38 50 64 70 77 88 94 106 112 117 154 160 163

ვორონცოვი სიმონ მიხეილის ძე – გენერალ-მაიორი, მიხეილ ვორონცოვის ვაჟი. 155

ვრანგელი ალექსანდრე ევსტათის ძე (1804-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, მსახურობდა ჭარ-ბელაქნის ოლქში. 69 81 85 86 88 94 99 101 102 106 108 116 117 118

თამამშევი (თამამშოვი) გაბრიელ – თბილისელი ვაჭარი, მდიდარი ქარვასლის მეპატრონე 40-50-იან წლებში. 91

თარხნიშვილი ესტატე დიმიტრის ძე – გენერალ-მაიორი, გრიგოლ ორბელიანის თანამებრძოლი დაღესტანში, კერძოდ, სამურის ოლქში. 105

თარხნიშვილი კონსტანტინე დავითის ძე – პოლკოვნიკი. 64 91 105 106 113

თემიმ ალა – სულთან დანიილ ბეგის ძმისწული, მისი ერთ-ერთი ნაიბი. 31 117

თული მაჰმად – ბელაქნელი პირი, სავარაუდოდ, რუსეთის ჯარის მეგზური. 48

თუმანიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე – სამხედრო პირი. გრიგოლ ორბელიანის შემდეგ ჩაიბარა გრენადერთა პოლკი. 97

თუმანიშვილი-ანდრეევსკისა ბარბარე (1819-1893) – გიორგი თუმანიშვილისა და მარიამ ორბელიანის ასული, ექიმ ერასტი ანდრეევსკის მეუღლე. ქმართან ერთად წავიდა საქართველოდან და ოდესაში ცხოვრობდა. ითამაშა გიორგი ერისთავის კომედიაში „გაყრა“. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში. 97

თუმანიშვილი გიორგი ეგნატეს ძე (1775-1840) – ქართველი პოეტი და მწიგნობარი, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მდივან-მწიგნობარი, შემდეგ – სამოქალაქო მრჩეველი რუსეთის სამსახურში. 67

იაკობი – სავარაუდოდ, გრიგოლ ორბელიანის ნათესავი. ვინაობა გაურკვეველია. 113

იბრაიმ ხალილი (მოლა იბრაიმ ხალილი) – მთიელთა დაჯგუფების მეთაური, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. 18 20

იბრაჰიმი – ყოისუბულელი ნაიბი. 155

ივანოვი ნიკოლოზ ალაპოს ძე (1810-1873) – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობის, სიძე. 79 92

ისმაილ ბეგ ყუტყაშელი (ყუტყაშინსკი) – გენერალ-მაიორი. ყუტყაშის სულთნის შვილი. სამსახური ქართველ გრენადერთა პოლკიდან დაიწყო. იბრძოდა კავკასიის საგანგებო კორპუსში. 58 60

კაგერმან ბეგი – სოფელ ბუინალის მმართველი, მესხეთის შამხლის უკანონო ვაჟი, გუბდენის ნაიბი. 125 138

კაკალა – ორბელიანების ნაყმევი. 152

კანანოვიჩი პეტრე ივანეს ძე – თბილისში განთავსებულ სამხედრო გარნიზონის ეგერთა პოლკის მაიორი. 17 20

კაპლერი ალექსანდრე ქრისტიანეს ძე – გენერალ-მაიორი. 50-იან წლებში მსახურობდა ლეკების სასაზღვრო ხაზზე. მოგვიანებით გახდა თბილისის სამხედრო გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის მმართველი. 47 67 86 91 116

კახანოვსკისა (კახანოვსკა) – გენერალ-მაიორ სიმონ კახანოვსკის მეუღლე. 67

კიშინსკი ნიკოლოზ სიმონის ძე — რუსი სამხედრო პირი, პოლკოვნიკი, აფშერონის პოლკის მეთაური 1850-1852 წლებში. 121 125

კლუგენაუ (კლუკი) ფრანც კარლოს ძე (1791-1851) – ეროვნებით გერმანელი, გენერალ-ლეიტენანტი. სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა კავკასიაში. სარდლობდა ჯარებს ჩრდილოეთ დაღესტანში ჩატარებულ თითქმის ყველა ექსპედიციაში. იბრძოდა ყაზი-მოლასა და შამილის წინააღმდეგ. კავკასიაში სამსახური დაასრულა დარღოს ცნობილ ბრძოლაში დამარცხებით. 81 163

კოპიაშვილი პეტრე (მენგრელი) – სამეგრელოში, დადიანების კარზე, ნამსახურები პირი. 148

კოტლიარევსკი იოსებ საბას ძე – კავკასიის სამხედრო შტაბის ოფიცერი, გენერალ-მაიორი. 99 121

კულმანი მიხეილ სიმონის ძე – ოფიცერი ეგერთა პოლკში, შემდგომ წლებში ბატალიონის მეთაური. 28 51 53

ლაზარევი ივანე დავითის ძე (1820-1879) – სამურის რაზმის ოფიცერი. მონაწილეობდა დაღესტანში გამართულ ბრძოლებში. 1859 წელს ლუნიბში შამილთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. 1860-1867 წლებში ეკავა საპასუხისმგებლო პოსტები, როგორც გენერალ-მაიორს. 111 112 121 122 123 162

ლალა აბდულ ქერიმ-ოღლი – ბელაქნელი ყაჩაღი, ზაქარია ერისთავის მკვლელთა ბანდის მეთაური. 48

ლევინი ლევ თევდორეს ძე – რუსი სამხედრო პირი, პოლკოვნიკი, კავკასიის სამხედრო კორპუსის საარტილერიო ბატარეის მეთაური. 167

ლიკოვი აპოლონ თევდორეს ძე – მაიორი, ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური. 44

მადათოვი პეტრე ნიკოლოზის ძე – ბაქოსა და შირვანის მინერალური წყლების დირექტორი. 34

მაკედონსკი პეტრე მიხეილის ძე – როტმისტრი, სამურის ოლქის უფროსის თანაშემწე. 33 40

მამედ ოლსარ ოღლი – სავარაუდოდ, ბელაქნელი ყაჩაღი. 24

მანიუკინი ზაქარია სტეფანეს ძე – გენერალ-მაიორი, სხვადასხვა დროს მსახურობდა კასპიის მხარის საზღვარზე, აგრეთვე დერბენდის გუბერნატორად. 1852-1858 წლებში სათავეში ედგა 21-ე ქვეითი რაზმის პირველ ბრიგადას. 89

მაყაშვილი-ორბელიანისა ნინო ალექსანდრეს ასული (1801-1865) – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობის, მეუღლე. 79 115

მანაბელი ესტატე მიხეილის ძე – შტაბსკაპიტანი, გრიგოლ ორბელიანის დივიზიაში ესკადრონის მეთაური. 24 37 39

მაჰმედი (მაჰმედ ყადი) – აჰყოშის ყადი. 126

მეზურნე ალექსა – იხ. ალექსა

მელიქიშვილი ლევან ივანეს ძე (1817-1892) – თბილისელი, ხელმოკლე თავადი, რომელიც შემდგომში საკმაოდ დაწინაურდა სამხედრო სამსახურში: მთიელებთან ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის აყვანილ იქნა ჯერ შტაბსკაპიტნის, შემდეგ კი კაპიტნის ხარისხში. ბოლოს კავალერიის გენერლის ხარისხიც მიენიჭა. იყო მთავარმართებლის მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს წევრი. 4 თვის განმავლობაში ლევან მელიქიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად მსახურობდა ქალაქ ნახჭევანში: ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალეობას. 26 56

მეხთი II – თარკოს შამხალი 1794-1830 წლებში და რუსეთის იმპერიის გენერალ-ლეიტენანტი. 138

მინკვიცი იული თევდორეს ძე – პოლკოვნიკი. 1851 წელს გახდა დერბენდის გუბერნატორი. 165

მირზაალი – იხ. დავლეთ მირზა შეის ალი.

მირზოევი (მიზოევი, მირზოიანი) ივანე (ივანეს) მინაის (მინასის) ძე – თბილისელი ვაჭარი, რომლისგანაც სესხს იღებდნენ. 46 49 53 57 58 64

მიხლირდა – რუსეთის მხარეს მებრძოლი თუიუნუქიდან. 9

მურთუზალი – შამილის ნაიბ ყიბიტი მაჰმადის (მაგომას) ძმა, შამილის პირადი მცველი. 138

მურთუზალი – ავარიის მმართველის, სურხაი ხანის, შვილი, ყაზიყუმუხის მმართველი. 45

მურთუზალი – იხ. ალი-სულთანოვი მურთუზალი.

მურთუზალი – იხ. ნუროვი მურთუზალი.

მურთუზ ჰაჯი – ბელაქნელი ლეკი, კაპიტანი, „მონადირეთა რაზმის“ ერთ-ერთი მეთაური. 1862 წლამდე რუსეთის მხარეს იბრძოდა. 9 15 17 18 27 31 42 54

მუხუდინი – ერპელის მმართველი. 125

ნადირ შაჰი (1688-1747) – ირანის შაჰი 1736-1747 წლებში. 31

ნეიდგარდტი ალექსანდრე ივანეს ძე – გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის მთავარმართველი 1842-1844 წლებში. ამ თანამდებობაზე მან გოლოვინი შეცვალა. მანამდე მის მოადგილედ მუშაობდა. ხანმოკლე სამსახურის შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით, განთავისუფლდა თანამდებობიდან. მისი მოღვაწეობის დროს იმპერიის გენერლებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. პირიქით: 1842-1843 წლები შამილის გამარჯვებით აღინიშნა. 1843 წლის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში რუსეთის მხრიდან შამილთან ბრძოლებს შეეწირა 3000 ჯარისკაცი და ოფიცერი. ახასიათებენ, როგორც უაღრესად სამართლიანს, პუნქტუალურს, ზედმეტად მომთხოვნსა და მკაცრს, რომელიც მცირეოდენ შეცდომასაც კი არავის პატიობდა. 163

ნიკოლოზ I (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი (1825-1855), პავლე I-ის მესამე ვაჟი. შესაფერისი განათლება არ ჰქონდა მიღებული, რადგანაც ტახტისთვის მის ძმას ალექსანდრეს ამზადებდნენ. გატაცებული იყო სამხედრო საქმიანობით. იყო პოლკოვნიკი, ლეიბ-გვარდიის

ცხენოსანთა და იზმაილოვის პოლკების მეთაური. მისი მმართველობა ხელისუფლების ცენტრალიზაციისკენ სწრაფვით ხასიათდებოდა. 32 58 60 95 126

ნოზ-ბიქე – ყოფილი მეხთულის სახანოს გამგებლის, ახმედხანის, ქვრივი. სარგებლობდა გრიგოლ ორბელიანის ყურადღებით. ჰყავდა ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. 138

ნურბაან ყადი – აპყოშის მმართველი 50-იან წლებში. 86 94 101 139 141 145

ნუროვი – მურთუზალის ძმა, თალელი მებრძოლი. 9

ნუროვი მურთუზალ – სამხედრო პირი, თალელ „მონადირეთა რაზმის“ უფროსი. 9 10

ოკლობჟიო (ოღლობჟიო) ივანე დიმიტრის ძე (1818-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ბრძოლების აქტიური მონაწილე. დაკრძალულია თბილისში, ქაშუეთის ეკლესიის ეზოში. 79

ომარ სალტელი – შამილის ნაიბი. 1851 წელს სათავეში ედგა ყაითალისა და ტაბასარანის ექსპედიციას. 27 28

ოპოჩინინი ალექსეი პეტრეს ძე (1807-1885) – გენერალი. 79 92

ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე (1829-1869) – გრიგოლის ნათესავი, მანანა ერისთავ-ორბელიანის ვაჟი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი. 63 97 115 149

ორბელიანი ალექსანდრე (სანდრიკო) ზაქარიას ძე (1839-1856) – გრიგოლ ორბელიანის ძმისშვილი. 41 63 78 79 91 92 97 113 114 115 153 167

ორბელიანი-გაგარინის ანასტასია დავითის ასული – ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი დედის მხრიდან, მანანა ორბელიანის ასული, გენერალ-გუბერნატორ გაგარინის მეუღლე, რომელიც 1857 წელს სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადემქელიანმა მოკლა ქუთაისში. 26

ორბელიანი დავით (დავითკა) მამუკას ძე – სავარაუდოდ, გენერალ-მაიორ მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის ვაჟი. 54

ორბელიანი ელენე ყაფლანის ასული (დაბად. 1833 წელს) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან. 114

ორბელიანი ივანე დავითის ძე (1825-1893) – გენერალ-მაიორი. მანანა ორბელიანის ვაჟი. ცოლად ჰყავდა სოფიო შალვას ასული ერისთავი. 59 63 97 149

ორბელიანი-ივანოვისა ეკატერინე (კატო) – ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი, იაკობ ორბელიანის ასული, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალაპის ძე ივანოვის მეუღლე. 79 92

ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1817-1853) – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა დაღესტნის ბრძოლებში, რის შედეგადაც ტყვედ ჩაუვარდათ მთიელებს (1840). სხვა ტყვეებთან ერთად იგი შამილს მიჰგვარეს დარლოში (შამილის ყოფილი რეზიდენცია 1840-1845 წლებში). რამდენიმე თვის შემდეგ ილიას გაქცევა უცდია, მაგრამ გზაზე, სოფელ მეხელტას ახლოს, დაუჭერიათ და უკანვე მიუგვრიათ იმამისთვის. გათავისუფლების შემდეგ, 1846 წელს, დანიშნეს მაზრის უფროსის თანამდებობაზე განჯაში, სადაც საშუალება მიეცა, მიეხედა თავისი დისშვილის –

ნიკოლოზ ბარათაშვილის – საფლავისთვის. გარდაიცვალა ყირიმის ომში მიღებული ჭრილობის შედეგად. დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში.

წერილების ადრესატი და აგრეთვე გვ.: 63 69 79 98 114 150 155

ორბელიანი მამუკა (მაკარ) თამაზის ძე (1800-1871) – რუსეთის გენერალ-მაიორი, კავკასიის, რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე. გენერალ-მაიორ თამაზ მამუკას ძე ორბელიანისა და ქეთევან დავითის ასულ ქობულაშვილის ვაჟი. მისი წინაპარი თამაზ ორბელიანი და გრიგოლის წინაპარი ასლან ორბელიანი იყვნენ ძმები – ყაფლან ორბელის ძენი. ცოლად ჰყავდა ქეთევან გიორგის ასული ერისთავი. ეყოლათ 15 შვილი. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში. 12 79

ორბელიანი ნინო ყაფლანის ასული (დაბად. 1839 წელს) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან. 114

ორბელიანი-ოკლობუიოსი ანასტასია კონსტანტინეს ასული (1831-1884) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. 79 91 92

ორბელიანი-ოპოჩინინისა ბარბარე იაკობის ასული (დაბად. 1820) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ ოპოჩინინის მეუღლე. 63 79 92 115

ორბელიანი-საგინაშვილისა ბაბაღე – სამარაგდონ ორბელიანის ასული, გრიგოლის ბიძაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილის, ალექსანდრე საგინაშვილის, მეუღლე, განათლებული ქალბატონი. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მასთან ინახებოდა მისი სურათი, ლექსები და ლეიზევიცის ტრაგედიის – „იულიუს ტარენტიელი“ – თარგმანი. 67

ორბელიანი-სანკოვსკისა თამარ იაკობის ასული (1816-1861) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, იაკობ ორბელიანის ასული, ანდრია სენკოვსკის მეუღლე. 79 92 115

ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა სოფიო იაკობის ასული (1829-1879) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, დიმიტრი სვიატოპოლ-მირსკის მეუღლე. 79 92

ორბელიანი ლონენა რევაზის ძე – გრიგოლ ორბელიანის ნინაპრის, ასლან ყაფლანის ძის, ერთ-ერთი შვილიშვილი. 97 115

ორბელიანი ყაფლან ასლანის ძე (1813-1878) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. გადმოცემით, კარგი მომღერალი და მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი. მღეროდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებზე „მე შენ არ გეტყვი“, „თავსა უფლად“, აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე. 114

ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასული – გრიგოლ ორბელიანის ნათესავი. გათხოვილი იყო ზურაბ (ზაქარია) დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილზე, 1851 წელს დაქვრივდა. 148 152

ორლოვი ალექსეი თეოდორეს ძე (1787-1862) – რუსი სამხედრო მოღვაწე, გრაფი, პოდპოლკოვნიკი, გენერალ-ადიუტანტი, იმპერატორის კანცელარიის უფროსი და ჟანდარმერიის შეფი 1845-1856 წლებში. 93

ოსმანილავი (ოსმანილავი) – უნცუქულის ნაიბი. 153

ოღლობჟიო – იხ. ოკლობჟიო.

პასეკი დიომიდე ვასილის ძე (1808-1845) – გენერალ-მაიორი, ხუნძახის გარნიზონის უფროსი, დაღესტნის ბრძოლების წარმატებული მხედართმთავარი. 38

პასკევიჩი ივანე თეოდორეს ძე (1782-1856) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი (1825), გენერალ-ფელდმარშალი (1829). ერევნის გრაფის ნოდება მიენიჭა 1828 წელს და ვარშავის პრინცის – 1831 წელს. 1826 წელს სამხრეთ კავკასიის ჯარების სარდალი გახდა, ხოლო 1827 წელს – კავკასიის მთავარმართებელი. ერევნის ციხის ალების შემდეგ „ერევანსკის“ სახელით მოიხსენიებდნენ. პოლონეთის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ კი „ვარშავსკი“ უწოდეს. ახლანდელი თავისუფლების მოედანს თბილისში პასკევიჩის პატივსაცემად „ერევანსკის მოედანი“ ერქვა. 116 117 120 126

პისარევსკი თეოდორე გერასიმეს ძე – პოლკოვნიკი ქართველ გრენადერთა პოლკში. 44 48 53

პოპოვი კორნელი ადრიანეს ძე – კავკასიის კორპუსის შტაბის ექიმი. 142

რამაზანი – რუსეთის არმიის შტაბსკაპიტანი რამაზან ალა თალელი, 1861-1862 წლების ზაქათალის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 22

რეზვი – პოლკოვნიკი. სახელი უცნობია. 34

რემერი ფონ ვილჰელმ გოტფრიდის ძე – კავკასიის საარტილერიო გარნიზონის კაპიტანი. 87

საგინაშვილი (საგინოვი) ალექსანდრე დიმიტრის ძე (1808-1887) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. განათლება მიიღო თბილისის თავადაზნაურთა სასწავლებელში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1826 წელს. მონაწილეობ-

და რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829; 1877-1878) და კავკასიის ომებში. 1869 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. იყო მელიტონ ბარათაშვილის დის, მარიამ (მაია) ნიკოლოზის ასულ ბარათაშვილის, შვილი და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის – ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანის – მეუღლე. ბარბარეს გარდაცვალების შემდეგ დაქორწინდა ასაკით ბევრად უმცროს ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძეზე (ილიას დაზე). ალექსანდრეს არც ერთი ქორწინებიდან შვილი არ ჰყოლია. 68

სანკოვსკი ანდრია სტეფანეს ძე (1799-1859) – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობის, სიძე. 92

სვიატოპოლ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე – პოდპოლკოვნიკი, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი, ყაზარდოს პოლკის უფროსი 1857-1859 წლებში. 79 92

სიმბორსკი ანდრეი მიხეილის ძე (1792-1868) – გენერალ-მაიორი, მსახურობდა სამურის ოლქში კავკასიის ჯარების კორპუსში. 1839 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით გენერალ გრაბესა და რაევსკის რაზმებთან ერთად იბრძოდა შამილის ყოფილი რეზიდენციის ასაღებად ახულგოში. 112

სიურგელი ყადი – ცენტრალურ დაღესტანში დარღვლებით დასახლებული რეგიონის ყადი. 138 164

სურხაი ხანი – ავარიას მართავდა 1829 წლიდან სულთან-ახმედის გარდაცვალების შემდეგ. 45

სუსლოვი ალექსანდრე ალექსის ძე – რუსი გენერალ-მაიორი, კავკასიის ომის ცნობილი მონაწილე, ერევნის რაზმის მეთაური. 98 101 121 123 124 168

ტალეირანი შარლ მორის დე პერიგორი (1754-1838) – XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, სასულიერო განათლებით. სხვადასხვა წლებში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრისა და კონსულის თანამდებობები. ერთხანს ნაპოლეონ ბონაპარტეს მრჩეველი იყო. ნაპოლეონის „ასი დღის“ შემდეგ ხანმოკლე დროით მეთაურობდა საფრანგეთის მთავრობას. 1830 წლის რევოლუციის შემდეგ ელჩად მსახურობდა ინგლისში. 16

ტიხანოვი დიმიტრი ივანეს ძე – დალესტნის ქვეითი პოლკის მაიორი. 112 122 123

უგადი – სიურგის ყადი. 126

ულუბეი მოლა – აუხის ნაიბი. 125

ურუს სულთანი – ავარიის მმართველი. 57

უსუფ ბეგი – ოფიცერი, იბრძოდა დალესტანში, 1859 წელს მართავდა ქურის სახანოს. ამ თანამდებობაზე დანიშნეს რუსებმა მისი ძმის, ჰარუნ ბეგის, ნაცვლად. გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, 1878 წელს. 87 94 101 165

ფატა ალი – ნაიბი. მოგვიანებით რუსეთის მხარეს გადავიდა და დალესტნის მილიციის ოფიცერი გახდა. 45

ქობულოვი (ქობულაშვილი) ივანე ევგენის ძე – ქართული მილიციისა და თბილისის გრენადერთა პოლკის მეთაური, კაპიტანი, გარდაიცვალა 1850 წელს საბრძოლო შეტაკების დროს. 10

ღალვაც დიბირი – შამილის ნაიბი სოფელ კარატიდან. 164

ყაზი-მუჰამედი (1833-1903) – კარატის ნაიბი, შამილის ვაჟიშვილი. ცოლად ჰყავდა დანიელ სულთნის ქალიშვილი ქარიმათი. 28

ყარა-ალი – შამილის ცნობილი ნაიბი ჯურმუთიდან. XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში უღალატა შამილს და გადავიდა რუსეთის მხარეს. 17 31 42 43 57

ყარამანი — დაღესტნელი ნაიბი. გარდაიცვალა 1852 წელს. 113

ყაფლან ბეგი – სოფელ გილის მმართველი. 124

ყიბტი მაჰმადი – შამილის ნაიბი სოფელ ტელეტლოდან. არაბულ ენაზე განსწავლული, იმამის პოსტის პრეტენდენტი. 1863 წლიდან ოსმალეთში წავიდა. 138

ყორღანაშვილი ალექსანდრე („შაშინკა“) – სავარაუდოდ, გრიგოლის მეგობრის, დავით ყორღანაშვილის, უმცროსი ძმა. 113

ყორღანაშვილი ვასილ ივანეს ძე – ოფიცერი, დაღესტნის ბრძოლების მონაწილე. 80 102

ყუტურ მოლა – ზაქარია ერისთავის ერთ-ერთი მკვლელი სოფელ კატეხიდან. 18

შადინოვი გრიგოლ აბელის ძე – კავკასიის სამხედრო კორპუსის საგანგებო საქმეთა რწმუნებული, გენერალური შტაბის კოლეგიის წევრი თბილისში, ილია ორბელიანის მეგობარი. 55

შალიკაშვილი (შალიკოვი) ივანე იოსების ძე (1813-1866) – კაპიტანი ქართველ გრენადერთა პოლკში. 29

შალიკაშვილი სვიმონ იოსების ძე – ოფიცერი ქართველ გრენადერთა პოლკში 1830-1850 წლებში. 1850-1854 წლებში მსახურობდა ზაქათალის ოლქში (ამჟამად შედის აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში) ქართველ გრენადერთა პოლკის ხაზინადრად. წერილების ადრესატი.

შამილი (1798-1871) – კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი (1834-1859). განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა დაღესტნელ და ჩეჩენ ხალხებს შორის. 1859 წლის 28 აგვისტოს დაატყვევეს და ოჯახით კალუგაში გადაასახლეს. გარდაიცვალა ქ. მედინაში (ახლანდელი საუდის არაბეთი), სადაც მოსალოცად იყო წასული. 6 10 19 24 27 28 30 31 36 40 43 45 46 55 56 57 71 84 95 98 101 102 103 105 118 119 125 139 141 144 146 149 157 164 168

შახოვი – დაღესტნის სოფელ ანწუხის ნაიბი. 61

შიხშა ბეგი – ოფიცერი გრიგოლ ორბელიანის პოლკში. 123

შტუკინი მატვეი პანტელიმონის ძე – დერბენდის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის უფროსი. 156 160

შუაზელ-გოფიე – მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტის, პოლკოვნიკ ედუარდ ოქტავის ძე შუაზელ-გოფიეს, მეუღლე. 18 165 169

შჩერბინინი მიხეილ პავლეს ძე (1807-1881) – რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1851 წლიდან მეფისნაცვლის საიდუმლო კანცელარიის მმართველი. 1852 წელს დაევალა „კავკასიის კალენდრის“ გამოცემაზე ზედამხედველობა. 1858 წელს გამოსცა ვორონცოვის ბიოგრაფია. 160 161

ჩანკა ალი – ცნობილი ყაჩალი. 24

წერეთელი ნესტორ დიმიტრის ძე – იმპერატორის ამალის ოფიცერი, მოგვიანებით სახელმწიფო მოხელე ქუთაისში (გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი). 101

ჭავჭავაძე გულბათ – კახეთის თავადთა საგვარეულო შტოს ცნობილი წარმომადგენელი, გენერალ ზაქარია ჭავჭავაძის მამა. წინანდელ თავადს მამულები გურჯაანშიც ჰქონდა, კერძოდ, სოფელ ურიათუბანში (ახლ. ვაზისუბანი). სოფლის გარეთ, მამულში აშენებული ევროპული სტილის სასახლე დღესაც იქცევს ყურადღებას. სოფელში მათ ოჯახს „გულბათიანთს“ ეძახდნენ. 29

ჭავჭავაძე იასონ ივანეს ძე (1804-1857) – გენერალ-მაიორი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონის მეთაური. გარდაიცვალა მშობლიურ სოფელ წინანდალში. დაკრძალულია თბილისში, ქაშუეთის ეკლესიაში. 77 78 79 80 84 106

ჭავჭავაძე-შალიკაშვილისა დარეჯან (დარია) გულბათის (პანტელიმონის) ასული – ივანე შალიკაშვილის მეუღლე. 29

ჭილაშვილი (ჩილაევი) ბორის გაბრიელის (გლახას) ძე – გენერალ-ლეიტენანტი, ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური, ჭარ-ბელაქნისა და ლეკეთის ხაზის უფროსი. 15

ხალაჯოვი ალექსანდრე – „მონადირეთა რაზმის“ ერთ-ერთი მეთაური. 9

ხალით დიბირი – ნაიბი, შამილის ნაიბ ლალვაც დიბირის ძმა. 164

ხაყაბი თამბალ – ცნობილი მთიელი მებრძოლი თალიდან. 9

ხაყაბი მელქუმ – სავარაუდოდ, რუსების წინააღმდეგ მებრძოლი მთიელი. 9

ხიმშიაშვილი სოლომონ ევსევის ძე – ყვარლის უბნის რწმუნებული, პოდპორუჩიკი. 16 31

ჯამოვ ბეგი (ჯემილ-ბეკი) – დაღესტნის მხარის, ყარაყაითაღის, მმართველი. 30 86 94 101

ჯაფარყული ალა – იხ. **ბაკიხანოვი ჯაფარყული ალა**

ჯომარდიძე მიხეილ გრიგოლის ძე (1822-1889) – დაღესტნის ცხენოსანთა პოლკის უფროსი 1852-1854 წლებში. მსახურობდა აფშერონის პოლკშიც. ქუთიშის ბრძოლის შემდეგ მიიღო კაპიტნის ხარისხი. 80 81 157

ჰაიდარ (აიდარ) ბეგი – მთიელი მემამოხე, დაღესტნის მილიციის ცხენოსანთა რაზმის მეთაური. იბრძოდა მიურიდების წინააღმდეგ რუსეთის ჯართან ერთად. 84 112 123 139

ჰაჯი ალა ბეგი – რუსული ორიენტაციის მქონე მთიელი მებრძოლი, ელისუს პრისტავი, პორუჩიკი. 37 39 84

ჰაჯი დარვიში – რუსეთის მხარდამჭერი ერთ-ერთი დაღესტნელი მეომარი. 7

ჰაჯი იაგია – ყაზიყუმუხის ნაიბი. 125 138

ჰაჯი ისმაილ – რუსული ორიენტაციის მქონე გავლენიანი პირი მაცხიდან. 6

ჰაჯი მურატი (მურადი) (1814-1852) – შამილის უმამაცესი ნაიბი, დაღესტნის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი. დაიბადა და ალიზარდა დაღესტანში, ხანების სასახლეში. თავისი გავლენით ის თითქმის შამილის მეტოქეც

გახდა. შამილთან დაპირისპირების გამო რუსულ მმართველობას ეახლა. მოკლეს გაქცევის მცდელობისას ნუხის (ამჟამინდელი შაქის) მაზრაში. 27 30 31 33 34 36 40 43 45 46 55 56 57 58 64 65 66 76 77 81 84

ჰუსუმ ბეგი – სამხედრო პირი ყუბიდან, რომელიც ორ სხვა ახლობელთან ერთად გრიგოლ ორბელიანმა მიაბარა თავისი პოლკის სასწავლო ქვედანაყოფში გამოცდილების შესაძენად. 27

**გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა
ანოტირებული საძიებელი**

აგრიკარი – მთა ამჟამინდელ დმანისის მუნიციპალიტეტში.
150

ავარია – იგივე ლუნძეთი, ხუნძახი. ფეოდალური სამფლობელო დაღესტანში. ავარიის სახანომ თავის ძლიერებას მიაღწია XVIII ს-ში და მოიცვა დაღესტნის ჩრდილო და დასავლეთი რაიონები. მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული ისტორიული კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ჭარ-ბელაქანი. 1843 წ. ავარიის სახანო გააუქმა რუსეთმა და შექმნა გამგეობა, რომლის ზედამხედველობა დაეკისრა გრიგოლ ორბელიანს. 40

ავარიელი (ავარელი) – 155

აზენი – სოფელი ყოფილ ჭარ-ბელაქნის ოლქში. 38

აზიელი 20 51

ათახარაბი – შედიოდა ყოფილ ზაქათალის ოლქში. 17

აიმაკელი – აიმაკის მცხოვრები (იხ. აიმაკი). 156

აიმაკი – სოფელი დაღესტანში. მდებარეობს გიმრის მთაგრეხილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, ზუბერხის მთის ძირში. 145

აკიმალი – მთა კავკასიონის ქედზე, ბელაქნის მახლობლად.
31

ალაზანი – მდინარე აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანში. 32 39 40

ალახუნი – იგივე ალახუნ დალი, ალახამდალი, მთა დაღესტანში. 30 33 40

ალმალო – სოფელი დაღესტანში, მახაჩყალიდან 26 კილომეტრში. 7

ალუპკა – ქალაქი უკრაინაში, ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე, იალტიდან 17 კილომეტრში. 155

ანდალალი – რაიონი შუა დაღესტანში. 36

ანდი – დაღესტნის ძლიერი ტომის სამოსახლო მდინარე ანდის ყოისუს მარცხენა სანაპიროზე. 95

ანდიელი – ანდის მცხოვრები (იხ. ანდი). 6

ანკრაკი – სოფელი მთიან დაღესტანში. 44 57

ანწუხი – სოფელი დაღესტანში, კავკასიონის ქედის მახლობლად, ყოფილი ჭარ-ბელაქნის ოლქის ჩრდილოეთით. 61

არაკანი – სოფელი დაღესტანში. 30 87 122 123

არაკნელი – სოფელ არაკანის მცხოვრები (იხ. არაკანი). 121

არქაზი – სოფელი დაღესტანში, ამჟამინდელ ბუინაქსკის რაიონში. 112 145

არჩი – დაღესტნური სოფელი, რომლის მცხოვრებნი ლაპარაკობენ დამოუკიდებელ არჩიულ ენაზე. 28 33 40 107

ასტარხანი (ასტრახანი) – ქალაქი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, მდინარე ვოლგის დელტაში. 1395 წელს დაარბია თემურლენგმა. მალევე აღორძინდა და XV ს-ში წარმოქმნილი ასტრახანის სახანოს სატახტო ქალა-

ქი გახდა. 1556 წელს დაიპყრო ივანე მეოთხემ. 1558 წელს აშენდა ციხე-გალავანი. იმ დროიდან რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სასაზღვრო ციხესიმაგრედ იქცა. 152

აფშერონელი – აფშერონის მცხოვრები (**აფშერონი** – რაიონი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში). 28 122

აფში – სოფელი დაღესტანში. 122

ალჩაული – სოფელი დაღესტანში. 164

ალბულაღი – ქალაქ თეთრინყაროს ძველი სახელწოდება XX საუკუნის შუა წლებამდე. მდებარეობს გომერის ქედზე ზღვის დონიდან 1180 მეტრის სიმაღლეზე. 78 79

